

53 4/3

ძველი ქართული ენის კათედრის შრომები

73

23
1980 წ.

კრებული

რედაქტორი ა. შანიძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები: ქართლი, ქართველი	7
2. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ეფთვიმეს რედაქცია	15
3. წამება შვიდთა ყრმათა მკაბელთა. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე იმნაიშვილმა	29
4. ზ. ქუშბურიძე, ქონებისა და უქონლობის სახელები სვანურში	71
5. შ. შანიძე, ნადი და მამითალი	77
6. კ. დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციების წარმოშობის საკითხი	83
7. ბ. შავიშვილი, გამოგრებილი მეხური იადგარის (A-596-ის) რედაქცია და თარღი	125
8. ი. ტურაშვილი, ბერძნის ოთხთავის თავისებურებანი	137
9. ლ. ბასილაია, პირის სახელთა ბრუნება XI—XIII საუკუნეთა მხედრული ისტორიული საბუთების მიხედვით	153
10. მ. შარგველაშვილი, მყოფადის წარმოებისათვის მეგრულში	163
11. ე. ბასილაშვილი, ილარიონ პალესტინელის ცხოვრების მთარგმნელი და გადაწერი	169
12. თ. მენტეშელი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისათვის ძველ ქართულში	175



16.664 აპაკი შანიძე

ეტიმოლოგიური შენიშვნები: ქართლი, ქართველი*

თავდაპირველად „ქართლი“ აღნიშნავდა მთელ საქართველოს (კოლხეთის გამოკლებით), ამჟამად კი იგია აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია. „ქართველი“ ყოველთვის იყო და არის ჩვენი ეროვნული სახელი.

სიტყვები ქართლი და ქართველი ეტიმოლოგიურად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ ქართლი ერთ ფუძეს ემყარება, ქართველი კი — სხვას.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება რამდენიმე ცდა ამ სიტყვების ახსნისა ეტიმოლოგიურად (ნ. მარისა, ივ. ჯავახიშვილისა, ნ. აღონცისა, ლ. მელიქსეთ-ბეგისა, ვრ. ლაფანციანისა), მაგრამ არც ერთი მათგანი ისტორიულ სიმართლეს არ შეეფერება.

ნ. მარის აზრით, ქართ ფუძე, რომელიც ქართლ-ში და ქართულ-ში გვაქვს, წარმოდგება ქასდ-ისაგან, ხოლო ქართველ-ი წარმომდგარია ასე: ქართ ფუძეს ერთვის არქაული ივერიული სუფიქსი მრავლობითი რიცხვისა ივ (ქართივ), რომელსაც ერთვის წარმომავლობის სუფიქსი ელ და მიღებულია ქართივ-ელ-ი, რომელმაც შემდეგ ქართველ-ი ძოგვცა. ამგვარად, ფუძე ქართ აღის უფრო ძველ ქასდ ფორმამდე, რაც მრავლობითი რიცხვის სუფიქსის დართვით ქასდივ-ს გვაძლევს, ეს კი არის ზუსტი ვაჰმოცემა ებრ. ქაშდიმ ისა¹.

შემდეგ ნ. მარი სხვაგვარად ხსნადა: „რაც შეეხება ფუნქციონალურ ნაწილს ქართველ სიტყვისას, რომელიც ქართველთა ეროვნული სახელწოდებაა, ე. ი. ველ-ს ანუ ვერ-ს, იგი მან-ის ვარიანტია, რომელიც გარ-დ-მან-ის შემადგენელი ნაწილია.“²

ნ. მარს მიაჩნდა, რომ „ქართლ-ი“ მიღებულია ქართუ-ი ფორმისაგან. იგივე ჯავახიშვილი წერდა: „დასასრულ, ურ-კაშდიმ-ის შესახებ. იქ ცხოვრობდა, სხვათა შორის, მამათმოყვარი აბრაჰამი; რომელ ქვეყანას გულსხმობდა „დიბადების“ დამწერი, ან მისი წყარო, როდესაც ამ „ურ-კაშდიმ“-ს იხსენიებდა, ჯერ კიდევ საცილობელია. ამ საკითხის გამოსარკვევად მრავალი მასალები აქვს შეკრებილი დილლ მანს. ზოგს „ურ“ სამხრეთ ბაბილონში ევფრატის პირას მდებარე დაბა „მულიერად“ მიაჩნია, რომელსაც წინათ „ურუ“ ერქვა (Holzinger, Genesis 118—119). მაგრამ ისეთი აზრიც არსებობს, რომ „ურ-კაშდიმ“-ად ის

* წაკითხულია მოხსენებლად თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრისა და ფილოლოგიური ფაკულტეტის გაერთიანებულ სხდომაზე 17.11 1977 წ.

¹ Н. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими. СПб., 1908, стр. 5.

² Грузинский язык (წიგნი: Язык и история, изд. ГРАИМК, I. 1936, გვ. 39).

³ Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием, ЗВО, т. XVI, 1905, стр. 166.

ძ. მარშენს სან. სან.



ადგილია ნაგულისხმევი, სადაც თქმულებისამებრ ვითომც ნოეს კიდობანს ვაჩვენებთ. ესე იგი არარატის სახეები (იქვე 119). უკანასკნელი აზრი, ვგონებ, უნდა სიმატლესთან ახლო იყოს იმიტომ, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი „ქაშდომ“ ქართულების სახელია: კაშდომ = კახდივ = ქართ-ივ. აქ იმ და ივ მრავლობითი რიცხვის (=ებ) ნიშანია, ამგვარი ბგერათა ცვლილება „შ“-ის „ს“-ად, ხოლო შემდეგ „რ“-ედ ქცევა ქართულში ჩვეულებრივ მოვლენაა, მაგ., შგული = სჯული = რჯული. მაშასადამე, დაბადების „ქაშდომ“ ქართებსა ნიშნავს, ხოლო „ურ-კაშდომ“ ურარტუს ქართებს⁴.

ი. ჯავახიშვილი განაგრძობდა: „ჩვენი ეროვნების სხვადასხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უძველესი ბინადრობისა და სამშობლოს სახელია შემონახული. ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა „ქართველი“: „ელი“ სადაურობის ანუ ჩამომავლობის აღმნიშვნელი საკვეცია, როგორც, მაგ., გორელი, თელაველი, ჭიხაიშელი, ოკრიბელი და სხვა; ყველა ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ საკვეცი „ელი“ ქვეყნის ანუ ადგილის სახელს ეკატება ხოლმე (გორი, თელავი, ჭიხაიში, ოკრიბა); მაშასადამე, სიტყვა „ქართველის“ პირველი ნაწილიც „ქართუ“ ქვეყნის სახელი უნდა იყოს. განვიხილოთ ეხლა კარდუხების სახელი, რომელთა ქვეყანაშიც მდ. კინტრიტი (კინტრიშის მოსახლეა) დიდია. სიტყვა „კარდუხ“-ც ჩვეულებრივ ეროვნების აღმნიშვნელი საკვეც „ხი“-თ ბოლოვდება, ამ სიტყვის პირველი ნაწილიც უნდა ქვეყანასა ნიშნავდეს; ავიღოთ, მაგალითად, სახელი ტაოხი, კოლხი; თრევს რომ საკვეცი მოვაშოროთ, რჩება ტაო—იმ ქვეყნის სახელი, რომელსაც სომხები „ტაიქ“-ს ეძახდნენ და ჭოროხსა და თორთუმის წყალს შორის მდებარეობდა. მაშასადამე, ტაოხი უდრის ტაოელ ტომს. სიტყვა „კოლხი“-საც რომ საკვეცი მოვაცილოთ, დაგვრჩება „კოლ“, იგივე კოლა, იმ ქვეყნის სახელი, სადაც მტკვრის სათავეა. მაშასადამე, ზემომოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ სიტყვა „კარდუ“-ც ქვეყანას უნდა ნიშნავდეს და „ქართუ“-ს უდრის; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეორე სიტყვაში ფშვინავი თანხმოვნები ზის: „კ“-ანის მაგიერ „ქ“-ანი, ხოლო „დ“-ონის მაგიერ „თ“-ანი. კარდუხი, როგორც ვიცით, ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური შტოს სახელია.

ამგვარად, დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართ-მეგრული შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) ერთი და იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება: იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოს ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია, იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო.

ამ სამშობლოს ხსენება შესაძლოა შტოს წარმომადგენელს სენებსაც აქვთ შერჩენილი. სენეთში ეხლაც მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც „ჯალდე“ ანუ ხალდე ჰქვია. ერთი სიტყვით, ხალდე ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს ქართუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის; ტუკლათ-ადარ I-ის 1275 (ქრ. წ.) წარწერაში იგი „ქვეყანა კარდუ“-დ⁵ იწოდება⁶ სწორედ ისე, როგორც ამ ქვეყნის სახელი კარდუხების საკუთარ სახელწოდებაშია შესულია⁶.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელება, სამშობლო და უძველესი ბინადრობა: ქართველი ერის ისტორია, წ. I, მეოთხე გამოცემა 1951, გვ. 402 (წერილი გადმოხვედელია „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე გამოცემიდან, რომელიც 1913 წ. გამოვიდა).

⁵ Keilinschriftliche Bibliothek, I, 11.

⁶ ქართველი ერის ისტორია I, 1951, გვ. 403—404.

ნიკოლოზ ადონცი აგრეთვე კარდუნების კარდუ ფუძეს უღარებდა ქართულს, რომლისაგანაც წარმოდგება მისი აზრით ქართულ-ი⁷.

„ქართველ“ სიტყვის წარმოშობის საკითხის გამოკვლევას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ჩემმა ამხანაგმა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, შემდეგ პროფესორმა ერენის უნივერსიტეტში, ენათმეცნიერმა გრიგოლ ლაფანციანმა (Григорий Капанцян). გამოკვლევის სათაურია „К происхождению грузинского национального имени Kharthveli“. გამოკვლევა 25 გვერდისაგან შედგება, დაიბეჭდა 1939 წ. ერენის უნივერსიტეტის გამომცემლობაში და გადაიბეჭდა 1975 წ. გრ. ლაფანციანის რუსული ნაწერების II ტომში⁸.

ავტორის აზრით, ქართველი ასე დაიწყო: ქართველ-ი. ძირია ქართ, რომელიც ნათლად ჩანს ქართლ-ში (<*ქართნი?) და ქართულ-ში.

ქართველ სიტყვის პირველი ნაწილის შესახებ გრ. ლაფანციანი ვაკერით ამბობს, რომ არ შეიძლება უშუალოდ დამტკიცდეს, რომ „ქართ“ ენათესავებოღეს კარდუ || გორდუ-ს. იგი უმთავრესად მეორე (ველ) ნაწილის შესახებ მსჯელობს და ამბობს, რომ ეს ველ მიღებულია ბერ-ისაგან, რომელიც პირველად „სახლს“ აღნიშნავდა და შემდეგ მიიღო მნიშვნელობა გვარისა, ტომისა, უკანასკნელ კი კაცისა ქართ-სახლიდან (человека из карт-дома).

ბერ ძირი გვარის მნიშვნელობით, ავტორის აზრით, ახლაც გვხვდება საქართველოში. ასეთია მაგალითად, კახაბერი (კახაბრის ხევი აჭარაში), რომელიც სხვა არა არის რა, თუ არ კახა-გვარი (მდრ. კახეთ-ი კახთა ქვეყანა). გრ. ლაფანციანს არ ემკვება, რომ ზოგიერთი ქართული გვარი, რომლებშიაც შედის ეს ბერ (ბერი-ია, ბერი-ძე, ბერი-იტამვილი, ლოლო-ბერი-ძე, მიქა-ბერი-ძე და სხვ.) აგრეთვე ნაშთია ამ ძველი ბერი-ისა და, მაშასადამე, ბერია ან ბერი-ძე, რომლებიც როგორც სიტყვები თავდაპირველად საზოგადო შინაარსისა იყო (нарцательного содержания) პირველად (первично) მათ უნდა აღენიშნათ „ძე (ჩამომავალი) გვარისა“, გვაროვნული კაცი (родич), ზოლო ფეოდალური წყობილებისას შეიძლება ნიშნავდა კიდევ ამას: „ქარგი გვარისა“, „კეთილშობილი“ და სხვ. ადგილის სახელი საბერით ალბათ აღნიშნავდა „(ადგილს) გვარისათვის“.

ამ ბერი-ს გრ. ლაფანციანი პოულობდა სომხურშიც; ასეთია ტამ-ბერი, ტარ-ბერი-უნი, ქაჯ-ბერი-უნი, რაც საკუთრივ ამას აღნიშნავდა: там-род, тар-род, кадж-род.

ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობდა, რომ „ქართველი“ შეიცავს ორი ეროვნების სახელის შეერთებას: ქართ-ივერი⁹

არც ერთი ამ ახსნათაგანი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება.

რომ ნათლად ვავერკვეთ საქმის ნამდვილ ვითარებაში, უნდა მოვიგონოთ, რომ გარკვეული ისტორიული პირობების გამო შეიძლება ერთი ერის სახელი სხვა ერის სახელად იქცეს. ამისი მაგალითი რამდენიმეა და ერთი მათგანი არის ბულგარი. თავდაპირველად ეს სიტყვა აღნიშნავდა ვოლგის შუა მდინარეებზე მცხოვრებ თურქ ხალხს, რომლის ერთი შტო დაიძრა დასავლეთისაკენ, გადალახა რუსე-

⁷ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана. СПб., 1908, стр. 398.

⁸ Г. А. Капанцян, Историко-лингвистические работы, II. Издательство АН Арм. ССР. Ереван, 1975, стр. 39—62.

⁹ Гр. Капанцян, К происхождению... 5 (Историко-лингвистические работы II, 40).

თისა და უკრაინის ველები, მიიღწია დანუბამდე (დუნაიმდე) და დაიპყრა ადგილობრივი სლავური ერი. ეს მოხდა მე-5—მე-6 საუკუნეში. შემდეგ ეს დამპყრობი ერი გაითქევა დაპყრობილ ერში, დაკარგა თავისი ენა, მაგრამ თავისი სახელი გადასცა ამ დაპყრობილ ერს, რომელსაც იგი შეერია და რომელშიც გაითქევა სრულიად. ბულგარლები (ახუ ბოლგარლები, ძველი ქართულით ბორღალნი) სლავური ერია, მაგრამ სახელი თურქული აქვთ.

რადაც ამის მსგავსი მომხდარა საქართველოშიც. თავდაპირველად ქართლი აღნიშნავდა ერს, რომელსაც დაიპყრა მცხეთა და მიმდგომი ქვეყნები, კარგა ხანს იბატონა აქ, შემდეგ თანდათანობით გაითქევა ადგილობრივ მოსახლეობაში, თავისი ენა დაკარგა. მაგრამ თავისი სახელი გადასცა დაპყრობილ ერს, რომელიც წინათ, ალბათ, მესხების სახელით იყო ცნობილი.

ცნობა ამ დამპყრობი ერის შესახებ მოიპოვება „ქართლის მოქცევაში“, რომელიც შემონახულია ცნობილს შატბერდის კრებულში. ეს კრებული გადაწერა იოანე-ბერამ X საუკუნეში, 973 წლის აბლო. ამ წელს კი მან გადაწერა პარზლის ოთხთავი იმავე შატბერდში და შეწერა პარზალს. თვით „მოქცევა ქართლისაჲ“ წარმოშობით უფრო ძველი ძეგლია და მე-7 საუკუნის I ნახევარს უნდა მიეკუთვნებოდეს. ძველი გამოსცა ე. თაყაიშვილმა ორჯერ: 1890 წ.¹⁰ და 1912 წ.¹¹

მოიპოვება აგრეთვე თ. ყორღანიას გამოცემა¹². „მოქცევის“ იმ ნაწილში, რომელსაც აქ ვეებები, ვიყენებ ს. ჯანაშიას შესწორებულ ტექსტს, რომელიც მან დაბეჭდა თავის ამ გამოკვლევაში: „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველი საცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე“¹³. ე. თაყაიშვილი და თ. ყორღანია არიან-ის ნაცვლად არიან-ს კითხულობდნენ და კერპის სახელად გა-ს ნაცვლად გაიმ-ს.

„ქართლის მოქცევაში“ ორჯერ გვხვდება სიტყვა ქართლი, შეერთებული არიან სიტყვასთან: არიან-ქართლი. მაგალათები ტექსტიდან: „და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჲ არიან-ქართლისა მეფისაჲ. და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდგა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისა და წარვიდა“. ალექსანდრედ აქ იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი, მაგრამ მისი ხსენება აქ უადგილოა, რადგანაც კარგად ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არ ყოფილა. მაგრამ ამბები, რომლებზედაც აქ საუბარია, და რომლებიც უფრო გვიან მოხდა (საფიქრებელია, II ს-ში ჩ. წ.-მდე), რამდენადმე ნდობის ღირსია.

ქრონიკა განაგრძობს: „ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან-ქართლად მამისა თვისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძღვეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმრთად ვაცი და გა. და ესე იყო პირველი მევეჲ მცხეთას შინა აზოჲ, ძჲ არიან-ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა. და შემდგომად მისა დადგა ფარნაეზ“.

გვხვდება არიან-ქართლი აგრეთვე წმ. ნინოს „ცხოვრებაში“, რომელიც შატბერდის კრებულში უშუალოდ მოსდევს „ქართლის მოქცევის“ ტექსტს. აქ

¹⁰ სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 1—39.

¹¹ Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, Тифлис, 1906—1912, стр. 708—735.

¹² თ. ყორღანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. I, 1892, გვ. 11—14, 17—18, 27—33.

¹³ ს. ჯანაშია, წრონიკები II, 1952; გვ. 41—42.



აწერილია კერპები, რომლებიც დალეწა წმ. ნინომ ლოცვით; ჯერ აწერილია არმაზი და შემდეგ ნათქვამია: „და მარჯულ მისა (ე. ი. არმაზისა) დგა კერპი ოქროსაჲ და სახელი მისი გაცი და მარცხლ მისა—კერპი ვეცხლისაჲ და სახელი მისი გა, რომელნი იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქუენთა არიან-ქართლით“¹⁴.

მაშასადამე, არ იან-ქართლი სამჯერ გვეხდება ძველ ტექსტებში და მეოთხედ იკითხება: ანთა ძმ არიან-ქართველთა მეფისაჲ.

„ქართლის მოქცევის“ მიხედვით ეს არიან-ქართლი სადაც შორს არის საქართველოდან, რასაც ყურადღებას აქცევდა ს. ჯანაშია.

რა არის არიან-ქართლი? უთუთად, ეს არის კომპოზიტი ფშავ-ხევსურეთის ტიპისა. იგია სახელი ორი ქვეყნისა, რომლებიც მეზობლად იყვნენ: არიან და ქართლი. ამითან არიან არიან არიანა, რომელიც, სტრამონის მიხედვით, შეიცავდა სპარსეთსა და მიდიის ნაწილს, აგრეთვე ბაქტრიასა და სოგდეთის ჩრდილოეთ ნაწილებს¹⁵. ხოლო ქართლი ეს არის პართენი, ე. ი. პართიის მცხოვრებნი და თვით პართია.

პართია თავდაპირველად იყო დღევანდელი ხორასანი და მისი მიმდგომი მხარეები. იგი პართავას სახელით აქემენიდების სახელმწიფოში შედიოდა, რომელიც დაიპყრა ალექსანდრე მაკედონელმა 330 წ. (ჩვენს წელთაღრიცხვამდე). მაგრამ მესამე საუკუნის ნახევარში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) პართებმა (ანუ პართელებმა) დამოუკიდებლობა მოიპოვეს და თანდათან გააფართოვეს თავის სამფლობელო იმდენად, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთით იგი ინდოეთს სწვდებოდა და ჩრდილო-დასავლეთით—კავკასიას. პართები (ანუ პართელები) მტკვარ-არაგვის შესართავამდეც მოსულან ბრძოლით და დაუპყრიათ მცხეთა და მიმდგომი მხარეები. ამგვარად უნდა გვესმოდეს აზოს პირველი მეფობა მცხეთაში. ეს აზო იყო არიან-ქართლით, ე. ი. არიანა-პართიიდან მოსული კაცი, რომელიც მცხეთაში გამეფების შემდეგ გაბრუნებულა სამშობლოში თავის მამასთან და წამოუყვანია იქედან „ათნი სახლნი მამა-მშექეთანი“. ე. ი. ახლობელი ნათესავები და რვა სახლი სხვა პართელებისა. აქედან ნათლად ჩანს პართების კოლონიზაცია მცხეთაში და მის მიმდგომ მხარეებში. დამპყრობთა თვრამეტი სახლის მოყვანა, ალბათ, მეორე ტალღა იყო კოლონიზაციისა, რომელსაც შეიძლება სხვა ტალღებიც მოჰყვა. სახლზე რომ ას-ასი კაცი ვიანგარიშოთ საშუალოდ, ეს იქნება 1800 კაცი, რაც ცოტა არ არის იმდროინდელ პართებში.

უნდა ვიფიქროთ, რომ ის მეფეები, რომლებიც სახელდებით ჩამოთვლილია „ქართლის მოქცევაში“ (აზო, ფარნავაზ, საურმაგ, მირვან, ფარნავაზ და სხვები) პართული წარმომავლობის პირებია. პართები (ანუ პართნი), ირანული მოდგმის ხალხი იყო, მათი ენა ახლოს იდგა სპარსულთან.

„ლინგვისტური თვალსაზრისით, პართული წარმოადგენს ჩრდილო-დასავლური ჯგუფის დიალექტს და არსებული დოკუმენტების მიხედვით იგი გვევლინება ისეთ ენად, რომელმაც განვითარების მნიშვნელოვანი გზა გაიარა და საშუალო ირანულ სტადიაზე იმყოფება“¹⁶.

¹⁴ ე. ბაყაიშვილი, Описание..., II, 752.

¹⁵ ს. ჯანაშია, შრომები, II, 70.

¹⁶ შხ. ანდრეასიანი, ნაბეჭედი ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966, 152.

ზემოსხენებულისა ჩანს, რომ ქართლი მე პართნი ფორმის ცვლილებად მიმაჩნია. ნარის ლისად ქცევა ამ შემთხვევაში ადვილი ასახსნელია (პართნი > პართლი). უფრო დამაფიქრებელია პარის ქანად ქცევა.

უნდა ვიფიქროთ, რომ პ მ პირველად კ მოგვცა (კართნი), რომლის მაგალითთა დიალექტური (გურული) კორფილე პორფილეს ნაცვლად. შემდეგ ეს კ ნაწილობრივ დაემსგავსა მომდევნო თ-ს და მივიღეთ ქართნი და აქედან ქართლი.

პართების ლაშქრობა სომხეთზედაც უნდა გავრცელებულიყო და გავრცელდა კიდეც.

პართი სომხურა ფორმით არის „პართე“. პართებს რომ გარკვეული გავლენა მოუხდენიათ სომხეთზე, იქედან ჩანს, რომ ზოგიერთი სომეხი მოღვაწე პართელად (პართე-ად) არის ცნობილი, პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი, რომლის შესახებ მოსე ხორენელს ნათქვამი აქვს: „ესე (გრიგოლი), როგორც ყველასათვის ცნობილია, ქვეყანით პართელი იყო, პაპლავ მხარიდან“ (სომხეთის ისტ., II, 91). პაპლავ კი იგივე პართავ არის, მიღებული საშუალო სპარსულის ფონეტიკური წესების მიხედვით.

გრაგოლ განმანათლებელის ცხოვრებაში, რომელიც სომხურიდან ქართულად არის თარგმნილი ადრინდელ ხანაში, გრიგოლი პართელად არის ნახსენები: თუესა სეკლემბერსა 30-სა, ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და ამისსა შემდგომად წამებაჲ წმიდისა მღვდელ-მოწამისა გრიგოლი პართელ ისაჲ. ხოლო თვით „ცხოვრებაში“ პართების სახელია პართნი, მაგ., „და ესრეთ შემოკრბეს ყოველნი ერნი პართთანი და აღიარეს შეფედ ყოველთა არტაშირი“¹⁷.

რაკი გამოირკვა ქარლ-ის ეტიმოლოგია, ადვილია „ქართველისა“ და „ქართლისა“ ახსნა.

ქართველი წარმომდგარია პართის ქვეყნის სახელისაგან, რომელიც პართავა იყო, შემდეგ კი პართავ. მას დაპრთვია წარმომავლობის სუფიქსი ელ, რომელსაც ამოუღია წინამავალი ხმოვანი: პართ-ავ-ელ ი > პართ-ვ-ელ-ი > ქართველი.

რაც შეეხება „ქართულ“-ს, იგიც იმავე პართავ-ისაგან არის ნაწარმოები ულ-ის დართით. ამ ულ-ს ამოუღია წინამავალი ხმოვანი, მაგრამ ამათანავე ერთად დაკარგულა ვ, რომელიც ფუძის შეკუმშვის შემდეგ უშუალოდ უნის წინ აღმოჩენილა: პართავ-ულ-ი > პართველი > პართული > ქართული. ამგვარად, ქართლისა და ქართველის ეტიმოლოგიურმა ძიებამ გადაგვიშალა თვალს წინ დიდი ისტორიული ამბები, რომლებიც დატრიალებულა ჩვენში; ალბათ, მეორე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

გ. მელიქიშვილი თავის ცნობილ გამოკვლევაში ამბობს: „დაწყებულ, ყოველ შემთხვევაში, II საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენს ერამდე, როდესაც პართელთა ძლიერება ძალიან გაიზარდა და პართელებმა სულეცილებს მთელი რიგი გამანადგურებელი დამარცხებანი აკუმეს და თავისი პოლიტიკური გავლენა სომხეთზე გავრცელეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლისა და პართის ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ ინტენსიური ვახდა, იმ დროს, პოლიტიკური პირობებიდან გამოსვლით, როგორც ჩანს, ქართლის მფლობელები პართაში ეძებდნენ მოკავშირეს თავის მეტოქის არმენიის წინააღმდეგ“¹⁸.

¹⁷ თ. ურდანიანი, ქრონიკები და სხვა მასალი სსრ. ისტორიისა, გვ. 22.

¹⁸ გ. მელიქიშვილი, საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები, გვ. 313.

ცნობილ ირანისტს მზია ანდრონიკაშვილს მოჰყავს სია პართული წარმომავლობის სიტყვებისა ქართულში¹⁹. აქ აღწესებულია 66 სიტყვა (აბჯარი, ავაზაკი, ჰამბაგი, ჰასაკი და სხვ.), რომლებიც პართული წარმოშობისად მიაჩნია ავტორს და რომლებიც უშუალოდ პართულისაგან ან სომხურის საშუალებით შემოსულა ქართულში. მეორე მხრით, იმავე წიგნში ვკითხულობთ: „რამე ხელშესახები პირდაპირი მითითება ან ისტორიული ცნობა ქართლის დამოკიდებულების შესახებ პართელთა სახელმწიფოსთან შემონახული არ არის. ქართული ისტორიული ტრადიცია არ იცნობს სახელწოდებას პართი, ან მის საშ. სპარსულ ექვივალენტს ფაჰლავ, ფაჰლავანიკ სატომო და გეოგრაფიულ სახელად, რომელიც უშუალოდ ირანულიდან მოდიოდეს; იგი ქართულ საისტორიო წყაროებში შემონახული არა გვაქვს“²⁰. ამ ჩვენმა გამოკვლევამ კი დაგვანახვა, რომ „ქართლი“ სახე-ცვლილი „პართნი“ არის, ასე რომ არა თუ ისტორიულ წყაროებში, არამედ დღესაც ეს სიტყვა საყოველთაო ხმარებაშია.

საყურადღებოა, რომ ქართ ფუძე მეგრულად ქორთ-ს გვამდევს (ქორთუ = „ქართველი“). ეს გეოგრაფიკულებინებს, რომ ქართ ფუძის სიტყვები დიდი ხანია იხმარება, ისე რომ საუკუნეთა განმავლობაში მოესწრო გაცემებულიყო მეგრული შესატყვისი.

რაც შეეხება იმ დაპყრობილ ერს, რომელსაც შეერივნენ დამპყრობი პართელები და თავისი სახელი მისცეს, ეს უნდა ყოფილიყო, როგორც ზემოთ ვაკვრიტ აღვნიშნეთ, მესხები. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ მცხეთა იყო მესხთა მთავარი ქალაქი. ეს მცხეთა ასე დაიშლება: მცხ-ეთ-ა, სადაც მცხ მიღებულია მსხ კოპპლექსისაგან, თანახმად ჰარმონიული ბგერების კანონისა, ხოლო მსხ არის მესხ სიტყვის შეკუმშული სახე. შეკუმშვა გამოიწვია ეთ სუფიქსის დართვამ. ბოლოკიდურად რომ აზის, ივია კინობით სახელთა მაწარმოებელი. მსგავსი ფორმაა მოგუეთა, რომელიც იმავე „ქართლის მოქცევაში“ იკითხება: „და მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“²¹. სიტყვა „მცხეთა“ ვერ წარმოადგებოდა, რომ მცხეთაში მესხები არ სახლებულიყვნენ. მსგავსი მოვლენა სამცხე-ში, რომელიც წარმომდგარია სამცხე-დან: სამესხე > სამსხე > სამცხე.

24-10.1977

¹⁹ მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, T, 1966, გვ. 216—278.

²⁰ იქვე, გვ. 144.

²¹ ე. თაყაიშვილი, Описание..., II, 721.



ივანე ივანიშვილი

ქართული ოთხთავის მფთვიმეს რედაქცია¹

ოთხთავი (ოთხი სახარება) ქართულ ენაზე შექმნილ წიგნთა შორის ყველაზე უძველესია. იგი ასევე პირველ ადგილზე ღვას უძველეს წერილობით ძეგლებს შორისაც, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს. ამასთანავე იგი მრავალი ხელნაწერის სახით შემოგვინახა დღემდე. ასეთი ხელნაწერებიდან უამთა ვითარებაში ბევრი სამუდამოდ დაიკარგა, მაგრამ გადარჩენილებიც მრავალია, ისინი დღეს ასეულობით მოგვეპოვება.

IV — V საუკუნეებიდან XI-მდე (ჩათვლით) ჩვენში იქმნებოდა ოთხთავის სხვადასხვა რედაქციები. ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით, ვინ იყვნენ ოთხთავის პირველი მთარგმნელები და გადაწერები. ის კი კარგადაა ცნობილი, რომ მისი ბოლო რედაქცია შექმნა გიორგი მთაწმიდელმა XI საუკუნის ორმოციან წლებში (1042 წლის შემდგომ უახლოეს ხანებში). ეს წმინდა წიგნი ამის შემდეგ საყოველთაო სახმარებლად ხელახლა აღარავის უთარგმნია. მან გაუძლო მომდევნო მკაცრ საუკუნეებს და დღემდე უცვლელად მოატანა. ახალი თარგმანის საკითხი არც დამდგარა: ქართველ ხალხს ისედაც კარგად ესმოდა დიდი გიორგის ნაჭედი ქართული.

მაგრამ ძველ თარგმანებსა (რომლებიც ოპიზის, ჯრუჭის, პარხლის, წყაროსთავისა და სხვა მრავალ ხელნაწერშია წარმოდგენილი) და გიორგის რედაქციას შორის არის ახალი, ასე ვთქვათ, შუალედური რედაქცია, რომელიც შესამჩნევად განსხვავდება ე. წ. ოპიზური (წინაპარი) რედაქციისაგან, ერთი მხრივ (დაბალი ზღვარი), აგრეთვე გიორგის ვერისისაგანაც, მეორე მხრივ (მაღალი ზღვარი). ეს შუალედური რედაქცია წარმოდგენილია ურბნისის (X ს.), ტბეთის (995 წ.), მესტიის (1033 წ.), პალესტინურ (1048 წ.) და სხვა ხელნაწერებში. ამ შუალედური რედაქციის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია:

- ა) მაქსიმალური სიახლოვე ბერძნულთან (ბერძნულის მიხედვით ლექსიკის შეცვლა, სიტყვათა დაკლება-დამატება, სიტყვათა რიგის შეცვლა, ტექსტის შეცვლა);
- ბ) ლექსიკისა და გრამატიკული ფორმის (საერთოდ, ენის) განახლება;
- გ) უცხოური ენის კონსტრუქციების ქართული ენისათვის მორგება, ქართული ენის თავისებურებათა სრული სახით გამოვლინება, მათი დაცვა და განვითარება; ქართული ზმნის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება, ყველგან და ყოველთვის ქართული ენის სიწმინდის დაცვა.

¹ წაკითხული იყო მოხსენებად ძველი ქართული ენის კათედრის საჯარო სხდომაზე, რომელიც 1977 წლის 17 ნოემბერს ჩატარდა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.



სწორედ ამ პრინციპების მიხედვითაა შექმნილი ის რედაქცია, რომელიც უარს ამბობს მოდერნიზაციის ზემოთ აღნიშნულ (ურბნისის, ტბეთის, მესტიისა და პალესტინური) ხელნაწერებში. ეს არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ახალი რედაქცია. იგი შექმნილია X საუკუნის ბოლო ხანებში და XI საუკუნის დასაწყისში.

ვინ არის ამ რედაქციის შემქმნელი? ვის ხელწიფებოდა ეს დიდი საქმე დროის მოცემულ მონაკვეთში?

კ. კეკელიძის გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ეს პიროვნება არის ამ ხანების მოღვაწე დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი ეფთვიმე მთაწმიდელი (955 — 1028 წწ.). სწორედ მას ეკუთვნის ეს განახლებული რედაქცია.

ზოგის აზრით (ა. ხახანაშვილი, თ. ყორღანია, მ. ჯანაშვილი...), ეფთვიმეს სახარებისათვის ხელი არ უხვია, მისი შრომების სიაში სახარების თარგმნა არსად არ არის მოხსენიებული. ამის გამო კარგად შენიშნავს ბ. კორნელი:

„როგორც აპოკალიპსი და დავითნი არ იხსენიება ექვთიმეს თარგმანთა არც ერთ ნუსხაში, ისე არც ოთხთავია მოხსენებული, მაგრამ ექვთიმეს რომ ოთხთავი უთარგმნია, ეს, სხვათა შორის, ჩანს ხელნაწერთა ინსტიტუტის, ფონდ A, მეთერთმეტე საუკუნის, ეგრეთ წოდებული ალავერდის სახარებიდან (№ 484), რომელიც, თუ თვითონ არაა ექვთიმეს თარგმანი, ყოველ შემთხვევაში, 314 ფურცელზე მინაწერში ასახელებს „წმიდისა მამისა ეფთვიმეს სახარებას“. და მართლაც, ეგრეთ წოდებული მესტიის სახარება 1033 წლისა, რომელიც განირჩევა როგორც პატივის და სხვა სახარებათა, ისე გიორგი მთაწმიდლის რედაქციებისაგან, უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ექვთიმე მთაწმიდელს“¹.

მართალს ბრძანებს დიდი მეცნიერი: ეფთვიმეს შრომების სიაში რომ არ არის, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ეფთვიმეს არ უთარგმნია. ამას ადასტურებს ეფთვიმეს მიერ ნამდიდრად ნათარგმნი „ფსალმუნი“ და „იოანეს გამოცხადება“, რომელთაც ახლავს ეფთვიმეს ვრცელი ანდენძი. სწორია, რომ ეფთვიმემ შექმნა სახარების ახალი რედაქცია, რომელიც განსხვავდება მანამდე საყოველთაოდ გავრცელებული ოპიზური რედაქციისაგან (C), რომელსაც ის ეყრდნობოდა, აგრეთვე უფრო გვიან გიორგის მიერ ჩამოყალიბებული ვერსიისაგანაც, რომელიც, თავის მხრივ, ეფთვიმეს რედაქციაზე დაფუძნებით შეიქმნა. ბ. კორნელი მართალია იმასაც, რომ მესტიის ოთხთავი სწორედ ეფთვიმეს რედაქციის ერთ-ერთი ხელნაწერია (მასთან ერთად ამ რედაქციას ეკუთვნის აგრეთვე ურბნისის, ტბეთისა და პალესტინური ხელნაწერებიც). ჩვენი აზრით, ბ. კორნელი მთლად სწორი არ უნდა იყოს, როცა იგი ალავერდის ოთხთავის ერთ-ერთ მინაწერზე მსჯელობს. იმ მინაწერში, რომელიც სხვა ხელით არის შესრულებული, სახელდება, ნათქვამია:

„ესე უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა მიემთხვენთ წმიდასა ამას სახარებასა, ფრიად მართალი და წმიდაა არს, მამისა ეფთვიმეს სახარებათადა შეწამებული, ბერძულსა ორჯელ და ქართულსა, ყოვლითურთ უნაკლოა რიცხვთა და კანონთა... და ყოველსავე ზედა შემინდეთ, ღმერთმან გარწმუნოს“ (ფ. 314v).

აქ, როგორც ვხედავთ, ნათქვამია, რომ ეს (ალავერდის) სახარება სწორია და წმიდაა, შედარებულია ეფთვიმეს მიერ ნათარგმნ სახარებებთან, ბერძულთანაც (ორჯერ) და ქართულთანაც და ყოველმხრივ უნაკლოა. აქედან იკვლისხმება, რომ ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი სახარებები სხვაა, ეს (ალავერდის) სახარება ეფთვიმეს სახარებებს შედარებული და შეჯერებულია. ამას ხაზს უსვამს მინაწერის ავტორი. აქ ეფთვიმეს დიდი ავტორიტეტით მთელი სიგარძე-სივანიით წარმოდგება ჩვენს

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 194.

წინაშე: ეფთვიმეს სახარებებს შევეუდარეთ და (ამიტომ) წმინდა და მართალიაო (სწორაია).

ნამდვილადაც ალავერდის ოთხთავი (1054 წ.) გიორგის რედაქციისაა, რედაქციულად ისიც ისეთივე ხელნაწერია, როგორც არის ვანის, ეჩმიადინის, გელათის ხელნაწერები, ე. ი. ისეთები, რომლებიც უეჭველად და უდავოდ გიორგის რედაქციას ეკუთვნის. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც არ დიზარებს და ხელნაწერის ტექსტს, მის შინაარსს გაეცნობა. ამიტომ ალავერდის ოთხთავის ეფთვიმეს რედაქციისად მიჩნევა, როგორც თ. ქორდანია, მ. ჯანაშვილი და სხვები ფაქტობრივად უპარტებულოა და საქმის ნამდვილ ვითარებას არ გამოხატავს.

რომ ზემოთ აღნიშნული ოთხეულის (ურბნისის F, პალესტინური G, ტბეთისა B და მესტიის M (ტექსტი ნამდვილად ეფთვიმეს რედაქციისაა, ამას თვალნათლივ ადასტურებს კიდევ ერთი პირუთენელი მოწმე — თვით ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი ოივანე ოქროპირის „თარგმანება მათეს სახარებისა“ და „თარგმანება იოვანეს სახარებისა“. პირველი მათგანი მოთავსებულია A 88 ხელნაწერში, რომელიც 1002 წელს არის გადაწერილი, ჯერ კიდევ ეფთვიმეს მამის იოვანეს სიცოცხლეში (+ 1005 წ.), რომელმაც მტკიცე დავალება მისცა თავის შვილს, რომ ეს ვეპებრთულა წიგნი დაჩქარებით ეთარგმნა ქართულად. მორჩილმა შვილმაც ეს დავალება პირნათლად შეასრულა.

ამ თარგმანებაში ჯერ მოყვანილია სახარების ტექსტი ნაწილ-ნაწილ, შემდეგ ამას მოსდევს ვრცელი კომენტარები. რომელი ტექსტია აქ განსამარტავად მოყვანილი? ეფთვიმეს აქ მოპყავს ის ტექსტი, რომელიც ადრე მანვე ჩამოაყალიბა ცალკე რედაქციად და, როგორც უკვე ვთქვით, FGBM ხელნაწერებშია დაცული. სხვანაირად შეუძლებელიც იყო: ეფთვიმე C (ოპიზური) რედაქციის ტექსტს ვერ მოიყვანდა, რაცა თვით მას უკვე ჰქონდა შექმნილი სახარების ახალი (L) რედაქცია.

აღბრული საკითხით დაინტერესებული მკითხველების გულისათვის დავუერთავთ, რომ „თარგმანება მათეს სახარებისა“, A 88-ის გარდა, წარმოდგენილია კიდევ შემდეგს ხელნაწერებში: A 20, 36, 54, 89, 136, 145, 191, 208, 280, 365, 372, 389, 396, 816, 996; გელათ. №№ 19, 20; იერუს. 115; ათონ. №№ 66, 67, 70; S 4928¹.

„თარგმანება იოვანეს სახარებისა“ დაცულია ხელნაწერებში: A 8, 56, 101, 106, 481, 631, 699; ათონ. №№ 65, 66; იერუს. 145. გელათ. 21; S 4928².

ახლა აღვნიშნავთ რედაქციულად უფრო მნიშვნელოვან თავსებულებებს, რომლითაც ეფთვიმეს რედაქცია განსხვავდება წინა, ოპიზური (C) რედაქციისაგან. აგრეთვე, მომდევნო, გიორგის (L) ვერსიისაგან.

ა. ბერძნულთან სიახლოვე

I. დ ე ქ ს ი კ ა

ს

აღვ

მ. 4,19. მონადირე

მესათხველე

¹ ბ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, 1957, გვ. 68.

² იქვე.

³ დათქმული ნიშნები (ლიტერები): C — არის ოპიზური რედაქცია, L — ეფთვიმესი, F — გიორგისა, A — არის ოპიზის ოთხთავი, B — ტბეთისა, G — აღიშისა, D — ჯრუჭისა, E — პარბლისა, F — ურბნისისა, G — პალესტინური, H — ვანისა, I — ეჩმიადინისა, K — გელათისა, L — ქსნისა, M — მესტიისა, ზ — ბერძენისა, C — „თარგმანების“ ტექსტი.

2 ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 23.

ბ. მარტინის სპ. სპ. სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკის



აქა ჩანს ეფთვიმეს (და გიორგის) რედაქციის კიდევ ერთი ახალი თვისება — კონკრეტულობა, მაშასადამე, ისევ და ისევ მეტი სიზუსტე. „მონადირე“ საერთო სახელია, „მესათხველე“ კი — კონკრეტული: თევზების (თევზებზე) მონადირე, თევზების დამჭერი, თანაც არა ყოველგვარი საშუალებით, არამედ მხოლოდ ბადით; მესათხველე მებადურია (სათხველი — ბადე; ე. წ. საყარი ბადე; სხვან თხთხავში მას სათრომელი ეწოდება, ე. ი. სათრევი, გამოსათრევი ბადე). ბერძნული *ἄλιευσ* „მეთევზეა“ და მასში არა ჩანს, რით იჭერენ თევზს. *Σ* რედაქციის წინამუხლში მეთევზური იკითხება. ეფთვიმემ იგივე შეცვალა ისევ იმავე მესათხველით (ზებედე და მისი შვილები სიმონ და ანდრია ზომ მართლაც მეთევზები — მებადურები იყვნენ).

ი. 13,26. რომელსა მე დაუწო პური
და მივსცე ... მიუპყრა

ი. 15,2. ყოველმან რტომან, რომელმან
არა გამოიღოს ნაყოფი ჩემ თანა, აღიღოს ... მოეკუეთოს.

ასეთივე კონკრეტობი ჩანს აგრეთვე შემდეგს ლექსიკურ შენაცვლებაშიც:

მ. 13,39. მუშაკნი მომკალნი

შდრ. *οἱ φερισται*, რაც ნიშნავს სახელდობრ მომკელებს და არა საერთოდ მუშაკებს.

წიგნში ანაირი მაგალითები ბევრია.

მ. 4,22 ბადე ნავი *Σ*¹

გასწორება აუცილებელი იყო, რადგან ბერძნულში და სხვაგანაც ყველგან სწორედ ნავი იკითხება (*τὸ πλοῖον, η̄σκαλ, the ship, лодка*).

ერთადერთ გერმანულ თარგმანს აქვს აგრეთვე ოპიზისეული ბადე (*die Netze*), მაგრამ იქვეა შენიშნული, რომ ბერძნულში *das Schiff* არისო. ეტყობა, ბადე აქ მე-20 მუხლიდან ვადმოვიდა: ორივეგან სრულიად ერთნაირი კონსტრუქციის წინადადება გვაქვს:

(20): მათ მეყსეულად დაუტევეს ბადე მათი და...

(22): მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი მათა და...

როგორც ჩანს, ამ გარემოებას გერმანელი მთარგმნელიც უცდუნება

მრ. 5,12. მიბრძანე მიმავლენე *Σ*

შდრ. *πέμπαι (= 47)*.

მრ. 12,43. შემოწირეს დადეს

შდრ. *ἔβαλον (= 47)*.

ლ. 9,24. უყუარდეს უნდეს

შდრ. *ἠέλη*.

ლ. 13,27. (ყოველნი მოქმედნი) უშჯულოებისანი

სიკრუვისანი *Σ*

შდრ. *ἀνομία (= 47)*.

ლ. 23,13. მწიგნობართა მთავართა

¹ ეს ნიშნავს: *Σ*-საც (აღიშურსაც) ეს წაკითხვა აქვს.



აქ ჩვენ გვაქვს ექვსმარცვლიანი ლექსი ორი მუხლით: 4 — 2. სწორედ ამ ზომით არის დაწერილი ოვანეს თუმანიანის „ანუში“ ი. გრიშაშვილისეული თარგმანი:

ამაღლებს მთებო,
აზიდულო სვეტად,
გავეშუროთ, ღებო,
ვარდის მოსაწყვეტად.

ან კიდევ:

მეკუბოდე, კუბო
ჩქარა შეეარ ფართე,
ერთი ორივესთვის.
ერთად გვიდა ძილი,
უნდა დავიბრუნო,
სართს კოცნა მართებს,
სააღერსოდ გვიცდის
ღიღი ცაცხვის ძირი.

ი. გრიშაშვილის თარგმანში ჯვარედინი რითმებია (abab), სახარების ნაწყვეტში კი — მიჯრითი (aa...). მაშინ ჯვარედინი რითმები არ იცოდნენ (მოგვხსენებნათ, რომ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ მიჯრითი რითმებითაა გაწყობილი). ორმარცვლიან მუხლში, ცხადია, რითმაც ორმარცვლიანი (ქალური) უნდა იყოს. ხარისხიც კარგია: გ ა რ ე (თ) — მ შ ა რ ე დ.

ახლა უფრო ვასაგები უნდა იყოს. რომ სტრიქონში ზედმეტი ორმარცვლიანი სიტყვის (პეტრე) ჩამატება ყოველმხრივ მიუღებელია:

- ა) იგი არ არის ბერძნულ ორიგინალში, არც სხვა ენების თარგმანებში;
- ბ) საჭიროც არ არის;
- გ) უხეში ტავტოლოგია გამოდის (პეტრეს მოაგონდა და გამოვიდა პეტრე გარეთ);
- დ) არღვევს ლექსის მეტრს: ექვსმარცვლიანი ტაეპის ნაცვლად რვა მარცვლიანს ვღებულობთ.

ყველა ეს ცოდვა მძიმე ტვირთად აწევს FG ხელნაწერების (ან მათი წინაპარონუსების) გადაწყვეტ.

ძველი ვითარება კარგად ჰქონდა დაცული C რედაქციას.

და ვინვიდა ვარე(თ)
და ტიროდა მწარედ.

აგრეთვე გიორგისაც, რომელმაც პირველი სტრიქონიდან და ამოაგდო, სამაგიეროდ სამმარცვლიანი ვ ა ნ ვ ი დ ა ოთხმარცვლიანი გამოვიდა-თი შეცვალა:

გამოვიდა ვარე(თ)
და ტიროდა მწარედ.

ვევს ადგილი მეორდება ლუკას თავშიც (ლ. 22,62); აქ ბერძნულში ზოგან პეტრე არის წარმოდგენილი, მაგრამ ამ მუხლში იგი (პეტრე) სხვაგან (წინ) არაა ნახსენები, იგი მახლობლად მხოლოდ 61-ე მუხლში გვხვდება, ამიტომ მისი ჩამატება აქ ერთგვარად გამართლებულია.

III. დაკლება (—)

С

47.

ლ. 19,26. რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს — CM.
მდრ. παυσι τῶν χῆραι; ἔπιψεται.

მაგრამ ზოგი ბერძნული გამოცემის ვარიანტებში დადასტურებულია ~~ჰაქს~~ და ~~პარიშაშაქაქა~~, ე. ი. სწორედ ჩვენი მიემატოს. ასე რომ, აქაც ქართულის ორ ვარიანტს თვით ბერძნულშიც აქვს საფუძველი: იქაც არის ასეთი ორი ვარიანტი.

გარდა ამისა, ვადაშწერმა (რედაქტორმა) უმჯველად კარგად იცოდა, რომ ემგვე არაეი მათეს სახარებაში სწორედ სადავო სიტყვის დამატებითაა წარმოდგენილი: რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს (მ. 13,12). ბერძნულშიც, რა თქმა უნდა, ასევეა: ~~შაჲ~~ ~~ჲპ~~ ~~ჲჲ~~, ~~მიშაქაქა~~ ~~აბარ~~, ~~აჲ~~ ~~პარიშაშაქაქა~~. ეს, ვიმეორებთ, უმჯველია, ვადაშწერს (რედაქტორს) ახსოვდა და იქაც დაუმატა. ტექსტის საერთო აზრისათვის გაცდლებით უკეთესია „მიეცეს და მიემატოს“ (როგორც მათეს თავშია), ვიდრე მხოლოდ მშრალი „მიეცეს“. ტექსტში ეს „მიეცეს და მიემატოს“, უპირველეს ყოვლისა, ესება ბირველ მონას (მუშას), რომელიც სხვებთან განამოიძირეოდა საზრიანობით, ენერგით, მუყაითობითა და საქმის ერთგულებით. აი ასეთებზეა ნათქვამი: რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს. კარგმა, მეოღენ ვადაშწერმა იგი მათედიან ლუქას თავშიც გადიიტანა, და კარგადაც მოიტკა.

ი. 13,12. და ოდეს დაჰბანა ფერუნი მათნი,
მაშინ მოილო სამოსელი თუნი B — CM

მაშინ არ არის არც ბერძნულში და არც სხვაგან. იგი არც არის საჭირო: აქი ნათქვამია: ოდეს (ნაჲ) დაჰბანაო. მაშასადამე, როცა დაბანა ფეხები, მაშინვე მომხდარა მომდენო ამბავი. ამიტომ 47 რედაქციების წაკითხვას (მაშინ-ს რომ არ წერენ) უნდა მიეცეთ უპირატესობა.

ბ. ახალი ლექსიკა და ახალი ფორმები

I. ლექსიკა

დასჯა ფუტე შეცვლილია განკითხვით, რადგან დასჯამ და სასჯელმა შექმნა სხვა მნიშვნელობა მიიღო და ეს მეორე შინაარსი (НАКАЗАТЬ) შეინარჩუნა დღემდე.

მ. 7,1—2. ნუ განიკითხავთ, რაათა არა განიკითხნეთ, რამეთუ რომელიათა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ. ადრე C-ს ჰქონდა: ნუ შჯით (დასჯით C), რაათა არა დაისაჯნეთ, რამეთუ რომლითა საშჯელითა შჯიდეთ. შითცა დაისაჯნეთ. განკითხვამ ეს მნიშვნელობა დღემდე შეინარჩუნა, თუმცა მას გვერდში ამოუდგა ახლა უფრო საყოველთაოდ გავრცელებული გასამართლება, ხოლო განკითხვის მნიშვნელობა რამდენადმე დაიწროვდა და შეიცვალა.

მ. 8,1. გარდამოქდა გარდამოვიდოდა;
მ. 9,18. მოუჭდა მას მოვიდა მისა.

ამნაირი მაგალითები ბევრი. ქედ ფუტეს ვედ ფუტით შეცვლა განსაკუთრებით დამახასიათებელია FG ხელნაწერებისათვის. ამგვარ ცვლაში ნ. მარი ლექსის განახლების დიდ ძვრას ხედავდა.

- მრ. 10,4. (წიგნი) განტევებისაჲ განშორებისაჲ
- ლ. 12,53. განევეთას განყოფად
- ი. 12,7. ოდესვე მარადის
- ლ. 15,27. მოიყვანა (იგი) მოვიდა

აქვს აგრეთვე, როგორც მოსალოდნელი იყო, ეფთვიმეს რედაქციის BM (ტბეჭის) და მესტიის) ზელნაწერებსაც (აგრეთვე ბერთისასაც).

გიორგიმ აქ არ გაიაზრა ეფთვიმეს ახალი წაკითხვა და ისევ ძველებური პირით შემავალი დატოვა. ჩვენ ამის გამო ესღა შეგვიძლია ვთქვათ: საწუხ არს ესე.

მ. 26,63. გაფუცებ ღმრთისა ცხოველისა — ღმერთისა ცხოველსა.

ეფთვიმე ხშირად მიმართავს ებიან მრავლობიის. მის რედაქციაში ობი-ზურთან შედარებით 8 შემთხვევაა, როცა ერთმანეთის პირისპირ დგას ებიანი და ნართანიანი მრავლობითი (ან მხოლობითი). აქედან ეფთვიმე 5 ჯერ ებიანს ირჩევს, სამჯერ კი — ნართანიანს. ეს ვარემოებაც მიუთითებს ავტორის დიდ სიახლის გრძობაზე. აი ეს მაგალითებიც:

C

4

მ. 8,32. კოლტმან მან ღორეზისაგან

ლორთამან

მ. 22,9. მებოძირებსა.

მებოძირთა

მ. 23,5. ფესუეზი სამოსლისა მათისაჲ

ფესუნე... მათისანი

მაგრამ:

ლ. 3,3. მოვიდა ყოველსა მის სოფელსა

...სოფლებსა

ლ. 4,40. (პქონდეს) უძლურნი (აქუნდა)

უძლურები

ლ. 11,47. აღაშენებთ საფლაესა

...საფლაეებსა

ლ. 23,27. სიმრავლს დედათაჲ

...დედეებისაჲ

ი. 12,13. მოიღეს რტოჲ

მოიღეს რტოები

მართალია, აღნიშნული 5 მაგალითიდან, სადაც ეფთვიმეს რედაქციაში ებიანი მრავლობითი გვაქვს, DE-ში სამ ადგილას მხოლობითია, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ ეს მხოლობითი მან სწორედ ებიანი მრავლობითით შეცვლა და არა ნართანიანით (სოფელსა — სოფლებსა, საფლაესა — საფლაეებსა, რტოჲ — რტოები). სხვა საკითხია, რატომ არის DE-ში მხოლობითი და არა მრავლობითი. ბერძნულში ამ სამიდან ორ შემთხვევაში მრავლობითი გვაქვს (τὰ μαγαζία, τὰ βῆμα). ყოველ ნაცვალსახელთან მრავლობითს ხმარება კი ჩვეულებრივია, ყოველი (=ყველა) თავისთავად ბევრია და ამ შინაარსს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ.

III. სიტყვათა რიგი

ეფთვიმე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა წინადადებაში სიტყვათა განლაგების რიგს. ამ შემთხვევაში სულ თვალწინ ედგა ქართულის ბუნებრივი წყობა და მისი თავისებურებანი. ამიტომ ბერძნულის რიგს, სადაც ეს რაიმე ზიანს არ აყენებდა საქმეს, ცვლიდა და სიტყვებს ქართულის ქარვაზე განალაგებდა. აი რამდენიმე მაგალითი:

მრ. 10,46. ბრმაჲ ჯდა მთხოველად გზასა ზედა ~ ... გზასა ზედა მთხოველად.

რომელი უნდა იყოს ზმნასთან უფრო ახლოს — სად (ადგილის გარემოება) თუ რისთვის, რა მიზნით (მიზნის გარემოება)? ეფთვიმეს აზრით (სავსებით სამართლიანად), ჯერ სად, ხოლო შემდეგ — რისთვის, რა მიზნით. ბერძნულშიც ასეა: ἕκαστου παρὶ τῆς περιουσίας (=47).



მრ. 15,21. მოიყვანეს პაპრაკად (თანა-წარმაველი სუბიექტი) B ~ პაპრაკად მოიყვანეს (წარმოიყვანეს ო)... M.

მღრ. και ἀρχαρισουσιν παραύχοντα τινε: Σίμωνα Κυρηναίων (=4L).

ბერძნულში რთული ზმნაა, ქართულში იგი ორი სიტყვითაა ვადმოცემული. ჩვენც რთული ზმნა რომ გვეტონოდა, პაპრაკად წინ უნდა ყოფილიყო, მოიყვანეს — შემდეგ (მღრ. ნათელ-სცეს, ლილად-ყვეს...). „პაპრაკად თანა-წარმაველი“ კი არა, არამედ „პაპრაკად მოიყვანეს“, ე. ი. ძალად, იძულებით მოიყვანეს (სიმონ), რომ გაეყოლიებინათ. ამგვარად, ეფთვიმეს რიგი უფრო სწორია და შესაფერი ქართულისათვის,

C-ს კარგი ზმნა შეურჩევია — წარიქციეს, რომელიც სწორედ ძალად წინ გაგდებას, ძალად გაყოლიებას ნიშნავს. მოვიგონოთ დ. გურამიშვილის „დავითიანიდან“ ცნობილი ადგილი:

ერთმან მტერმან ოთ მათსა სცის,
ორმან წარიქცივის ბევრი („დავითიანი“, 1955, 56, 163,3).

ესაა მხოლოდ, რომ „პაპრაკად“ (თანა-წარმაველი სიმონ) აქაც (C-შიც) დაუტოვებიათ და ეს აფუჭებს საქმეს. აქ „პაპრაკად“ სულ არ იყო საჭირო, მისი შინაარსი თვით ზმნის ფუძით იკვლიან.

ლ. 5,10. (ამიერიდან) კაცთა იყო (მონადირე) BM ~ იყო
კაცთა C

მღრ. ἀπὸ τῶν νῦν ἀνιρῶπισις ἔσθῃ ζαγῶν (=C).

ეფთვიმეს რიგი ბევრად უკეთესია, რადგან ზმნა წინაა წამოწეული და „კაცთა მონადირე“ აღარაა გათიშული. ტექსტის მთავარი აზრი კი სწორედ ისაა, რომ ბეთევზეებს ეუბნებიან: თქვენ, თევზის მონადირეები, ამიერიდან კაცთა მონადირეები იქნებითო (ე. ი. წარმართებს და სხვა ურჯულოებს. ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადმოიყვანთო).

ლ. 7,7. არამედ თქუ სიტყვთ CBM ~ ... სიტყვთ ხოლო თქუ
მღრ. ἀλλὰ εἰπὲς λέγει (=C).

შეიძლება აქ რიგის შეცვლა ხოლო-ს ჩამატებით იყოს გამოწვეული. ჩამატების შემდეგ კი ყველაზე უკეთესი დალაგებაა: სიტყვთ ხოლო თქუ (როგორც 4 რედაქციაშია). უფრო ნაკლები გამომსახველობითი ძალისაა: თქუ სიტყვთ ხოლო, სრულებით ან ვარგა თქუ ხოლო სიტყვთ.

თვით ხოლო-ს ჩამატება ენის ღრმად გრძნობის მაჩვენებელია. აქ იგრძნობა, რომ მოქმელი განუზომელი ძალის მფლობელია. იმას ყველაფერი ხელუწიფების; საკმარისია მან მხოლოდ ერთი სიტყვა თქვას, და იგი მყისვე შესრულდება უეჭველად. ამაში მთხოვნელი ასისთავი ღრმად არის დარწმუნებული (ასისთავი ამბობს: მე არა ვარ ღირსი, რომ ჩემ ჭერქვეშ შემოხვიდე, მხოლოდ ერთი სიტყვა თქვი, და ჩემი მონა მაშინვე განიკურნებაო). მოკლედ რომ მოგვკრათ, ამ პატარა სიტყვის (ნაწილაკის) ჩამატებამ მეტისმეტად დიდი საქმე გააკეთა. მან ნათლად გამოავლინა ავრეთვე ქართული ენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შინაგანი შესაძლებლობა და თარგმანს განუზომელი ექსპრესიული ძალა შემატა.

ასეთი იყო ეფთვიმე. იგი სათარგმნ მასალას შემოქმედებითად უდგებოდა, მონურად არ ემორჩილებოდა დედანს, მის სიძნელეებს და ამ სიძნელეთა დასაძლევად მსხვერპლად არ მიჰქონდა მშობლიური ენა, მისი თავისებურებანი. მას გადმოჰქონდა დედნის ძირითადი აზრი და შინაარსი, მისი არსი, მისი სული და გული.

ამავე დროს მშობლიურ ენასთანაც პირნათლად იყო. კარგად ამბობს ეურემ მცირე მას (ეფთვიმეს)... დაუბრალოებულად კელ-ეწიფებოდა (სიტყუთა) ცვალება, და-
ლება და შემატებაო. დიდ მწერალს ასე კარგად მხოლოდ დიდი მეცნიერი გა-
იგებს.

სიტყუთა რიგის შეცვლაზე საუბრისას განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეფთვიმე დიდი მონღომებით ცდილობდა, სადაც კი შეიძლებოდა, მსაზღვრე-
ლი სახელი საზღვრულის წინ გადმოეტანა, ძველებური საზღვრულ-მსაზღვრელი ახლე-
ბურ მსაზღვრელ-საზღვრულად ექცია, გზა გაეცა იმ რიგისათვის, რომელიც ახალ ქართულში არის დამკვიდრებული. ეს შეუწელებელი სწრაფვა ნათლად ჩანს აგრეთვე თოხთავის მისეულ რედაქციაშიც. კიოხულობთ მის თარგმანში ახალი რიგით განლაგებულ მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილებს და თვალს არ უჯერებთ, რომ აქ ჩვენ გველაპარაკება X საუკუნის მიწურულის დიდი მწერალი და მოღვაწე, ძველ ქართულზე აღზრდილი, ძველი ქართულის, როგორც მშობლიური ენის, უბაღლო მცოდნე და სპეციალისტი.

მაგრამ ენახოთ ჯერ ამ ტიპის მაგალითებიც:

L

4

- მ. 11,19. მსუმელი ღვინსა ~ ღვინსა მსუმელი
მ. 12,30. მტერი ჩემი ~ ჩემი მტერი
მ. 13,23; მრ. 4,8. ქუეყანისა კეთილსა G ~ კეთილსა ქუეყანისა F
მრ. 13,31. მტილსა თუსსა ~ თუსსა აგარაკსა
მ. 22,5. აგარაკსა თუსსა ~ თუსსა აგარაკსა
მ. 25,30. მონა იგი უკმარი ~ უკმარი ეგე მონა
მ. 27,15. პყრობილი ერთი ~ ერთი პყრობილი
მრ. 5,2. სული არაწმიდა ~ არაწმიდა სული
მრ. 5,40. ყრმა იგი მკუდარი ~ მკუდარი იგი ყრმა
მრ. 12,28. მწიგნობართავანი ერთი ~ ერთი მწიგნობართავანი
ლ. 19,29. თიკანი ერთი ~ ერთი თიკანი.

8) ქართული მინათვის მოკვება, ქართული ენის სიწმინდის დაცვა

როგორც ზემოთ დავინახეთ, ეფთვიმე შეუწელებლად ცდილობდა, რომ ქარ-
თული თარგმანი ბერძნული დედნისათვის მაქსიმალურად დაეახლოებინა, ბერძნუ-
ლის წერძნული ნიუნსებიც კი არ დარჩენოდა გადმოუღებელი. ხომ ასე ზრუნავ-
და, რომ ქართული ტექსტი არ დასცილებოდა ბერძნულ ორიგინალს, დედნიდან
გადმოეღო ყველაფერი, არაფერი არ დარჩენოდა გადმოუტანელი. იგი ამავე დროს
არანაკლები მონღომებით ცდილობდა, რომ ქართული ენის სიწმინდე არ შეგლა-
ღულიყო, დაეცვა მისი ბუნებრივი თავისებურებანი. ეს ზრუნვა ყველგან ნათლად
ჩანს, ენის ყველა უბანზე. ჩვენ აქ მხოლოდ ერთ-ერთ ამ უბანთაგანზე ვიტყვი
ორიოდე სიტყვას. ეს უბანია ქცევა, ქართული ზმნის ქცევა, მისი ერთ-ერთი ფრიალ
და ფრიალ დამახასიათებელი უაღრესად მნიშვნელოვანი სისხლხორცეული გრამა-
ტიკული კატეგორია. აქ ეფთვიმემ ძველი მთარგმნელების არა ერთი და ორი შე-
ცდომა გამოასწორა და ზმნის ფორმები ქართული ენის სისხლხორცეულად დამა-
ხასიათებელი თვისებების (მათ შორის ქცევის) მიხედვით განმარტა. აი ამის რამდენ-
ნიშე მაგალითი:

C

4

მრ. 5,19. რაოდენი რაჲ ყო შენ თანა უფალმან ~ რავედნი გიყო შენ
 უფალმან

თანდებულაჲს „ყო შენ თანა“-ში მიჩქმალულია ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი სიკეთე — ქცევა, ამიტომ გამოთქმა ყრუ და კოჭლია; „გიყო შენ“ (უფალმან) კი ნამდვილი ქართულია, ფრთავაშლილი, ლალი და თავისუფალი. ასეთებია კიდევ:

მრ. 5,20. რაოდენი რაჲ ყო იესუ მისთვის — უყო მას იესუ.

ლ. 1,49. ყო ჩემ თანა დიდძალი ძლიერმან — მიყო მე.

ბ. 13,12 რაჲ-ესე გყავ თქვენდა მიმართ — გიყავ თქვენ.

აბა შეადარეთ: „ეყავ თქვენდა მიმართ“ და „გიყავ თქვენ“: ერთი ჩიქორ-თულია, მეორე — ქართული, წმინდა, გასაგები, მკაფიო და ლაკონიური ქართული. იგი, ყველა ამ სიკეთის ვარდა, ეკონომიურიცაა. კიდევ:

ლ. 20,10. მიავლინა მოქმედთა მათ მონაჲ — მოუვლინა მოქმედთა მათ.

„მიავლინა მოქმედთა მათ“ ისედაც გაუმართავია, სხვაგან ასეთ შემთხვევაში თანდებულს უმატებენ (მიავლინა მოქმედთა მათ თანა).

ლ. 7,6. მიავლინა ასისთავმან მან მისა მეგობარნი — მიუვლინა.

მ. 22,16. მიავლინეს — მიუვლინეს.

მრ. 16,15. ქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა — ...უქადაგეთ ყოველსა დაბადებულსა.

„ყოველსა დაბადებულსა“ მეორე შემთხვევაში (ეფთვიმეს რედაქციაში) გამართლებულია (ირიბი ობიექტია) და თავს ლალად გრძნობს, პირველში (C რედაქციაში) ხორცმეტად გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში, ბუნდოვანია (თუ მეტს არ ვიტყოდით).

ლ. 22,13. წარვიდეს... და მომზადეს პასქაჲ იგი — ...მოუმზადეს...

კაცს ეგონება, აქ ორივე ფორმა არის შესაფერისიო. მაგრამ არა: ეს გამოთქმა არის შეღვევი და პასუხი მე-მ მუხლში მოცემული ბრძანებისა: წარვედით და მომომზადეთ ჩვენ პასქაჲ. სწორედ ამას შეეფერება: და წარვიდეს... და მოუმზადეს პასქაჲ იგი. მაშ რატომ დაწერეს აქ მომზადეს? ამას, ზემოთ აღნიშნულთ გარდა, სხვა მიზეზიც აქვს: მომზადეს წარმოშობით სამპირიანი ზმნაა და თავიდანვე ირიბ ობიექტსაც შეიცავდა. მაგრამ დროთა ვითარებაში იგი გამოვიდა ხმარებიდან და ზმნის შინაარსი ორპირიანი გახდა, თუმცა იმ მესამე, დაკარგულ პირსაც (ირიბ ობიექტს) უჩვენებდა: მომზადეს მათ (მას || მათ) იგი, ე. ი. მოუმზადესო. ჩვენს მაგალითში ეს ზმნა ძველი შინაარსით იხმარება და იმდენად სასაყვედურო არ გვეჩვენობდა ძველ გადამწერებთან. ესაა მხოლოდ, რომ ამ ფორმაში ჰ-ც დაკარგულია და ფორმალურადაც ორპირიანად ქცეულია. ეფთვიმე აქაც ფხიზლად არის: ზმნას სასხვისო ქცევის ფორმით ხმარობს, რითაც ყოველგვარი გაუგებრობა ისპობა.

ასეთია საერთო ხაზებში სახარების ეფთვიმესეული რედაქცია, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ამაღლების საქმეს. მშობლიურ ხალხში მაღალი ზნეობის დანერგვას, მაშვრალთა შეწყნარებას, ხალხთა შორის სიყვარულის გაღვივებას, ქრის-

ტიანული რწმენის, პატრიოტიზმის, სამშობლოს სამსახურისა და დაცვის საშვილი-
 შვილო საქმეს. აქ ეფთვიმეს დეაწლი განუზომელია.

ეფთვიმეს წამოწყებული საქმე შემდეგ გიორგიმ განაგრძო. იგი ძირითადად
 ეფთვიმეს რედაქციას ეყრდნობოდა, აბსოლუტურად უმეტეს შემთხვევაში თავის
 რედაქციაში უცვლელად შექმნდა ეფთვიმეს შესწორებანი. მისი ახალი, სპეცფი-
 კური წაკითხვები, ხელახლა უდარებდა ბერძნულს და ასე ქმნიდა თავის ახალ რე-
 დაქციას. გიორგიმ ბრწყინვალედ მიიყვანა ბოლომდე ეფთვიმეს მიერ წამოწყებუ-
 ლი საქმე და შექმნა ახალი, სრულყოფილი რედაქცია, რომელიც XI საუკუნის
 ორმოციანი წლებიდან უხვად კვებავდა ქართველი ხალხის მაღალ სულიერ კულ-
 ტურას, ქმედითად მონაწილეობდა დიდი საქართველოს შექმნის, ამაღლებისა და
 აყვავების ეროვნულ საქმეში.

სახარების გიორგისეული რედაქცია ისე მაღალ დონეზეა დამუშავებული და
 აყვანილი, რომ შემდეგ დიდი, დიდი ხნის განმავლობაში მას შეკეთება და შევსება
 არ დასჭირვებია. მან პირნათლად მოიხადა თავისი პატრიოტული ვალი მშობლიუ-
 რი ქვეყნის წინაშე და ასე უცვლელად მოიტანა ჩვენამდე. მაგრამ აქ ახლა ამაზე
 ვერ შევჩერდებით, ამის შესახებ სხვაგან გვაქვს ვრცელი მსჯელობა.

და დგანან დღეს ეს დიდი ვალმოსდილი წინაპრები ჩვენს წინაშე და თითქოს
 თავმდაბლად გვეუბნებიან: რომელი-იგი თანა-გუედვა, გყოფიეს, სრბაჲ ჩუენი აღ-
 გვსრულებიეს, ლუაწლი დიდი მოკვლუაწუებიეს და ძილი ტუბილი დაგუძიებეიეს. სხვა
 თქვენ იცითო.

ჩვენი ვალაა, ეფთვიმესა და გიორგის ამ უძვირფასეს წიგნებს, რაც შეიძლე-
 ბა, ჩქარა ვაჩვენოთ (მათი მონატრებული საქართველოს) მზას სინათლე.

წამება უკლთა ყრმათა მკაბელთაჲ

(ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე იმნაიშვილმა)

თითქმის აბსტრუქტული

(120 ა) წამება უკლთა ყრმათა მკაბელთა და დედისა მათისაჲ¹, რომელ-
ნი იწამნეს ანტიოქიას² ქალაქსა ანტიოხოს მეფისა ზე³ უშჯულოდსა.

იყო დღეთა ანტიოქოზ მეფისათა უშჯულოდსათა აღგზებულ საცთური
კერპთა მსახურებისაჲ ყოველსა ქუეყანასა საბრძანებელისა მისისასა, სადა იყო
მეფე ესე უშჯულოდ მკვდარ ქალაქსა შინა ანტიოქიას და აიძულებდა ყოველთა
კაცთა მსახურებად კერპთა უსულოთა და ჭამად შეგინებულთა. და რომელნი
არა დაემორჩილებოდეს ბრძანებასა მას უშჯულოდსა მძლავრისასა, მრაველითა
სატანჯველითა მიეცემოდეს.

ხოლო იყვნეს მაშინ ანტიოქიას შინა მკვდრნი კაცნი ღმრთის-მსახურნი ნა-
თესავისაგან ებრაელთაჲსა, რომელნი არა შეუდგეს ბრძანებასა მეფისა უღმრ-
თოდსასა და არცა უფარ-ყვეს ღმერთი მამათაჲ (121 მ) და არცა ინებეს ჭამად
შეგინებულთა და⁴ კორცსა ღორისასა, რომელსა აიძულებდა მეფე იგი უშჯუ-
ლოდ ანტიოქოს⁵.

იყო ვინმე მუნ დედაკაცი მკაბელი, სახელით სოლომონით. ამას ეხსენს
შედნი ძენი, რომელნი აღეზარდნეს ღმრთის-მსახურებით და სიწმიდით შჯულსა
შინა მამათასა. და ესე წარიდგინა შვილითურთ წინაშე მეფისა მის უშჯულოდსა
ჭტარვალთა მიერ მისთა. ხოლო იგი აიძულებდა მათ ჭამად კორცსა ღორისასა,
არამედ წმიდათა მათ ყოვლადვე არა თავს-იდვეს ესე ყოვად, რამეთუ იყო
დედაკაცი იგი კურთხეული და შედნი ძენი მისნი ღმრთის-მსახურნი ჭეშმარიტ-
ნი და მტკიცენი სარწმუნოებითა. ამით განაქარვეს ბრძანებაჲ იგი მეფისაჲ და
დაჰქსნეს საქმენი მისნი ბოროტნი.

და იყვნეს მათ ჟამთა კაცნი მრავალნი, რომელნი წარწყმედებოდეს და უფარ-
წყოვდნენ ღმერთსა დამბადებელსა და შეიგინებოდნენ ჭამითა ბილწთა მათ ნა-
გებთაჲთა, რამეთუ განპრყუნიდა მათ უშჯულოდ იგი მეფე, განდგომილი
ღმრთისაგან.

და მერმე სხუანი მრავალნი განეშორებოდნენ ბილწსა მას მსახურებასა მათ-
სა და მიილტოდნენ ღმრთისა, დამბადებელისა ცისა და ქუეყანისა. და მძლე ექმ-
ნებოდნენ უშჯულოსა მას მეფესა. ვითარცა-იგი დაეით, რაჟამს მიილტოდა
სამწყსოდაგან ცხოვართაჲსა და მოკლა გოლიადი იგი უცხო-თესლი და განა-
რინა ისრაელი შეწყენითა ღმრთისაჲთა, ეგრძითვე მოავლინა ღმერთმან დედა-

¹ მათისა A. ² ანტიქს A. ³ ზე A. ⁴ და /A. ⁵ ანტიოქოს B] ანტიოქიას შინა A.



კაცი ესე კურთხეული, რაათა მძლე ექმნეს მეფესა მას უშჯულოსა და მოაქცი-
 ნეს კაცნი საცოთურისაგან ღმრთისა მიმართ ცხოველისა და გამოიყვანნეს ბნე-
 ლისაგან ნათლად, რაათა იცნან ღმერთი, დამბადებელი მათი. და ვიხილეთღა,
 ვითარ ღმერთი მრავალ-გზის სძლეეს მამათა კელითა დედაკაცისათა, და იძ-
 5 ლევს მეფე კელითა ყრმათათა, რამეთუ დავით ყრმაღა იყო და იცნა ისრაჲლი,
 შეწევნითა ღმრთისათა, სიმდაბლით, თვნიერ მახვლისა სძლო ერ-მრავალთა.

(4) ეგრევე სიბარა, მეფე იგი უშჯულოა, რაჟამა იქადოდა ეტლებითა მრავ-
 ლითა და ძალითა დიდითა, და მისცა იგი ღმერთმან საკლდიდ კელითა მის დედა-
 კაცისათა, რამეთუ მალლოდა იგი ნორწმუნეთა ზედა ღმრთისათა.

10 და კუალად ეზოის-მოიღუარი იგი ნაბუქოდონოსორისა, მეფეა მია სპარ-
 სთაისა, რაჟამს-იგი შევიდა ქალაქსა წმიდასა სპითა მრავლითა, ოქროთა
 და ვეცხლითა დიდალითა, ბრძოლა-უყო არნუნს¹ მეფესა და სძლო ყოველ-
 სა ქუეყანასა და ყოველთა მეფეთა შეწევნითა ღმრთისათა. და რაჟამს განლად-
 15 იგი ღმრთისა ზედა, დაემკუა მეფობად მისი მეცნიერებითა ღმრთისათა. და
 ესრტოვე სძლეს წმიდათა ამათ მკაბელთა და დედამან მათმან მეფესა მას უშ-
 ჯულოსა, ანტიოქოზ უღმრთოსა.

და ვითარცა დაჯდა მეფე იგი უშჯულოა განკითხვად, ბრძანა მოწოდებად
 წმიდათა მათ ყრმათა მკაბელთათა. და წარდგა დედაკაცი იგი კურთხეული და
 შვილინი მისნი, შვილი იგი ძენი მისნი, წინაშე მეფისა უშჯულოსა. და იწყო
 20 სწავლად მათა დედამან მათმან სოლომონით და პრეტუ მათ: 8 შვილნი ჩემნი,
 მოიწია დღე იგი ბრძოლისაჲ, განემზადენით და განძლიერდით და ნუ გეშინი
 ამის გუელისა წამლენისაგან: განამტკიცენით გულნი თქუენნი და განეცხადე-
 ხით ამას და ნუ გეშინი სატანჯველთა მისთაგან, რამეთუ არარად არს; მცირე⁹
 მოთმინე იგნენით და დაიშკდროთ სასუფეველი ცათაჲ უკუნისამდე: ნუ შეს-
 25 ძრწუნდებთ, რაჟამს-იგი იბრდლუენდეს თქუენ ზედა, ეცინოდეთ მას და
 უწყოდეთ, რამეთუ ღმერთი მამათაჲ თქუენ თანაა¹⁰. განძლიერდით, შვილნი
 ჩემნი, და განაკრვეთ მეფე ესე და ნუ განიყოფით ურთიერთას, რაათა ერ-
 თობითვე დაიშკდროთ სასუფეველი იგი ცათაჲ.

8 შვილნი ჩემნი, რავდენნი ვაჭარნი არიან ზღუასა შინა ჯრვით და ჭირით
 30 და ევედრებინ ღმერთსა, და ღმერთმან დაიცვის იგინი, და შეიძინან ფრიად.
 და თქუენცა, შვილნი ჩემნი, დაუთმეთ მეფესა ამას¹¹ უკეთურსა და მოილოთ
 გვრგვნი წამებისა თქუენისაჲ. ნუ გეშინი, კრავნი ჩემნი უმანკონო, ამის
 (122^რ) ლომისაგან სისხლის-მკაბელისა⁸, რამეთუ არს იგი საშინელ პირველ,
 რაჟამს იზახოს თქუენ ზედა, ხოლო უკუანახსენელ უნდო და შეურაცხ არს. ნუ
 35 დაშრტებით, ლამპარნი ეგე ჩემნი ბრწყინვალენი, ქართთა ამით, რამეთუ ზე-
 თითა მით უფლისა ღმრთისა ჩუენისათა აღნთებულ ხარო თქუენ; ნუმცა მძლე
 გექმნების თქუენ მეფე ესე, რაათა არა მწუხარე ექმნეს დედაჲ თქუენი, ქალა-
 ქი ესე შეზღუდილი; დაუთმეთ მას, შვილნი ჩემნი, რაათა, რაჟამს იხილოს
 მოთმინებაჲ თქუენი, მართლუქუნიქცეს სირცხულეული.

ნუ გეშინი, ორბნი ჩემნი ჟრთე-მალენო⁹; ნუ აღიტაცებთ, რაათა არა
 40 გარდამოსცვეთ სიმაღლისაგან ცათაისა. ნუ გეშინი, შვილნი ჩემნი, ძაღლისა
 ამისგან ბოროტისა. ნუ ზეუქუნიქცევით, რაჟამს იწყოს ყეფად. ნუ შესძრწუნ-
 დებით, ტრედნი ჩემნი მყუდრონო, სიმბაფრისა მისგან ამის გაგაზისა¹¹ განმრუც-

¹ სპარსთაისა A. ² არნუნს A. ³ მცირე A. ⁴ უწყოდით A. ⁵ ასე A(თანაჲ D).
⁶ და—A. ⁷ მას. ⁸ სისხლის-მკაბელისაგან A. ⁹ მით A. ¹⁰ მალენო B. ¹¹ გაუზიხავან A.

ნელისა, არამედ შეაწყვენით¹ ფრთენი თქუენნი ურთიერთას, ვითარცა ზღუდრეა ნელისა
 თა აღუვალთა. ნუ გეშინინ, ხუროთ-მოძღუარხო ჩემხო ბრძენხო, ამის ცრფხნა
 და ბილწისაგან, ნუმცა გაკთუნებს თქუენ და განგაბნევს ზახილი მისი განქარ-
 მებადი.

5 ნუ შესძრწუნდებით, მუშაკხო ჩემხო კურთხეულხო, ამის არმულისაგან მო-
 შველისა, რაჲთა წარხვდეთ და დაიძინოთ საგრილსა ქუეშე სამოთხისა ნერგ-
 თასა. მკირედ ესა დაითმინეთ, რაჲთა აგრილდეს თქუენ ზედა დღჳ, და ისწავე-
 ნით თქუენ სიტყუანი შჯულისანი, ვითარ-იგი აღიზარდენით თქუენ, და გწო-
 ებდი ძუძუითა² ჩემითა; და ესრეთ აღორძნდეს გულნი თქუენნი ჩემითა სწავ-
 10 ლითა რაჲთა იყვნეთ თქუენ მოწამე უფლისა ღმრთისა ჩემისა.

მოიკსენებით, შვილხო ჩემხო, წმიდანი იგი, რომელნი იყვნეს ზუწინარეს
 თქუენსა, რავდენთა³ ლუაწლთა დაუთმეს და დაემკვდრნეს სასუფეველსა ცა-
 თასა. შეიმოსეთ ამიერთგან სამკაული იგი ღმრთისამიერი, რაჲთა მოილოთ
 გვრგვინი უხრწნელებისაჲ. ნუ შესძრწუნდებით თქუენ, რაჲჲს გიჩუენოს მახვლი.
 15 მოიკსენეთ აბრაჰამ, მამა იგი ჩუენი, რაჲჲს-იგი აქუნდა დანაკი ქედსა ზედა
 ისაკის, ძისა თვისისაჲ, და უნდა მას დაკლევად მისი ღმრთისათჳს.

(4) და აწ რომელსა ვასწავებ თქუენ, შვილხო ჩემხო, არა თუ სიძულილითა
 თქუენითა, არამედ მნებავს თქუენი დამკვდრებაჲ წმიდათა თანა. ვითარცა აბრა-
 20 ჰამსა არა სძულდა შვილი თვისი ისაკი და შეწირა იგი მსხუერპლად ღმრთისა,
 ეგრძთვე მეცა მნებავს შეწირვად თქუენი ღმრთისა ცხოველისა. უკუეთუმცა
 მძულდით თქუენ, არამცა წარგადგინენ⁴ თქუენ ამას სატანჯველსა, ვითარცა-
 იგი აბრაჰამ წარადგინა ძმ თვის დაკლევად. აღასრულეთ აწ, კრავხო ჩემხო, წამე-
 ბაჲ თქუენი სახელსა ზედა ღმრთისა ისრაჴლისასა, რომლითაცა სცხოხდეთ⁵
 უკუნისამდე, და ნუ შეურაცხ-ჰყოფთ მცნებასა შჯულისასა და ნუცა შეიგინებთ
 25 ჰირთა თქუენთა ჰამადთა არაწმიდათაგან და შეგინებულთა საჭმელთაათა.

მოიკსენებით, შვილხო ჩემხო, სამნი იგი ყრმანი — ანანია, აზარია და მი-
 საელ, რომელნი-იგი იყვნეს საჯუმილსა⁶ მას შინა, ვითარ-იგი განძლიერდეს
 და დაუთმეს და დათრგუნეს ალი იგი ცეცხლისაჲ მის, რაჲეთუ მისცნეს თავნი
 მათნი ღმერთსა და არა ისმინეს ბრძანებაჲ იგი მეფისაჲ მის, და შეეწია მათ
 30 ღმერთი, და ჰრქუეს მეფესა მას: არა ვისმინოთ შენი და არცა თაყუანის-ესცეთ
 კერპსა ოქროხასა. იხილეთ, შვილხო ჩემხო, და ისმინეთ ჩემი და განაკრკეთ
 მეფჳ ესე უკეთური ანტიოქოს, და ნუმცა გაკთუნებს თქუენ თაყუანის-ცემად
 მის თანა და ჰამად კორცსა ღორისასა; ეკრძალებით და ნუ უვარ-ჰყოფთ დამბა-
 დებელსა თქუენსა ღმერთსა.

35 მოიკსენეთ მამა თქუენი მოსე, რაჲჲს-იგი იყო ასულსა თანა მეფისასა
 და არა დაემორჩილა იგი მეფესა მას, და მისცა მას ღმერთმან მეფობაჲ და ძა-
 ლი და ვანიყვანა მამანი ჩუენნი, ძენი ისრაჴლისანი, ზღუასა შეწამულსა. მოიკ-
 სენეთ, შვილხო ჩემხო, იოსებ, ვითარ-იგი ეტყოდა მას დედოფალი იგი მისი და
 უნდა მას, რაჲთამცა აკთუნა იგი; და არა დაემორჩილა მას, და ყო იგი ღმერთ-
 40 მან ეგვტეტსა ზედა მეფე. მოიკსენეთ⁷ შვილხო ჩემხო, წინაწარმეტყუელი ელია
 თეზბელი, რაჲეთუ სიტყუას-უგებდა მეფესა და სძლო მას. იქმნენით, შვილხო
 ჩემხო, ვითარ-იგი იქმნეს ძლიერ, რაჲთა მათ თანავე დაიმკვდროთ სასუფეველი
 ცათაჲ. (123 მ) წარმოძღლეთ წინაშე ჩემსა, შვილხო ჩემხო, და აღიღეთ თქუენ
 ყოველთა ერთობით საჭურველი ღმრთისაჲ და ნუმცა იძლევით, არამედ თავს-
 45 იდევით ტანჯვად სახელისათჳს ღმრთისა ისრაჴლისა.

¹ შეიწყენით B. ² ასეა A. ³ რავდეთა A. წარადგინენ A. ⁵ სცხოხდეს A, ⁶ საჯომილ-
 სა A. ⁷ მოიკსენებით A.



და მოუწოდა ძესა თვისსა უხუცესსა და პრეტუ მას: შენ იქმენ, შვილო ჩემო, დასაბამი ტკივილისა ჩემისაჲ და რამეთუ შენ გიტვრთე პირველად მუცლითა ჩემითა უწინარსს ძმათა შენთა, და აწ იქმენ შენ, ვითარცა მოსე: თავი ყოველთა წინაწარმეტყუელთაჲ, რამეთუ შენ ღირს ხარ მსხუერპლად ამის წამებისა

5 უწინარსს ძმათა შენთასა, რაჲთა ნიითუალო, შვილო ჩემო, მახვილ ქედსა შესსა ზედა და ახარო დედასა ამას შენსა, და ნუშცა სირცხველულ ვექმნები მე თქუენ მიერ წინაშე ღმრთისა, არამედ დაიძარბეთ მცნებაჲ ღმრთისაჲ ყოვლითა ძალითა თქუენითა და მოკუედ¹ სახელისა მისისათჳს, და ყოვლადგუნუ შეიგინებინ პირი შენი საკმლითა და ნუცა კელნი თქუენნი მოღებითა. და შემდგომად შენსა,

10 შვილო ჩემო, ვამცნო მე ძმათა შენთა, რაჲთა შემოგიდგენ კუალსა შენსა.

და ვითარცა აღასრულა სწავლად იგი თვისი დედამან მათმან, პრეტუ მათ: კეთილ არს ჩემდა, რაჲთა გიხილნე თქუენ, შვილო ჩემო, აღფრენილნი ზე და მიწვენულნი ბუდეთა თქუენთა, რომელი არს სიმაღლესა შინა ცათასა, და ვერ გეწიოს თქუენ ვაჟანი იგი ბოროტი. კეთილ არს ჩემდა, შვილო ჩემო, რაჲამს

15 გიხილნე თქუენ შესრულნი ბაკსა მას თქუენსა უზემთაჲსსა, სადა-იგი ვერ გეუფლოს თქუენ მგეცი იგი საზარელი. კეთილ არს ჩემდა, ვარსკულავენო ჩემო ბრწყინვალენო, რაჲამს გიხილნე თქუენ სიმაღლესა ცისასა ნათლითა ბრწყინვალითა დადგრომილინი.

რამეთუ აჲა ესერა მოწვენულ არს ეჲმი ღუაწლისაჲ, და მოახლებულ არს

20 დღს იგი წამებისა თქუენისაჲ. აღიხილენით თუალნი თქუენნი ზეცად, რამეთუ უფალი ღმერთი მამათა თქუენთაჲ განგიზადებს თქუენ სასუფეველსა ცათასა, რომლისა² შინა იხარებდეთ უკუნისამდე.

და საკრველ ესე იყო ფრიალ: რაჲამს მკაცბელი იგი დედაკაცი ასწავებდა ძეთა თვისთა და განაძლიერებდა იგი სატანჯველთა ზედა, რაჲთა მოიღონ გე(ყ)-

25 რგნი იგი წამებისაჲ, და დაამტკიცნა იგინი სარწმუნოებასა ზედა, და ერთობით ყოველივე წარვიდეს და წარდგეს წინაშე მეფისა მის უშჯულოჲსა.

და ვითარცა იხილნა იგინი ანტიოქოს მეფემან, შეძრწუნდა იგი, რამეთუ ცნა, ვითარმედ განზადებულ არიან სატანჯველად. და აღიესო იგი რისხვითა და გულისწყრომითა დიდითა და ვერ ეძლო მიხედვად პირთა მათთა, რამეთუ

30 ბრწყინვიდეს იგინი, ვითარცა მზენი; და იყვნეს გუამნი მათნი, ვითარცა კუპაროზნი.

ჰკითხა მათ და პრეტუ: რომელი არს უხუცესი თქუენ შორის? რამეთუ იყვნეს ყოველივე იგი სწორ შვდნი ძმანი. მაშინ წარმოდგა უხუცესი იგი და დადგა წინაშე მეფისა მის. და განიხარა დედამან მისმან, რაჲამს იხილა ძმ იგი თვისი

35 ნეფსით თვისით აღპურვილი ბრძოლად. პრეტუ მეფემან: იხილე, ვის წინაშე სდგა! მიუგო წმიდამან და პრეტუ: წინაშე გუელისა გესლიანისა³ და მკებნარისა, რომელი სცემს და განრყუნის შორწმუნეთა და არა აღიარებს დამბადებელსა თვისსა ღმერთსა.

პრეტუ მას მეფემან: ნუ პბრძნობ წინაშე ჩემსა; უწყოდე, რამეთუ კელმწიფებაჲ მიქუს მე მოკლვად შენდა. მიუგო მას წმიდამან მან და პრეტუ: კელმწიფებაჲ შენი ქუესკენლად ქუეყანისა შთაჯდეს, წარწყმდეს და განირყუნეს, ხოლო

40 კელმწიფებაჲ იგი ზეცასაჲ მის მეუფისაჲ უკუნისამდე ეგოს, რომელმან მომაგოს მე სატანჯველისა ამის შენისა წილ განსუენებაჲ უკუნისამდე. პრეტუ მას მეფემან: ისმინე ჩუენი და უგე ჩუენ თანა ღმერთთა ჩუენთა, გინა თუ ქამე

45 კორცი ღორისაჲ, რაჲთა იყო ჩემ თანა პატროსან და გაქუნდეს შენ ოქროჲ და

¹ მოკუედ A. ² ასეა (ბლ¹ისა) A. ³ გესლიანისა A.

ვეცხლი ფრიად და საფასე დიდძალი. მიუგო მას წმიდამან და ჰრქუა: არაფერა
მედ უროსლა შენ ისმინე ჩემი, მეფე¹, და იცან დაძბადებელი შენი ღმერთა
და აქმენ შენ, ვითარცა-ესე ჩუენ, და სცხონდე უკუნისამდე შენცა და ნუ
მიერჩი მამასა შენსა ეშმაკსა, რომელმან შთაგადოს შენ სატანჯველსა მას საუ-
კუნესა.

5 ვითარცა ესმა ესე მეფესა, აღივსო იგი გულის-წყრომითა დიდითა და
ჰრქუა მას: დაეჭრა აწვე გუამი შენი ასოდ-ასოდ. მიუგო მას წმიდამან მან და
ჰრქუა: მ რაჲ უსუსურ არს სატანჯველი ესე შენი და შეუარაც და უნდო არიან
10 თქუძახი ეგე შენნი! ისწრაფე აწ და² (124 კ) აღასრულე ნებაჲ შენი, რაჲთა წარ-
ვიდე და მოვილო გვრგვნი იგი განმზადებული ჩემთვის. და უბრძანა მეფემან.
რაჲთა აღადულონ ზეთი ტაბაკითა დიდითა და შთაგადონ იგი მას შინა. და ვი-
თარ შთაგადეს წმიდაჲ იგი, ვითარცა თევზი, ტაბაკაჲ მას შინა, აღცდა სიმძაფრე
მისი ვიდრე ცადმდე და გამოსცა მუნით სული სულნელებისაჲ დიდძალი ფრიად.
და ძმათა მისთა ვითარცა აზილეს ესე სასწაული, განემტკიცენს საწმუნოებასა
15 ზედა.

ხოლო დედამან მათმან ვითარცა იხილა ძმ თვისი უხუცესი აღსრული ზე-
ცად, აღიდებდა იგი ღმერთსა და თქუა: ესე მარცუალი ერთი იფქლისაჲ განერა
და დაიდვა საუნჯესა მას ზეცისასა, სადა-იგი არა არს მილიცი, არცა მკამელი,
და ესე ნავი ერთი მიიწია ნავთსადგურსა მას ზეცისასა, და სანთელი ესე ერთი
20 დაწოთა დაუშრეტელად ამის ქარისაგან, და კრავი ერთი განერა მკაცისაგან, და
ტრედი ერთი დაიცვა გავაზისაგან განმრყუნელისა. გმადლობ, შენ, უფალო,
ღმერთო ყოველთაო, რომელი მოსცემ მოთმინებასა ყოველთა, რომელნი ვეს-
ვენ შენ. ესე არს დღმ იგი პირველი, რომელსა შინა შექმნა ღმერთმან სამყარო
ცისაჲ და გამოაჩინა ნათელი ბნელისაგან შვდთა დღეთათვის.

25 ისმინეთ, შეილნო ჩემნო, რამეთუ შექმნა ღმერთმან პირველად ცაჲ და ქუე-
ყანაჲ და ყოველივე, რაჲ არს მას შინა, შვდთა ამით დღეთა შინა. და აწ ესე არს
ძმაჲ თქუენი პირშობა, დღმ იგი პირველი, რომელი-ესე აღვიდა დღეს ზეცად
უწინარეს თქუენსა. და აწ შენ, ძეთ ჩემო მეორეო, მიეწიე შენ ძმასა შენსა, რა-
მეთუ მეორესა დღესა გამობრწყინდა ნათელი ბნელისაგან.

30 და ვითარცა აღასრულა დედამან მათმან სოლომონით სწავლაჲ მათი ძეთა
მიმართ თვისთა, უბრძანა მეფემან წარმოდგინებაჲ მეორისაჲ მის. მიჰხედა მას და
ჰრქუა: მოხედენ მე შენ აქა, ყრმაო! მიუგო წმიდამან მან და ჰრქუა: არა მიღირს
მე მიხედვაჲ პირსა მისსა, რომელი არა აღიარებს დაძბადებელსა თვისსა² ღმერთ-
სა. ჰრქუა მას მეფემან: არა იხილეა შენ სატანჯველი იგი ძმისა შენისაჲ? რამე-
თუ მე შენ გტანჯო მისებრევე. მიუგო მას წმიდამან მან და ჰრქუა: შენ იხილე სა-
35 ტანჯველი მისი, ხოლო მე ვიხილე გვრგვნი თავსა ზედა მისსა და მე აწ მნებაჲს
შენგან, რაჲთა მეცა წარმავლინო მის თანავე. (ყ) და ისწრაფე, რამეთუ მძაჲს მე
ნებაჲ ეგე შენი და მძულს მეფობაჲ შენი.

ჰრქუა მას მეფემან: მეწყალი მე, რამეთუ ჭაბუყ ხარ. მიუგო მას წმიდამან
40 მან და ჰრქუა: არა, არამედ გეწყალიოდენ თავი შენი, რამეთუ მიმავალ ხარ შენ
წყუდიადსა მას ბნელისასა, რომელი განმზადებულ არს შენთვის უკუნისამდე.
ჰრქუა მას მეფემან: არა გეშინისა ჩემგან? მიუგო მას წმიდამან მან და ჰრქუა:
არა გეშინის მე შენგან, რომელსა არა გეშინის ღმერთისაგან. ჰრქუა მას მეფე-

¹ მეფე A. ² თხზა A.



მან: სადა არს ღმერთი იგი თქუენი? მოვედინ აწ იგი და გავსენინ კელთავან ჩენთა. მიუგო მას წმიდამან მან: არა მიგაგებს შენ ამასვე სოფელსა და არცა გტანჯავს შენ, არამედ განგომზადოს შენ და მამასა შენსა ეშმაკსა განდგომილსა ცეცხლი გეჰენისაჲ, რომელსა შინა ეგნეთ უკუნისამდე. ხოლო შენ ამიერიტგან იქნობდე, რადცა-იგი გნებავს.

- მაშინ ბრძანა მეფემან, რადათა აჰქადონ აჰკად თავისა მისისაჲ ტყავითურთ და თმით და რადათა სტანჯვიდენ მას განგრძობილად, რადათა მოიქცეს იგი მისა და ჭამოს კორცი ღორისაჲ და დაჰკსნეს შველი მოსჰსი. ხოლო წმიდაჲ იგი აღიგესებოდა ძალითა და სარწმუნოებითა და სიხარულითა. და შემდგომად ამის სა-
- 10 ტანჯველისა უბრძანა, რადათა შთავადონ იგი ტაბაკსა მასვე, ვითარცა ძმად მისი. ხოლო წმიდამან მან მიუგო და ჰრქუა მას: კეთილად ჰყოფ, რამეთუ იწყე თავით ჩემით, მ წყუღიადო ბნელისაო, რამეთუ აჰა ესერა განმზადებულ არს ჩემთვის გვრჯენი უბრწენელი. ჰრქუა მას მეფემან: სატანჯველითა ძმისა შენისაჲთა გტანჯო შენ, აღვიდ აწ ტაბაკადვე, ვითარცა ძმად შენი.
- 15 მიუგო წმიდამან მან და ჰრქუა: ჯერ-ესრეთ-არს, რადათა განჰმართოს ჯარმან ურნატი მეუღლესა თანა. შენ, მეფე, დამჰრნე ჯორცნი ჩემნი და დასთესნე ასონი ჩემნი ქუეყანასა, ხოლო უფალმან შეკრიბნეს იგინი საუნჯესა¹ ზეცისასა. ვითარცა აღასრულა წმიდამან სიტყუაჲ თვისი, მოივსენა ღმერთი მამათაჲ და აღვიდა ტაბაკად და მისცა სული თვისი უფალსა.
- 20 (125 ჟ) და ვითარცა იხილნა² მკაბელებმან მან დედაკაცმან ორნი იგი ძენი მისნი აღსრულებულნი, აღიგოს სიხარულითა და სარწმუნოებითა და თქუა: ორნი მართუენი ტრედისანი განერნეს ბოროტსა ამას გავაზსა და შევიდეს კოშკსა მას ზეცისასა, და ამისთვისცა უფალობს სული ჩემი უფალსა, რომელმან, იცხნნა გუელისა მისგან წაღლენისა. და ჰრქუა ძესა თვისსა მესამესა: შენ ხარ ძმ ჩემი
- 25 მესამე, რამეთუ მესამესა დღესა დაამტკიცა ღმერთმან ქუეყანაჲ წყალთა ზედა. ცხონდი, შვილო ჩემო, ვითარცა ძმანი შენნი, და მიეწიე მათ, რამეთუ გელიან შენ ცათა შინა. ნუ ჰყოვნი, არამედ ეკრძალე ვეშაჰსა ამას წარმწყმედელსა, რამეთუ შენ ხარ ძმ ჩემი მესამე, რამეთუ დღესა მას მესამესა აღმოაცჷნა ღმერთმან მწუანვილი თივისაჲ და ყოველი ხმ წაყოფიერი.
- 30 მაშინ იწყო მეფემან ლიქნად მისა და ცთუნებად და ჰრქუა მას, ვითარცა-იგი ჰრქუა ძმათა მისთა. მიუგო წმიდამან მან მეფესა და ჰრქუა მას: ნუ ჰგონებ, მაცთურო, ვითარცა გახმდრიკე და დამაკლე გვრჯენი იგი განმზადებული ჩემთვის ძმათა ჩემთა თანა. ვერ მაცთუნო მე და ვერცა მამამან შენმან ეშმაკმან, რომელი მიმავალ არს შენ თანა ქუესკნელსა მას ჯოჯოხეთისასა. ჰრქუა მას მეფემან: მე გტანჯო შენ უფროს ძმათა შენთა, რამეთუ მაგინებ მე შენ. მიუგო წმი-
- 35 დამან მან და ჰრქუა: ყავ; რადცა გნებავს, რამეთუ ღმერთმან მიცხნეს მე შენგან, ვითარცა იცხნნა ძმანი ჩემნი, ხოლო შენ წუთ ეამ მგებდ მე, და წარწყმდეს მეფობაჲ შენი და განირყუნეს.
- და აღიგოს მეფე რისხვითა და ბრძანა, რადათა მოჰკუეთონ ენაჲ მისი და მოშურნენ³ ყოველნი თითნი მისნი. ხოლო წმიდამან განჰმარტნა ყოველნი თითნი მისნი სიხარულითა და გულითა ღმობიერითა და ჰრქუა: მ გუელო გესლიანო, განჰრყუნენ⁴ კორცნი ჩემნი და ნუ მწყალობ, არამედ იწყე და აღასრულე ნებაჲ შენი, განდგომილო ღმრთისაგან.
- 40

¹ საუნჯესა A. ² ძილნა A. ³ მოიჰრნენ A. ⁴ განრყუნენ B.

და ვითარ აღასრულეს წმიდა იგი, და იხილა სოლომონით მკაბელმან, მათუ მესამემან ძემან მისმან სძლო ეშმაკსა, აღივსო სიხარულითა დიდითა და ათხოვდა ღმრთისაგან, რაათა სრულ იქმნენ ყოველნი (ყ) ძენი მისნი სასუფეველსა ცათასა. და ჰრქუა ძესა თვსსა მეოთხესა: შენ ხარ ძმ ჩემი მეოთხმ. იქმენ, შეილო ჩემო, ვითარცა სამნი ძმანი შენნი, რომელნი მიემსგავსნეს მამის მისწულთა შენთა, ყრმათა მათ ბიბილოვნისათა ანანიას, აზარიას და მისაელს, რომელნი შეითხინეს საკუთმისა მას ცეცხლისასა, და იცნნა იგინი ღმერთმან დიდებთა და საკრველებთა საუკუნოდ, და ნუ გეშინინ ამის მკატორისა ბილწისაგან, რამეთუ სატანჯველი მისი წუთ ჟამი არს, ხოლო განსუენება შენი — უკუნისამდე: ახარე დედასა შენსა, შეილო ჩემო, და მიეწიე ძმათა შენთა, რამეთუ გელიან სასუფეველსა ცათასა, რაათა იყოფოდი შენცა მათ თანა, რამეთუ შენ ხარ ძმ ჩემი მეოთხმ, რამეთუ მეოთხესა დღესა გამოაბრწყინა უფალმან ნათელი იგი დიდი და შეამკო ცაი ვარსკულავითა და მთიებთა. და აწ განაბრწყინე პირი შენი ძმათა შენთა თანა და დაშრიტე ბრწყინვალეება ამის მეფისა წარწყმედულისა და უშულოლასა¹, რამეთუ რაჟამს იხილოს მოთმინება შენი, სირცხვლულ იქმნეს და დაეცეს პირსა ზედა თვსსა.

მაშინ ბრძანა მეფემან ანტიოქოს მოღებად კერპისა და დადგამა წინაშე მისა² და მოღებად ოქროსა და ვეცხლისა დიდდალისა და წარმოდგინებად წმიდისა მის წინაშე. უბრძანა და ჰრქუა მას: შენ მიგცე ესე ყოველი, უკუეთუ დასდგა კერპსა ამას ზედა კელი შენი და თაყუანის-სცე, ანუ თუ გემოი იხილო ღორის კორცისა, ესრცთ დიდებულ იყო შენ.

მაშინ განიცინა წმიდამან მან, რამეთუ დაუკვრდა სიციბილი იგი მისი, და ჰრქუა მას: ოქროა შენი და ვეცხლი შენი იყავნ შენ თანა გეჰენიასა მას ცეცხლისასა, რომელი განზადებულ არს შენთვის და მსგავსთა შენთათვს, რომელნი უვარ-ჰყოფენ სახელსა უფლისასა. ჰრქუა მას მეფემან: ისინი ჩემი და უგე, და მივცე შენ საფასე დიდი, და იყო შენ ჩემდა მეგობარ. მიჰხელა წმიდამან მეფესა და ჰრქუა: ისინი, შ მეფე³, რამეთუ ღმერთი ესე შენი ვერ კელოვნად გამოთალა ხურომან ეჩოთა, არამედ ბრძანე, რაათა, შე-რე-სახონ.

(126 ჟ) და ცნა მეფემან, რამეთუ ეკიცხევს, და აღივსო გულის-წყრომითა და ბრძანა, რაათა დაწუნენ თუალნი მისნი ცეცხლითა და ასონი მისნი დაჭრენ მახვლითა. მიუგო წმიდამან მან და ჰრქუა: კეთილად ჰყავ, შ წარწყმედილო, რამეთუ დააბრმენ თუალნი ჩემნი, რაათა არა ვხედვიდე მე ბილწსა მაგას პირსა⁴ შენსა, რაჟამს მტანჯვიდე მე, რამეთუ ღმერთი რომელი ივმობის შენ მიერ, მომცეს მე ძალი შენ ზედა და მამასა შენსა ეშმაკსა ზედა, რომელმან-იგი გაცთუნა შენ.

და შეძრწუნდა მეფე სიტყუასა ზედა მის წმიდისასა და იქმნა, ვითარცა ცოფი, და ბრძანა, რაათა აღვადონ ტყავი თავისა მისისა. მიუგო მას წმიდამან მან და ჰრქუა: კეთილად ჰყავ, რამეთუ განაგდე ცოდვად თავისაგან ჩემისა. და კუალადცა მომკუთენ ყურნი ჩემნი, რაათა არღარა მესმეს მე შეგინებული კვამი შენი; და ენადცა ჩემი მომკუთეთ, რაათა არღარა ვიტყოდი შენ თანა. დაღათუ კელნი და ფერგნი ჩემნი მომჭრენ, ვერ შემიძლო მე განწორებად უფლისა ღმრთისა ჩემისაგან, რომლისა მოღრკების ყოველი მუტლი, და ყოველი ენა აღუარებს მას კმითა გალობისადათა.

¹ უშულოლასა A. ² მისსა A. ³ მეფე A. ⁴ პირსა] კერპსა A.



მაშინ ბრძანა ანტიოქოს მეფემან, რაათა მოჰპრნენ¹ ყოველნი ასონი მისნი და იყო ტანჯვად წმიდისად მის ღიცხელ, და შთაადგეს იგი ტაბაკსა, ვიდრემდის დაიწუა. და იყო საკრველი დიდი დედაკაცისა მის, დედისა მათისაჲ, რაჟამს იგი დგა და ჰხედვდა შუღთა მათ შვილთა თვსთა, რამეთუ შეჰყვანდეს თითოეთ-
 5 ლად, ვითარცა კრავნი, და ჰხედვიდა რომელთამე მოკლულთა და რომელთამე ცოცხალთა, და არა იცვალა გული მისი, არცა შეძრწუნდა, არამედ უხაროდა მას, რაჟამს დაიმკვდრეს მათ სასუფეველი ცათაჲ აბრაჰამის თანა, ისაკის თანა და იაკობის თანა, რამეთუ გული მტკიცჲ მახვლმან ვერ განკუეთოს.

და იყო შიში დიდი ამისთვის ქუეყანასა ანტიოქიისასაჲ, და მრავალთა ჰრწმენ-
 10 ნა უფალი, რომელსა უბერიან ცანი და ქუეყანად და ყოველი, რად არს მას შინა. და აღიმადლა მკაცბელმან მან დედაკაცმან კმაჲ თვისი და თქუა: ღმერთო ცათო და ქუეყანისაო, შენ მიერ ძრწვიან მთანი, და შენ ჰყვენ ყოველნი ნათესავნი მა-
 დიდებელ სახელისა შენისა ცხოველისა მარადის; შენ, რომელმან უჩუენენ ეხე-
 კიელს წინაწარმეტყუელსა ყოველნი იგი გუჟანი კაცთანი, (ჟ) შენ მოიხილე
 15 ჩუენ ზედა სახიერებით.

და ბრძანა მეფემან, რაათა წარმოადგინონ მეხუთჲ. და შეეშინა ტანჯვისაგან მისისა და აღასრულა იგი და შეჰრთო მოყუასთა მისთა თანა. და ბრძანა მეფე-
 მან, რაათა შეიყვანონ მისა მეექუსჲ იგი. და იწყო დედამან მისმან სწავლად მისა და თქუა: გმადლობ, შენ, უფალო, რამეთუ ხუთნი სანთელნი ჩემნი ბრწყინენ
 20 ცათა შინა, ვერ შეუძლო მათ ქარმან უღმრთოებისამან დაშრეტად. და აწცა შენ, ძეო ჩემო მეექუსეო, დაუთმე სიკუდილსა და სცხოხდე უკუნისამდე. იქმენ, შვი-
 ლო ჩემო, მსგავს ძმათა შენთა, რამეთუ შენ მსგავს ხარ დღესა მეექუსესნა, რომელსა შინა შექმნა ღმერთმან კაცი იგი პირველი ადამ, რომელი ამაღლდა² და
 დამდაბლდა. განიფრთხე აწ და ნუშევა ვაკეთუნებს მტერი ბოროტი, რაათა არა
 25 გარდამოჰვარდე სიმაღლისაგან. ადამ ისმინა ევაჲსი და გარდამოვარდა იგი გუე-
 ლისა მიერ. ხოლო შენ, შვილო ჩემო, ისმინე კმაჲ დედისა შენისაჲ და დაიმკვდ-
 რო სასუფეველი უკუნისამდე ძმათა შენთა თანა ერთობით.

ძიუგო წმიდამან მან დედასა თვსსა და ჰრქუა: კმა არს, დედაო³ ჩემო, სწავე-
 ლად ევე შენი ჩემდა მომართ, რამეთუ მნებაჲს მისლევად ძმათა ჩემთა თანა, და
 30 ნუ დამაგვანებ მე, დედაო ჩემო, გზასა ჩემსა.

მაშინ ბრძანა მეფემან, რაათა წარუდგინონ მას ძმ იგი მისი მეექუსჲ. და ვითარ დადგა წმიდაჲ იგი წინამე მისაჲ, ძიუგო და ჰრქუა მეფესა: აწ ამიერთგან განმავლინე მე ამის საწუთრომსაგან; შ მეფე, გამოიღე მახვლი შენი რკინისაჲ და დასთხიე სისხლი ჩემი კელითა შენითა და დაბძარენ თირკუმელნი ჩემნი. ჰრქუა
 35 მას მეფემან: არა მნებაჲს მე მოკლევად შენდა, არამედ განზრდად ჩემ თანა, რაათა ჰყო ნებაჲ ჩემი და ჰშუამო გორცი ღორისაჲ. განიღმა წმიდამან მან და ჰრქუა მეფესა: შენ ხარ მგელი მტაცებელი და მატუერი ყოველთაჲვე, ხოლო ჩემგან ვერ მიიღო ნებაჲ შენი და ვერცა მატუენო მე, არამედ აღრე ყავ შენ, რაათა წარვიღე ძმათა ჩემთა თანა, და წარმოავლინე⁵ (127 კ) შემდგომად ჩემსა ძმად
 40 ჩემი უმარწმესი და შემდგომად მისა⁶ — დედა ჩემი წმიდაჲ.

ჰრქუა მეფემან მოწამესა მას: გამოყავ ენაჲ შენი! და აღალო წმიდამან პირი და გამოუყო ენაჲ თვისი. და იყო პირი მისი ბრწყინვალჲ, ვითარცა რომელსა უსუამნ ღვნობ. და ვითარცა იხილა მეფემან და მუნ მყოფთა მათ, დაუკვრდა ფრიად და შეეშინა. და ვითარ მოჰყუეთეს ენაჲ მისი, სდიოდა სისხლი ფრიად.

¹ მოპრნენ A. ² ანტიოქისა A. ³ ამაღლდა A. ⁴ დედა A. ⁵ მისსა A. ⁶ წარმოავლინე A.



ხოლო ნათობდა პირი მისი, ვითარცა ელვაჲ. და თქუა მეფემან უმჯულთაჲნი ვიდრე მე და დავეცი ყრმათაგან. და ვითარ ვცნათ ძალი ღმრთისა ჩუენისაჲ, რომელსა ვამსახურებთ ჩუენ? ხოლო მეფე იგი, ვითარცა ძალი ხარბი ჰამს გუამთა და სუამს სისხლთა და ვერ განძღების, ეგრეთვე იყო ესე უმჯულოჲ.

ხოლო იგი აღფრინდა და მიიწია ბუღეთა მათ ზეცისათა და განსუენა.

და იყო ძრვად დიდი ქუეყანასა მას ანტიოქიისასა და საკრველებაჲ, რომელი არასდა ყოფილ არს ესევითარი საკრველებაჲ მოთმინებასა ზედა მის დედაკაცისასა და შედოა მათ ძეთა მისთასა, რამეთუ ერთსა დღესა შინა აღესრულნეს, რამეთუ იყო ბუნებით დედაკაც, ხოლო გონებითა და სიმკნითა მამაკაც, რამეთუ არა გარდამოვარდა თულთა მისთა წუეთი ერთი ცრემლი.

და დამთა ამ იგი მისი უმარწყმესი. ხოლო დედასა მისსა ეშინოდა მისთვის და განაძლიერებდა მას და ევედრებოდა ღმერთსა მისთვის, რაათა არა მოსწყედეს ძმათა მისთა, და ითხოვდა, რაათა სრულ იქმნას, რამეთუ ეშინოდა; ნუუკუე შეეგბას მახესა მის ბოროტისასა ყრმა იგი.

ხოლო ჯდა მეფე შეძრწუნებული და შეშინებული წარწყმედასა ზედა მათ წმიდათასა. და იყენეს ყოველი იგი მდებარე წინაშე მისა. და ბრძანა შემოყვანებაჲ მცირისად მის, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ სძლოს მას. და წარმოდგა წინაშე მისა. და სირცხლეულ იქმნა მეფეჲ, ვითარცა-იგი სირცხლეულ იქმნა ეშმაკი, მამად მისი, იობისგან მართლისა. და უნდა მეფესა, რაათამცა დაუტევა

ყრმა იგი დედასა თვისსა, და შურდა, რაათა არა სირცხლეულ იქმნეს გარეშომად მდგომარეთაგან მის ყრმისა მიერ. (ჟ) და ჰრქუა დედაკაცსა მას: შეიწყალე სიბერე შენი ამის ყრმისა მიერ, მ დედაკაცო! რახსა-მე უწყალოა ხარ? დაუტევე ტევანი ერთი შენთვის და თავი ერთი, რაათა იყოს შენდა ნუგეშინის-საცემელ და უკუეთუ შენ არა შეიწყალო შვილი შენი, მე ვითარ შევიწყალო? რამეთუ არს იგი ჰასაკითა შენეიერ, ვითარცა კვაროზი. მ დედაკაცო, რადა გულფიცხელ ხარ და უწყალო ამის მცირისათვის! და ჰგონება დაწყეული იგი; რაათა იქმნეს ნებაჲ მისი, და ევედრებოდა დედაკაცსა მას.

მაშინ ჰრქუა დედაკაცმან მან მკაბელმან: მე ვეტყვ; უკუეთუ ყოს ნებაჲ ჩემი. და ჰრქუა ძესა თვისსა: ისმინე, შვილო ჩემო, სიტყუად დედისა შენისაჲ, და ნუცა გაცთუნებს შენ მეფე ესე ანტიოქოს მაცთური, რაათა არა განგაშოროს პატივსა ძმათა შენთასა. ეკრძალე, შვილო ჩემო, და ნუ იძლევი; მოიკსენენ ძმანი შენნი, ვითარ-იგი დაუთმეს სატანჯველთა და არიან ივინი დღეს განსუენებასა შინა, ვიდრე უკუნისამდე, რამეთუ სატანჯველი მცირედ ქამისად არს, ხოლო განსუენებაჲ — უკუნისამდე, და ნუ არცხუენ დედასა შენსა, მ შვილო ჩემო ტკბილო.

ხოლო მეფე ჰგონებდა, ვითარმედ ამცნებს, რაათა ყოს ნებაჲ მეფისაჲ. და ვითარ აღასრულნა სიტყუანი თვისნი, ჰრქუა მას ძემან მისმან: მ დედაო ჩემო, დაგვანებულ ვარ ძმათა ჩემთაგან და აწ იღეს ვეწიო მათ? არამედ გენმიტევე მე აწ, რაათა მივიღე მე მათ თანა.

და ჰრქუა მას კუალად: იხილე, შვილო ჩემო, რამეთუ მე გიტვროე მეცლითა და გაწოებდ ძუძუთა და ვიჭირვოდე შენთვის; ნუ მარცხუენ მე და ნუცა

1 წინა A. 2 ხოლო მეფე იგი, ვითარცა] რამეთუ A. 3 ეგრეთვე იყო ესე უმჯულოჲ]— A. 4 ბუღეთა A. 5 მისსა A. 6 ნუგეშინისაცემელ A. 7 რამეთუ სატანჯველი მცირედ ქამისად არს, ხოლო განსუენებაჲ—უკუნისამდე]—A. წინა „უკუნისამდე“ს უღელუნება და ვადამიტე რა მეთრეზე.



საქართველო

შემაწუხებ სიბერესა ჩემსა, არამედ მივედ ძმათა შენთა თანა მშვიდობითა და სიყვარულითა შენდა, საფასეო ჩემო, ვითარმცა გამოიტყუენე მტერისაგან; ნუ იყოფინ შენდა, შვილო ჩემო, ვითარმცა მოგვედა გვრგვინი შენი მოყუასთა შენთა შორის; ნუ იყოფინ შენდა, სანთელი ჩემო, ვითარმცა დაივსე ძმათა შენთა შორის; ნუ იყოფინ შენდა, მთიებო¹ აღმოსავლისაო, ვითარმცა დაბნელდა ბრწყინვალეებად შენი ძმათა შენთა შორის; ნუ იყოფინ, ვითარმცა განეშორა დღჳ შენი ძმათა შენთაგან, (128 ჟ) რამეთუ შენ ხარ მეშვდჳ დღჳ, რომელსა შინა აღასრულა ღმერთმან საქმჳ ცისა და ქუეყანისა და განისუენა საქმეთა მისთაგან წმიდათა. შენ ხარ დღჳ იგი მეშვდჳ, და შენ მიერ განვისუენო მე ურვათაგან ჩემთა და მივემთხო სიხარულსა მოხუცებულებასა შინა ჩემსა, და შემდგომად შენსა არღარა მეუფლოს მე მწუხარება.

მაშინ შეპრისხნა წმიდა დედასა თვისსა და პრქუა: წარვედ ჩემგან, რადასახე დამაყოვნებ მე მიწვენად ძმათა ჩემთა? ოდეს მივეწიფო? რამეთუ სავაჭროა მათი წარმართებულ არს, და მე აქა ცუდად დაშთომილ ვარ; ნავი ძმათა ჩემთაა შესრულ არს სიღრმესა ზღვისასა, და ოდეს მივეწიფო, ჳ დედაო ჩემო, რამეთუ დამაყოვნე?

და ვითარცა აღასრულა სიტყუა მისი წმიდამან, მიჰხედა მას უღმრთო მან და მაცთურმან ანტიოქოს მეფემან და ჰგონებდა, ვითარმედ დამორჩილა ბრძანებულსა მისსა. მაშინ მიუგო წმიდამან მან და პრქუა: ჳ მეფე; დამაყოვნე მე ძმათა ჩემთა, წარმავლინე მე მათა, რამეთუ მელიან იგინი მე. და უწყებულ იყავ მე მეფე, ვითარმედ სიტყუა ქენებისა შენისა ვერ შემძლებელ არს განშორებად ჩემსა სარწმუნოებასა ღმრთისა ჩემისასა, რომელსა სიყრმით ჩემთაგან ვადიდებ სახელსა მისსა, და მე მივეწიფო მისსა სასუფეველსა ცათასა, რამეთუ სურვიელ არს სული ჩემი ბილვად მისა. მომიც მე ნაწილი ძმათა ჩემთა თანა და ნუ მაყოვნებ მე და უწყებულ იყავ, ჳ მეფე, ვითარმედ არა განერე სატანველთაგან. რომელნი განმზადებულ არიან შენოვს.

და ვითარცა ესმნეს მეფესა სიტყუანი მის ყრმისანი, განცხვრებულნი სიციხვლეულ იქმნა გარემო მდგომარეთაგან და უბრძანა დაჭრა წმიდისა მის. მაშინ მოიცივეს იგი უშჯულოთა მათ, ვითარცა ძალთა ქურციკი, და აღმოჰკადხეს² თუალნი მისნი და მოჰკრნეს³ ყურნი და მოჰკუთენეს ჳელნი და ფერქნი მისნი ბოროტთა მათ.

მაშინ მოიწია ჴეცით ვმა საწინელი მისა და პრქუა: განმტყცენ და მხარულ იყავ (4) და აღმოვედ ჩემდა და სიხარულით მიიღე გვრგვინი შენი ყოველთა წმიდათა თანა, რომელნი გელიან შენ. და ვითარცა იხილნა⁴ წმიდამან მან დედაკაცმან მკაბელმან არწიენი თვისნი მისრულნი ბუდედ თვისა და ტრედნა მისნი საყოფლად მათა, მხიარულ იქნა და იხარებდა და გალობდა და ჰმადლობდა ღმერთსა, რომელმან მისცა ძალი და მოთმინება და სრულყო ღუაწლი მათ წმიდათა. და იყენეს შევნივე ძენი მისნი მოკლულნი და დაყრილნი წინაჳ მისა⁵.

და შეკრბა კრებულა დიდძალი ბილვად დიდსა მის საკვრველებასა, რომელ⁶ ეგვეითარი ჰრასადა ეხილვა ქუეყანასა ჴედა. და შემდგომად მისა, ვითარცა ცხუშჯულომან მან მეფემან, ვითარმედ იძლია წმიდათა მათგან, ბრძანა ტანჯვა დედისა მათისა. ხოლო წმიდა დედაკაცი მკაბელი მხიარულ იყო, ვითარცა ვის უყოფიედ ქორწილი შევალთა თვისთა.

¹ მთიო A. ² აღმოკადხეს A. ³ მოკრნეს A. ⁴ იხილა A. ⁵ მისსა A. ⁶ რომელი A.

მაშინ თქუეს კაცთა მათ მის ადგილისათა: ვითარ-მე არა დაიცუნეს ესე მათი სატანჯველთა ამათვან, ვითარ ყრმანი იგი ბაბილონისანი? და იყო მათ შორის ცილობა დიდი და განწვალეზა. და ამის გამო მრავალთა ჰრწმენა ჰქმარიტი ღმერთი, რაჟამს-იგი წმიდათა მათ ღმრთისათეს მისცუნეს გორცნი მათნი მახვლსა და ცეცხლსა, და მცნებისათეს, რომელი ამცუნეს წინაწარმეტყუელთა ძეთა ისრაჴლისათა.

და მაშინ სრულ იქმნა ღუაწლი დედაკაცისაჲ მის მკაბელისაჲ და შვდთა ძეთა მისთაჲ, და ღირს იქმნეს სასუფეველსა ცათსა. და განთქუა საკრველზეჲ დედაკაცისაჲ¹ მის წმიდისაჲ ქუეყანასა მას ანტიოქიისასა². და ყოველთა, რომელთა ესმა მისთვის, ჰრწმენა ღმერთი და განმტკიცებოდეს. და მრავალნი მისცემდეს თავთა მათთა სატანჯველთა ღმრთისათეს და განაკრვებდეს მეფესა მას უმჯულოსა, და შეკრებოდეს მორწმუნენი ყოველსა ადგილსა და ჰყოფდეს საჯსენებელსა და დღესასწაულსა მათთვის.

(129 ო) და ამას (ჰყოფდეს) შეწვევითა ღმრთისაჲთა, რომლისა მიერ სრულ იქმნა ღუაწლი მათი ქუეყანასა ანტიოქიისასა² მეფესა მიერ უმჯულოესა ანტიოქონისა. თთუესა აგუსტოსსა ბ აღესრულებს საჯსენებელი მათი, და იღიდების ღმერთი, რომლისაჲ არს დიდებაჲ, და ჰმუენის თაყუანის-ცემად და მადლობაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

გაგოკვლევა

„წამება შვდთა ყრმათა მკაბელთა და დედისა მათისაჲ“ ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. (მისი მთავარი შინაარსი აღებულია ბიბლიური მკაბელთა II წიგნის მე-7 თავიდან). ჩვენში იგი დაცულია ორ ხელნაწერში: Sin. 62-ში (ფ. 120r—129r) ზემოთ მოყვანილი სათაურით და A 95-ში (გვ. 1026a—1043b) ოდნავ სხვა სახელწოდებით: „სიმკნეშ და მოღუაწება წმიდათა შვდთა ძმათა მკაბელთაჲ და დედისა მათისაჲ“.

არსებობს ამ ძეგლის რუსული თარგმანიც: „Страдание святых ветхозаветных мучеников: Элеазара священника, семи братьев Маккавеев, матери их Соломонии и иных с ними“³. მაგრამ, როგორც სათაურიც უჩვენებს, ეს მეტად განსხვავებული ძეგლია და ქართულ ენაზე შემონახულ ჩვენს ნაწარმოებთან ერთობ შორეული ნათესაობა აქვს, ისიც ბოლო რამდენიმე გვერდზე. ამიტომ იგი ქართულ ვერსიასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევაში ნაკლებად დაგვეხმარება.

კ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს, რომ ოქსფორდის ბოილეს ბიბლიოთეკაში არსებობს ამ ძეგლის სხვა ვარიანტი, რომელიც სულ სხვანაირად იწყება: „სიბრძნისმეტყუელებისა სიტყუასა მეგულების თქუამად და გამოჩინებად“ (ბოლდ. ფ. 313—332, Confer. BHG, 1006)⁴, მაგრამ; სამწუხაროდ, ჩვენი ტექსტის დამზადებისას მასზე ხელი არ მიგვიწვდებოდა.

¹ ა მერმეა ზემოდან დამატებული. ² ანტიოქიისა A.

³ «Жития святых», XII, 1911, стр. 12—27.

⁴ კ. კეკელიძე, მბრძანებო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, გვ. 132.



რ ე ლ ა ქ ი ა

როგორია თვით ჩვენი დაცული ქართული ძეგლების რედაქციული ურთიერთობა? თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლექსიკურ-გრამატიკული და ორთოგრაფიული ხასიათის მეტად უმნიშვნელო განსხვავებებს, უნდა ითქვას, რომ ეს ორი ძეგლი ერთი რედაქციისაა: ერთია მათი მოცულობა, შინაარსი, ამბავთა თანმიმდევრობა, ლექსიკა და გრამატიკული ფორმები. ეს მსგავსება იმდენად დიდია, რომ შესაძლებლად მიგვაჩნია, დავუშვათ: ერთი მათგანი მეორისაგანაა გადაწერილი, სახელდობრ, Sin. 62-ში დაცული ძეგლი (რომელსაც A ლიტერით აღვნიშნავთ) დედანი უნდა იყოს, A 95-ში წარმოდგენილი კი (=B)—იქიდან გადაწერილი პირი. ამ აზრს არ ეწინააღმდეგება ჩვენი ძეგლის შემცველ ხელნაწერთა სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული დათარიღება: Sin. 62 X საუკუნისად მიაჩნიათ, A 95 კი —X—XI-სად (უფრო ზუსტად X—XI ს-ის I მეოთხედისად).

მაინც როგორია ეს განსხვავებანი? აი მთავარი მათგანი:

ს ლექსიკა

A	B
აიძულებდა მეფე იგი უშჯულო ანტიოქიას შინა 29, 16 ...ანტიოქოს.	
შეხაცვლება გრაფიკულ ნიადაგზე უნდა იყოს მომხდარი: ანტიოქოს — ანტიოქიას. ამის შემდეგ ბუნებრივი იყო, შინა დაემატებინათ.	
რეჟამს მიილტოდა სამწყსო-საგან ცხოვართადასა 29, 31	...მიივლინა...
ნუ გეშინნ, ორბნო ჩემნო ფრთე-მალენო 30, 40	...მალენო.
მალე ძველ ქართულში სწრაფს, ჩქარს, აღნიშნავდა. დღეს მალი და ფრთამალი ითქმის.	
რათა წარხვდეთ 31, 6	და წარხვდეთ.
რათა არა ვხედვიდე მე ბილწსა მაგას კერპსა შენსა 35, 32	...პირსა...
ქუეყანასა ანტიოქიისასა 36, 9	ქალაქსა მას...
შეპროთ მოყუასთა მისთა თანა 36, 17	...მათა მათ თესთა.
რასათვს და მაყოცნებ მე 38, 13	...დამაყოცნებ მე.
ოდეს მივეწიფო 38, 13, 15	...ოდეს მივეწიო (ორჯერ).
კაცთა მათ მის ადგილისათა 39, 1	...მუნ მდგომარეთა.

უფრო ხშირია ჩემი და ჩუენი ნაცვალსახელებს მონაცვლეობა, როცა ისინი ღმერთს განსაზღვრავენ:

უფლისა ღმრთისა ჩემისა 31, 10 ...ჩუენისა.

მაგრამ ასეთი შენაცვლება თვით ერთსა და იმავე ძეგლშიც არანაკლებად

გვხვდება. ამიტომ მსგავს ლექსიკურ წყვილებს არ შეუძლია რედაქციულ-ტექნიკური გადამამუშავებაში რაიმე მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს.

ამგვარივეა აგრეთვე მისი და თვისი ნაცვალსახელებიც, ამიტომ აქ მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანით დაკმაყოფილებით:

შხედვიდა შვლთა მათ შვილთა თვისთა 36, 4 ... მისთა.

4. გრამატიკული ფორმები

სხვაობა, ბუნებრივია, უფრო მეტია გრამატიკული ფორმების მიხედვით. აქაც მხოლოდ უმთავრესი მათგანით შემოვიფარგლებით. მაგალითებს აქაც ტექსტის რივით წარმოვადგენთ.

ამათ ... და პქსნეს საქმენი მისნი ბოროტნი 29, 24 ... და პქსნნეს!

საერთოდ ბგერათა (ასოთა) დაკარგვა გაცილებით უფრო მეტად ახასიათებს სწორედ B ხელნაწერს.

მიილტოდეს 29, 30 მიივლტოდეს.
განამტკიცენით გულნი თქუენნი განიმტკიცენით...
30, 22

ქართულად სათავისო ქცევის ფორმა (განიმტკიცენით) უკეთესია, ვიდრე საარვისოსი. ასეთივე მაგალითია კიდევ შემდეგი:

შეაწყვენით ფრთენი თქუენ- შეიწყვენით...
ნი ურთიერთს 31, 1

დღეს ასეთ შემთხვევაში სასხვისო ქცევის ფორმას ხმარობენ: შეუწყვენით.

ვითარ-იგი აღიზარდენით ... აღგზარდენ... (მოქმ.).
თქუენ (ენებ.) 31, 8

რათა შემოგიდგენ კუალსა ... მოგიდგენ...
შენსა 32, 10

აღფრენილნი ზე 32, 12 აღფრინებულნი...
რომელი სცემს და განრყუნის ... განპრყუნის...
მორწმუნეთა 32, 37

რომელსა არა გეშინის ღრთი- ... ეშინის ღმრთისა.
საგან 33, 43

ცეცხლი გეჰენიისაჲ 34, 4 ... გეჰენიისაჲ.

პირველი კვეცავს უცხო ენის სახელს, მეორე — არა. შდრ. დღევანდელი მერყეობა: იუბილის და იუბილეს (ნათ. ბრ.), კუბის და კუბეს, კლიშის და კლიშეს, კომუნის და კომუნის; კაშნის და კაშნეს, დეკოლტის და დეკოლტეს, კაბარის და კაბარეს, ატაშის, და ატაშეს, პენსნის და პენსნეს, პიურის და პიურეს, ტურნის და ტურნეს და სხვა. კანონით ეს უცხო ენის სიტყვებიც ქართული სახელების მსგავსად უნდა შეიკვეციოთ (სირბილე — სირბილის = იუბილე — იუბილის,

¹ აღსანიშნავია, რომ B-საც ჯერ ერთი B დაუწერია (ასე გადმოიწერა A-დან), მაგრამ შემდეგ შეუნიშნავთ ეს შეცდომა და ზემოდან დაუწერიათ მეორე B (დაპქსნნეს). ესეც ერთგვარად მიუთითებს, რომ B-A-ზეა დამოკიდებული.



გუბე — გუბის = კუბე — კუბის, მონაგარიშე — მონაგარიშის = კლიშე — კლი-
შის, მეურნე — მეურნის = ტურნე — ტურნის...), მაგრამ ამაზე უფრო ფარ-
თოდ სხვაგან გვექნება საუბარი.

კეთილად ჰყოფ 34, 11 ...ჰყავ.
აღკედ აწ ტაბაკადვე 34, 14 ...ტაპაკსავე.

ამ ფუნქციით ვითარებითი (ტაბაკად) და მიცემითი (ტაბაკა) ძველ ქარ-
თულში ხშირად ენაცვლება ერთმანეთს. უფრო ძველი ვითარება აქაც A ხელნა-
წერს აქვს დაცული, მიცემითი ამ შინაარსის გადმოსაცემად შედარებით გვიან-
დელია. დღეს სწორედ მიცემითი გვაქვს (თანდებულთ ან, იწვითად, უმისოდ:
წავიდა მოსკოვში, გაემგზავრა მოსკოვს).

შენ, მეფე, დამპკრნე კორცნი ...დამპკრნე კ. ჩუენნი...
ჩემნი 34, 16
დამოიპკრნენ ყოველნი თათნი ...მოპკრნენ...
მისნი 34, 40
რამთა მოპკრნენ ყოველნი ასონი ...მოპკრნენ...
მისნი 36, 1
რამთა წარუდგინონ მას მშ ...წარმოუდგინონ...
ეგი მისი 36, 31

არა მნებაეს მე მოკლვად შენდა, არამედ განხრდად 36, 35...
მოკლვაჲ შენი, არამედ განხრდაჲ.

ძველ ქართულში ამ ტიპის ზმნებთან (მნებაეს, მინებს, მსურის, მწადის,
მგულების...) საწყისი ჩვეულებრივ ვითარებით ბრუნვაშია წარმოდგენილი,
როგორც გვაქვს კიდევ A ხელნაწერში. სახელობითის გამოყენება უფრო გვიან-
დელი მოვლენაა (B ხელნაწ.). დღეს ასეთ შემთხვევაში მხოლოდ სახელობითი
ინმარება (მინდა წასვლა, მათურს კურდღლის მოკვლა, მწადია შორეულ ქვეყნებ-
ში მოგზაურობა...).

გამოთყო ენაჲ თესი 36, 42 გამოყო...
არა გარდამოპკარდა თუალთა მისთა... ცრემლი 37, 10 ...გარდა-
მოკარდა...

წუეთი ერთი ცრემლი 37, 10 ნაწუეთი ერთი ცრემლი.
ნუცა შემაწუხებ სიბერესა ჩემსა 38,1 ნუცა შეაწუხებ...
და აღმოკადნეს თუალნი მისნი 38, 29 აღმოპკადნეს...
და ვითარცა იხილა წმიდამან მან დედაკაცმან
მკაბელმან არწიენი თესნი მისრულნი ბუდედ თესა
და ტრედნი მისნი საყოფლად მათა, მხიარულ იქმნა 38, 39 ...იხილა...

ასეთ შემთხვევაში ნ-ს დაკლება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ნარიან მრავ-
ლობითში დასმული პირდაპირი ობიექტები (არწიენი, ტრედნი) კარგა დიდი მან-
ძილით არის დაშორებული ზმნისაგან, რომელიც წინ დგას. ამ ზმნიდან პირდა-
პირ ობიექტამდე 4 სიტყვაა და გადამწერმა ჯერ არ იცის, რომ პირდაპირი ობი-
ექტი სწორედ ნარიან მრავლობითშია დასმული. ეს არის ერთგვარი შესაძლო
ახსნა. ხანდახან ეს ნ არა ჩანს პირდაპირ ობიექტთან უშუალო მეზობლობაშიც.
მსგავსი მაგალითები სხვაც მოიპოვება, მაგრამ საერთო სურათის წარმო-

სადგენად აქ მოყვანილიც საკმარისია. ეს, რა თქმა უნდა, არ იძლევა საკმარის საფუძველს A და B ხელნაწერებში დაცული ტექსტები სხვადასხვა რედაქციად ჩათვალოთ. ძეგლში, როგორც ითქვამს, ძირითადად ორივეგან ერთნაირია ტექსტის მოცულობა, შინაარსი, მისი მთავარი შემადგენელი ნაწილები, ცალკეული ელემენტები, თანამიმდევრობა: შიგ არა გვაქვს სხვადასხვა მონაკვეთები თუ ნაწყვეტები; ერთია ლექსიკა, გრამატიკული ფორმები და ენის მთელი ქსოვილი. ერთი სიტყვით, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ერთ კარგად გამოკვეთილ რედაქციასთან. ეს ასეც უნდა იყოს, თუ სარწმუნო იქნება მოსაზრება, რომ B ხელნაწერში დაცული ტექსტი გადმოწერილი უნდა იყოს A-ში წარმოდგენილისაგან.

ქ ე გ ლ ი ს ე ნ ა

ჩვენი ძეგლი, როგორც აღნიშნული გვაქვს, დაცულია X საუკუნის ხელნაწერში (Sin. 62). იგი ქართულად გაცილებით ადრე უნდა ეთარგმნათ. მართლაც ძეგლი ნათლად წარმოგვიდგენს ძველი ქართული ენის მწყობრ სახეს, რომელიც ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო ხელნაწერებით არის ცნობილი. ეს არქაიზმი ხელშესახებად ჩანს ლექსიკაშიც და გრამატიკულ ფორმებშიც.

ლ ე ქ ს ი კ ა

აღნიშნული არქაიზმის მაჩვენებელი ლექსიკური ერთეულებია:

ა კ ა-ა 34, 6.

ა რ წ ი ვ-ი 38, 35. აქვეა ო რ ბ ი-ც 30, 40. ორივე ერთი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი, სინონიმებად. ერთჯერ (დასაწყისში) მკაცბელი დედა თავის შვილებს მიმართავს: ნუ გეწინნ, ო რ ბ ნ ო ჩემო ფრთე-მალენო (30, 40). ხოლო მეორედ (ბოლოს), როცა შვიდივე შეიღმა ვაჟკაცურად დადვა თავი მამა-პაპათა რწმენის დასაცავად, თვით ავტორი გადმოგვცემს: და ვითარცა იხილნა წმიდამან მან დედაკცმან მკაცბელმან ა რ წ ი ვ ნ ი თჳსნი მისრულნი ბუდედ თჳსა, ...მხიარულ იქმნაო (38, 35).

ა ლ უ ვ ა ლ-ი 31, 2 მიუღღამელი, მიუვალი, აუსვლელი (სიძაგრე).

გ ა ვ ა ზ ი 32, 14; 33, 21. ეს ფრინველი საკმაოდ მუქი ფერებით და ზიზღით არის დახატული და სათანადო ეპითეტებით შემკული: გავაზისა განმრყუნელი ის ა 30, 43, და ვერ გეწიოს თქუენ გავაზი იგი ბ ო რ ო ტ ი 32, 14, ტრედი ერთი დაიცვა გავაზისაგან განმრყუნელისა 33, 21, ორნი მართუენი ტრედისანი განერნეს ბორიტსა აჰას გავაზსა 34, 22. მიაქციეთ ყურადღება: განერნეს ძველებურად ორპირიანად არის გაგებული და ამიტომაც: განერნეს ბორიტსა მას გ ა ვ ა ზ ს ა და არა გავაზისაგან, როგორც გვაქვს ჩვეულებრივად. მაგრამ აქვეა უფრო ახალი გან თანდებულიანი ობიექტი, წარმოშობით ირიბი, მერმე — უბრალო: კრავი ერთი განერა მკეცი ს ა გ ა ნ 33, 20 (და არა: მკეცა); არა განერე სატანჯველთაგან 38, 25 (და არა: სატანჯველთა).

მ ე უ ლ ლ მ 34, 16: უღლის გამწვი ხარი. დღეს ამ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოებულია და ოჯახის ბურჯებს — ცოლსა და ქმარს ეწოდება. ჩვენს ძეგლში ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაა დამოწმებული.



საინტერესოა სინონიმური სამეული: და გ ვ ა ნ ე ბ ა 36, 30; 37, 38, და ა ვ ე ნ ე ბ ა 38, 13, 19 და და ყ ე ნ ე ბ ა B.

ასევე სინონიმური წყვილებია და ვ ს ე ბ ა 38, 4 და და შ რ ე ტ ა 30, 35; 35, 14; 36, 20, რომლებიც ძველში მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი.

და ი ც ვ ა 33, 21 ვნებითა (დაცულ იქნა) და დღეს ამ შინაარსით (გნებითად) არ იხმარება. ბევრ ასეთ ფორმას დღეს ვნებითის ორგანული წარმოება აღარ შერჩა (დღეს არ იხმარება: იგი აღმოიყვანა, იბოვა, შეიპყრა, დაივიწყა, განიკითხა, წარიტაცა... ამათ მავიურად საკმაოდ მოუქნელი აღწერითი წარმოება გვაქვს: ამოყვანილ იქნა, პოვნილ იქნა/აღმოჩნდა, შეპყრობილ იქნა, დავიწყებულ იქნა, გასამართლებულ იქნა, გატაცებულ იქნა...). ჩვენს ძველს აქაც არქაული ფორმა აქვს დაცული.

დე და ა-ე 30, 37 სამშობლო ქალაქი.

ე რ-მ არ ა ვ ა ლ-ი 30, 6 დღევანდელ ენაზე „ხალხმრავალი“ იქნება. მაგრამ ძველად ე რ ი იმავე დროს ჯ ა რ ს ა ც (ხინჯი) აღნიშნავდა. აქ სწორედ ამ გავებით იხმარება: მრავალჯარიანი, მრავალი მეომრის პატრონი.

ე ჩ ო-ე 35, 28. უფრო ძველად ე ჩ უ ა ე გვქონდა, შემდეგში უ ა კომპლექსი შეირწყა და ო მოგვცა. აქ ეს ახალი ფორმაა დადასტურებული.

მ კ ბ ე ნ არ-ი 32, 36 რაც იკბინება. აქ გველზეა ლაპარაკი.

ხშირად იხმარება პარალელურად (AB ხელნაწერებში) წ ი ფ და წ ი ვ ფუძეება:

მი ვ ე წ ი ფ ო A, მი ვ ე წ ი ო B 38, 13 (გვხვდება ორ-ორჯერ). დღეს ჩვეულებრივად წ ე ვ წ ი ვ გვაქვს: მი ვ ე წ ი ვი, დავიწვი, მი ვ ე წ ი ვ/ე, დავიწვი/ე. წ ი ფ ფუძე შემონახულია მო წ ი ფ უ ლ-ში, აგრეთვე მ წ ი ფ ე-ს ა და ხ ე ლ მ წ ი ფ ე-ში. მო წ ი ფ უ ლ ი — ასაკში შესული, მ წ ი ფ ე — მოსული, შემოსული (ხილი, ყანა...).

მო წ ყ დ ო მ ა ჩამოშორება, ჩამოცილება: ევედრებოდა ღმერთსა მისთვის, რათა არა მოს წ ყ დ ე ს ძმათა მისთა 37, 12.

ს ა ვ ა ჯ რ ო-ე 38, 13 საქონელი, товар, სავაჭრო საქონელი, სავაჭრო საქმე; საერთოდ საქმის კარგად წარმართვა.

ს ა მ კ ა უ ლ-ი 31, 13 ტანისამოსი.

ს ი მ ძ ა ფ რ მ 30, 43; 33, 12 სიძლიერე, ძლიერება.

ს პ ა-ე 30, 11 საკმაოდ იშვიათი სიტყვაა ძველ ქართულში.

ფ რ თ ე-მ ა ლ მ ო რ ბ ი 30, 40 ფრთამალი. B ხელნაწერში მარტივი მ ა ლ მ იკითხება, რაც იმავეს ნიშნავს. მ ა ლ ე დღეს ზმნიზებაა, ძველად ზედსართავი იყო: სწრაფი, ჩქარი. დღევანდელ ენაში ეს ფუძე თანხმოვნია — მ ა ლ ი და სწორედ იმავეს აღნიშნავს, რასაც ძველი მ ა ლ მ გამოხატავდა: სწრაფი, ჩქარი.

ქ უ რ ც ი კ-ი 38, 29.

ყ ე ფ ა-ე 30, 42.

შ ე ბ მ ა: ნუუყუე შე ე ბ ა ს მახესა მის ბოროტისასა ყრმა იგი: 37, 14 ვაი თუ გაებას მახეში. ამ სპეციფიკურ გამოთქმაში, როგორც ვხედავთ, ზმნა ძველად შე ზმნისწინით იხმარებოდა და, გვგონია, უფრო შესაფერიც იყო.

შ ე ზ ლ უ დ ვ ი ლ-ი 30, 38 გამაგრებული, შემოზღუდული.

ც ე მ ა კ ბ ე ნ ა (გველის, ფუტკრის... მიერ): (მე ვღვა) წინაშე გუელისა გესლიანისა და მკბენარისა, რომელი ს ც ე მ ს და განწყუენის მორწმუნეთა: 32, 37. ეს ზმნა ამ მნიშვნელობით სასხვისო ქცევის ფორმითაც იხმარება: ტანჯვად

მათი, ვითარცა ტანჯვად ღრიაკალისად, რაჟამს უცის კაცსა (გამოცხ. 9, 5 AB) რთა უკუნს ხოლმე.

ხარბი: ძალდი ხარბი ჭამს გუამთა და სუამს სისხლთა და ვერ განძლებს: 37, 3. ეს სიტყვა საკმაოდ იშვიათად იხმარება ძველ ქართულში. ამ იშვიათთაგანია სწორედ ჩვენი ძეგლიც.

7. გრამატიკული ფორმები

ძეგლის ენას აქაც შემოუნახავს საინტერესო არქაული ფორმები, რომლებიც ერთობ ძველი ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი და მოგვიანო ხანაში არ გვხვდება. აქ ვუჩვენებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ტექსტის რიგის მიხედვით.

1. ესე წარიღგინა შეილით ურთ წინაშე მეფისა მის უშულოდსა მტარვალთა მიერ მისთა: 29, 19. შეილით ურთ აქ ფორმით მხოლოდითშია, შინაარსით კი იგი მრავლობითს გულისხმობს—შეიდ შეილს. საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში ურთ თანდებულნი მოქმედებითი მრავლობითში არ იხმარებოდა, ამიტომ სახელის ფორმას (მრავლობითი) რიცხვის გამოხატვის უნარი არა ჰქონდა, ეს რიცხვი შინაარსის მიხედვით უნდა ყოფილიყო დადგენილი. აქაც ასეა: იგულისხმება მაკაბელი დედაკაცის 7 შეილი. მეორე: ურთ თანდებული ერთოდა მოქმედებითის მხოლოდ გაუერცობელ ფორმას, ემფატიკური მასთან შეუძლებელი იყო. მესამე: წარიღგინა—უძველესი ფორმაა, იგი ვნებითია და ამას ნიშნავს: წარდგენილ (მიყვანილ) იქნა (მტარვალების მიერ). დღეს ვნებითის ეს კარგი ორგანული წარმოება, სამწუხაროდ, აღარ გვაქვს და იძულებული ვართ ვნებითი აღწერითად გამოვხატოთ: წარდგენილი იქნა. სრულიად ასეთივე ფორმაა აგრეთვე დაიცვა (33, 21), რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით (გვ. 44). ინიანი ვნებითის ეს ორგანული წარმოება ტიპური იყო ძველი ქართულისათვის და ამგვარ სურათს კარგად გვიხატავს ჩვენი ძეგლის ორივე ვარიანტი.

2. ეშინის ფორმა ორპირიანი ვნებითია, ამიტომ მას უნდა ეწყობოდეს იგი მას (მას—იგი) საგუებლები. მაგრამ თვით უძველესი ქართულის ძეგლებში (მაგალითად, სახარების ენაში) გრამატიკული სუბიექტის ადგილას განთანდებულნი ნათესაობითი იხმარებოდა: ეშინის მას გუელისაგან, ეშინოდა ღმრთისაგან. ჩვენს ძეგლშიც ასეთივე სურათი გვაქვს: ნუ გეშინინ ამის გუელისა—წამლენისაგან: 30, 22; ნუ გეშინინ სატანჯველთა მისთაგან: 30, 23; ნუ გეშინინ... ძალდისა ამისგან ბორბტისა: 30, 41; ნუ გეშინინ... ამის ცოფისა ბილწისაგან: 31, 2; არა გეშინისა ჩემგან: 33, 42; შეეშინა ტანჯვისაგან მისისა: 36, 16; არა მეშინის მე შენგან, რომელსა არა გეშინის ღმრთისაგან: 33, 43. აღსანიშნავია, რომ B ხელნაწერში უკანასკნელ ხახვასმულ სახელს უკვე აღარ ახლავს განთანდებული და ოდენ ღმრთისა იკითხება (რომელსა არა ეშინის ღმრთისა). ეს რყევა და ყოყმანი შემდგომ და შემდგომ უფრო გაძლიერდა და დღევანდელ სალიტერატურო ენაში მხოლოდ ამნაირი უთანდებულო ნათესაობითი გვაქვს: გველის მეშინია, ძალდის მეშინია, დათვის მეშინია და სხვა. ძველებური განთანდებულნი ნათესაობითის ფორმები დღეს ცოცხალია ქართული ენის შთისკილოებში: მეშინია გველისაგან, ეშინია მგლისაგან, ნუ გეშინია დათვისაგან და სხვა.



ასევე უნდა ითქვას აგრეთვე ამ ზმნის მეწყვილეზეც: ნუ შე ს ძ რ წ უ ნ-
დე ბ ი თ... ამის არ მ უ ლ ი ს ა გ ა ნ მომავლისა: 31, 5.

3. ჩვენს ძეგლში გვხვდება არს ზმნის გამარტივების იშვიათი შემთხვევა:
რამეთუ ღმერთი თქუენ თ ა ნ ა ა: 30, 26 A. B ხელნაწერში ძველებური,
ხელუხლებელი ფორმაა დაცული: თქუენ თ ა ხ ა არს.

4. როცა რამდენიმე (ერთად მოქმედი) ადამიანის სახელი ერთადაა წარ-
მოდგენილი, ძველ-ქართულში ბრუნვის ნიშანს ჩვეულებრივ უკანასკნელი მათ-
გახი დაირთავს, სხვები ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ასეა ჩვენს ძეგლშიც:
ეთარცა სამნი ძმანი შენნი... მიემსგავსენს... ყრმათა მათ ბაბილონისათა ა ნ ა-
ნ ი ა, ა ზ ა რ ი ა და მ ი ს ა ე ლ ს: B. A ხელნაწერში უკვე ახლებური წესია
გატარებული: ბრუნვის ნიშანი ყველა მათგანს აქვს: ა ნ ა ნ ი ა ს, ა ზ ა რ ი ა ს
და მ ი ს ა ე ლ ს 35, 6. ძველი წესის დარღვევის პროცესი ადრე დაიწყო. ჩვენი
ძეგლის შემცველი ხელნაწერები ნათლად წარმოგვიდგენენ ამ კრულ სურათს.

5. ძველ ქართულში წ ი ნ ა შ ე, თ ა ნ ა. ზ ე დ ა, შ ო რ ი ს თანდებულება
ხან მიცემითს მოითხოვდნენ (წინაშე ჭუარსა, ზესა თანა, მთასა ზედა, შორის
ეზოსა), ხან ნათესაობითს (წინაშე ღრმთისა, მამისა თანა, კაცისა ზედა, შორის
ქმრისა და ცოლისა)¹. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანდებულთა ამ რიგს
განეკუთვნება აგრეთვე ყველაზე გავრცელებული შ ი ნ ა თანდებულებაც². ამის
ერთი მაგალითი ჩვენს ძეგლსაც შემოუნახავს: ღმერთი მამათა თქუენთაჲ გან-
ვიზადებს თქუენ სასუფეველსა ცათასა, რ ო მ ლ ი ს ა (რლ-ისა) შ ი ნ ა იხარებ-
დეთ უკუნისამდე: 32, 22 A. B-ში უკვე ჩვეულებრივი მიცემითია წარმოდგენი-
ლი (რ ო მ ე ლ ს ა შ ი ნ ა). ამ საინტერესო საკითხის ისტორიისათვის თითოეულ
ასეთ მაგალითს დიდი ფასი აქვს.

6. საზოგადო სახელი მ ე ფ ე ძველ ქართულში წოდებით ბრუნვაში არ და-
ირთავს ბრუნვის ნიშანს (ო-ს); იგი, როგორც ადამიანთა (საკუთარი) სახელი, აქ
ფუძის სახით არის წარმოდგენილი: მ ე ფ ე ერთია ქვეყანაში (სახელმწიფოში)
და ამიტომ იგი საკუთარ სახელად მიაჩნიათ. ეს ძველი წესია დაცული ჩვენს
ძეგლშიც, მაგალითად: უფროჲსლა შენ ისმინე ჩემი, მ ე ფ ე: 33, 2; შენ, მ ე ფ ე,
დამჭრნე გორცნი ჩემნი და დასთესნე ასონი ჩემნი ქუეყანასა: 34, 16.

უფრო ხშირად ამ სახელს წინ ერთვის მ შორისდებული. მაგრამ თვით სა-
ხელი მაინც უნიშნოა: მ შ ე ფ ე 35, 27; 36, 33; 38, 19, 21, 25. მართალია, ზოგ-
ჯერ მ ე ფ ე-ს ნაცვლად მ ე ფ ე გვხვდება (33,22; 35,27), მაგრამ არ უნდა
ვიფიქროთ, თითქოს აქ სახელობით ბრუნვასთან გვექონდეს საქმე. არა, აქ მხო-
ლოდ ე-სა და შ-ს ჩვეულებრივი მონაცვლეობაა, რასაც თვით უძველეს (ხან-
მეტ) ძეგლებშიც წააწყდებით ხოლმე აქა-იქ. მერმე და მერმე ჩვეულებრივია
შ-ს ხმარება იქ, სადაც ე არის საჭირო (ორ ძმ, დღშსა მას, დღშმან, დღშნი...),
და ე-ს გამოყენება იმ შემთხვევებში, სადაც თეორიულად და პრაქტიკულად
ძველი ტრადიციებით შ უნდა ყოფილიყო (სიმძაფრე მისი, მ ე უ ფ ე ჰურია-
თაჲ, ყოვნის ს ი ძ ე მოსღვად...).

7. ძველ ქართულში ხედვა ზმნას II სერიის მწკრივებში ზოგჯერ ე ნ—
ს უფიქსი ემატებოდა: მომხედენ, მიჰხედენ, შთაჰხედნა... სპეციალურ ლიტერა-

¹ კ. ქეკელიძე, „წინაშე“ „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისა-
თვის ძველ ქართულში: შპ. ტ. III, 1942, № 2, გვ. 177—182; № 3, გვ. 283—287. გადაბეჭდი-
ლია ავტორისავე „ეტიუდების“ I ტომში, 1956, გვ. 300—308; ა. იმნაიშვილი, სახელთა
ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 327—331.

² ა. იმნაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 331—332.

ტურაში ახსნილია, რომ ეს ენა—ს სუფიქსი წარმოშობით სხვა არაფერია, თუ პირდაპირი ობიექტის (ნარინი) მრავლობითის მაწარმოებელი (მოვლ-ენ მე ირეხნი, მისც-ენ შენ მას წიგნი, იხილნა მან იგინი). პირდაპირ ობიექტად „თუა-ლი“ იტვლისხმებოდა. და რადგანაც აღმიახსნა თვალი ორი აქეს, ზმნაც მას მრავლობითის ფორმით გამოხატაჲდა. ეს არქაიზმი ჩვენს ძველშიც არის შემონახული: მომხედენ შენ მე აქა, ყრმაო: 33, 32. მომხედენ გვაქეს აგრეთვე B ხელნაწერშიც.

8. ჩვენს ხელნაწერებში დადასტურებულია მომავალი დროის წარმოების ახალი საშუალება — ზმნისწინის დართვა აწმყოს ფუძეზე, ზმნისწინიანი აწმყო. ამ პროცესის ჩანასახი თვით ძველ ქართულშიც არაიშვიათად გვხვდება¹, მაგალითად: (ღმერთი) არა მიგაგებს შენ ამასვე სოფელსა და არცა გტანჯავს შენ, არამედ განგმზადოს შენ და მამასა შენსა ეშმაკსა განდგომილსა ცეცხლი გეჭენისაჲ, რომელსა შინა ეგნეთ უკუნისამდე: 34, 2. აქ მიგაგებ მომავალი დროის ვაგებით უნდა იყოს ნახმარი (ახლებურად: სამაგიეროს გადავიხდის, მოგიზღავს). ტექსტში ნათქვამია: ამასვე სოფელშიო, ე. ი. სანამ შენ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ და იქნებით. ეს მომავალსაც გულისხმობს.

აქვეა ძველებური წარმოებაც (არამედ განგმზადოს შენ). მაგრამ მეორე (B) ხელნაწერში ამ მეორე მაგალითშიც ახლებური წარმოება გვაქვს: არამედ განგმზადებს შენ... ცეცხლსა მას გაჭენიასასა. განგმზადებს დგას განგმზადოს და ეგნეთ ფორმების გვერდით და იმავე ფუნქციისაჲ, ისიც მომავალ დროს გამოხატავს. ის კი არა, კაცს შეეძლო აგრეთვე გტანჯავს მომავალ დროდ ვაგვო: მოგიზღავს და გტანჯავს (დაგტანჯავს) შენ მერე იქ, ჯოჯონეთში.

მომავალ დროსვე უნდა გამოხატავდეს თვით ყველაზე გავრცელებული ზმნის ფორმა ვეტყვ. ცბიერი ანტიოქოს მეფე ლიქნით ეუბნებოდა მკაცბელ დედაკაცს: რატომ არ გეცოდება შენ (მეშვიდე) შვილი? უთხარი, რომ თაყვანი სცეს კურბებს და დიდ პატივს მივაგებო. ჰკვიანმა დედამ უთხრა მეფეს: მე ვეტყვ. უკუეთუ ყოს ნებაჲ ჩემი: 37, 28. ეს დღევანდელ ენაზე იქნება: მე ვეტყვი (скажу), თუ ჩემს ნებას (სურვილს) შეასრულებს. აშკარაა, ვეტყვ ძველი ქართულის ჩვეულებრივი ვაგებით (ვეუბნები, говорю ему) აქ არ შეეფერება (ჯერ მას თავისი შეილისათვის ამგვარი არაფერი უთქვამს), იგი მხოლოდ მომავალ დროს გამოხატავს (ამბის შემდგომი მსვლელობიდან ჩანს, რომ ამის შესახებ დედამ შეილისთვის შემდგომაც არაფერი უთქვამს, პირიქით, თავის ენაზე არიგებდა და აქეზებდა, რომ არ დამორჩილებოდა უსამართლო და უღვთო მეფეს). ამგვარად, ჩვენ აქაც უნდა გვქონდეს მომავალი დროის ახლებურად წარმოების კიდევ ერთი კარგი ნიმუში.

9. ქართულში (ძველსა და ახალში) პირველი პირისაჲენ მომართული მოქმედებისათვის მო ზმნისწინი იხმარება (მოვიდა, მომიტანა, მომიწერა, მომართუა, მომცა, მომაგო...), მესამე პირისაჲენ მიმართულისათვის — მი (მივიდა, მიიტანა, მისწერა, მიართუა, მისცა, მიაგო...). მეორე? როგორღაა საქმე მეორისაჲენ მიმართულში? ძველი და ახალი ქართული აქ სხვადასხვა წესს მისდევენ: ძველში უმთავრესად მესამე პირისათვის ვათვალისწინებულ მი-ს იყენებენ (მიგცა შენ), დღეს კი ამ მიზნით მო იხმარება (მოგცა შენ). ჩვენი ხელნაწერები აქაც ძველ

¹ ხ. კ. უმბერიძე, მეოთხდის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, საიუბილეო, 1968, გვ. 55—76.



წეს იცავენ, მაგალითად: არა მიგაგებს შენ ამასვე სოფელსა: 34, 2 AB; შენ მიგცე ესე ყოველი, უკუეთუ დასდვა ყერბსა ამას ზედა გელი შენი და თაყუანის-სცე: 35, 19; ისმინე ჩემი და უგე, და მიგცე შენ საფასე დიდი, და იყო შენ ჩემდა მეგობარ: 35, 26. დღეს ვატყობთ: მოგაგებს შენ ღმერთი, მოგცემ შენ. დადგინთ ბოლოს, რომ რადგანაც II პირი ჩვეულებრივ I პირთან, მის სიახლოვეს იგულისხმება, მისთვის ისევე მოზმნისწინი იგნებოდა გამართლებული, როგორც ახალმა ქართულმა დააკანონა. მაგრამ ახლა აქ ამაზე მსჯელობა სცილდება ჩვენი თემის ფარგლებს და ამიტომ ჩვენც დავიდუმებთ.

10. განიცინა ძველებურად (პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ენა—სუფიქსით) არის წარმოდგენილი: მაშინ განიცინა წმიდამან მან, რამეთუ დაუკვრდა სიციბილი იგი მისი: 35, 22. მაგრამ მეორე, ამის მსგავსი განიღმა ახალ წესს მისდევს და ენა—სუფიქსს აღარ დაირთავს: განიღმა წმიდამან მან და პრეტუა მეფესა: შენ ხარ მეგელი მტაცებელი და მაცდური ყოველთაჲვე: 36, 36. ასეა ორივე შემთხვევაში B ხელნაწერშიც (განიცინა, განიღმა).

11. A ხელნაწერში დატულია სინტაქსური ასიმილაციის (ატრაქციის) ძველებური წესი: რამეთუ ღმერთი რომელი იგნობის შენ მიერ, მომცეს მე ძალი შენ ზედა და მამასა შენსა ეშმაკსა ზედა: 35, 33. ამ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში ნათავარი წინადადების ქვემდებარე (ღმერთი) უთანამდება არა თავის შემასმენელს (მომცეს: ღმერთმან მომცეს), არამედ უახლოესს (დამოკიდებული წინადადებისას): ღმერთი რომელი იგნობის... შდრ. ამას სახარების ცნობილი ადგილი: და მამაჲ შენი რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს: შენ ცხადად: მ. 8, 4, 6, 18.

აღსანიშნავია, რომ ეფთვიემეს ამ სამი შემთხვევიდან I ახლებურად გაუსწორებია (და მამამან შენმან, რომელი...), ორი დანარჩენი კი ძველებურად დაუტოვებია (და მამაჲ შენი რომელი...). გიორგის — I და III გადაუყუთებია ახლებურად, II კი ისევე ისე ძველებურად დაუტოვებია.

უწყ, 0—2: უწყი მე—იგი მე, უწყი შენ—იგი შენ, უწყის მან—იგის მან უწყოდე, რამეთუ კალმწიფება მატეს მე მოკლვად შენდა: 32,39 იცოდე, რომ... იცინოდეთ მას და უწყოდეთ, რამეთუ ღმერთი ნამათა თქვენ თანა: 32,39 იცოდეთ.

უწყლო-ა 37,22 უმოწყალო, შეუბრალებელი, უღმობელი, სასტიკი.

უწყებულ იყავ 38,20,25 იცოდე, გახსოვდეს.

უბრწენელი 34,13 უუხადენელი, გაუფუძებელი; გაუხრწნელი, აქედან:

უბრწენლებ-ა 31,14.

უხუცესი 32,1,32 (ხნით) უმტროსი, საპირისპირო უმრწემსი (ნ.).

ფ

ფიცხელი 36,2 სსტიკი.
ფრთე-ა 31,1 ფრთა.
ფრთე-მაღლე-ა 30,40 ფრთაშილი.
ფრთად 1. 30,30; 33,1 ზევრი. 2. 32,23; 36,44 დიდალ.

ქ

ქადა (ქელილი) კვანა, ტრაბახი; მუჭარა, დაშინება. ი ვნ: სისარა, მეფე იგი უშულოთა, რაგამს იქადაღდა ეტლებითა მრავლითა და ძალითა დიდითა, და მისცა იგი ღმერთმან სიკუდილ ქელითა მის დედაცისათა: 30,7.

ქალაქი-ი წმიდაა იერუსალიმი. და ქვალად ეხოვს-მოძღვარი იგი ნახუქოდონოსორისი, ზეფისა მის სპარსთასა, რაგამს-იგი შევიდა ქალაქსა წმიდასა სპითა მრავლითა: 30,11.

ქელი 31,15; 32,5 კისერი (უკანა ნაწილი).

ქენეზა-ა 38,21 ზეწა, ვედრება; მოფერება.

ქმნა, ი: ხოლო შენ ამერიითგან იქმოდე, რაგამს-იგი გნებავს: 34,4 ქენი, გააკეთე, მოიწეცი, როგორც გსურს.

ქორწილი 38,44.

ქუანა, ა—2: კელმწიფება მატუს მე მოკლედ შენდა: 32,40; რაგამს-იგი აქუნდა და ნაკი ქედსა ზედა ისაისი, მისა თვისისა: 31,15 ჰქონდა; და გაქუნდე შენ ოქროს და ვეცხლი ურიად და საფასე დიდძალი: 32,45 გეწება.

ქუესკნელი (მეღების წარმოდგენით) ქვეყნის (დედაშიწის) სულ დაბლა, ქვედა სამყოფელი ადგილი, ქვედა ქვეყანა, ბნელი და უსიციოცხლი; უფსკრული. კელმწიფება შენი ქუესკნელად ქუეყნისა შთაქდე: 32,41.

ქუეყანა-ა მიწა, დედაშიწა; მხარე, მესამესა დღესა დაანტიკა ღმერთმან ქუეყანა და წყალთა ზედა: 34,25; შენ, მეფე, დამკრწე ვორცნი ჩემნი და დესტესნე ასონი ჩემნი ქუეყანასა: 34,15; ქუეყანასა ანტიოქისასა: 36,9; 37,6; 39,9,15.

ქერციკი 40 გარეული თხა, ჯერანი.

ღ

ღა (ნაწილი) ჯერ კიდევ. დავით ყრმაღა იყო და ივსნა ისრაელი: 30,5 ჯერ კიდევ ბავშვი იყო.

ღირ, ი/უ—2: არა მიღირს ნე მიხედვად ბირსა მისსა: 33,32 არ არის ჩემთვის საჭირო, არ შემეფერება, არ უნდა (მეხედვად).

ღმრთისამიერი 31,13 ღმერთის მიერ მოცემული.

ღორი 29,15; 31,33; 32,45.

ღუაწლი 31,12; 32,19; 38,37 ბრძოლა; ქრისტეს სარწმუნოებისათვის წაქება.

ყ

ყეფა: რაგამს იწყოს (ძალმან) ყეფად: 30,42.

ყოველი 1. ყველა აიძულდება ყოველთა კაცთა მსახურებად კრბთა უსულოთა და ქამად შევიწებულთა: 29,8. 2. 32,7 მთელი.

ყოვლადვე 29,21; 32,8 სრულიად, სრულებით.

ყოვნა დაგვიანება. 0—(ა)1: ნუ ჰყოვნე: 34,27 ნუ აგვიანებ.

ყოვნება დაგვიანება. ა—(მ)2: ნუ მაყოვნებ მე: 38,24 ნუ მაგვიანებ.

ყოფა, ა—2: კეთილად ჰყოფ, რამეთუ იწყე თვით ჩემით, მწყუდიადო ბულისათ: 34,1 კარგად შერები (იქმ, აკეთებ, იქცევი): კეთილად ჰყავ, მწარწყმდილო, რამეთუ დააბრმენ თუალნი ჩემნი: 35,31 კარგად ქენი (გააკეთე, მოიქეცი): კეთილად ჰყავ, რამეთუ განაგდე ცოდვად თავისაგან ჩემისა: 35,38; ყავ, რაგამს გნებავს: 34,36 ქენი, რაც გინდა; ხოლო წმიდა დედაცაი მაკაბელი მხიარულ იყო, ვითარცა ვის უყოფიედ ქორწილი შეილთა თვისთა: 38,44 ექნია ხოლმე (გადეხდია, მოუწყვია ხოლმე) თავისი შეილებს ქორწილი. ი ვნ: ნუ იყოფინ შენდა: 38,1,2,4,5 ნუ იგნება, ნუ მოხდება, ღმერთმა ნუ ქნას; რათა იყოფოდე მისცა

5 ძე. ქართ. ენის კათედრის შრომები, 23.



მით თანა: 35,11 რომ შენც იმყოფებოდე, რომ იყო მათთან ერთად; ოგროა შენი და ვეცხლი შენი იყავე შენ თანა გეგუნთასა მას ცეცხლისასა: 35,23 (ბრძ.) იყოს შენთან; ესრეთ დიდებულ იყო შენ: 35,21 იქნებო; და იყო შენ ჩემდა მეგობარ: 35,26 ჩემი მეგობარი გახდები (იქნებო).

ყრმა-ა 29,4; 30,5,15; 31,26 ბავშვი (ჯერ კიდევ დედის მუცელში მყოფი); მოზარდი, ახალგაზრდა.

შ

შე ბ მ ა, ე: ეშინოდა (დედასა თვსა), ნუ უკუე შე ე ბ ა ს მახეა მის ბოროტისასა ყრმა იგი: 37,13 ვაი თუ (რომ არ) გაეძას მახეში.

შე გ ი ნ ე ბ ა წაბილწვა, გაუწმინდურება, გაბინსურება. ი: ნუცა შე ი გ ი ნ ე ბ ა თ პირთა თქუენთა: 31,24. ი ვნ: ნუ შე ი გ ი ნ ე ბ ი ნ პირი შენი: 32,8 ნუ წაბილწება ხოლმე; რომელნი წარწყმდებოდეს და უვარ-ჰყოფდეს ღმერთსა დამაბადებელსა და შე ი გ ი ნ ე ბ ო დ ე ს ჰამათა ბილწოთა მათ ნაგებთათა: 29,26; შე ი გ ი ნ ე ბ უ ლ ი 29,9,15; 31,25 ბინძური, უწმინდური, წაბილწული.

შე დ გ ო მ ა გაყოლა, გაღვევება. ი/უ—: რომელნი არა შე ე უ დ გ ე ს ბრძანებასა მეფისა უღმრთოისასა და არცა უვარ-ყვეს ღმერთი მამათაჲ: 29,13 (ნ. კ. შემოდგომა).

შე უ ზ დ უ დ ვ ი ლ ი 30,38 შენოზღუდული, გაშაგრებული.

შე თ ხ ე ვ ა ჩაყრა, ჩაცვენა. ი ვნ: რომელნი შე ე თ ხ ი ნ ე ს საკუმილსა მას ცეცხლისასა: 35,7 ჩაცვიდნენ, ჩაყრილ იქნენ.

შე ე კ რ ბ ა, ვნ: შე ე კ რ ბ ე ბ ო დ ე ს შორწმუნენი ყოველსა ადგილსა და ჰყოფდეს საყსენებელსა და დღესასწაულსა მათთვის: 39,12 იკრიბებოდნენ; შე ე კ რ ბ ა კრებული დიდძალი ხილვად დიდსა მას საკრეკელებასა: 38,40 შეიკრიბა.

შე ე მ ე კ ო ბ ა, ა—: შე ა ნ ე კ ო ცია ვარსკვლავითა და მთიებითა: 35,13.

შე მ ო დ გ ო მ ა გამოყოლა, გამოღვევება. ი/უ—: ეამცხო მე ძმთა შენთა, რათა შე ე მ ო გ ი დ გ ე ნ კულასა შენსა: 32,10 რომ გამოგყვენენ (ნ. კ. შედგომა).

შე მ ო ს ო ა ჩაემა, შემოსვა. ი: შე ი მ ო ს ე თ ამიერთიგან სამკაული იგი ღმრთისამიერი: 31,13 ჩაიცივით, შეიმოსეთ.

შე რ ო თ ე შეერთება, გარევა, შერევა. 0—მ: და შეეშინა ტანჯვისაგან მისისა და აღასრულა იგი და შე კ რ თ ო მოყუსთა მისთა თანა: 36,17 შეუერთა, შეურია (გაურია) მის აშხანაგებს.

შე რ ი ს ხ ე ვ ა გაჯაგრება, გაბრაზება, განრისხება: ენ: მაშინ შე ე რ ი ს ხ ნ ა წმიდაჲ დედასა თვისსა: 38,12 გაუჯაგრა.

შე ს ხ ე ვ ა შეკეთება, სხვა, ნანდვილი სახის მიცემა; გამოსაზება. 0—2: დნერთი ესე შენი ვერ ქვლოვანდ გამოთალა ხურომან ეჩათა, არამედ ბრძანე, რათა შე ე რ ე ს ა ხ ო ნ : 35,26.

შე ს ლ ვ ა: შესრულნი 32,15 შესულნი.

შე უ რ ა ც ხ ი 30,34; 33,8 უბრალო, არაფრად ჩასაგდები, არაფრად მისაჩვენეი.

შე უ რ ა ც ხ ო თ ა არაფრად ჩადება, არაფრად მიჩნევა: 0—2: და ნუ შე უ რ ა ც ხ ო ჰყოფთ მცენებასა შველისასა: 31,24.

შე უ ვ ა ნ, 0—2: შე ე ჰ ვ ა ნ დ ე ს თითოეულად: 36,4 შეჰყავდათ თითო-თითოდ.

შე ე ჩ ი ნ ე ბ ა შექენა, მომატება. ი: რადენნი ვაჰარნი არათნ ზღუდასა შინა ურევთ და პირით და ევედრებთან ღმერთსა, და ღმერთიან დაიცივის იგინი, და შე ე ჩ ი ნ ი ა ნ ფრიად: 30,30 იძენენ ხოლმე ბერს.

შე ე ძ ლ ე ბ ა, ი/უ—(მ): ვერ შე ე ძ ლ ო მათ ქარმან უღმრთოებისამან დამშრეტად: 36,20 ვერ შეძლო მისი ჩაქრობა; დაღათუ კელნი და ფერკნი ჩემნი მომპრენ, ვერ შე ე ძ ლ ო მე გან-შორებად უფლისა ღმრთისა ჩემისაგან: 35,41 კიდევ რომ (თუნდაც) მომპრა ჩემი ბელეები და ფეხები, (შაინც) ვერ შეძლებ ჩემს განშორებას ჩემი ღმერთისაგან.

შე ე ძ ლ ე ბ ე ლ ი: ვერ შე ე ძ ლ ე ბ ე ლ არს: 38,21 არ შეუძლია.

შე ე ძ რ წ უ ნ ე ბ ა ძლიერ შეშინება, შეშფოთება. დ: ნუ შე ე ს ძ რ წ უ ნ დ ე ბ ი თ... სიძაფრისა მისგან ამის გავაზისა განშრეტუნელისა: 30,42; ნუ შე ე ს ძ რ წ უ ნ დ ე ბ ი თ... ამის არ მუ ლ ი ს ა გ ა ნ მომავლისა: 31,5; ვითარცა იხილნა იგინი ანტიოქოს მეფემან, შე ე ძ რ წ უ ნ და იგი: 32,27; და შე ე ძ რ წ უ ნ და ა მეფე სიტყუასა ზედა მის წმიდასასა და იქმნა, ვითარცა ცოფი: 35,36; და არა იცვალა გული მისი, არცა შე ე ძ რ წ უ ნ და, არამედ უხაროდა მას: 36,6; ხოლო ჯდა მეფე შე ე ძ რ წ უ ნ ე ბ უ ლ ი და შეშინებული წარწყმედასა ზედა მათ წმიდათასა: 37,15.

შე ე წ ე ვ ა ნ დახმარება, შეელა. ე: და შე ე წ ე ა მას ღმერთი: 31,29; შე ე წ ე ვ ნ ი თ ა ღმრთისათა: 29,33; 30,6,13 ღმრთის დახმარებით.

შეწყალება შებრალება, შეცოდება. ი: შეიწყალე სიბერე შენი ამის ყრბისა მიერ, მდღეაკეთი რამსა-ზე უწყალო ხარ? 37,21; და უკეთეს შენ არა შეიწყალო შეილი შენი, მე ვითარ შეივცალო? 37,24 თუ შენ არ შეიბრალებ შენს შეილს, მე როგორ შეიბრალო? შეწყობა, ა—8: შეიწყვენიოთ ფრთენი თქუენნი ურთიერთას, ვითარცა ზღუდეთა აღუვალოთ: 31,1 შეუწყვეთ თქუენი ფრთები. B—შია: შეიწყვენიოთ (სათ. ქც.).

შთავდებია ჩავდება. —2: და იყო ტანჯვა წმიდისა მის ფიცხელ, და შთავდეს იგი ტაბასს: 36,2; ნუ შიერნი მამსა შენსა ეშმაკსა, რომელმან შთავადოს შენ სატანჯველსა მას საუტუნესა: 33,4 ჩავადებ; რამთა აღადღონ ზეთი ტაბაკითა დიდითა და შთავადონ იგი მას შინა: 33,11.

შთავდომია ჩავსვა. 0—1: კელმწიფებამა შენი ქუესკნელად ქუეყანისა შთავდეს, წარწყმდეს და განირუხნეს: 32,41 ჩავა.

შიინება, ე: არა მე შინის მე შენგან, რომელსა არა გე შინის ღმრთისაგან: 33,43 არ მე შინია მე შენი, რომელსად ღმრთის არ გე შინია; არა გე შინისა ჩემგან? 33,42 არ გე შინია ჩემი? ნუ გე შინის ამის გუელისა წამლენისაგან: 30,21 ნუ გე შინიათ: ნუ გე შინის სატანჯველთა მისთაგან: 30,23; ნუ გე შინის... ამის ღმრთისაგან: 30,32; ნუ გე შინის... ძალისა ამისგან ბორთისა: 30,41; ნუ გე შინის... ამის ცოფისა და ბილწისაგან: 31,2.

შუენ, 0—2: და მშუენის თაუანის-ცენამა და მადლობა: 39,17 შეეფერება, საქობრო, უნდა, შეშენის.

შუენიერი 37,25 მშენიერი, ლამაზი.
შუელი 29,18; 31,8,24 კანონი, წესი; სამართალი; სარწმუნობა. რამთა მიიქცეს იგი ნისა და კამოს ვორცი ღმრთისა და დაქანეს, შუელი მისისი: 34,8.

B

ცემა კენა (გუელის, ფუტკრის... მიერ), ნესტრის ჩაცემა. 0—(მ)2: (მე ვედა) წინაშე გუელისა გელისანისა და მებნარისა, რომელი სცემს და განრყუნს მორწმუნეთა: 32,37.

ცოთუნება შეცდება. —(მ)2: განიფრთხე აწ და ნუშა გაცოთუნებს მტერი ბორთი: 36,24; ნუშა გაცოთუნებს შენ შენგან ანტიოქის მცოტერი: 37,30; ნუშა გაცოთუნებს თქუენ და განგებნეს ზახილი მისი განქარებადი: 31,3; რომელმან-იგი გაცოთუნა შენ: 35,34; უნდა მას, რამთაგანაც ცოთუნა იგი: 31,39 რომ შეეცდნა; ვერ მაცოთუნო მე და ვერცა მამამან შენგან ეშმაკმან: 34,33 ვერ შეპადვენ; ხოლო ჩემგან ვერ მიილო ნება შენი და ვერცა მაცოთუნო მე: 36,38; მაშინ იწყო მე ვემან ლქნად მისა და ცოთუნებად: 34,30. ცოლობა დაჯ, კამათი. და იყო მათ შორის ცილობა და დიდი და განწვალება: 39,3. ცინ, ე: ეცინოდეთ მას: 30,25 დასციენეთ.

ცოფი 31,2; 35,37 ვეიო.
ცოცხალი 36,6 (დღევანდელი გაგებით. ჩვეულებრივ ცოცხალი „სალი“, „ჯანსალი“, „მოთლი“ არის).

ცედად 38,14 ფუქად, ამოდ, უქნად, ტუდიად.

ცხოვარი 29,32 ცხვარი.

ცხოველი 30,2; 31,20; 36,13 ცოცხალი.

ცხოვნიება სიცოცხლე; ვადარჩენა, ხსნა. დ: ცხოვნი, შეილო ჩემო, ვითარცა მანი შენი, და მიეწიე მათ: 34,26 იცოცხლე, ვადარჩი; იცან დამბადებელი შენი ღმრთი... და სცხოვნი უკუნისამდე შენცა: 33,3 იცოცხლე, ვადარჩი; აწცა შენ, ძეო ჩემო მეტყუნო, დაუთმე სიუდილსა და სცხოვნი უკუნისამდე: 36,21; დანარსულეთ აწ... წამება თქუენი სახელსა ზედა ღმრთისა ისრაელისასა, რომლითაცა სცხოვნიეთ: 31,23 იცოცხლებთ, ვადარჩები.

d

ძაგ, 0—2: და ისწრაფე, რამეთუ მძაგს შენება ეგე შენი: 33,37 შეზიზდება, მძულს. ძალი 31,36; 32,37 ძალა.

ძალდი 30,41; 37,3; 38,29.

ძლება შეცლება. ე: ვერ ძლო მიხედვად პირთა მითთა, რამეთუ ბრწყინვილი ივინი, ვითარცა წუნი: 32,29 არ ძალედა, არ შეეძლო.

ძლევია დაძლევა, მორთვა, გამარჯვება (მისზე), დანარჩება (მისი). 0—(მ)2: ვიხილეთღა, ვითარ ღმრთი მრავალ-გზის სძლევს მამათა კელითა დედაკაცისათა: 30,4 სძლევს, ერევა, ამარცხებს; ბრძოლა-უყო არსუნს მევესა და სძლო ყოველსა ქუეყანისა და ყოველთა მეფეთა:



30,12; სიტყუა-უფენბა შეფესა დი სძლო მას: 31,41; მესამენდ ძემან მისმან სძლო ეშვასა: 35,2 სძლთა, დამარცხა, გაიმარჯვა (მასზე); ესრცთვე სძლეს წმიდათა ამთ მაკაბელთა და დედამან მოამან ზეფესა მია უშველთა, ანტიოქოზ უმძროთსა: 30,15 სძლეს, დამარცხეს; ბრძანა შენოფენებაჲ შევირისაჲ მის. რამეთუ ჰკონებდა, ვითარმედ სძლო ს მას: 37,34 დასლდეს, დამარცხებეს მას (გაიმარჯვეს მასზე).

ი ვნ.: დამარცხება (დ), დძლუვა (ი ვნ.). ეკრბალე, შვილო ჩემო, და ნე იძლევე: 37,31 არ დამარცხდე, არ იძლიო; ვიხილეთა, ვითარ დძერთო მრავალ-გზის სილდეს მამთა კელითა დე-დაკაცისითა, და იძლევეს ნენფე კელითა ღრმითა: 30,4 იძლევა, მარცხდება; ადიდოთ თქუნენ ყოველთა ერთობით საჭურფელი დძრთისაჲ და ნუმეა იძლევით: 31,44 არ იძლიოთ, არ დამარცხდეთ; ვიძლიე მე და დავეცი ყრნათაგან: 37,2 დავმარცხდი; ვითარცა ენა უშველ-ლომან მან მენფემან, ვითარმედ იძლია წმიდათა მათგან, ბრძანა ტანჯვაჲ დღესა მათისაჲ: 36,42 დამარცხდა.

ქ მ ი ს წ უ ლ-ი 35,6 ინიშვილი (ვაეი).

ძ რ ვ ა-ბ 37,6 მიწისძვრა.

ი რ წო ლ ა კანკალი, ცაყვანი, რყევა; შიშა. 0-1: ლმერთო ცათო და ქვეყანისაო, შენ მიერ ძმ წოიან მთანი: 36,12.

ძ უ ე ტ-ი: და გაწობიძი ძ უ ძ უ ი თ ა ჩენითა: 31,9; მე გიტვრთე მუცლითა და გაწობიძი ძ უ ძ უ ი თ ა: 37,41.

წ ა მ ე ბ ა-ბ 30,32; 31,22; 32,4,20 პირველად: დადასტურება, დამოწმება. მერჲ: ქრისტიანული რწმენა დადასტურებისათვის (პო, ქრისტიანი ვარო) წყალება და სიკვდილი. აქ ე ა ეკანსკელი იგულისხმება. ი ვნ.: რამელნი იწამენ ს ანტიოქოზს ქალაქსა ანტიოხოს მეფისა ზე უშველთსა: 29,5.

წ ა მ ლ ე ა ნ-ი (გუელი) 30,22; 34,24 წხანიანი.

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა წარდგენა, მიყვანა. ა-ბ: უკეთესმეა ნძულდით თქვენ, არამეა წარ-გადგინენ თქვენ ამას სატანჯველსა, ვითარცა-იგი აბრაამ წარადგინა ძმ თესი დაკლ-ვად: 31,21,22. ი/უ: მაშინ ბრძანა შეფემან, რათა წარედგინონ მას ძმ იგი მისი მენქესს: 36,31. ი ვნ.: და ესე წარადგინა შვილითერო წინაშე შეფისა მის უშველთსა მტარავლი მიერ მისთა: 29,19 წარადგენილ (მიყვანილ) იქნა.

წ ა რ დ გ ო მ ა მისგლა (ვინმეს წინაშე): და წარდგა დიდაკაცო იგი კურთხეული და შვილინი მისნი... წინაშე შეფისა უშველთსა: 30,18; და ერთობით ყოველინვე წარვიდეს და წარდგეს წინაშე შეფისა: 32,26.

წ ა რ ე ლ ი ნ ე ბ ა გაგზავნა, გაშვება... ა-ბ: მ შეფე, დამაყოფენ მე მამთა ჩემთა, წარ-მავლინენ მე მათა: 38,20 ვამგზავნე, გამიშვი; რათა მეცა წარმავლინო მის თანავე: 33,37.

წ ა რ მ ა რ თ ე ბ უ ლ ი 36,14 წარმატებული, კარგად (მარჯვედ) დამთავრებული, ყდაყისი.

წ ა რ მ ო დ გ ი ნ ე ბ ა წარმოდგენა, წამოყვანა. ა-ბ: ბრძანა შეფემან, რათა წარმო-ადგინონ მესუთმ: 36,16; უბრძანა მეფემან წარმოადგინებთა მეორისაჲ მის: 33,31; ბრძანა შეფემან ანტიოქოზს... წარმოადგინებთა წმიდისაჲ მის წინაშე: 35,18.

წ ა რ ს ლ ვ ა წასგლა. 0-1: წარედდ ჩემგან, რაბსათვის დამაყოფენებ მე მიწენად მამთა ჩემთა: 38,12 წადი ჩემგან.

წ ა რ ძ ლ თ ა გავლოლა. ი/უ-ბ: წარმიცდეთ თ წინაშე ჩემსა: 31,43 გამოთხით წინ.

წ ა რ წ ყ მ ე დ ი დავარგვა; ვაქრობა; დაღუპვა; მოსობა; სიკვდილი. 0-1: და იღვენეს მათ ეამთა კაცნი მრავალნი, რომელნი წარწყმდე ბო დეს და ეკარ-ყოფენდეს ღმერთსა დამ-ბადებულსა და შეგონებოდეს კამითა ბილწთა მათ ნაგებთათა: 29,25; გელმწიფებამ შენი ქუ-ეკანელად ქვეყანისა შთადდეს, წარწყმდეს და განირყუნეს: 32,41; წარწყმდეს მე-ფობამ შენი და განირყუნეს: 34,37 დაიღუპება, მოიხობა, ვაქრება; ხოლო ჯდა მეფე შედრწუნე-ბული და წენიებელი წარწყმედაჲა ზედა მათ წმიდათსა: 37,15; წარმწყმედელი 34,27 დამღუპველი. მოიხობი, მკვლელი; წარწყმედილი 35,14, წარწყმედილი 35,31 დაღუპული.

წ ე ე ნ ა დარწვა, მიწევა. ე: დავკანებულ ვარ მამთა ჩემთაგან და აწოდეს ეეწოი ნათ?: 37,38 რადის(და) დაეწევი (მეფეწევი) მათ?; და ვერ გეწოთს თქუნენ გვაზი იგი ბოროტი: 32,14 ვერ დაგეწევათ.

წ ი ლ 32,43 ნაკვალად, მიგვირად, მიგვირ.

წ ო ვ ე ბ ა ძუძუა კმევა. ა-(3)2: ვითარ-იგი აღზარდენით თქვენ, და გაწობიძი ძუ-



ქეთა ჩემთა: 31,2; მე გიტვრთე მუცლითა და გაწოებდ ქუჭუთა და ეპირვოღე შენი: 37,41.

წრაფა, სწრაფა ჩქარობა. იუობ: ისწრაფე აწ და აღასრულე ნება შენი: 33,9 ირქარე; და ისწრაფე, რამეთუ მძაგს მე ნება ეგე შენი და ნოლს მეფობა შენი: 33,37.

წუთი-ი 37,10 წვეთი.
წუთთა მცობა ხანს, ერთ წუთას, ხოლო შენ წუთთა მგებდ მე: 34,37 შენ ცობა ხანს (ერთ წუთას) დამოცად მე: სატანგველი მისი წუთთა მცობა არს: 35,9 მცირე ხნისა, წუთიერია, წარმავალია.

წყალე ბა შებრალე, შეცოდება. ე: მწყალი მე, რამეთუ ჭაბუკ ხარ: 33,39 მებრალე, მეცოდები; გწყალი დენ თავი შენი, რამეთუ მიმავალ ხარ შენ წყუდიადსა მას ბნელისას: 33,40 (ბრძ.) გებრალე ბოღს შენი თავი.

წყალობა ყურადღების მიქცევა, შევლა, დახმარება, შებრალება, შეცოდება. 0-2: მე მწყალობ, არამედ იწყე და აღასრულე ნება შენი, განდგომილო ღმერთისაგან: 34,42.

წყუდიად-ი 33,41; 34,12 წუკიადე, ბნელი, უაური, (სიბნელის) სიღრმე.

ბ

ჭაბუკი 33,39 ახალგაზრდა (ვაყვი და ქალიც).

ჭამად-ი 31,25 საჭმელი.

ჭირი გაჭირება. ურვით და ჭირით ევედრებიან ღმერთსა: 30,29 გაჭირებით, გაჭირვებანი.

ჭირე(ბა) გაჭირებულ მდომარეობაში ყოფნა, გასაჭირი. ი ვა: მე გიტვრთე მუცლით და გაწოებდ ქუჭუთა და ეპირვოღე შენთვის 37,41 გასაჭირში ვიყავი; მიჭირდა.

ბ

ხარბი: ძალი ხარბი ჰქვამს გუამთა და სუამს სისხლთა და ვერ განძღებს: 37,3.

ხარება, ა-(8)2: ახარე დედისა შენსა... და მიეწე ძმთა შენთა: 35,10 გაახარე; რათა მიითვალო... მახული ქედსა შენსა ზედა და ახარო დედისა ამას შენსა: 32,6 გაახარო.

ხილვა ფრთხილად ყოფნა, გაფრთხილება. ი: იხილე, ვის წინაშე სდგა: 32,35; იხილე, შეიღწე ჩემნი, და ისმინეთ ჩემი: 31,31 ფრთხილად იყავით, СМОТРИТЕ.

ხურობა ხელოსანი, კერძოდ, დურგალი. ღმერთი ესე შენი ვერ კელოვნად გამოთლა ხურობან ეჩოთა: 35,28.

ხურობით-მოდუხარ-ი 31,2 ხუროების უფროსი, ხელოსანთა უფროსი, უფროსი სპეციალისტი.

ბ

ქარი 34,16 ხარი.
ქელოვანი ისტატი, სპეციალისტი. ღმერთი ესე შენი ვერ კელოვნად გამოთლა ხურობან: 35,27 არა ისტატურად, არა სპეციალისტივით (ე. ი. ცუდად, უეცოდ).

ქელმწიფე ბა 32,39,40 ძალი, ძალაუფლება.

ქსნა ხნა, დახნა, შევლა, გადარჩენა. ი: ღმერთმან მიკსნეს მე შენგან, ვითარცა იკსნა ძმანი ჩემნი: 34,36,37 ღმერთი დამიხნის მე შენგან, როგორც დაიხნა ჩემი ძმები; სადა არს ღმერთი იგი თქუენი? მოვედინ აწ იგი და გიკსნენან კელთაგან ჩემთა: 34,1 (ბრძ.) (აბა) მოვიდეს ახლა და დავიხნას ჩემი ხელისაგან.

ჟ

ჯდომა, 0-1: ხოლო ჯდა მევე შეძრწუნებულნი და შეშინებულნი წარწყმედასა ზედა მათ წმიდათასა: 37,15 იჯდა.

ჯერათფა, 0-1: ჯერ-ესრეთ-არს, რათა განმმართოს ვარმან ურნატი მვეულესათანა: 34,15 ასეა საჭირო, ასე უნდა.

ჯოჯობეთ-ი 34,34.

ჰ

ჰასაკი ტანი, post. რამეთუ არს იგი ჰასაკითა შეუნიერ: 37,25 ტანად (შესახედვიად) ლამაზია, შვენიერია.

ჟ

ჟ შორისდებელი ი; იხმარება მიმართვისას ან ძლიერი გრძობის გამოხატავად. ჟ შეილო ჩემო: 37,34; ჟ შეილო ჩემო: 30,20,29; ჟ წყუდიადო ბნელისაო: 34,12; ჟ გულო ვისლიანო: 34,41; ჟ მეუე: 35,27; 36,33; 38,19,21; ჟ წარწყმედილო: 35,31; ჟ დედაცო: 37,22,25.



ზსრბპ ბუმბურძმე

ქონებისა და უქონლობის სახელები სვანურში

სიტყვაწარმოების სახეებიდან ქართველურ ენებში და კერძოდ სვანურში გაბატონებულია აფიქსაცია. ხშირია როგორც პრეფიქსაცია, ისე სუფიქსაცია და ორივე ფორმანტის ერთდროული ხმარება, თითქმის უცნობია ინფიქსაცია. რისიმე (ნივთის, ორგანოს, თვისების, უნარის...) ქონება და უქონლობაც სვანურში აფიქსების მეშვეობით გამოიხატება. ამჟამად სწორედ მათი გაცნობა შეადგენს ჩვენს ამოცანას.

ქონების სახელები

საერთოდ, ქონების აღსანიშნავად სვანურში რამდენიმე მაწარმოებელი გვხვდება. მათ შორის ყველაზე პროდუქტიულია ლგ პრეფიქსი, რომლის ხმოვანიც ასიმილაციით უ-დ იქცევა ხოლმე. ამ პრეფიქსს ადრე ი სუფიქსიც უნდა სწლებოდა, რომლის გავლენის შედეგაც არის ფუძისეული ხმოვნის უმლაუტის სახელდობრ, გვაქვს ასეთი ფორმები¹:

ლგ-კპბ კაბიანი, ახალუხიანი, ლგ-შგ ლბპრ შარვლიანი, ლგ ფტპნ პურანგაიანი, ლგ-ირ შუილ ნიფხვიანი, ლგ-ჩფილ ფეხსაცმლიანი, ლგ-ლჩპქ ღეჩაქიანი, ლგ-ფპ ყუთ || ლუ-ფპ ყუთ ქუდიანი, ლუ-ტსპრ ჩოხიანი, ლგ-ხგნ-ჭპრ ხანჯლიანი, ლგ-ყპბ წვეროსანი, ლგ-ჩპჩ სამგლოვიაო წვერმოშვებელი, ლგ-ფპ თუთ || ლგ-ფპ თუთ თმბანი, ლუ-გურმპშ უღვაშიანი, ლუ-ლს-დიგუ ნაწნავიანი, ლგ-ჭიშხ ფეხიანი, ლგ-თეი თვალიანი, ლგ-ცპბა ფრჩხილიანი, ლგ-ჯიჭუ ძელიანი, ლგ-პკტპდ || ლუ-პკტპდ კუდიანი, ლგ-თხტიმ თავიანი, ჭკვიანი, ლუ-გუიუ გულიანი, ლუ-მიჭუ რქიანი, ლუ-ფხტილ თითიანი, ლუ-ტუეტ ხელიანი (ეტყვიან ისეთს, ვინც შორს ეწვდება), ლგ-ლეღუ ხორციანი (უწოდებენ ხორციან ღვეხელს, სხვანაირად — კუბდპრ-ს), ლგ-თპშ ყველიანი, ლგ-ჯიმ მარლიანი, ლგ-ნტუერ || ლუ-ნტერ ნიგრიანი, ლგ-ითქ მარცვლიანი, ლგ-შდპა თავთავიანი, ტაროიანი, ლუ-ყუმიბინ კუნწულიანი, ლუ-ხურჯინ ხურჯინიანი... ლგ-მიჟ მზიანი, ლგ-ლოშდულ მთვარიანი, ლგ-ანტყუპსგ ვარსკვლავიანი, ლუ-მის თოვლიანი, ლგ-გზელ შვილიანი, ლგ-კპშ ქმრიანი, ლგ-ხეხუ ცოლიანი, ლგ-ჭპბლ მბიანი, ლგ-ნპთ ნათესავებიანი (|| ლგ-ლმარდ), ლუ-ბეფუშუ ბავშვიანი, ლუ-უდილ დებრანი, ლუ-მხტიბ სახლიკაცებიანი, ლუ-ჩჩუილ ჩვილბავშვიანი, ლგ-ქნალ ბატქიანი, ლგ-ნღეშ თიქიანი, ლგ-დტილ თხიანი, ლგ-ფი-

¹ ძირითადად მოგვყავს ბალსუნმოური ფორმები, სხვა კილოებში ხმოვანთა სიგრძისა და უმლაუტის მხრე განსხვავებულ ვარიანტებს კი არ მოვეუთითებთ. თავისთავად იგულისხმება, რამდენიმე სვანურში ხმოვნები უმლაუტოა, ბალსკვემოურსა და ლენტეხურს კი გვრჩეული არაა.

რეჟიონალური ცხენიანი, ლე-ჩიჟე ცხენიანი, ლე-ჩიჟე წიწილებიანი, ლე-ჩიჟე ბზიანი, ლე-ჩიჟე ლეკვებიანი, ლე-ჩიჟე მგენ საქონლიანი, ლე-ჩიჟე მგენ ცხენიანი, ლე-დაბ ყანიანი, ლე-ცხეკ ტყიანი, ლე-ნაშხატ (ლნტ. ლე-აშხატ) ღობიანი, ლე-პაშხატ, (ლნტ. ლე-აშხატ, ლშხ. ლე-აეზუტი) ეზოიანი, ლე-ცხეკ ეკლიანი, ეკლიანა, ლე-მგერხელ ქინჭრიანი. ლე-ბაჩი
|| ლე-ბაჩი ქვიანი, ლე-ფუნთქიტირ ხაქსიანი; ლე-ტეჟე ბზიანი, ლე-მურ-ყუბუბი ციხე-ქოშვიანი... ლე-ბგერკილ ბორკილიანი, ლე-მგერჩილ ცელიანი, ლე-ლდარი ტარიანი, ლე-შდიქ ფოთი („კბილიანი“), ლე-ბგმბპა || ლე-ბუმბპა დაბამბული („ბამბიანი“), ლე-კატუნ აკენიანი და ა. შ.

კომპოზიტულიდან ქონების სახელის წარმოებისას ლე-(ლე) პრეფიქსი დერევის კომპოზიტის მეორე წევრს: წვრნი ლეგფაჟე წითელ-ქუდა, ჩხარა ლე-თხტიმი ცხრა-თავიანი და სხვა.

თავისი პროდუქტიულობით ლე-პრეფიქსს ვერ შეედრება, მაგრამ ქონების სახელთა საწარმოებლად საკმაოდ ხშირად გვხვდება სუფიქსი -წრ (ლშხ. წრ || -წრ, ბქე. ლნტ. -წრ). სახელდობრ, ამ სუფიქსით იწარმოება: ლეგ-წრ რძიანი, ტეტ-წრ ნაცრიანი, მგტ-წრ მატლიანი; ზგს-წრ რწყილიანი, ტიშ-წრ ტილიანი, შდგქ-წრ კბილებიანი, ხტარბლ-წრ ხაოიანი, ნატყგბელ-წრ ქორფლიანი, უახ-წრ სახელოვანი. -წრ სუფიქსი გამოიყოფა აგრეთვე ისეთ სახელებში, როგორცაა: ლალგმ-წრ კარ-მილამო (ლალგემ სადგომი), ჰაგ-წრ ფეხშიშველი (ჰაგუტ ქუსლი, ე. ი. ჰაგ-წრ ნიშნავს „ქუსლიანს“, „ვისაც ქუსლი უჩანს“), კუბდ-წრ ხორციანი ღვეხელი („კუბატიანი“), მგჯბ-წრ ცერცვიანი პური („მოხარშულიანი“), ფეტურ-წრ ფეტვის გულიანი ქადა (ფეტურ-ფეტვის ფქვილი) და სხვა.

უმეტესად ნებ-წრ ხელთათმანები, ჩვენი აზრით, შეიცავს მრ. რიცხვის წრ სუფიქსს (შდრ. ქართ. ნები) და არა ქონების სახელთა მაწარმოებელს (ასეთ შემთხვევაში გრძელი ა უნდა გვქონოდა).

რამდენიმე სახელში ქონების სუფიქსის ფუნქციით შეიძლება გამოიყოს -წრ, რომელიც წრ-ის ვარიანტი ჩანს: ბქე. ტყებ-ერ-წრ ქალამები („ტყვიანები“; მგერ. ტყები ტყავი). ყელ შერ დაბაბიანი (შდრ. ყელ შერ || ყელ შირ დაბაბი).

ჩვენი აზრით, წრ სუფიქსი წარმომავლობით რთულია და მიღებულია წრ-ა-საგან (წრ-ა → წრ ე. წ. უკანა მიმართულების უმლაუტს წარმოადგენს, თანახმად პროფ. მ. ქალდანის მიერ დადგენილი კანონზომიერებისა). წრ კი თავის მხრივ ქართულ იერ ქონების სუფიქსს შეიძლება დაუკავშიროდეს: იერ → ეერ → წრ.

ქონების სახელთა ერთი საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ნაწარმოებია წა სუფიქსით.

მგრთენ-წა || მურთენ-წა ცაცია (მგრთენ || მურთენ მარცხენა), მურსგუენ-წა მემარჯვენე (მურსგუენ მარჯვენა), ყუარყულ-წა ხუტუტა, ყუირ-წა ცალთვალა (ყუილ ცალი, ტყუბთავანი), ჩორთ-წა ფეხმოქცული, ფისრ-წა წყეული, „ფისიანი“, გურკ-წა საკვირიკო ხარი, წმინდა კვირიკესთვის შესაწირი, ბურღუ-წა ნისლა, მუქი ფერის ხარი, ბალახურ-წა მოტიტვლებული ადვილი („უბალახოიანი“) ზისხორ-წა სისხლისმოყვარე, სისხლის

მშელო, ჰარყ-მა არყისმოყვარული, ლოთი, ქიტ-მა ყველიპარა (ქიტ ერთი თვი ყველი, „ერთი წველა“), თაშ-მა ყველის მოყვარული, ყველისჭამია, ქონ-მა ქონის მოყვარული, ქონიჭამია, ლელუტ-მა ხორცის მოყვარული, ხორციჭამია, ლედ-მა ცერცვიჭამია, უჟნ-მა ძლის მოყვარული, ძლისგულა და ა. შ.

-მა სუფიქსში საკუთრივ ქონების მაწარმოებლად შეიძლება გამოიყოს ა, რომელიც საერთოა ქართულთან, ი კი წარმოშობით საბ. ბრუნვის ნიშანია. აღსანიშნავია, რომ **მა** ზე დაბოლოებული სახელები სვანურში სხვაც ბევრია (სადაც ა ფუძის ბოლოკადურა ჩმოვანია და არა ქონების აღნიშვნელი სუფიქსი); მაგალითად: დაშნ-მა დაშნა, ბამბ-მა ბამბა, ყალ-მა ყალთა, მგშ-მა მგშა, კერ-მა კერა, ოჯახი, ჭალ-მა მდინარე, ყამრ-მა ცის ყამარა, ფინი-მა ფინა, ტირი-მა თურია, მონ-მა მონა, დორ-მა დოქი, ლულ-მა მუხლი, კაპრ-მა ყბა, ნიკაპი, მულტ-მა ყვავილი, გულ-მა ფერდობი, დამართი, ზმა წელიწადი, შტენდ-მა წენდობა...

-მა დაბოლოება ხშირია პიროვნულ სახელებშიც, სადაც თითქოს მოსალოდნელი არ იყო საბ. ბრუნვის ნიშნის დართვა, მაგრამ ამგვარი სახელები შეიძლება შედარებით გვიანდელი წარმოშობისა იყოს: მეფს-მა, ქაჟ-მა, ჩორლ-მა, ფირელ-მა, შერგელ-მა, ბექ-მა, დათტი-მა, გუტ-მა, სუმ-მა, ბარბალ-მა, კესარი-მა, გვეგი-მა, ანუსი-მა, აღ-მა, ხოსი-მა, ისმ-მა, ნათელ-მა, ქალ-მა, კულ-მა, ყუმ-მა, ლტამლ-მა...

მა დაბოლოება ვვაქეს ნაცვალსახელებშიც: მმა რა, ნმა ჩვენ, სგმა თქვენ, ხტმა ბევრი...

დავებრუნდეთ ისევ -მა სუფიქსიან ქონების სახელებს, სადაც -ა საკუთრივ რისიმე ქონების აღნიშვნელი სუფიქსია. ამ სუფიქსს ხშირად ვხვდებით ნაწმარ სახელებშიც (მსგავსად ქართულისა), როგორცაა:

კირცხ-მა მკრელი (იარალი, ადამიანი...), „კრია“; (ლიკგრცხე კრა, კაჟვა); ბერჯ-მა მთხრელი. „თხარია“ (ლიბგრჯე თხრა), ყვრი-მა რჩოლი (ლიყვრილ რჩოლი), ჯეფ-მა კბენია (ლიჯეფ კბენა), ქუთირ-მა ქურდი, „პარია“ (ლიქტთერ პარვა), ზობლ-მა ღორმუცელა, „ჭამია“ (ლიზბი ჭამა), ზელალ-მა სიარულის მოყვარული, მოსიარულე (ლიზელალ სიარული), ტყვრსგნ-მა ტყაცუნა (ლიტყვრსგნი ტყაცუნი), გეჭ-მა გამძლე, „ძლე-ბია“ (ლიგეჭ გამძლება). პეჟუ-მა „მაღვია“ (ლიპეჟუ დამაღვა), შდიმ-მა მათრობელა (ლიშდმე თრობა), ქუერ-მა ლობადი, „ლობია“ (ლიქტერ ლობა), გუან-მა მცირალა (ლიგუნი ტირილი), მამკირ-მა ზარმაცი (ლიმკირ დაზარება), ფათქოლ-მა გასახეთქი, „ხეთქია“, ფხარკუ-მა „თხარია“, „ქეჟია“, ჩხერიალ-მა ჩხრილა და ა. შ.

ზოგიერთ კილოკავში ი დაკარგულია და მხოლოდ უმლატტიანი ა ვვაქეს (ლახამულურში, ფარულ-ჩუბგეჟურში)³. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ეს ა უნდა მივიჩნიოთ ზემოხსენებული ტიპის სახელებში ქონების აღნიშვნელ სუფიქსად.

უქონლობის სახელები

ქონების სახელთა საწინააღმდეგო, ანტონიმური მნიშვნელობით ენაში გვხვდება ე. წ. უქონლობის სახელები, ე. ი. ისეთი სახელები, რომლებიც აფიქ-

³ მ. ქალდანო, სვანური ენის ბალსქემოური კილოს ეცერული თავისებურებანი, ივე, IX-X, 1958, გვ. 214.



სების მემყვობით გამოხატავენ ძირეული სახელით აღნიშნული საგნის უქონლობას. უქონლობის სახელთა წარმოება ქართულში ორგვარია: უ-ურ და უ-ო აფიქსებიანი. რომლებიც წარმოშობით ერთია⁴. ანალოგიური წარმოება დამახასიათებელია სვანურისთვისაც: სვანურში პრეფიქსად გვაქვს უ-, სუფიქსად კი -ა⁵ (მათი დართვა ფუძისეული ხმოვნის რედუქციას იწვევს); გვაქვს ასეთი ფორმები:

უ-ფყუ-ა უქუო, უ-ლჩაქ-ა ულჩაქო, უ-ხგნჯარ-ა უხანჯლო, უ-გურმაშ-ა უულვაშო, უ-ლსტუგუ-ა უნაწნავო, უ-ჰუადა-ა უუდო, უ-მჰა-ა ურქო, უ-ფხულ-ა უთათო, უ-გზელ-ა უშვილო, უ-ღუნ-ა უხბო, უ-ფკუენ-ა ულკეო, უ-წილა-ა უწიწილო, უ-ენალ-ა უბატნო, უ-ნღეშტა-ა უთიანო, უ-ღულინჰ-ა უცხვრო, უ-დგელ-ა უთხო, უ-ნთ-ა უნათესაო, უ-მხუბ-ა უსახლიკაცო, უ-ჰმილა-ა უძმო, უ-წილა-ა უდო, უ-ქლუმგენ-ა უსაქონლო, უ-ჰმა-ა, უმარლო. უ-ნტერ-ა უნივრო, უ-ათჰ-ა უხორბლო, უ-ტჰ-ა უზგო, -უ-ხურბლერ-ა უხაო, უ-ფუნთქტირ-ა უხავსო. უ-ბჩ-ა უქვო, უ-ცხკ-ა უტყუო. უ-მურყუამ-ა უკოშკო, უ-მს-ა უთოვლო, უ-მწყერ-ა უმეწყრო, უ-ჩილა- (ლნტ. უ-ჩილა-ა) უმეწყრო ადგილი, უ-ნაშხატა- (ლნტ. უ-აშხატა-ა) უღობო, უ-ჰკუანა-ა უაკნო, უ-ღოშღულ-ა უმთვარო და მრავალი სხვა.

ამგვარ ფორმათა პარალელურად სვანურის ყველა კილოში გავრცელებულია აგრეთვე უქონლობის სახელთა წარმოება ურ სუფიქსით⁶:

ფაყ-ურ || ლაგმ-ურ უქუდო, თავშიშველი, ლაჩქ-ურ ულჩაქო, გურმაშ-ურ უულვაშო, ლუსდიგ-ურ უნაწნავო, ფათ-ურ უთმო, გუი-ურ უგულო. ტეტ-ურ უხელო, ყაბ-ურ უწვერული, ჯიჯ-ურ უშვლო, ლედ-ურ უხორცო, ლგჯა-ურ ურძეო (შდრ. დომეყ ურძეო, ბერწი ძროხა), ფირ-ურ უძროხო, ჩიუ-ურ უცხენო, ჰაშ-ურ უქმრო, ხეხტ-ურ || ხეხ-ურ უცოლო, ნთი-ურ უნათესაო, კაბ-ურ უხალუხო, უკაბო, უოსსარ-ურ || უოსსარ-ულ უჩოხო, ფატნ-ურ || ფატნ-ურ უბერანგო, არშტილ-ურ უნიფხო, შალბ-ურ-ულ უშარვლო, შდა-ურ უთავთავო, უტარო, ცხეკურ უტყუო, ქორ-ულ უსანკარო (|| ულზიგა- „დაუსანკებელი“, „უსსაცოვრებელი“), მურყუამ-ურ უკოშკო, ჰაშ-ურ (ლნტ. იეზ-ურ, ლნტ. აზ-ურ) უეზო, ნაშხატ-ურ (ლნტ. აშხატურ) უღობო, ბალახ-ურ უბალანო, თაშ-ურ უყველო (შდრ. კუანხ) დიარ-ურ || დიარ-ულ უპურო, დომდულ-ურ უმთვარო, ანტყუასგ-ურ უვარსკვლავო და ა. შ.

ამგვარად ნაწარმოები ზოგიერთი სახელი მრ. რიცხვის ფორმით იწმარება, ან პარალელურად მოეპოვება მრ. რიცხვის ფორმა; მაგალითად:

ბოფშ-არ-ურ || ბოფშ-არ-ულ უბავშვებო, ჩაფლ-არ-ულ ფეხშიშველი („უფეხსაცმელებო“), შდიქ-არ-ულ უკბილო (ვისაც კბილები საერთოდ არა აქვს; შდრ. შდიქ-ურ ვისაც ერთი კბილი აკლია), ფხულე-ურ || ფხულა-ურ || ფხულ-არ-ულ უთითო, უთითებო, ცხა-ურ || ცხარ-არ-ულ უფრჩხილო, უფრჩხილებო. ბაჩ-ურ || ბაჩ-არ-ულ უქვო, დაბ-ურ || დაბ-არ-ულ უყანო. კიშხ-ურ || კიშხ-არ-ულ უფენო, თე-ურ || თერ-არ-ულ უთვალებო (შდრ. თატი-ირ ბრმა).

4 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953.
 5 ა. შ ა ნ ი ძ ე, უმაღლესი სვანურში; ფზულებანი, I, გვ. 332.
 6 იქვე, I, გვ. 364.



ადვილი შესამჩნევია, რომ ზოგი სახელისაგან უქონლობის სახელს წარმოება ორიენტირად შეიძლება; მაგალითად, ფაყუტ („ქუდი“)-საგან გვაქვს როგორც ფაყუტა, ისე ფაყურ, ლაჩაქისაგან ულჩაქა და ლაჩქურ, გურმაშ („ულაში“)-საგან უგურმაშა და გურმაშურ და ა. შ. მაგრამ უმეტესად უქონლობის სახელი ამა თუ იმ სახელისაგან მხოლოდ ერთნაირად იწარმოება: პრეფიქს-სუფიქსით ან სუფიქსით. ორივეგვარი წარმოების შემთხვევაში შეინიშნება მნიშვნელობათა დიფერენციაციის ტენდენცია. მაგალითად: თხტიმურ II თხტიმურ ნიშნავს „უთავოს“, უთხტიმაკი „უქეთაურას“. -ურ სუფიქსიანი წარმოება უფრო ხშირად გამოიყენება ზმნისართული მნიშვნელობით (ქართული ვით. ბრუნვაში დასმული სახელის ფუნქციით), რაც არ ახასიათებს პრეფიქს-სუფიქსიან წარმოებას. მაგალითისათვის შეიძლება დავიმოწმოთ ერთი ლექსის („ქალად“) სტრიქონები:

—ქალად საბრა, ქალად ლეყრი,
ლაჩქურ მეჩდე ლწმთილათე!
—დედე საბრა, ლაჩქურ მწდმა,
ლაჩქილ მეფრან ბაღდათის.
—ქალად საბრა, ქალად ლეყრი,
კაბურ მეჩდე ლწმთილათე!
—დედე საბრა, კაბურ მწდმა,
კაბელდ მაქტედა ყუთუნწში.
—ქალად საბრა, ქალად ლეყრი,
ფატურ მეჩდე ლწმთილათე!
—დედე საბრა, ფატურ მწდმა,
ფატან მაქტდ ჯამსიში.

—ქალად საბრალო. ქალად საწყალო,
ულეჩაქოდ წასულო მამეულთას!
—დედაც საბრალო, ულეჩაქოდ კი არა,
ლეჩაქი მეფარა ბაღდათისა.
—ქალად საბრალო, ქალად საწყალო,
უკაბოდ წასულო მამეულთას!
—დედაც საბრალო, უკაბოდ კი არა,
კაბა მეცვა სირმიანი (ყათინიანი);
—ქალად საბრალო, ქალად საწყალო,
უპერანკოდ წასულო მამეულთას!
—დედაც საბრალო, უპერანკოდ კი არა,
პერანგი მეცვა ზამშისა.

უ—ა აფიქსებით ნაწარმოები უქონლობის სახელი ზმნისართული მნიშვნელობით და ისიც ფუძის სახით (ვით. ბრუნვის ნიშნის გარეშე) ნაკლებად იხმარება; მაგრამ შინც შეიძლება ითქვას, რომ უ—ა პრეფიქს-სუფიქსიანი და ურ სუფიქსიანი წარმოება ფუნქციურად ახლოს დგას და თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.



შემაღლა შანიძე

ნადი და მამითადი

ნად სიტყვა ქართულში ადრეა დადასტურებული. ძველი აღთქმის უძველეს—
ოშკურ ნუსხაში (978 წ.) იგი რამდენჯერმე გვხვდება: „მეფენი მის თანა ნადნი“
3 მეფ. 21,16¹; „ყოველი განწყობილი მისი და ყოველი ნადი მისი და სიმრავლემ
ერისა მბრძოლისაჲ“ ივდ. 1,16; „ნადთა მათ ეფრემისთა“ ეს. 28,1; „ნადნი
ეფრემისნი“ ეს. 28,3; „გითარცა ქსელი ნადთაჲ“ ეს. 38,12². გვაქვს იგი პარი-
ზის ლექციონარშიც (X ს.) „ნაწილი ნადთაჲ ამათ ჩემთაჲ“ (20r). ნად სიტყვის-
გან ნასახელარი ზმნაც არის ნაწარმოები ოშკურ ნუსხაშივე: „ცოლი ჩემი ანა
ნადობდა სადღღოსა“ ტობ. 2,19³. მეორე ნასახელარი ზმნა დადასტურებულია
ძველი აღთქმის გეანდელ ნუსხებში (ოშკის ტექსტი შესაბამის ადგილებში ნაკლუ-
ლია): „მოინადნა... კაცნი უკეთურნი“ მსჯ. 9,4 („გელათის ბიბლია“ A 1108,
XII ს.); „მოინადეს შუამდინარით“ 1 ნშტ. 19,6; „მოინადეს სასყიდლითა“
1 ნემ. 6,13⁴.

ნად სიტყვა შემდეგაც ჩანს ქართულში; საბა ორბელიანი ასე განმარტავს
მას: „ნადი—მუშაკნი შეყრილნი ZAB; მეშად შეყრილნი კაცნი გინა ფეიქარი
(სასყიდლით Ch)C; შეყრილნი კაცნი D; მამითადი (გადახაზულია ნუსხაში), შე-
ყრილნი E“⁵. გარდა ამისა, დამოწმებულია კიდევ: „ნადობდა—ნადში მუშაკობდა
(2,19 ტობ.) ZAB“; მონადეს (მონადე Ab) (2 ეზრა 6,13)—ესე არს ლაშქარი
ფასით შეძინებული ZA“⁶.

ნადი დღესაც გვხვდება როგორც ცოცხალ მეტყველებაში, ისე სამწერლობო
ენაში. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ეს სიტყვა ასე არის აღნიშნული:
„ნადი—ძვ. მუშები, რომლებიც უსასყიდლოდ ეხმარებოდნენ ვისმე ყანაში და სხვ.—
მამითადი“.

ბიბლიურ ტექსტებში სხვა ქართულ და უცხოენოვან ვერსიათა ჩვენება სა-
შუალებას იძლევა—მახლოვებათა მაინც—დავადგინოთ ნად სიტყვის მნიშვნელობა
ძველ ქართულში. 3 მეფ. 21,16 შესაბამის ადგილას სხვა უფრო მოგვიანო ხანის
ქართულ ნუსხებში შემწე იკითხება: „მეფენი შემეწენი მისნი“ (A 646—XVI ს.
იერ. 113—XIII ს., A 51—XVII ს.); იგივე სიტყვა არის მოსკოვის 1743 წ. და

¹ ზოგ გამოცემაში—3 მ. 20,16.

² The Old Georgian Version of the Prophets. Critical Edition... by R. P. Blake and M. Brière. Patrologia Orientalis. t. XXIX, fasc. 3, Paris, 1961.

³ ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ექვსიგობი, I, გამოსცა ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ე მ,
თბ., 1970.

⁴ ი. ა ბ უ ლ ა ძ ე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.

⁵ მაგალითები დამოწმებულია ლექსიკონის ბოლო გამოცემის მიხედვით: ს. ს. ო რ ბ ე.
ლო ა ნ ი. ტ. IV, 1965 და IV, თბ., 1965. ლექსიკონი ქართული. გამოსაცემად მოამზადა ავტო-
რატული ნუსხების მიხედვით ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ.

თბ. 1884 წ. გამოცემებში); შდრ. **וְיָרָא רָע, אִיבָאָאָא**, **საქნიეში ქმ** აუთინ, **იფსასანაჲ ზიჟა**. ყველგან შესაბამისი ლექსიკური ერთეული ნიშნავს 'შემწეს, დახმარეს'.

ივლითის წიგნის ტექსტი ოშკურ ხელნაწერში ტექსტობრივად განსხვავებულია სხვა ქართული ნუსხებისაგან.

ეს. 28,1 და ეს. 28,3 მუხლებში დადატურებული ნადთა და ნადნი განმეორებულია მეაერთეუტე ს. იერუსალიმურ ნუსხაშიც, „გელათურ ბიბლიაში“ კი შესაბამისად გვაქვს „მიზღური ეფრემისნი“ ეს. 28,1; „მიზღურთა ეფრემასთა“ 28,3; ეგვიპტე სიტყვა გვხვდება ენტანგ VI-ის მიერ დაბეჭდილ ესაიას წიგნის ტექსტში, რომლის ერთი ცალი ჩაყინებულია „საბას ბიბლიაში“ (A 51)⁶. ეს გამოცემა, როგორც ცნობილია, მომდინარეობს სწორედ „გელათის ბიბლიისაგან“⁷. მიზღური არის აგრეთვე 1743 წ. და 1884 წ. გამოცემებში.

უცხო ევრისიათაგან ქართულთან შედარებით ახლოა ბერძნული და სომხური, სადაც ნად და მიზღურ სიტყვათა ფარლად ორივეგან (ეს. 28,1; 28,3) გვაქვს **μαθωαυρς** და **καρακισარ**. ორივეს აქვს დაქირავებულის, დაქირავებული ჯარისკაცის მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილას ბერძნული ტექსტი შეცდომით თარგმნის ებრაულ დედანს: **אִרְפָּא רַחֲשׁ** (ორივეგან) არის მთვრალნი ეფრემისნი (შდრ. სირ. **ܐܦܘܪܘܫܐ** რომელიც აგრეთვე მთვრალებს ნიშნავს); ეს იმიტომ მოხდა, რომ მთარგმნელებს ებრ. **רחש** გრაფიკული მსგავსების გამო წაუკითხავთ როგორც **רחש** (**רחש** — 'ღვინო დალია, მთვრალი იყო', შდრ. არაბ.

رَحَشٌ; **رَحْشٌ** 'დაიქირავა, ქირა, სასყიდელი მისცა', შდრ. **رَحَر**). ქართული და

სომხური ამ ადგილებში ბერძნულს მისდევს. მაშასადამე, ძველ ნუსხათა ნადი ეს. 28,1,3 იგივეა, რაც გვიანდელ ხელნაწერთა მიზღური. რ. ბლეიკს ასეც უთარგმნია ლათინურად: **mercenariis illis** და **mercenarii illi**. მიზღურს საბა განმარტავს, როგორც „მიზღის ამლებს“, ხოლო მიზდი, მისივე სიტყვით, არის „ასალები რამ ქირა, სარგო“. შეგნიშნავთ, რომ **μαθωαυρς** სიტყვის შესაბამისად ოშკის ბიბლიაში სხვაგან გვაქვს სასყიდლით დადგინებული გამ. 12,45; 22,15. თვითონ საბა კი მიზღურ სიტყვისათვის იმოწმებს გამ. 22,15 ZAA (ეს სიტყვა ამ ადგილას „საბას ბიბლიაში“ გვხვდება).

ნადთაჲ ეს. 38,2 ბერძნულის კალკი ჩანს, სადაც ტექსტი არასწორადაა გაგებული.

ამრიგად, ძველ ქართულში ნად სიტყვის შემდეგი მნიშვნელობები ჩანს: 'შემწევა, დახმარება კრებული, ჯგუფი' (3 მ. 21,16); 'დაქირავებული ჯარი, რაჟის სპა' (ეს. 28,1; 28,3).

საბასეული განმარტება ნადისა უფრო შეესაბამება იმ მნიშვნელობას, რომელიც მას ახალ ქართულში აქვს; ამ სიტყვასთან საბას არ დაუმოწმებია არც ერთი ძველითი წერილობითი ძეგლებიდან, ნადობდა სიტყვასთან კი იგი ტობ. 2,19 მუხლს იმოწმებს: „ნადობდა—ნადში (ვარ. ნადად) მუშაკობდა“ ZAB. საბას

⁶ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955, გვ. 193.

⁷ სს. თბ., გვ. 177.

მითითება, ალბათ, მისსავე ნარედაქციევ ტექსტს გულისხმობს. ნაბეჭდ ტექსტებში ორივეგან შინაარსეულად განსხვავებული იკითხვისები გვაქვს. ნადობდ ოშკისა და საბას ბიბლიის ტექსტში უნდა იყოს *ἡμεῖς* სიტყვის შესაბამისი ლექსიკური ერთეული: *ἡμεῖς* ნიშნავს ქებით მუშაობას⁸; მონადეს აგრეთვე ზმნის პირიანი ფორმაა; საბას დამოწმებული ადგილი II ეზრა 6,13 (შდრ. ზემოთ, ნემ. 6,13 ილ. აბულაძის მიხედვით) და A 646 ნუსხებში ასეთ იკითხვისს იძლევა: „ტობას და სანაბალატს (საკუთარი სახელებია მოთხრობით ბრუნვაში) მონადეს სასყიდლით ერი მრავალი ჩემოუს“.

ნადობდა სიტყვის განმარტებასაც საბა, როგორც ჩანს, ნად სიტყვის შედარებით გვიანდელ მნიშვნელობას უკავშირებს. შდრ. ზემოთ, მისივე განმარტება ნადისა. მონადეს ზმნა კი ლექსიკონში გვაძლევს ნად სიტყვის იმ მნიშვნელობას, რომელიც ძველ ქართულშია დადასტურებული. უნდა შეინიშნოს, რომ განმარტება მთლად გამართული არ არის: პირიანი ზმნა ახსნილია, როგორც არსებითი სახელი: „ლაშქარი ფასით შეძინებული“ — ალბათ, ამას შეესაბამება ლექსიკონის ნუსხათა მონადე.

ქართველურ ენებში არის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით ქართული ნად-ის დღევანდელ მნიშვნელობას ეტოლება: მეგრულში გვხვდება ნოდ-ი: „ანდლა ნოდი პუნს — დღეს ნადი მყავს“; „ნოდერიში ბირა — ნადის სიმღერა“⁹.

სვანურის სხვადასხვა კილოებში აგრეთვე არის ეს სიტყვა, ჩვეულებრივ მრავლობითის ფორმით: „კამნოდ პუნდ ლაქათე. ნადარ ი კამნოდ ქაჩუნდ ცხეთე — მტკაველამ ნადი შეყარა ტყის მოსაპრელად. ნადი და მტკაველა წავიდნენ ტყეში“¹⁰. ბალსქვემოურშიც გვაქვს ეს სიტყვა, ოლონდ მეგრულის მსგავსი ფორმით: „დადად ნოდარ ლააწენე — ბებია მ ნადი მოიწვია“¹¹.

გ. წერეთელს ნადი არაბული წარმოშობის სიტყვად მიაჩნია (ამავე აზრისაა ივ. ჯავახიშვილიც — ნ. ქვემოთ): იგი წერს: „სიტყვა მაკამა ძველ ენაში ტომის შეკრებილობას აღნიშნავს და ამ მხრივ არაბულევე ნადის შესატყვისად გვევლინება“¹². ეგვევ აქვს მას აღნიშნული „არაბულ-ქართულ ლექსიკონში“:

ნ. ა. მრ. *نَادٍ* კრების შეკრების ადგილი, კრებული (შდრ. ქართული ნადი)¹³.

არაბულ სიტყვათა სესხება, როგორც თვით გ. წერეთელს აქვს აღნიშნული, ქართულში ძალიან ადრე იწყება, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული ტრადი-

⁸ შდრ. E. A. Sophocles, *Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods*, London, 1963, სადაც ამ ზმნისათვის სწორედ ეს ადგილია დამოწმებული: *to work for hire* Tob. 2,11.

⁹ მეგალითები მომავლოდა კორნელი დანელიამ.

¹⁰ სვანური პროზაული ტექსტები, 1, ბალსქვემოური კილო. ტექსტები შეკრბეს ა. შანიძემ ე. თოფურამ. თბ. 1939, გვ. 334.

¹¹ მეგალითი მომავლოდა უჩა ცინდელიანმა.

¹² გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თბილისის საზ. უნივ. მოხსენებათა კრებული 1—1946 წ. სამეცნ. სესხები, I, თბ., 1947, გვ. 41.

¹³ გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954, გვ. 255. აქვეა მითითებული:

نَادٍ კრება, კრებული ხალხისა. გ. კლიმოვი ჯარკოუს ნად სიტყვის არაბულ წარმოშობას და მას საერთო-ქართველურად მიიჩნევს. Г. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*. М., 1964.



მამითადი: дружина, толпа рабочих;... მამითადი—ნადიმი, პურობა მომკაცრება მეშაკთა помощь. სოფელთა შინა მებატონე, ანუ მოსახლეთაგანი ვინმე ეამსა მკისასა განამზადებს ნადიმსა და მოიწვევს მეზობელთა თვსთა მოსამკავად თვისისა მოსავალსა. ამისთვის ითქმის: დღეს ამა და ამ კაცს მამითადი აქუს, ანუ ჰქონდა²⁰, ამასვე იმეორებს და ჩუბინაშვილიც: „ნადი — მუშაკობა მრავალთაგან, ზოგადი მუშაკობა გლეხთაგან მიწისა, ვენახისა; обработка; მამითადი — ნადიმი, პურობა მომკაცრება მუშათათვის. სოფელში მებატონე ან სხვა მოსახლე ეამსა მკისასა განამზადებს ნადიმსა და მოიწვევს გლეხთა მოსამკავად თვისისა მოსავლისა, ამისთვის ითქმის—დღეს ამა და ამ კაცს მამითადი აქვს ან ჰქონდა; Обед, приготовляемый помещиком для поселян, пришедших для уборки хлеба“²¹.

მამითადი ძალზე ძველი სიტყვა უნდა იყოს. იგი ქართულ საბუთებში უკვე მეცამეტე საუკუნეში გვხვდება; რკონის სიგელში (1259 წ.) ვკითხულობთ:

„და სამართლი და მამითადი განადამცა თქუენივე იყო“²². ამ სიტყვას აქვს მეორე სახეც: მამითნადი, რომელიც დამოწმებულია 1259—60 წწ. შიომღვიმის სიგელში: „არაგის საქმე უც ამას ადგილსა ზედა, არცა სამეფოა სამსახური ზედა აც, არცა მდგური, არცა გამოსაღებელი, თვნიერ ეკლესიისა მამითნადი“²³. თ. ჟორდანიას შენიშნავს: „მამითნადი უნდა იყოს მამითადი, ე. ი. ნადი ყანათათს“²⁴.

იგ. ჭავჭავიძეოს ვრცლად აქვს განხილული მამითადის მნიშვნელობა ერთ გამოუქვეყნებელ ნაშრომში²⁵; აქ იგი საკორპორაციო მეურნეობის სახეობის განხილვისას წერს: „მთელ სოფლის ურთიერთს დახმარებას მამითადი და მამითნადი ერქვა... მამითნადი შეიძლება ორნაწილადი სიტყვა იყოს, რომლის მეორე ნაწილს ნადი შეადგენს, ეს ტერმინი დასავლეთ საქართველოში ახლაც ცოცხალია, აღმოსავლეთ საქართველოში კი უკვე დაიწყებულა, მაგრამ წინათ აქაც ყოფილა გავრცელებული და ეს ტერმინი თავისი ნამდვილი მნიშვნელობით საბა ორბელიანსაც სცოდნია; მისი განმარტებით, „ნადი მუშაკნი შეყრილით“, ე. ი. მოსამეველებლად მოწვეული შეყრილი მუშაკნი იყვნენ ვითარცა ქართველმა საბა ორბელიანმა კარგად იცის ტერმინ „მამითადის“ მნიშვნელობაც და მისი სიტყვით, მამითადი იყო ნადი ყანათათს“. ამგვარად, ნადს საზოგადოდ მოდგამთბის მნიშვნელობა აქვს, მამითადი კი მხოლოდ ზენა-თესვისათვის დაწესებულსა და გამოყენებულს მოდგამობასა და კოოპერაციას ეწოდებოდა. ნადი ქართული სიტყვა არ არის, არამედ არაბული დას დაწინავეს 'შეყარალს, მომწვევს' და როგორც საბასაც სწორად აქვს ნათქვამი—'დაძახებულ, შეყრილ პირებს, თვით შეყრილებსაც' აღნიშნავს.

თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება ჩვენთვის, რომ ჭერ ერთი ტერმინი ნადი ქართულში არ უნდა ყოფილიყო და თვით მამითადის

²⁰ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. დლოტის რედაქციით: და გამოკვლევით. თბ., 1961.

²¹ ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელახლად შემუშავებული დ. ჩუბინაშვილისაგან. სპბ, 1887—1890.

²² თ. ჟორდანიას, ქრონიკები, თბ., 1893, II, გვ. 135.

²³ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 151.

²⁴ იქვე.

²⁵ იგი ამჟამად იგ. ჭავჭავიძეოს სახელობის კაბინეტში ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში; მასალები (1920—30 წწ.) მოამაჟოდა ნათელა ჭავჭავიძეოს.



ზემოაღნიშნული განმარტებაც სათუოდ უნდა იქცეს, სანამ ამ სიტყვის პირველი ნაწილის „მამით“-ის მნიშვნელობა არ გამოარკვევა. იქნებ მამითადის მამით-ნადად ქცევა მერმინდელია, ე. ი. ხალხური ეტიმოლოგია იყოს მხოლოდ და მამითადისა და ნადს წარმოშობითა და სადატრობით საერთო არა ჰქონდეთ რა?*

როგორც ზემოთ დავინახეთ, ნადი უკვე ძველ ქართულში არის დადასტურებული და ნიშნავს [დამამარეს, ერთად მყოფს ხალხს, ჯარს]; ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პირველადი, ამოსავალი ფორმა მამითადისა არის არა მამითადი, როგორც ი. ჯავახიშვილი ფიქრობს, არამედ მამით-ნადი. ეს სიტყვა წარმოადგენს კომპოზიტს, რომლის მეორე ნაწილია ნადი იმ მნიშვნელობით, რომლითაც ის ძველ ქართულშია დადასტურებული, ხოლო პირველი ნაწილი არის მამა სიტყვა მოქმედებით ბრუნვაში: მამით-ნადი, თავდაპირველი მნიშვნელობა ამ კომპოზიტისა უნდა ყოფილიყო (უფასოდ თუ ფასით) დასახმარებლად შეყრილ მამაკაცთა ჯგუფი²⁸. ის სპეციალური მნიშვნელობა, რომელიც ი. ჯავახიშვილს აგებს აღნიშნული, შედარებით გვიანდელია. მამით-ნადი თავისი წარმოების მხრივ ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი კომპოზიტია. მსგავსი სიტყვებია: გელით-წერილი, გელით-ქმნული, თუალით-მხილველი, გვით-კირი, კირით-ხურო, წყლით-რღუნა, მუცლით-მეზღაპრე და მრავალი სხვა²⁹.

ამრიგად, პირველადი ფორმა მამითად სიტყვისა არის სწორედ მამით-ნადი. ნ-ს ჩაგარდნა ამ სიტყვაში შედეგია დეეტიმოლოგიზაციისა: არქაული ტიპის კომპოზიტი გაუგებარი გახდა, რამაც გამოიწვია სიტყვის გაცევა და მისი ფონეტიკური ცვლილება. ამას ხელს შეუწყობდა ანალოგიაც (მღრ. გულითადი).

²⁸ ი. ი. შანიძე ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში: თბ., 1959, გვ. 252—261.



კონკრეტული დანალიზი

ბავლეს ეპისტოლეუბ ძველი ქართული რედაქციების წარმომავლობის საკითხი

1. ზოგადი ვითარება. ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხის კლევას კარგა ხნის ისტორია აქვს, მაგრამ არა თუ მთელი ბიბლიის, არამედ მასში შემავალი ერთი რომელიმე თხზულების წარმომავლობა არ არის ისე გარკვეული, რომ მტკიცება ყოველმხრივ უეჭველი იყოს. ამას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს: ბიბლიური ტექსტები პირვანდელი სახით არ არის მოღწეული. კ. კეკელიძის სიტყვებით, „ყოველად შეუძლებელია ამა თუ იმ ტექსტთან შედარების დროს ვინელმდღენსაღოთ მხოლოდ ნაბეჭდი ტექსტით, იქნება ის ქართული თუ უცხო. საქმე ისაა, რომ ნაბეჭდი ტექსტი ქართული თუ უცხო ბიბლიისა უცვლელად არ შეიცავს იმ ტექსტს, რომელიც ან რომლიდანაც გადმოთარგმნეს თავდაპირველად ბიბლია ჩვენმა წინაპრებმა“¹. ამიტომაც დღესაც ქართული ფილოლოგიის კარდინალურ საკითხად კვლავ რჩება ბიბლიური წიგნების ძველი ქართული თარგმანის წარმომავლობა. სამწუხაროდ, ბიბლიური წიგნების ძველი ქართული თარგმანების წარმომავლობის შესახებ აღრეული (V—VIII საუკ.) ბერიოდიდან არ მოიპოვება რაიმე პირდაპირი და ზუსტი ისტორიული ხასიათის ცნობები. ძველი (X საუკუნემდელი) მთარგმნელები და რედაქტორები სახელმოუხსენებლად ტოვებდნენ თავის ნამუშავეთ. ქართულ ენაზე ბიბლიის პირველ მთარგმნელთა სახელების მოუხსენებლობას ქრისტიანულ ეთიკასთან (მოკრძალებასთან) ერთად შესაძლოა ისიც განსაზღვრავდა, რომ ამ საქმის შემსრულებელი ერთი ან ორი კი არა, მთელი კომისია უნდა ყოფილიყო. ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება ქართლსა (337 თუ 325—339 წლებში)² და ეგრისში (IV საუკ.)³ გულისხმობდა არა მარტო გარკვეულ შინაურ სოციალურ-საზოგადოებრივ პირობებს, არამედ გარეპოლიტიკურსაც. ცხადია, ასეთი უდიდესი სახელმწიფოებრივი მოვლენის (ქრისტიანიზაციის) საყრდენის — ბიბლიური წიგნების — ნაციონალურ ენაზე გადმოღება მეტად სერიოზულ და საპასუხისმგებლო საქმედ იქნებოდა მიჩნეული და მისი შესრულება ერთ კაცს არ ექნებოდა მინდობილი. ამ დროს არ შეიძლება არ გავავსებდნენ ნახევრად ლეგენდური ცნობა იმის შესახებ,

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, 422.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951, 225—226. საქ. ისტორია, I, 1951, 225—228, საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, 73. ნ. დ. ოზოური, ნარკვევები ქართლის (აბერის) სამეფოს ისტორიიდან, 1975, 83.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, 188.

რომ ებრაული ძველი აღთქმის ბერძნულ ენაზე გადმოთარგმნაში 70 თუ 72 აღსანდრიელი სწავლული ყოფილა ჩაბმული (III საუკ. ძვ. წ.), რის გამოც ბერძნულ ტექსტს სეპტანტას, ლათინურად სეპტუაგინტას უწოდებენ. უფრო მეტიც: X საუკუნის I ნახევარს ბიბლიის რუსულ ენაზე თარგმნის საქმეში მონაწილეობისაში სასულიერო აკადემია: პეტერბურგის, მოსკოვისა და კიევისა... ასეა თუ ისე ჩვენთვის დღემდე უცნობია არა მარტო ბიბლიის ქართულ ენაზე პირველად მთავმწიფელთა ვინაობა, არამედ ამ უცნობლობის მიზეზიც.

დღეს საკამათოდ არავის მიაჩნია, რომ აუცილებელია ქართული ბიბლიის წიგნების ცალ-ცალკე საგანგებოდ შესწავლა. ამის თაობაზე ჯერ კიდევ ნახევარსაუკუნის წინ წერდა ცნობილი ამერიკელი ქართველოლოგი რობერტ ბლეიცი: „მხედველობაში მივიღებთ, რომ ბიბლიის ცალკეულ წიგნებს თავ-თავის ისტორია აქვთ და რომ ქართული ბიბლია მთლიანად შედგენილი ხასიათისაა და სხვადასხვა მიმართებაშია უცხოენოვან პირველწყაროებთან, მაშინ ამ საკითხის ყოველმხრივ გასარკვევად და ყველა მიმართებით შესასწავლად საჭირო იქნება არა ერთი თაობის შრომა“⁴. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხის სირთულე და მისი საბოლოოდ გადაჭრის პრეტენზია სრულებით არა გვაქვს, მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ კომპლექსური შესწავლის გარეშე ქართული ფილოლოგიის წინაშე დასმული ბიბლიოლოგიური პრობლემები ვერ გადაიჭრება. საჭიროა: ა) კრიტიკულად იქნეს შესწავლილი ამ საკითხებთან დაკავშირებული გვიანდელი (XI საუკ. დან მოყოლებული) ლიტერატურული ცნობები, ბ) გათვალისწინებულ იქნეს IV—საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა. გ) მკაცრი ლინგვისტურ-ფილოლოგიური ძიებით გამოვლინდეს ბიბლიის ძველ ქართულ რედაქციებში უცხოენოვანი ელემენტები და გაირკვეს მათი ქრონოლოგიური უწინარესობა-შემდგომადობა. თუ სამივე გზით მიღებული შედეგები ერთნაირ დასკვნამდე მივიყვანს (ე. ი. სხვადასხვა გზით მიღებული დასკვნებში ურთიერთგამოურთხავობის შემთხვევაში), შეიძლება მიღებული შედეგები ქვემოთტეხასთან მიხედვით ვივარაუდოთ, ზოგადად დღემდე ბიბლიოლოგიური საკითხების კვლევის მეთოდოლოგიური ნაკლი ის არის, რომ არსებითად ცალკეულ უბანში მოპოვებული კვლევის შედეგებით არის გაცემული პასუხი კარდინალურ კითხვაზე და არა სამივე უბანში მიღებული კვლევის შედეგების ურთიერთშეჯერებით.

ქართული თარგმანის უცხოენოვან რედაქციებთან მიმართების საკითხზე დიდძალი და უმეტესად ურთიერთგამომრიცხველი მტკიცებათა შემცველი ლიტერატურა არსებობს, რომლის მიმოხილვასა და კრიტიკულ შეფასებას დიდტანიანი შრომა სჭირდება⁵. ამიტომ ამაზე აქ სიტყვის არ განვაგრძობთ. აღვნიშნავთ ზოგადად იმას, რომ მკვლევარებს ბიბლიის ქართული თარგმანის სხვადასხვა წიგნის სხვადასხვა ტიპის ტექსტები უღარებიათ ასევე განსხვავებული ტიპის ბერძნულ, სომხურ და სირიულ წყაროებთან და სამივე უცხოენოვანი ტექსტის გავლენის კვალი შეუნიშნავთ, ასევე დასკვნებიც განსხვავებული გაუკეთებიათ. დავასახელებთ ცნობილ

⁴ P. P. Blajk, О древнегрузинских версиях Ветхого завета: Известия Кавк Отд. Моск. Арх. Общества, Вып. VI, Тифлис, 1921, 2.

⁵ ზოგადი ცნობები იხ. ვ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, 421—426. M. Тер-Мовсисян, История перевода Библии на армянский язык, СПб, 1902, 48—49: 52—75...

გით დაინტერესებულ უცხოელ ქართველოლოგთა შრომებში ბიბლიური წიგნების ქართულ თარგმანებში გამოვლენილ სომხურ ელემენტებს გადაჭარბებულ მნიშვნელობა ეძლევა და ბიბლიურ წიგნთა უძველესი ქართული თარგმანის სომხური წყაროდან მომდინარეობის დამამტკიცებელ საბუთად ითვლება¹². ამ შეხედულებას გარკვეულწილად ადრე არსებული ტრადიცია ასაზრდოებს. ნახევარი საუკუნის წინაც ზოგიერთ მკვლევარს (კონიბერს, მარს...) ¹³ შეუძმწვევლი არ პრჩებოდა ბიბლიის ძველ ქართულ რედაქციებში სირიული ელემენტებიც. მაგრამ ეს უკანასკნელიც სომხური წყაროდან ვადმოყოლილად ითვლებოდა. ასე იყო მაშინაც კი, როცა თვით სომხური წყარო სირიულ იკითხვისს არ შეიცავდა (ივარაუდებოდა, რომ სომხურმა დაკარგა სირიული იკითხვისი, მაგრამ სომხურზე დამოკიდებულმა ქართულმა თარგმანმა შეინარჩუნა. ამიტომაც ქართული ტექსტი სომხური და სირიული თარგმანების ადრეული ვითარების აღდგენისათვის ერთგვარ საკონტროლო საშუალებად ითვლებოდა), ამ თეორიის დღესაც ჰყავს დამცველები. ილხანიშნავია ი. მოლიტორის სიტყვები: საერთო ჯამში ძველი ქართული ტექსტის გამოკვლევა უპირველესად ემსახურება სირიული თარგმანის წინასტორიის გარკვევას¹⁴. ცხადია, რომ როგორც სხვა, ასევე ამ თეორიის წარმომადგენლებისათვის სადავო არ არის გრეციზმების სიჭარბე ბიბლიის ძველ ქართულ რედაქციებში. მაგრამ ისინი დაახლოებით ასე მსჯელობენ: ქართულ თარგმანში არმენიზმები უძველესი ტექსტობრივი ფენისაა, ვიდრე გრეციზმები. რატომ? იმიტომ რომ VII საუკუნის დასაწყისის აქეთ, როცა საქართველოსა და სომხეთს შორის საეკლესიო განხეთქილება მოხდა, ქართული თარგმანისათვის სომხური წყაროს გამოყენება არ არის საეარაუდო. მაშასადამე, არმენიზმები მეშვიდე საუკუნემდელი მოვლენა ყოფილა და უძველესი ქართული თარგმანის სომხურ წყაროზე დამოკიდებულების მაჩვენებელია. ერთა შეხედვით ასეთ მსჯელობას ლოგიკა არ აკლია. მაგრამ თვით წინამძღვრებია დაუდგენელი. გაუთვალისწინებელი რჩება, რომ საქართველოში ქრისტიანობის მიღებიდან (IV საუკ-ის I ნახევრიდან, რომლის ახლო წლებში უნდა ვივარაუდოთ ბიბლიური წიგნების ქართულად თარგმნა, ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მომხდარ განხეთქილებამდე (607 — 609 წწ.)¹⁵, დაახ-

წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები, თბ., 1976. კ. დანელია, ივრემას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი: ძვ. ქართ. ენციკლოპედია, 9, 1964, 159—184.

¹² J. Molitor, Zur Textcharakter der altgeorgischen..., 63—65. მისივე, Die Eigennamen in der altgeorgischen Übersetzung..., 15. L. Leloir, La version georgienne de la bible: „Bazmaveb“, Venis (Italie), 1—2, 1958. 119. S. Lyonnet, Les origines de la version arménienne et le Diatessaron: *Biblica et Orientalia*, 13, Rome, 1950, 144—195. დ. ლენკო, თანამედროვე შრომება ქართული ახალი აღთქმის შესახებ: *Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London*, XXIV, 483—494. კრიტიკა: С. Серебряков, К вопросу об отношении двух древнейших редакций грузинского четвероглава к греческим версиям: ძვ. ქართული მწერლობის საკითხები, I, თბ., 1962, 117—120.

¹³ ამ მხრივ მტრად საუბრადებოა E. მარის ვრცელი შრომა (ტექსტობრივი ფაქტების გამოვლენის თეორიისათვის) „Заметки по текстам Св. Писания в древних переводах армян и грузин“: *Христ. Восток*, т. II, Вып. II, 1913 (გვ. 163—174), т. II, вып. III, 1914 (გვ. 263—274), т. III, вып. III, 1915 (გვ. 249—262), т. IV, вып. III, 1916, (გვ. 229—245).

¹⁴ J. Molitor, Die Eigennamen..., 15.

¹⁵ მ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., I, 124; ურტანესი, ისტორია გამოყოფის ქართულსა სომხულსაგან, სომხური ტექსტი თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, 1975, 5.

ლოებით 250 წელია, საკითხავია, რის საფუძველზე ეძლევა არმენიზმებს ქრონოლოგიურად უწინარესობის სტატუსი გრეციზმებთან შედარებით? პასუხი არ ჩანს. საქმე ისაა, რომ, რადგან სწავრთველო ქრისტიანობის მიღებას გარკვეული აზრით ანტი-სპარსულ და ბიზანტიურ სამყაროსთან დამახასლოებელ გარემოლიტიკურ აქტადაც თვლიდა, წარმოდგენილია უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რელიგიური დოკუმენტის — ახალი აღთქმის — გადმოღებისას პირველწყაროსთვის — ბერძნული დედნისთვის გვერდი ავლოთ და მხოლოდ სომხურ თარგმანს დამყარებოდნენ. კ. კეკელიძე ამის თაობაზე წერს: „არ შეიძლება ისეთი წიგნის გადნოთარგმნისას, როგორცაა, ბიბლია, ქართველები დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ სომხური დედნით და არ მიემართათ, იმისდა მიხედვით, თუ სად ითარგმნებოდა შემადგენელი მისი ნაწილები, სხვა ენისთვისაც, განსაკუთრებით ბერძნულიისათვის, რომელზედაც პირველად ითარგმნა (ძველი აღთქმა) და დაიწერა (ახალი აღთქმა) ბიბლიური წიგნები“¹⁶. არის საფუძველები, ვიფიქროთ, რომ ბერძნულიდან მომდინარე უძველესი ქართული თარგმანის ზოგიერთი ბიბლიური წიგნი V—VI საუკუნეებში შეკვრებული უნდა იყოს სომხურ წყაროსთან გარკვეული წრის (გამორიცხული არ არის — გაქართველებული სომხური წრეების) სურვილების დასაკმაყოფილებლად. ამას გვაყარაუდებინებს: ა. ისტორიული ვითარების გათვალისწინება; ბ. ზოგიერთი ლიტერატურული წყაროს ჩვენება; გ. უცხოენოვან ვერსიებთან უძველესი ქართული რედაქციის შეკვრებით გამოვლენილი მასალები. მოვიხმით მოკლედ სამივე ტიპის მასალები.

ა) IV—V საუკუნეების საქართველოს ისტორიული ვითარება: III საუკუნეში ირანი და ბიზანტია დიდხანს ეცილებოდნენ ერთმანეთს საქართველოს დამორჩილებაში, ბოლოს 298 წელს ნიზინის ზავით ირანმა ცნო რომის უპარატესობა სომხეთსა და იბერიაზე, ქართლის მეფეს სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა სომხეთსა და იბერიაზე, ქართლის მეფეს სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა მიეღო. ქართლი ნომინალურად იყო რომის ვასალი, თორემ ფაქტიურად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. იმ ხანად ბიზანტია დიდ პრეტენზიებს არ უყენებდა, ნაკლებად აწუხებდა ქართლს, რაც უკანასკნელს ხელს აძლევდა, დიციული იყო აგრესიული ირანისაგან. ამიტომაც „ქრისტიანული სარწმუნოების მიღება ხელს უწყობდა ქართლსა და რომის იმპერიას შორის კავშირის განმტკიცებას, რადგან ეს ნიშნავდა ირანულ ორიენტაციაზე უარის თქმას, ბრძოლას ირანული პოლიტიკური და კულტურული გავლენის წინააღმდეგ“¹⁷. დასავლეთ საქართველოში, ეგრისში, IV—V საუკუნეებში ბიზანტიის გავლენა უფრო სავრძობია, რასაც სარწმუნოებრივი ადრე, ანტიკურ ხანიდანვე ჰქონდა. ანგარიშსასაწევია ის ფაქტი, რომ მეგრულში დღემდე შემორჩენილია უმთავრესად ბერძნულიდან შემოსული სიტყვები, რომლებიც ძველი ნასესხობის ნიშანს ატარებენ: საბატონი (σάββατον) „შაბათი“, ქულა (χάλα) „კოჭლი“, ბებელუა (βέβηλος) „წიბილწვა“¹⁸, საკი (σάκιος) „ტომარა“, ბორია (βόρια) „ქარი“. ეს სიტყვები ძველ ნასესხობას ამჟღავნებენ, რადგან ბერძნულში IV—V საუკუნეებიდან მიხდა ზოგიერთი ხშული ბგერის სპირანტიზაცია: $\beta = \text{ბ} \rightarrow \text{ვ}$, $\gamma = \text{გ} \rightarrow \text{ღ}$, $\chi = \text{ქ} \rightarrow \text{ხ}$... ასეთ შემთხვევაში მეგრულში ნასესხები ბერძნული სიტყვები იმ გამოთქმას ასახვენ, როგორც ადრე, IV საუკუნემდე იყო ბერძნულში. შემდგომაც ძველი კოლხეთის

¹⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 423.
¹⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 70—71.
¹⁸ Г. В. Рогова, О некоторых устных заимствованиях из греческого в карт-
 вельских языках: Проблемы античной культуры, Тб., 1975, 345—348.

კულტურაზე დამყარებული ტრადიციები ორგანულად ერწყმის რომაულ-ბიზანტიური კულტურის ელემენტებს. ცნობილია, რომ ბიჭვინტის ადრექრისტიანული ტაძრის მოზაიკა ნარეგია ადგილობრივია და ელინისტური ტრადიციებისა. რომაულ-ბიზანტიური გავლენა ჩანს ამ დროის არქიტექტურაში, წეს-ჩვეულებებსა და ტანსაცმელ-მორთულობაში; ფაზისში უმაღლესი რიტორიკული სკოლაა, სადაც ბერძნებიც კი ჩამოდიან სასწავლებლად. 325 წელს I მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში დასახელებულია ბიჭვინტის (პიტინტის) ეპისკოპოსი სტრატოფილე¹⁹. ყოველივე ეს კარგად მეტყველებს, რომ ქართლი და ეგრისი IV საუკუნეში ნებსით თუ უნებლიეთ ბიზანტიურ სამყაროსთან ახლო კონტაქტშია. თანაც თავიდანვე (IV — V საუკ.) ქართული ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოსთან იყო დაკავშირებული, იმ ანტიოქიისა, სადაც გაბატონებული ენა და კულტურა ბერძნული იყო. პროფ. ალ. ცაგარლის სიტყვებით, «здесь, в Антиохии, возникла и окрепла первая христианская община, она была метрополией грузинской церкви, она посылала просветителей и миссионеров в Грузию еще VI в, следовательно, она же, вероятно, и позаботилась дать нововозникшей церкви грузинской Евангелие, переведенное непосредственно с языка греческой церкви»²⁰. ამრიგად, IV — V საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური კავშირი ბიზანტიურ სამყაროსთან ლოგიკური აუცილებლობით გულისხმობს, რომ ქრისტიანული რელიგიის ქვაკუთხედის — ახალი აღთქმის — ქართულ ენაზე გადმოღებისას ბერძნული ორიგინალი უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ბ) ლიტერატურულ წყაროთა ჩვენება: X — XI საუკუნეებში ბიბლიური წიგნების ძველმა ქართულმა რედაქციებმა საფუძვლიანი ვადამუშავება განიცადა ბერძნულ წყაროსთან მაქსიმალური დაახლოების მიზნით. ამ დროისათვის მწიგნობართა შეგნებაში ჯერ კიდევ ცოცხალია წარმოდგენა ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ღირსებასა და წარმომავლობაზე. XI საუკუნის მწერალი გიორგი მცირე თავის შესანიშნავ ისტორიულ «ცხოვრება ვითარებ მთაწმიდელისაჲ» თხზულებაში წერს: «ეგრეთვე დაღაცათუ ბირველით განვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნოებაჲ კეშმარტი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა. და ვითარცა თესლნი არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყუნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი და ამის მიერ ფრიად გუევენებოდა, რამეთუ ნაუგესავი ჩუენი წრფელი იყო და უმანკოა, ხოლო ივინი რუცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რუცა ცოტუნებად გუაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნნიცა გუქონდეს მათგან თარგმნილნი»²¹.

მკვლევრები გიორგი მცირის ამ ცნობას ბიბლიის ქართულად თარგმნის საკითხის კვლევისას რატომღაც ჯეროვნად ვერ აფასებენ, ანადა სულ ყრუდ უვლიან გვერდს. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ზემოდასახელებულ ადგილას ავტორი ტენდენციურობას ამჟღავნებს მეზობელი სომეხების მიმართ, რაც გამოძახილია ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის გამწვავებული ურთიერთობისა. მაგრამ ამის გამო მთელი ცნობის უგულვებელყოფა გაუმართლებელია. ასევე გადაჭარბებული

¹⁹ საქ. ისტორიის ნარკვევები, II, 182—188.

²⁰ А. Чагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, Вып. II, СПб., 1889. XV.

²¹ ძვ. ქართ. აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, იდ. აბულაძის რედაქციით, II, 1967, 123.

სკეპსისია იმის თქმა, რომ XI საუკუნეში „შეითხზა ლეგენდა, ვითომც ჩვენს მთავითვე წმინდა და უზადო წიგნები გეჭონდა, მაგრამ მერე სომხებმა გავვირყვენეს ისინიო. ამ შეხედულების მკვეთრა გამომატველია გიორგი ხუცეს მონაზონი“²². არა. გიორგი მცირის ცნობა ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორიული ვითარების ანარქელი და ადრე არსებული ტრადიციული აზრის წერილობითი ფიქსაცია. მაგრამ სანამ ამას ვაჩვენებდეთ, აღვნიშნავთ, რომ ისტორიკოსმა დ. ბაგრატიონმა არასწორად გაიგო გიორგი მცირის სიტყვები და ოთხთავის ქართული თარგმანის სომხურიდან მომდინარეობის მიჩნევა, მაგრამ პროფ. ა. ცაგარელმა იმის თაობაზე სწორად შენიშნა, რომ დასახელებული ცნობა დასაწყისშივე დ. ბაქრაძის მტკიცების საწინააღმდეგო ჩვენების შეცავდა, „Мы с самого начала имели и Писания и веру истинную...“ ხაზს უსვამდა უძველესი ქართული თარგმანის არასომხურ წარმომავლობას²³.

ახლა ორიოდ სიტყვით შევეხოთ გიორგი მცირის ცნობის აკაბრაციას. გიორგი მცირე როგორც მწერალი და ისტორიკოსი, ფაქტებისა და ისტორიული რეალიების გადმოცემისას არანაკლებ ფრთხილი და მკაცრია, ვიდრე თვით გიორგი მთაწმიდელი. ივ. ჯავახიშვილი წერს: გიორგი მცირე „თავის მოძღვარს ჰბაძავს, იმის მეთოდებს მისდევს და მხოლოდ „უტყუელი“ წყაროებით სარგებლობს“. გიორგი ხუცეს-მონაზვნის თხზულება „ძვირფასი და შინაარსიანი, ამასთანავე სრულებით სანდო საისტორიო წყაროა“²⁴.

თუ კრიტიკულად შევფასებთ გიორგი მცირის ცნობას და მისგან გამოვირცხავთ მეზობელი ხალხის ტენდენციურ დახასიათებას, პოზიტიურ ფაქტად რჩება შემდეგი: 1. ქართველებს ქრისტიანობის მიღებისთანავე ჰქონიათ ძველ თარგმნელთა მიერ გადმოღებული ბიბლიური წიგნები („პირველი თვანვე გუქონდეს წერილიცა“). 2. შემდგომ, რადგან საბერძნეთი ტერიტორიულად შორს იყო საქართველოსაგან, საქართველოში (თუ საქართველოს მეზობლად) მცხოვრებ სომხებს ქართველებისათვის „მიზეზითა წესიერებისაჲთა, ე. ი. თარგმანის სისწორის დაცვის მოტივით შეუთავაზებიათ ბიბლიური წიგნების სომხური თარგმანით სარგებლობა, 3. ამის შედეგად ქართულ ენაზე სომხურიდან გადმოუღიათ ზოგიერთი ბიბლიური წიგნი. ვიმეორებთ, რაგინდ სტბიექტურად მოვეჭყვენოს XI საუკუნის მწერლის ზემოთყვანილი ცნობა, ერთი ამკარაა: ავტორის რწმენით, სომხურ წყაროზე დამოკიდებული ზოგიერთი ბიბლიური წიგნის ქართული თარგმანი არ არის თავდაპირველი თარგმანი, სომხურიდან მომდინარე ქართული თარგმანის გაჩენამდე ქართველებს ჰქონიათ ბიბლიური წიგნების („წერილების“) ისეთი ძველი თარგმანი, რომელიც სომხურ წყაროზე არ იყო დამოკიდებული: „პირველითგანვე გუქონდეს (გუაქუნდეს) წერილიცა“ ამკარად ხაზს უსვამს, რომ ზოგიერთი ბიბლიური წიგნის სომხურიდან მომდინარე ქართული თარგმანი ქრონოლოგიურად მეორეული, მოგვიანო მოვლენად არის მიჩნეული.

გიორგი მცირე თვითონ კი არ თხზავს ამ ფაქტს, არამედ არსებითად ტრადიციულ აზრს იმეორებს. მასზე ადრე გიორგი მთაწმიდელი არაერთგზის აღნიშნავს ბიბლიური წიგნების პირვანდელ თარგმანთა მაღალ ღირსებას, რაც, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ბერძნულ წყაროსთან სიახლოვე-შესატყვისობას გულისხმობს (ამ დროისათვის თარგმანის ღირსების საზომად ბერძნულ წყა-

²² ბ. ბაგრატიონი, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, 60.

²³ А. Цагарели, Сведения о памятниках... II, СПб., 1889. XIII.

²⁴ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, 147, 151



როსთან სიახლოვე ითვლება!). გიორგი მთაწმიდელი წერს: „ჩუენნი ყოველი სახარებანი პირველით გან წმიდად თარგმნონია და კეთილად“²⁵. ან კიდევ: ეგვიპთარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა²⁶. ეფრემ მცირემ იცოდა, რომ გიორგი მთაწმიდელი კრძალვით ეკიდებოდა ძველი ქართული თარგმანის ტექსტს და რედაქტირებისას სწორად არც ცვლიდა ზოგ მუხლს, მას ბევრი ადგილი „ძუელისა პავლისა წყალობისაგან დაუტეობია“; ასევე სამოციქულოს ზოგი ადგილი „რომელი მრავალსა პირსა აღიარებდა, იგი ძუელისავე თარგმნილისადა მიუყვანებია“²⁷.

გიორგი მცირის ზემოდასახელებული ცნობა რომ საფუძველს მოკლებული არ არის, ამას სხვა გარემოებაც გვაფიქრებინებს: ის ქართული რედაქციები, რომლებიც აშკარად შეიცავენ სომხურ ენოვან ელემენტებს, თითო ნუსხით არის მოღწეული, ასეთებია, მაგალითად, აღიშნის ოთხთავი 897 წლისა, „მცხეთის დავითნი“ (A 38)²⁸, მცხეთური ბიბლიის ზოგიერთი წიგნი²⁹. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული რომ არმენიზებული ქართული რედაქციების სხვა ნუსხებიც დაკარგულიყოს, ისე როგორც დაიკარგა ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის შემცველი ნუსხები. მაგრამ რაც ბედუკუღმართობას გადაურჩა, ასეთ სურათს იძლევა: სომხურ ელემენტოვანი ქართული რედაქციის ტექსტები თითო ნუსხითაა მოღწეული, ხოლო სხვა ტიპის რედაქციის ტექსტები — ათეულობით³⁰. ეს გვაფიქრებინებს, რომ სომხურენოვანი ელემენტების შემცველი ქართული რედაქცია ძველადვე არ უნდა ყოფილიყო საყოველთაოდ გავრცელებული. ის სომხური წარმოშობის ქართული წიგნების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უნდა შექმნილიყო. ასეთი რამ სრულიად შესაძლებელია V — VI საუკუნეებში, როცა ქართველებსა და სომხებს მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული და სარწმუნოებრივი კავშირი ჰქონდათ. ძველი ქართული თარგმანის სომხურ წყაროსთან შეჯერება, თუ სომხურიდან ხელახლა თარგმნა V — VI საუკუნეებისათვის უფრო საფიქრებელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტაოს თემში, სადაც სომხური წარმოშობის მისახლეობის ხეგდრითი წონა დიდი იყო. პოლიტიკური თვალსაზრისით, ტაო IV — VI საუკუნეებში სომხური პროვინცია იყო, დიდი ფეოდალური საგვარეულოს — მამიკონიანთა საგანმგებლო³¹. არა თუ ამ დროს, არამედ გვიანაც, IX — X საუკუნეში, როცა ეკლესიური განხეთქილება საქართველოსა და სომხეთს შორის მწვავე ფორმას იღებს, საქართველოს სამხრეთ დასავლეთ რაიონებში, სადაც მოძმე სომხებიც საზღოზღინენ, უშუალოდ სომხურიდან ქართულ ენაზე გადმოჰქონდათ ლიტერატურული ძეგლები და პირუტყვ. ასე ამოიდრებდნენ ქართულ-სომხურ კულტურას. ამ ხანის აგიოგრაფიულ თხზულებათა ქართული თარგმანები, ილ.

²⁵ ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, თბზ. I, 1957, 26.

²⁶ ცხობრება იოანესი და ეფთჳმესი, გამოსაქმნად დამახად ივ. ჯავახიშვილი, თბ., 1946, 47, 2.

²⁷ საქმე მოციქულისა, გამოსცა ილ. აბულაძე, თბ., 1950, 029.

²⁸ ელ. დოჩანაშვილი, მასალები აღიშნის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის: მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის, ნაკ. 32, 1955. Мз. Шанидзе, Древнегрузинские переводы „Книги Исаямов“ (Автореферат докт. диссертации), Тб., 1974.

²⁹ ელ. დოჩანაშვილი, ტექსტობრივი დამოკიდებულების რამდენიმე შემთხვევა ძველი აღთქმის ზოგ ქართულ ხელნაწერში: „მაცნე“ (ენისა და ლტ-ის სერია), № 2, 1971, 77—82.

³⁰ სომხური ელემენტები მათშიცაა, ოღონდ მცირე მასშტაბით.

³¹ ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—XII საუკუნეში, თბ., 1944, 06.



აზღვასის დასკვნით, არის „ტაოს სომეხ დიოფიზიტთა ლიტერატურულ ჯგუფების ნაყოფი“³².

საკითხავია: ბიბლიური წიგნების არმენიზების შემცველი ძველი ქართული რედაქციები სომხური წყაროდან მომდინარე და მოუკიდებელდ თარგმანი უნდა ყოფილიყო თუ თავდაპირველი, აღრე არსებული ქართული თარგმანის რედაქციული გადაამუშავება სომხური წყაროს კვალობაზე? ორივე შესაძლებლობა დასაშვებია, მაგრამ ვღიქრობთ, უკანასკნელი ვარაუდისთვის მაინც მეტი საფუძველი არსებობს, რადგან ამკარად სომხურელემენტთან ქართულ რედაქციაშიც კი გვინდება ბერძნული ტექსტის აღრეული გავლენის მაუწყებელი უძველესი ტექსტობრივი იკითხვისები³³. ამასთანავე არც ის არის გამორიცხული, რომ ქართული რედაქციის ჩამოყალიბებისას ბერძნულ წყაროსთან ერთად სომხური წყაროც ყოფილიყო გამოყენებული, სიკვთ შემთხვევაში, როგორც საკონტროლო საშუალება³⁴.

3. ტექსტობრივი შედარების მონაცემები: როგორც აღვნიშნეთ, არმენიზებული ქართული რედაქციის ისეთ ნუსხებში, როგორცაა აღნიშნული და „მცხეთის დავითნი“, გამოვლენილია უძველესი ტექსტუალური ფენის გრეკიზმები. ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ პეღეს ეპისტოლეა თავდაპირველი ქართული თარგმანიდან მომდინარე ძველ რედაქციაშიც სომხური და სირიული ელემენტების გვერდით გრეკიზმები მეტად ჭარბად არის წარმოდგენილი. ქვემოთ გიძლევით ძველ ქართულ რედაქციებში შემჩნეულ უცხოენოვან ელემენტთა თანმიმდევრულ კლასიფიკაციასა და ანალიზს.

I. ბერძნული ელემენტები

1) ნონსენსები. ჩვენი აზრით, თარგმანის წარმომავლობის დასადგენად ვაღამუშევრებ მნიშვნელობა აქვს ე. წ. nonsens-ებს, როცა თარგმანში მოიპოვება მცდარი, კონტრექსტისათვის შეუფერებელი, უაზრო ადგილები. ასეთ შემთხვევაში თუ გაირკვევა სიტყვის თუ ფრაზის მცდარი თარგმანის მიზეზი, წყარო, ცხადია, გარკვეულ იქნება თარგმანის პირველწყაროც³⁵. მაგრამ ანგარიში უნდა გავწიოს იმასაც, რომ პირველწყარო მცდარად შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ერთ ენაზე

³² ილ. აზღვასიძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—XI სსუე-ში, თბ., 1974, გვ. 363.

³³ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, I. СПб. 1886, 154; 17—56. ს. ყაუჩხიშვილი. აღმის ხელნაწერთა ბერძნულთა ენისკის „მოთხზვა“-XIV, 1944, 93—116. М. Шанидзе, დასახ. შრომა, 29—38; С. Сербряков, К вопросу об отношении двух древнейших редакций грузинской мегасрогана к греческим версиям: ძვ. ქართ. მწერლ. საკითხები, I, 1962, შიხიძე, ქართული თხზავის ორა ძველი რედაქციის ზოგერთი ფილოლოგიური საკითხი: ლტ. ძიებანი, XV, 1963.

³⁴ ასეთი კარული ადრე პროფ. ილ. ცაგარელიმ გამოთქვა (Сведения..., I, 15—16; II, XVI) და შემდეგ პ. პეტრია ცხადი საბუთისობით გამოკრა: „საერთოდ საფიქრებელია, რომ მთარგმნელმა ამ მნიშვნელობებისთვის, რომელთა გაცება სირიულიდან ან ბერძნულიდან ვერ მოაზრება, რევიზიისთვის სამაჟრს ნიშნათა, როგორც უფრო მასლობელსა და ნაცნობს. ეს სულაც არ ნიშნავს, ძველი შემთხვევაში რომ ნთელი თარგმანი სომხურ ორთავიანს ეტრფობა“ (პ. პეტრია, ლინგვატიური შესწავლები ქართული შიხლას ტექსტის ისტორიისათვის: თბილისი უნივერსიტეტი გორტი აზღვდიანა (საილ. კრებული), 1969, 60).

³⁵ ეს აზრი ტექსტოლოგიაში საკმაოდ არ არის: „Установление происхождения ошибок дает важные показания для истории текста“ (Д. С. Лихачев, Текстология, М.—Л. 1964, 25).

არსებულ თარგმანში, ასევე სხვა ენებზე არსებულ თარგმანებშიც. ასეთ შემთხვევაში ნონსენსი კარგავს გადამწყვეტ მნიშვნელობას თარგმანის წარმომავლობის გასარკვევად, რადგან დაუდგენელი ხდება ერთ თარგმანში არსებული მცდარი იკითხვისი უშუალოდ პირველწყაროს არასწორი გაგების შედეგია, თუ სხვა ენაზე არსებული თარგმანის მცდარი ადგილის პირდაპირი, უკონტროლო გადმოღება. მაგალითად, პავლეს ეპისტოლეების ძველ ქართულ რედაქციებში (ხშირად გვიანდელელებშიც) ბერძნული წყაროს წაჰყოფს სიტყვა, რომელიც ნიშნავს სხვას, მეორეს, ხშირად მცდარად არის წაკითხული, აღრეულია წაჰყოფს სიტყვაში, რომელიც ნიშნავს ახლობელს, მოყვასს (V საუკუნისთვის შეუქმლებელი არ იყო ადგილობრივი ე-დ წაკითხვათ. შდრ. აქავე ირევა *იაოს*-ში (აქვე; I ტომ. 6, 20). ასევე მცდარად არის წაჰყოფს სიტყვა გაგებული სომხურსა და სირიულ თარგმანებშიც. აი ეს ადგილები:

პრომ. 2,1: რომლითა საშველითა შეი მოყუასსა, თავსა თუსსა დაშვი AB CD-შიც მოყუასსა არის): შდრ. ბერძნ. *τὸν ἕταρον* („სხუასა“), მაგრამ: სომხ. *ղրհկրն* („მოყუასსა“), სირ. *ḥabrā* („მოყუასსა“)³⁶.

პრომ. 2,21: რომელი-ევე ასწიებ მოყუასსა, თავსა თუსსა არა ასწიებ AB (+CD). ბერძნულშია *ἕταρον* („სხუასა“, სომხურში — *ղրհկრნ* („მოყუასსა“), მაგრამ სირიულში სწორადაა გაგებული, რომელშიც არის სხვა სიტყვის მნიშვნელობის *ḥaḥrāneh*.

I კორ. 4,6: რამთა არა ერთი-ერთსა ზედა განლაღნეთ მოყუასი (—CD) მოყუასისათჳს AB (+CD)... *ἀλλὰ τὸν ἕταρον*. 'h *ḥbrak ḥrḥkrn*, 'al *ḥabrēh*.

I კორ. 6,1: იკადროს—მე ვინ თქუნ შორის, რომელსა საშველი ედვას მოყუასისა მიმართ, ვითარმცა ეშჯოდა იგი ცრუთა წინაშე...? AB (ხოლო CD-შია: საქმე აქუნდა მოყუასისა მიმართ)... *ἀλλὰ τὸν ἕταρον*. *ἄνθ' ḥrḥkrn*, 'am 'ahūhi („ძმისა მიმართ“).

I კორ. 10,24: ნუვინ თავისასა ეძიებნ, არამედ მოყუასისასაცა AB (+CD): *ἕταρον*. *ղრհკრნ*. *ḥ'habrēh* (შდრ. I კორ. 10,29).

I კორ. 14,17: შენ სამე კეთილად ჰმადლობ, ხოლო მოყუასი შენი არა აღეშენების AB (+CD): *ὁ ἕταρος*, *ḥrḥkrn*. *ḥbrak*.

გალ. 6,4: მაშინ თავსა შინა ხოლო თუსსა ქებაჲ იგი აქუნდინ და ნუ მოყუასისა მიმართ AB (CD): *τὸν ἕταρον*. *ḥrḥkrn*. მაგრამ *ḥaḥrāneh* („სხუასა“).

ბერძნული წაჰყოფს სიტყვის მცდარად გაგების სხვა შემთხვევებიც შეიძლება დასახლდეს, მაგრამ მოყვანილებიც საკმარისია, რომ ვთქვათ: ქართულ, სომხურ და სირიულ თარგმანებში დაშვებულ შეცდომებს განსაზღვრავს ბერძნული წყარო (გამონაკლისია პრომ. 2,21, გალ. 6,4, სადაც სირიული სწორ თარგმანს იძლევა) და ეს ფაქტი ქართულ-სომხურ-სირიულ თარგმანთა ურთიერთდამოკიდებულების მიჩვენებლად სანდო არ არის.

გალ. 4,18: კეთილ არს ბაძეჲ კეთილისათჳს და ნუ მისლვასა მს ჩემსა თქუნდა მიმართ AB (+CD)). ქართულში მისლვის ნაცვლად უნდა ყოფილიყო ყოფნა-არსებობის გამოხატველი ზმნა, როგორც ესა ბერძნულსა და სომხურში: *ὁ ἐγὼ παρῶν! με παρὲς ἑμαυτοῦ. ἢ ἄλλοθεν ἔρχομαι* 'h *ḥbrak* *ḥrḥkrn*. შდრ. *ḥ'ematī dalyātān*. მაგრამ სწორად არის აღნიშნული,

³⁶ *ḥabrā* „სხვა“ სიტყვასაც აღნიშნავს ახალ აღქმაში (მ. 12,13; ლკ. 14,31; Jennings, *Lexicon to the syriac New Testament*, Oxford, 1920, 69.

რომ ქართული თარგმანის შეცდომის საფუძველია ყოფნა (εἶμ) ზმნის აღრევა სლვა (εἶμ) ზმნაში და არა სირიული წყარო: „keine directe übertragung aus dem syrischen“! 37.

გალ. 4,20: მინდა მისლვაჲ თქუნდა აჲ AB (მისლვად CD). აქაც წინა მუხლის მსგავსი შეცდომაა. უცხო წყაროებშია: παραίνα, *qat*, (h)u'it. წინა მუხლზე სირიულის იკითხვის მისამართით ნათქვამი სიტყვები მოლითორისა შეიძლება გავავრცელოთ იმ მუხლზე სომხური წყაროს მიმართ: მართალია, შეცდომა სომხურ თარგმანშიც არის, მაგრამ ქართული თარგმანის შეცდომას ბერძნული წყარო უნდა განსაზღვრავდეს და არა უშუალოდ სომხური.

ზოგჯერ ქართული თარგმანის მცდარი იკითხვის წარევი ხასიათისაჲ, ე. ი. ერთი სიტყვა ორმაგად (ე. ი. სწორად და მცდარად) არის გადმოღებული ერთდროულად;

I ტიმ. 6,20: განეშორე ბილწთა მათ ცუდთა ახალ-ჴმათა... Α, ἐκ-
 τρεπήμενος τὰς βεβήλεις ἀνορθοῦντας (= „отвращаясь негодного пустосло-
 вия“) ქართული რედაქციის უძველესი ტექსტუალური ფენის შემცველ ო ხელ-
 ნაწერში (ზ-ც მასვე იმეორებს) ზედმეტად არის ნაზნარი ახალ სიტყვა, რადგან
 ბერძნულ ἀνορθοῦντας-ს კარგად გადმოსცემს ცუდთა ჴმათა [ცუდი ჴმა ეს
 არის მცირედ მორწმუნეთა ამათო ლაქლაქი]. წამატებული „ახალ“ სიტყვა
 ბერძნული კომპოზიტის პირველი ნაწილის მცდარი თარგმანი ჩანს: ἀνο (→ ἀ-
 νός), რომელიც ნიშნავს ამათს (ძვ. ქართულით, ცუდს), გაგებულია როგორც
 ἀνο (← ἀνός), რომელიც ახალს ნიშნავს. რითი ავხსნათ ქართული თარგმა-
 ნის წარევი ხასიათი? შესაძლებელია სამზარით ვარაუდი: ა) მთარგმნელი ყოყ-
 მანობს დედნისეული სიტყვის ფარდის ლექსიკური ერთეულის გადმოტანისას და
 ორმაგად ვადმოაქვს, ფიქრობს, რომ ან ერთი სიტყვა იქნება კონტრეტისათვის
 შესაფერისი ან მეორეო. ბ) მთარგმნელი სომხურ წყაროში იხედება და იქედან შე-
 მთავს ერთ-ერთი, კერძოდ, ახალ სიტყვა. სომხურში მხოლოდ მცდარი თარგ-
 მანია (ე. ი. მცდარი ერთეულის გვერდით, მეორე სწორი ფარდი არა აქვს): 'h
 ნორბანჲნ რანსჲ. შტრ. qāle s'riqātā („ცუდთა ჴმათა“). გ) ქართული იკითხ-
 თვისის წარევი სახე თავდაპირველი თარგმანში კი არ იყო, არამედ მერმე გაჩნდა,
 შეჯერების ჟამს: პირველთარგმანის ერთი სიტყვა საუკუნოდ იქნა მიჩნეული და შე-
 ჯერების ჟამს გამოყენებული უცხო წყაროს საფუძველზე მორე სიტყვა იქნა შე-
 მოტანილი, მაგრამ პირველი სიტყვის ამოღება საჭიროდ არ ჩათვალეს ან გამორ-
 ჩათ და გაჩნდა, ასე ვთქვათ, კონტრამინაციური იკითხვისი. ამ ვარიანტე-
 ბიდან ყველაზე ნაკლებ სარწმუნოდ მეორე გვეჩვენება, რადგან ქართული იკითხ-
 ვისი ტექსტუალურად საკანონად დაშორებულია სომხურს (სომხური ტექსტის *h*
 და *ranšh*-ის ფარდი ქართულში არა გვაქვს). მტკიცედ და დაბეჯითებით რამეს
 თქმა ძნელია, მაგრამ მეტი საფუძველი გვაქვს, ვიდრე ერთი, რომ ქართული თარგ-
 მანის ტექსტუალურ შესაბამისობას უნდა განსაზღვრავდეს არა სხვა (სომხურ-სი-
 რიულ) თარგმანებში არსებული შეცდომები, არამედ თვით ბერძნული წყაროს.
 მცდარი ვაგება. ეს იმიტომ რომ ქართულ თარგმანში არის აშკარა ნონსენს-
 სები, რომლებიც მხოლოდ ბერძნული წყაროთი პოულობს ახსნას და
 არა სომხური და სირიული თარგმანებით, რადგან ამ უკანასკნელებში სწორი
 იკითხვისებია. მაგალითები:

37 J. Molitor, Die altgeorgische Version des Galater- und Epheser briefes. Or. Christ., B. 59, 1975, Wiesbaden, 7.



ა) პრ. 1, 25: რომელთა-იგი ცვალეს ქეშმარიტებაჲ იგი ღმრთისაჲსი (ქართულად) რუთა და უმსახურებელ იქმნეს და ჰმსახურებდეს დაბადებულთა და არა დამბადებულსა AB. ტექსტში შეცდომითაა ნახმარი: უმსახურებელ იქმნეს. გიორგი ასწორებს ასე: პატრი-სცემდეს და ჰმსახურებდეს... რაც შესაბამისობაშია ბერძნულ წყაროსთან: *ἐσχηματισθησαν ἡμεῖς ἐκ τῆς οὐσίας τοῦ υἱοῦ. Ἐκ τῆς οὐσίας τοῦ υἱοῦ* („დამოარჩილდენ“); *ἐκ τῆς οὐσίας* („და შეშინდენ“?). როგორც ჩანს, მხოლოდ ძველ ქართულ თარგმანშია *ἐσχηματισθησαν* მცდარად გაგებული. ბერძნული *ἐσχηματισθησαν* ზმნა ნიშნავს: მოკრძალებას, პატრივისცემას, თაყვანისცემას. ქართულ თარგმანში კი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვაა ნახმარი. ამ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს სიტყვის მრავლი მნიშვნელობიდან კონტექსტისათვის შეუფერებელი შინაარსის გადმოტანასთან, ასე ვთქვათ, სტილისტურ შეუსაბამობასთან, რადგან *ἐσχηματισθησαν* ზმნას საერთოდ არა აქვს უპატივცემულობის („უმსახურებელ იქმნეს“) მნიშვნელობა. აქ დაშვებულია შეცდომა: ბერძნული *ἐσχηματισθησαν* ზმნის *ε* თავსართი წაკითხული ჩანს უარყოფის *α* პრეფიქსად და ამიტომ უნდა იყოს ქართულ თარგმანში პატივისცემის საპირისპირო შინაარსის „უმსახურებელ იქმნეს“. ყოველ შემთხვევაში სომხურ-სირიული თარგმანები არ იძლევა ქართული ტრადიციის მცდარი წაკითხვის საფუძველს, რომლებშიც დაჯერება-მორჩილების (*ἡσυχαστικῶν*) და კრილივა-ნიშის (*δύσλη*) მნიშვნელობის სიტყვებია ნახმარი.

ბ) პრ. 12, 13: ესენებანსა წმიდათასა ეზიარებოდეთ AB. კონტექსტის მიხედვით მხოლოდნელი იყო: „საგმარსა წმიდათასა ეზიარებოდეთ“, როგორც ეს არის გვიანდელ (GD) რედაქციებში, რადგან პავლე მიმართავს რამაველებს, რათა დაეხმარონ წმინდანებს, თანაუგრძნონ მათ გასაკირში. ბერძნულის მსგავსად სომხურსა და სირიულ წყაროებში საკიროების („საგმარის“) მნიშვნელობის სიტყვებია ნახმარი (სომხ. *խ պես*, სირ. *ܠܘܫܘܢܝܢ*). ასეთ შემთხვევაში ძველი რედაქციების მცდარი იკითხვის საფუძველი შეიძლება ის იყოს, რომ ბერძნული წყარო *χρῆμα*, რომელიც საკიროებას აღნიშნავს, გავრცელდებოდა იქნა მეორე, ომონიმურ *χρῆμα* სატყვედ, რომელიც უწყებას, გამოთქმას აღნიშნავს (შდრ. ესენება AB-სი), ან გადმოვიდა მცდარი *μαρμα* „ხსენება“.

გ) პრ. 15, 22: ამისთვისა წარგემატებოდე ფრიად მთავად თქუენდა AB. AB-ს იკითხვის მცდარაა, რადგან პირველწყაროში დაბრკოლების, წინააღმდეგობის მნიშვნელობის სიტყვაა ნახმარი: *Δὲν ἡμεῖς βραχίονα ἔχοντες ἔσμεν ἡμεῖς*. შდრ. ამისთვისა დავეყენე მისლვად თქუენდა CD. სომხურ წყაროში სწორად იკითხება ეს ადგილი: *վաս որպ շատ խախտեցաք դուք սու ձեզ*. სირიულ თარგმანშიც დაბრკოლების მნიშვნელობის *ܦܠܟܐܝܢ* სიტყვაა ნახმარი. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ *βραχίονα* არეულია *παραπαιτω* ზმნაში, რომელიც წინსვლას, წარმატებას აღნიშნავს? შდრ. I კორ, 9, 12: დაბრკოლება ვსნე ესცეთ AB.

დ) I კორ. 10, 1—2: ხილი სიტყვსა მისთვის წმიდათასა, ეზიარცა უბრძანე ეკლესიათა გალატიანთა, ეგრეცა თქუენ პყვით. ერთშაბათად-ერთშაბათად კაცად-კაცი თქუენი თქუენ თანა დაიკრებდინ და დაიფხვებდინ, უსუეთუ განმარჯუება რადჲ იყოს, რადჲ არა, ოდეს მოვიდე, მაშინლა სიტყუთა იყოს AB. ძნელია ამ ადგილის გავება ბერძნული დედნის გაუთვალისწინებლად, ძნელია, რადგან მცდარი თარგმანია. კონტექსტის მიხედვით, პავლე მოციქული კორინთელებს მიმართავს: წმინდანებისთვის შესაწირავის მოკროვებასას ისე იმოქმედეთ, რაგორც ეს გალატიის ეკლესიისთვის მიბრძანებია (განმნიშვნელობა): კერაობით ყოველშა



მჭკნვანმა დაზოგოს და მოაგროვოს (შესაწირავი), თუ ამის შესაძლებლობა შექმნება, რათა, როცა მე ნოვალ თქვენთან, მაშინ არ იყოს შესაწირავის მოგროვებაო. ძველ ქართულ რედაქციებში „შესაწირავ“ - „შესაკრებელი“ ნაცვლად მცდარად ორჯერ ნახმარია „სიტყვა“, რაც გავგებარს ხდის ორივე მუხლის მიზანს. გვიანდელ რედაქციებში ეს შეცდომა გაუსწორებიათ გიორგი მთაწმიდელსა და ვერემ მცირეს: შესაწირავისა C, შესაკრებელისა D (16,2), შეკრება CD (16,2). ძველი (AB) რედაქციების მცდარი იკითხვისის საფუძველი არის, რომ ბერძნულ წყაროში ნახმარი *λαγία*, რომელიც შეწირულობის შეგროვებას ნიშნავს, ძველ ქართველ მთარგმნელს გაუგია, როგორც *ლავი* სიტყვა, რომელიც უპირველესად სიტყვას ნიშნავს. სომხურსა და სირიულ რედაქციებში *ლავი* სწორად არის გაკებული. შდრ. სომხ. *հայտնի || հային լինիցին*. სირ. *metekanaš | gebeyatā*. მაშასადამე, ქართული თარგმანის შეცდომის წყარო მხოლოდ ბერძნული ტექსტია, უკეთ რომ ვთქვათ: ბერძნული ტექსტი უბიძგებს ქართველ მთარგმნელს შეცდომისაკენ.

ე) II კორ. 1,14: ვითარცა-იგი მიცნენით ჩუენ ჟამად-ჟამად AB. უცხო წყაროების გათვალისწინებით ქართულში მოსალოდნელი არ იყო ეამად-ეამად; ბერძნულშია *ἀπὸ καίρου*, სომხ. *ყოველ ἕκαστον*, სირ. *kalil men sagi*, ე. ი. ქართულში უნდა ყოფილიყო ნაწილობრივის მნიშვნელობის სიტყვა, როგორც ეს გვაქვს ვერემისეულ (D) რედაქციაში: ზოგსრე (=ნაწილობრივ). სხვაგან *ἀπὸ καίρου* ასეა გადმოტანილი: ზოგს-რამამე AC+CD (II კორ. 2,5). ხომ არაა შეცდომის საფუძველი ბერძნული წყარო? ნაწილის მნიშვნელობის *καίρου* ხომ არ არის წაკითხული დროის, ეამის მნიშვნელობის *καίρου* (← *καίρος*) სიტყვად?

ვ) II კორ. 5,8: გან-ღათუ-ვიძქარცუენეთ, არავე შიშულნი ვიპოვნეთ AB. ხოლო გიორგი ასწორებს და ვერემიც იმეორებს: რომელი-იგი შე-თუ-ვიმოსოთ, არღარა შიშველ ვიპოვნეთ. ერთგვარად უცნაური ფაქტია: ძველ რედაქციებში განძარცვა ზნა არის ნახმარი, გვიანდლებში კი — საპირისპირო შინაარსის შემოსვა სიტყვა. ბერძნული წყაროს მიხედვით შემოსვის ხმარება სწორია: *ἐνθυσμασται*. კონტექსტიც შემოსვა ზნას მოითხოვს, რადგან მოციქული აქ (II კორ. 4,5 — 5,10) ლაპარაკობს მკვდრეთით აღდგომაზე, განხრწნადი სხეულის წარმავლობასა და სულისგან მონიჭებული უხრწნელი სხეულის მარადიულობაზე, იმაზე, რომ „საყოფელა იგი ჩუენი ზეცით გამო შემოსად გუსურის, რომელი-იგი შე-თუ-ვიმოსოთ, არღარა შიშველ ვიპოვნეთ CD (II კორ. 5,2 — 3).

სომხურ თარგმანში შემოსვის მნიშვნელობის *զգնուցումք* ზნა არის ნახმარი, ხოლო სირიულშია ნათქვამი: რამეთუ არა მოსალ ვიყვენთ. მაშ, საიდან გაჩნდა ძველ ქართულ თარგმანებში განძარცვა ზნა? ძველ ქართულ რედაქციებში განძარცვა ზნის ხმარების საფუძველი შეაძლება ის იყოს, რომ *ἐνθυσμασται*: წაკითხულა როგორც *ἐνθυσμασται*. უკანასკნელი ფორმა ცნობილია ბერძნული ტექსტის ტრანსლიტერაციის გამოცემის ვარიანტიდან. ჰე ზნისწინიანი ნაზ ზნა (*ἐνθυσ*) ჩაცმა-შემოსვას აღნიშნავს, ხოლო *ἐ* ზნისწინიანი (*ἐνθυσ*) კი — განდა-განძარცვას. *ავ*-ის *ავ*-ად წაკითხვა საესებით მოსალოდნელია და ასეთი აღრვეის შედეგად უნდა იყოს AB-ში ნახმარი განძარცვა ზნა. აღრვეთვით ბერძნულ ნუსხებშიც შეიძლება ყოფილიყო, როგორც ეს ჩანს ტრანსლიტერაციის კრიტიკული აპარატში მოყვანილი ფორმიდან.

ზ) გალ. 2,7: უწყოდეს, რამეთუ... AB (-GD): *ἄβυσσος ἐστίν...*, *სხიქნი*; *hē zaq*- სამივე წყაროს მიხედვით, ქართულში უნდა ყოფილიყო: იხილეს: შეც-



დომის საფუძველია ბერძნული წყარო, როგორც ეს შენიშნა კალეკ მოლიტორმა:
 „Verwechslung von იმჳ (idā) mit იმჳრჳც“³⁸,

თ) ფილიპ. 2,23: პავლე ფილიპელებს სწერს, რომ მათ დასამოდღერავად გამოავაზენის თავის ერთგულ მოწაფეს — ტიმოთეს: „ამისა ვესავ მივლინებასა, რაჲმს განვიგო თავისა ჩემისა მისგან AB. ქართული თარგმანი ზუსტად მიყვება ბერძნულ წყაროს, ოღონდ ბოლო სიტყვაა მცდარად ნახმარი. კონტექსტის მიხედვით მისგან სიტყვის ნაცვლად ქართულ თარგმანში უნდა ყოფილიყო მაშინვე ან მყისვე, როგორც ამას გვაფიქრებინებს ბერძნული დღეანი და სხვა უცხოენოვანი (სომხური, სირიული) თარგმანები. წინადადებაში ასეთი აზრია: ვამედოვნებ (ვესავ) ამის (ტიმოთეს) გამოგზავნას, როგორც კი მოვაგვარებ (ან: მოგვარებულს შევხედავ) ჩემს საქმებს, მაშინვე. ევრემ მცირეს შეუნიშნავს ქართული თარგმანის ეს შეცდომა და „მისგან“ შეუცვლია „მყისი“ სიტყვით. ძველ რედაქციებში დაშვებული შეცდომის მიზეზია ბერძნული წყარო, რომელშიც ნახმარი ἔξωθεν ἔξωθεν აღნიშნავს: სწორად, ჩქარა, მაშინვე. მაგრამ ქართულ მთარგმნელს ეს სიტყვა გაუვია, როგორც ἔξω (გვ) „გან“ თანდებულობა ანუ „მისი“ ნაცვალსახელი და უთარგმნია, როგორც „მისგან“. აქაც ქართულ მთარგმნელს მხოლოდ ბერძნული წყარო „აცოუნებს“, რადგან სხვა უცხოენოვან რედაქციებში სწორად არის თარგმნილი ბერძნული სიტყვა (მდრ. სომხ. *საქარა-თაყ;* სირ. *ba'gal*).

ი) II ტიმ. 3,17: პავლეს აზრით, მთელი საღმრთო წერილი (ბიბლია) სასარგებლოა აღმართის დასამოდღერავად, „რამთა აწვე იყოს ღმრთისაჲ იგი კაცი ყოელისა მიმართ საქმისა კეთლისა განმტკიცებულ“ AB. ქართულ თარგმანში გაუგებრობას ქმნის აწვე სიტყვა, რომლის ფარდად ბერძნულ და სომხურ-სირიულ წყაროებში სრულყოფის მნიშვნელობის სიტყვებია ნახმარი. ქართულ თარგმანში დაშვებულ შეცდომას ისევ ბერძნული წყარო განსაზღვრავს, რომელშიც მოიპოვება ἄρα ἄρα ხედსარათავი სახელი, რომელიც სრულყოფილს ნიშნავს. მაგრამ ქართულ მთარგმნელს ეს სიტყვა აღრეგია ἄρα ἄრანიშედაში, რომლის მნიშვნელობაა „ახლა“, ძველი ქართულით, „აწ“. დასახელებულ ადგილას სომხურსა და სირიულში შეცდომა არ არის დაშვებული. სომხურშია: *հասարակ* (=სრულყოფილი), ხოლო სირიულ ტექსტში ნახმარი სიტყვა *gl'mir* სხვა მნიშვნელობასთან ერთად აქ სრულყოფილს აღნიშნავს, როგორც მიუთითებს ჯენინგსი³⁹. დაგსძენთ, რომ ევრემ მცირეს ქართულ ტექსტში შეუნიშნავს ეს შეუსაბამობა და სრულყოფილის მნიშვნელობით მიუცა „უნაკულთა“ სიტყვა „აწვე-ს“ გვერდით.

კ) ტიტ. 3,9: პავლე არაგებს ტრატეს: არ აპყვეს ცრუმოდღერათა სიტყვებს: „ხოლო სიცივისათა მათ ძიებათა და ცუდთა სიტყუათა და ჭლომათა და ლალეთა შეჭლასათა განეშოგრე, რამეთუ არიან ურგებს და ამათ“ AB. ძველ ქართულ თარგმანში შეცდომათა ნახმარი „ცუდთა სიტყუათა“, რადგან უცხოენოვან რედაქციებში მის ფარდად არის „შთაპაპელობას“ მნიშვნელობის სიტყვები (ბერძნ. *ψευδολογία*, სომხ. *սո՞մաթխա*, სირიულშია: „თხრობა ტომის შესახებ“⁴⁰: გვიანდელ (GD) რედაქციებში ეს შეცდომა ვასწორებულია „ტომის რაცხათა“ სიტყვით. ძველი რედაქციების მცდარი „ცუდთა სიტყუათა“ უნდა მომდინარეობდეს

³⁸ J. Molitor, Die altgeorgische Velsion des Galater- und Epheserbriefes..., 3.

³⁹ W. Jennings, Lexicon to the syriac..., 48.

⁴⁰ სირიული ფორმა ბერძნული ფარდის არაზუსტი კალკია. მდრ. სლ.-რუს. родословие.



ნარეობდეს ბერძნული სიტყვის არასწორი წაკითხვის საფუძველზე: რთული (თხზუ-
ლი) ყვეაღიჯა სიტყვის პირველი ნაწილი ყვეა წაკითხული ჩანს ჯვეა-დ (ჯე-
ვის, ჯევიჯ ნიშნავს ამაოხ, ძვ. ქართულით, ცუდს), ხოლო მეორე ნაწილი
კი ჯვიჯ სიტყვად, რომელიც უპირველესად სწორედ სიტყვას აღნიშნავს (მღრ.
სლავურ-რუსული *присловие*, რომელიც ბერძნული ყვეაღიჯა-ს კალკია).

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ დასახელებულიც
კმარა, რომ დავასკვნათ: პავლეს ეპისტოლეთა ძველ ქართულ რედაქციებში დაცუ-
ლი კონტექსტისეული შეუსაბამობანი (ნონსენსები) უძველესი ტექსტო-
ბრივი ფენისაა და წარმოშობილა მხოლოდ ბერძნული წყაროს
არასწორი გაგების საფუძველზე, ე. ი. უძველესი ქართული თარგმანი
ბერძნულ წყაროზეა დამოკიდებული. ზედმეტი სკეპსისი იქნება, რომ ასეთი ნონ-
სენსები მერმინდელი შეჯერების გზით გაჩენილად მივიჩნიოთ. შეჯერების მიზანი
ხომ ის არის, თარგმანი ზუსტ შესაბამისობაში მოიყვანოს შესაღარებელ წყაროს
თან. ამიტომაც რომ გვიანდელი რედაქტორები ვიორკი მთაწმიდელი და ეფრემ
მცირე ბიბლიური წიგნების ძველი თარგმანის შეუსაბამო ადგილებს ხშირად ასწო-
რებენ და მართებულადაც. რა თქმა უნდა, შეჯერების დროსაც ზოგჯერ
გამოპჩეხვით გაუსწორებლად ძველი თარგმანის მცდარი იკითხვისები, მაგრამ შე-
ჯერებისას გასწორდეს თარგმანი და ისიც უაზროდ, მცდარად, ეს იშვიათი და
მოულოდნელია (ცხადია, სიტყვა-სიტყვით კალკირებული თარგმანი სხვა რიგის
მოვლენა).⁴¹

2) **დექსიკურ-სემანტიკური კალკები:** ასეთი კალკებისაგან არც ერთი თარ-
გმანი არ არის დაზღვეული და მათ შორის ქართული, სომხური და სირიულიც.
როცა სამივე დასახელებულ თარგმანში ერთი ტიპის სემანტიკური კალკია, ვერც-
ერთ მათგანს ვერ მივსცემთ უბირატესობას, უკეთ ვთქვათ, ვერ გამოვიყენებთ იმის
საძლად საბუთად, რომ ერთი (ქართული) თარგმანი მეორე (სომხურ, სირიულ
თარგმანზე დამოკიდებულად მივიჩნიოთ. თუ სხვა ტექსტუალური ჩვენება არ გვა-
ძლავს, ასეთ შემთხვევაში უფრო საფუძვლიანი იქნება, რომ ქართულსა და სომ-
ხურ, სირიულ თარგმანებში გამოვლენილი სემანტიკური კალკები ერთმანეთისაგან
დამოუკიდებლად, უშუალოდ ბერძნულ პირველწყაროდან მომდინარედ მივიჩნიოთ
თუ როგორ უჭირს პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანის ავტორს
უცხო (ბერძნული) წყაროდან ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის გადმოღება და
როგორ არ არის ასეთი სიტყვა-ტერმინები თარგმანის დროსაჟვის მტკიცედ კანონ-
იზებული, ეს კარგად ჩანს პროფ. ჰ. პეჩის ახლახან დაბეჭდილი შრომიდან⁴².
რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ, სადაც სიტყვენს ბიბლიურ პირველწყაროში
სპეციფიკური მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ თარგმანებში ასეთი მეორეული
შინაარსის ნაცვლად მათი პირდაპირ პირველადი მნიშვნელობაა გადმოღებული

ა) სლვა: *περισσεως* ზმნას ბერძნულ ბიბლიურ ტექსტში პირველადი
(მოდრობა-სიარული) მნიშვნელობასთან ერთად, ხშირად მეორეული
მნიშვნელობაც აქვს, ნიშნავს: ცხოვრებას, ყოფა-ქცევას, საქციელს.
თავის მხრივ ეს ებრაიზნია: სექტანტიდან ახალ აღთქმაში დამკვიდრდა დასახელებული
სიტყვის მეორეული მნიშვნელობა⁴². თარგმანებში კი ეს მეორეული მნიშვნე-
ლობა უგულვებელყოფილია და მხოლოდ პირველადი შინაარსი გამოდის:

⁴¹ G. Patsch, Zu semantischen Problemen in der altgeorgischen Übersetzung der Paulusbrieve. ВК (Revue de Kartvelologie), v. XXXIV, Paris, 1976, 199—213.

⁴² Н. Н. Глубоковский, Библийский греческий язык в писаниях Ветхого и Нового завета (перевод), Киев, 1914, 29.



საქართველო
ენციკლოპედია

პროზა: 14,15. არღარა სიყუარულით ჰხუაღ AB+CD: *परिपाते, ह्यामि
gkr, m^halek 'at* ob. კიდევ: II კორ. 10,2; 12,18; გალ. 5,16...

I კორ. 7,17: და კაცად-კაცი, ვითარცა იხინა ღმერთმან, ვგრეცა ვიდო-
დენ AB+CD: *ὁμοιωσεν, ὡς ἡκανα ἡμῶν*, *hākanā n^halek*.

ბ) შტენება: *იჯიბეძეა ზმნას ახალ აღთქმაში პირველად (აგება-შენე-
ბის) მნიშვნელობასთან ერთად აქვს მეორეული, ქრისტოლოგიური მნიშვნელობა:*
აღნიშნავს დამოძღვრა-დარიგებას, კეთილ საქციელს ღვთის მადლის
მოსაპოვებლად. სამივე (ქართ., სომხ., სირ.) თარგმანში ეს სიტყვა გადმოდის შე-
ნების მნიშვნელობის სიტყვებით და მათში მეორეული შინაარსის მოაზრება
ჭირს ან შეუძლებელია.

პროზა: 14,19: შშდობისა უკუე შეუდევით და აღშტენებასა AB+CD...
იჯიბეძეა, ოქნიონ, benāinā, ე. ი. კონტექსტისეული მნიშვნელობა ვერც ერთმა
თარგმანმა ვერ გადმოიღო.

I კორ. 14,4: რომელი იტყუნ ენითა, თავსა თვსსა აღაშტენებ, ხოლო რომელი
წინააწარმეტყულებენ, კრებულსა მას აღაშტენებ AB+CD. ორივე შემ-
თხვევაში უცხო წყაროებშია: *იჯიბეძეა, ოქნიონ, bāinē*, ob. აგრეთვე: I კორ. 14,12;
II კორ. 12,19... პირველადი მნიშვნელობით კი: I კორ. 3,10; 3,12; 3,14...

გ) ნაწლევია: *σπλαγγισ* ბერძნულში პარადაპირა მნიშვნელობით ნიშნავს ში-
ნაგან ორგანოებს (გულ-ღვიძლს, თირკმელს, საშოს...), მაგრამ ებრაელის გავლენით
σπλαγγισ-ამ სექტანტის თარგმანსა და შემდგომ ახალ აღთქმაშიც მიიღო
სიბრალულის, კეთილგანწყობის, თანაგრძნობის მნიშვნელობა⁴³.
ბიბლიურ თარგმანებში კი ეს სიტყვა ჩვეულებრივ პირველადი მნიშვნელობით გა-
დადის (ზოგში გულ, ზოგში საშო, ზოგში თირკმელ, ზოგში ნაწლავ
სიტყვებით).

II კორ. 6,12: შეიწრებულ ხართ ნაწლევთაგან თქვენთა AB+CD:
σπασθησθε ὑπο ὑποσπλαγγισ..., *'h qoḥṣā, h^hh^hmaikun*. ჩანს, მხო-
ლოდ სიმბურ თარგმანშია უეჭველად მეორეული მნიშვნელობა დაჭერილი (*qoḥṣ*=
სიბრალული, თანაგრძნობა), ხოლო სირიულში საშოს თუ შიგნეულის მნი-
შვნელობის *raḥmā* სიტყვაა ნახმარი, რომელსაც სიბრალულის, თანაგრძნობის
მნიშვნელობაც აქვს⁴⁴. შდრ. რუს. во в сердцах ваших тесно!

ფილემ. 1,20: განუსუენე ნაწლევთა ჩემთა ქრისტე იესუსს მიერ AB+
CD: *ἀναπαύσθη μου ὑπο σπλαγγισ...* *հանդի գաղիսդ իմ, raḥmāi*, ჩანს, აქ
სომხური თარგმანიც ვერ აღწევს თავს ბერძნული ტექსტის გავლენისაგან და
σπλαγγισ გადმოაქვს ნაწლავის, შიგნეულობის მნიშვნელობის *ողქჳ* სიტ-
ყვით. შდრ. რუს. у высокої мое сердце.

მართალია, სემანტიკური კალკები მოხშირებულია გვიანდელ (GD) ქართულ
რედაქციებში, მაგრამ ძველ რედაქციებშიც არაა იშვიათი. ბერძნული ყაიდის
სემანტიკური კალკები ძველ ქართულ რედაქციებში, ვფიქრობთ, გარ-
კვეული მნიშვნელობისა ძველი ქართული თარგმანის მომდინარეობის გასარკვევად
იმ შემთხვევაში მაინც, როცა მათ სხვა ტიპის უეჭველი მასალებიც უღებან გვერ-
დით. რამდენიმე მაგალითი:

⁴³ Н. Н. Глубоковский, Библиейский греческий язык..., 29.

⁴⁴ W. Jennings, Lexicon to the syriac..., 207. W. Gesenius' Hebräisches und aramäisches Handwörterbuch über das Alte Testament, Leipzig, 1910, 749.

ა) დავარდნა: $\pi\acute{\iota}\pi\tau\omega$ ზმნას არსებითად ძირს დაცემის, დავარდნის მნიშვნელობა აქვს ბერძნულში. მაგრამ მას ახალ აღთქმაში ამ მნიშვნელობასთან ერთად მეორეული ნიუანსიც აქვს, აღნიშნავს: გაქრობას, მოსპობას, დაკარგვას. ქართულ თარგმანში კი დავარდნა ნახშირია ორივე მნიშვნელობის გადმოსაცემად, უკეთ რომ ვთქვათ, ქართულ თარგმანში $\pi\acute{\iota}\pi\tau\omega$ ზმნის მეორეული მნიშვნელობა უგულვებელყოფილია.

შრომ. 9,6: არა ეგრე, ვითარმცა დავარდა სიტყუაჲ ღმრთისაჲ $AB+CD$:
 მთ. $\acute{\epsilon}\kappa\pi\acute{\alpha}\tau\omega\alpha\chi\epsilon\nu$ ἂν $\lambda\acute{\iota}\gamma\omicron\varsigma$ τοῖς $\mu\acute{\iota}\sigma\iota\varsigma$, *სქეს ანჱაბ ქრხიქი რანს აქ*; *mefal neflat.*

ცხადია, სიტყვის დავარდნა კი არ უნდა ყოფილიყო კარგ, გააზრებული თარგმანში, არამედ გაქრობა-მოსპობის მნიშვნელობის სიტყვა, ვთქვათ, ასე: „ვითარმცა განქარდა სიტყუაჲ“, ან: „ვითარმცა წარგდა სიტყუაჲ. მაგრამ ძველი მთარგმნელი ბერძნული სიტყვის მეორეულ მნიშვნელობას ვერ სწვდება. ეს აღვლით შემოკმედებითად ვერც სირიულ და სომხურ თარგმანებშია წარმოდგენილი, მაგრამ თუ ქართულ იკითხვისს მაინც უშუალოდ ბერძნული წყაროდან მომდინარედ ვთვლით, ეს იმიტომ, რომ ფრაზის სხვა ტექსტუალური მონაცემებითაც ქართული ბერძნულს მიჰყვება და არა სომხურ ან სირიულ თარგმანებს.

I კორ. 13,8: სიყუარული არასადა დავარდის AB (დავარდების CD):
 'H $\acute{\alpha}\gamma\alpha\pi\eta$ $\epsilon\upsilon\theta\acute{\iota}\mu\omicron\varsigma$ $\pi\acute{\iota}\pi\tau\epsilon\iota$, *სქრ იჯ ხრქჳ ანჱანჱ*, *nafel*, ე. ი. სამივე თარგმანში დავარდის მნიშვნელობის სიტყვებია.

ბ) განცხადებულება: II კორ. 3,12; მრავალი განცხადებულება ვიდუაწით AB : $\pi\omicron\lambda\lambda\eta$ *παρηγοία* $\chi\rho\acute{\alpha}\mu\alpha\iota\theta\alpha$. ბერძნული *παρηγοία* პირველ ყოვლისა აღნიშნავს დაუფარაობას, გულდიობას, სიამაყარავეს, მაგრამ ახალ აღთქმაში სხვა მნიშვნელობა აქვს, გამოხატავს გაბედულებას, სითამამეს. ქართულ თარგმანში გადმოღებულია არა კონტექსტისეული, არამედ პირველადი მნიშვნელობა. ეფრემ მცირე ასწორებს ამ შეუსაბამობას, როცა ხმარობს კადნიერება (=გაბედულება) სიტყვას. სხვაგან ბერძნული სიტყვის სწორი თარგმანიც არის ძველ რედაქციებში, სადაც *παρηγοία* გადმოღებულია კადნიერება სიტყვით (II კორ. 7,4). სომხურშია: *համարձահուր վարხույց*, სირ.: *haglē* (=განცხადებულება). რუსულში სწორი თარგმანია: *действуем с великим дерзновением*.

ბ) მოქუან: I კორ. 10,17: რამეთუ ერთ სულ და ერთ ჳორც ჩუენ ყოველნი ვართ, რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს AB : $\acute{\epsilon}\kappa$ τοῦ $\acute{\epsilon}\nu\theta\acute{\iota}\mu\omicron\varsigma$ $\beta\rho\upsilon\tau\omicron\upsilon$ $\mu\epsilon\tau\acute{\epsilon}\chi\omicron\mu\epsilon\nu$. კონტექსტში ლაბარაქია არა მოტანაზე, როგორც ეს არის ქართულ თარგმანში, არამედ მონაწილედ, თანაზიარად ყოფნაზე, ე. ი. უნდა ყოფილიყო: „ზიარებაჲ გუაქუს“ ან „თანაზიარ ვართ“. ეფრემ მცირეს უცდია, რომ ამ ფრაზის უკეთესი თარგმანი მოეცა: რამეთუ ერთისა მიმართ პურისა ერთ გუამ ჩუენ მრავალნი ესე ვართ“. შდრ.: სწორი თარგმანი: *все причащаемся от одного хлеба*. მაგრამ ძველ ქართულ მთარგმნელს მონაწილეობა-ზიარების შინაარსის ბერძნული $\mu\epsilon\tau\acute{\epsilon}\chi\omicron\mu\epsilon\nu$ ზმნის რეალური მნიშვნელობა კი არ გადმოაქვს, არამედ გარეგნულ-მოჩვენებითი: $\mu\epsilon\tau$ ($\mu\epsilon\tau\epsilon\zeta$) ზმნისწინი გადმოაქვს მო-თი, ხოლო ძირეული ლა $\chi\omicron\mu\epsilon\nu$ მნიშვნელობის ქუან ძირით. სირიულშიც მოღება-მოტანის შინაარსის ზმნა ნახშირი (*nāšbinan*). სომხურ რედაქციაში კი არაზუსტად, მაგრამ მაინც უკეთ არის ბერძნული ფრაზა გადმოღებული: *ի ძიუჯ հაყს ანარჱ վայსլხმք* (=გუელხინების).



გ) II ტიმ. 4,3: რამეთუ იყო ეამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღვრებას არა თავს-იღებდენ, არამედ გულის თქუმისაებრ თავისა თვისა შეიკრებდენ ზო-ღურებასა ქაგილითა ყურთადათა: *ἐπίστωσαν ἑαυτοὺς ἐν δόξαν ἑαυτῶν καὶ οὐκ ἔβουλησαν ὑπακούειν τῷ κυρίῳ, ὅτι ἔκτισεν αὐτοὺς ἑαυτοὺς ἰσοῦν τῷ θεῷ*. ქართული თარგმანი უხეში სემანტიკური კალკია ბერძნული ფრაზისა: მოძღვრების შეკრება ყურების ქაგილით არსებითად გაუგებარია. საქმისაა, რომ ბერძნული *καὶ ἑαυτοὺς ἰσοῦν τῷ θεῷ* ვადმოღებულა პირველადი, ძირითადი მნიშვნელობით, (ესაა ფსანა, ქაგილი) და არა კონტექსტისეული შინაარსით, ესაა სიამოვნების მოგვრა. თანაც მეორე შეუსაბამობაცაა დაწვებული: *ἐπίστωσαν* ვადმოტანილია, როგორც „მოძღვრებასა“, უნდა იყოს კი „მოძღვართა“, როგორც ეს არის CD-ში. საერთოდ მუხლის აზრი ასეთია, პავლე არიგებს ტიმოთეს: დადგება დრო, როცა ქრისტეს საღ მოძღვრებას ზოგიერთები არ მიიღებენ და თავს წაძლიისამებრ აირჩევენ მოძღვართ, რომლებიც მათ სმენას ასიამოვნებენ (ქვეშარიტ მოძღვრებას დააცილებენ და ზღაბრებით შეიკეცვენ მსმენელებს). სომხურში ქართლისაგან განსხვავებული ვითარებაა: *დას მარამაჯიკო ქახიკაყ*, ხოლო სირიულში ნახმარი სიტყვა ნიშნავს ფსანასაც და სიამოვნება-სურვილსაც⁴⁵.

ვ) გრამატიკული კალკები: ა) ზმნისწინთა ვადმოტანისათვის. ძველი ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხის შესწავლისას არ შეიძლება ყურადღების გარეშე დარჩეს ისეთი გრამატიკული კალკები, რომლებიც აშკარად ბერძნული ყაიდისაა. ქართული თარგმანის ტექსტობრივი დამოკიდებულება უნდა შედგებოდეს იმ ფაქტში, რომ ბერძნული ზმნების ისეთი ზმნისწინები, როგორიცაა, ვთქვათ, *συν ἂν παρὰ* თითქმის სისტემებრ გარკვეულ დამოუკიდებელ ერთეულად არის ვადმოტანილი: სომხურსა და სირიულ თარგმანებში დასახელებული ბერძნული ზმნისწინები თანდებულებით ვადმოიცემა, ხშირად კი არც ვადმოდის. ბერძნული ზმნისწინი თუ რომელ თარგმანში როგორ ვადმოდის, თანდებულად თუ ზმნისწინად ეს თვით თარგმანთა შორის ტექსტუალური დამოკიდებულების გამოსამყდაგებლად გარკვეულ მნიშვნელობას იძენს. მაგ. პრომ. 6,4: და თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა AB+CD: *συνεφθην ἑν ἑαυτῶν...*, შდრ. *ქახიკაყ ენკ ნამჩნ მკყოთქმენ*, 'etq-barān 'ameh. მაშასადამე, ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროზე დამოკიდებულებას ამკლავებს არა მარტო ის, რომ თუ ზმნისწინი ზმნისწინითვე იქნა ვადმოტანილი (*συν*=თანა), არამედ ზმნურ სინტაქსში შემავალი სახელის ბრუნვაც (*ἑν ἑαυτῶν*=მას, ე. ი. ორივე მიცემითშია). სომხურსა და სირიულ თარგმანებში კი სხვაგვარი ვითარებაა: ბერძნ. ზმნისწინი თანდებულად არის ვადმოტანილი (*ენკ ნამჩნ*, 'ameh), ქართული ტექსტი რომ მათზე იყოს დამოკიდებული, გვექნებოდა არა „თანა-დავეფლენით მას“, არამედ: დავეფლენით მის (მას) თანა. პრომ. 8,22: ყოველი დაბადებული თანა-კუნესის და თანა-ელმის მოაქამდე AB+CD: *πᾶσα ἡ κτίσις συνστραφῆκει καὶ συναβήσει ἐν χεῖρ. τῶν υἱῶν. αὐτοῦ ἀπαρᾶσθαι ἑαυτοὺς καὶ ἐκείνους ἐκείνους ἐκ ἑαυτῶν*; mettānhan 'amhāblan... მაშასადამე, მხოლოდ ქართულშია ვადმოტანილი თუ ზმნისწინი. სომხურსა და სირიულში თუ იმითმოდ დარჩა ვადმოუტანელი, რომ ამ ენებს საერთოდ არა აქვთ ზმნისწინთა სისტემა (ამ მხრივ ქართული რამდენადმე ტიპოლოგიურად მსგავსია ბერძნულსა). ზმნისწინებით მდიდარმა რუსულმა ენამ ამ შემთხვევაში თუ-ის ფარდი e ზმნისწინი კი არ გამოიყენა, არამედ თანაობის მნიშვნელობის სიტყ-

⁴⁵ N. Jennings, *Lexicon to the syriac...*, 72.

ვ; **ВСЯ ТВАРЬ СОВОКУПНО** стенает и мучится. ზემოდასახელებული მაგალითები ტიპიური ხასიათისაა:

σ υ γ = თანა: თან ა-ნუგემინის-ცემა (პრომ. 1,12), **σ υ ν α ρ α α λ η θ ῆ ν α ι**, თან ა-მოწამე (პრომ. 7,16) **σ υ ν φ η ς**, თან ა-შეწვევის (პრომ. 8,26), **σ υ ν α ν τ λ α μ β ᾶ ν ε τ α ι**, თან ა-მოწამებითა (პრომ. 8,37), **σ υ ν α ρ ε τ σ ρ ο σ τ η ς**, თან ა-ზიარ (პრომ. 11,17), **σ υ γ ι α ν α γ ὄ ζ**, თან ა-მზრახველ (პრომ. 11,34) **σ υ ψ ὀ σ α ρ**, თან ა-შემწე-თა (პრომ. 16,3), **σ υ ν ε ρ γ ὄ ζ**...

შეგათვითა შემთხვევა, რომ ძველ (AB) რედაქციებში **σ υ γ** გადმოუტანელი იყოს. მაგ., სამოძღვე მუხლის ფარგლებში ორჯერ ნახმარი ბერძნული ზმნა **μ η σ υ ν ο μ α ρ ῆ σ α ῖ** ქართულ თარგმანში ორგვარად არის გადმოტანილი. ა) ზმნისწინანი ფორმით: ნუ თან ა-აღერევი... (I კორ. 5,9). ბ) უზმნისწინო ფორმით: ნუ აღერევი (I კორ. 5,11) გვიანდელი რედაქციები ამ გამთნავლისსაც ასწორებენ: ნუ თან ა-აღერევი CD.

π ρ ο = წინა (წინააღწარ, პირველ): წინ ა მ ს წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ თ ა (პრომ 1,2), **π ρ ο φ η τ ῶ ν**, წინ ა-მე-ვმადტა (პრომ. 3,9), **π ρ ο ε χ ρ ῆ σ ῖ α**, წინ ა მ ს წ ა რ გ ა ნ ო ბ რ ა ხ ა ვ ო (II კორ. 8,21), **π ρ ο σ ο ς ἰ μ ε ν**, პირველვე, მოგწერე (პირველვე გამოიწერა CD) (გალა 3,1), **π ρ ο ε ρ ᾠ ᾶ ν**.

იმის ცდა, რომ ბერძნული ზმნისწინი სიერთოდ არ დარჩეს გადმოუტანელი, ზოგჯერ ქართულ თარგმანს ხელ ო ვ ე ნ უ რ იერს აძლევს. მაგ.: სამარე ზე-ღებულ (პრომ. 3,13). უნდა ყოფილიყო: აღღებულ ან განღებულ. მაგრამ ძველი მთარგმნელი ბერძნული ფორმის კალკს იძლევა. შდრ. **τ ᾶ φ ὄ ζ θ ν ε ρ ῖ μ ἔ ν ὄ ζ**. არამედ ამას ყოველსა ზე და-ვისძლოთ ჩუენ (პრომ. 8,37): **... ἐν τ ο ῦ τ ο ῖ ς π ᾶ σ ῖ ν ὑ π ἄ ρ α ν ἰ σ τ ῶ μ ἄ ν**. ქართული ფრაზისათვის ზედმეტია „ზედა“; მაგრამ თუ არის, იმიტომ რომ ბერძნული **ὑ π ἄ ρ ὸ** არ დარჩეს გადმოუტანელი. ერთი სიტყვით, არ ვაკნავიანებთ, თუ დავსკენით, რომ ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროზე დამოკიდებულებას გარკვეულწილად ამქლანებს ბერძნულ ზმნისწინთა თითქმის სისტემური გადმოცემა ქართული ფარდი ზმნისწინებითვე. რასაც სომხური და სირიელი თარგმანები ვერ ახერხებენ. ვფიქრობთ, ასეთ ენობრივ (ვრამატკულ) მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თარგმანის წარმომავლობის დასადგენად, ცნობილია, რომ **если исследуется переводное произведение — язык особенно показателен, так как он может указать и на тот язык, с которого делался перевод**⁴⁶,

ბ) ზმნურ სინტაგმაში შემავალი სახელის ბრუნვის ფორმა: ზოგჯერ ზმნა სახელს მართავს უჩვეულო, არასაკურო ბრუნვის ფორმაში: ანგაროში ეწევა არა ქართულ სინტაქსურ კონსტრუქციას, არამედ ბერძნულ წყაროს: სახელი ქართულში იმ ბრუნვაში დაისმის, რომელ ბრუნვაშიცაა მისი ფარდი ბერძნული სიტყვა. მაგ.: ხარება ზმნა ორპირიანია (მიხარის, გიხარის (3)უხარის), მაგრამ რეალურად ერთი პირი ეწყობა ჩვეულებრივ (მიხარის მე, გიხარის შენ...), მაგრამ შეიძლება შევწყოს მეორე პირიც (resp. S₂): მრავალთა უხაროდის შობა იგი მისი (ლ. 1,14). მაგრამ S₂ სახელობითის ნაცვლად ბერძნულის კვალობაზე ზოგჯერ მიცემით ში დგას: სასოებასა გიხაროდენ (პრომ. 12,12), **τ η ἔ λ π ῖ ς ῶ ς χ ᾰ ῖ ρ ο υ σ τ ᾶ ς**, მიხარის მოსლვასა მას სტეფანასსა (I კორ. 16, 17 AB). **χ ᾰ ῖ ρ ὸ δ ῆ ἔ π ῖ τ η πα ρ ο υ σ ῖ ζ**.

⁴⁶ Д. С. Лихачев, Текстология, М.-Л., 1964, 55.



საქართველოს
საბჭოთაო აკადემია

გ) ტმეხი ზმნის უარყოფით ფორმებთან: უარყოფითი ნაწილაკები არა, ვერ, ნუ ქართულში წესისამებრ ზმნებს უშუალოდ წინ ერთვის. მაგრამ ძველ თარგმანებში ნაწილაკი და ზმნა დაშორიშორებულა ბერძნული ფრაზის კვლობაზე.

პრომ. 12,19. ნუ თავით თვით შურსა ეძიებთ $AB+CD$: $\mu\eta$ $\xi\alpha\sigma\tau\epsilon\varsigma$ $\xi\alpha\delta\iota\sigma\gamma\epsilon\varsigma$. II კორ. 8,1: ნუ ცუდად მადლი იგი ღმრთისაა მიგაქუნ AB : $\mu\eta$ $\epsilon\lambda\gamma\iota\sigma\gamma$ $\tau\eta\varsigma$ $\chi\alpha\rho\iota$ $\tau\omega\varsigma$ $\theta\epsilon\omega\varsigma$ $\delta\epsilon\lambda\alpha\theta\epsilon\omega\varsigma$ $\nu\mu\alpha\delta$. I კორ. 8,18: რაათა არა ძმა ჩემი და ვაბრკოლო $AB (+CD)$: $\nu\alpha$ $\mu\eta$ $\tau\epsilon\upsilon$ $\delta\epsilon\lambda\alpha\phi\epsilon\rho\gamma$ $\mu\alpha\varsigma$ $\sigma\chi\alpha\sigma\theta\alpha\lambda\iota\sigma\tau\alpha$.

და განსაკუთრებით ინტენსიურად იკვლევს ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანს ფილოსოფიისა და თეოლოგიის დოქტორი იოსებ მოლითორი, რომელიც ბამბერგის ფილოსოფიურ-თეოლოგიური უმაღლესი სასწავლებლის პროფესორია ახალი აღთქმის მეცნიერების დარგში. მისი ცხოველი ინტერესი ქართული წყაროსადმი პირველ ყოვლისა გამოწვეულია იმის მტკიცე შეგნებით, რომ ძველ ქართულ თარგმანს შეუძლია დაუფასებელი (unschätzbar) სამსახური გაუწიოს ბიბლიოლოგიას. მკვლევარს იმდენად ზელშესახებად აქვს წარმოდგენილი სომხურ-სირიული ელემენტების არსებობა ძველ ქართულ თარგმანებში, რომ უყოყმანოდ წერს: საბოლოოდ ძველი ქართული ტექსტის შესწავლა უპირველესად ემსახურება ძველი სირიული თარგმანის წინანდელი ვითარების გამორკვევას⁸¹. უკანასკნელ წლებში მკვლევარმა ბიბლიოლოგიისათვის მეტად საჭირო, შრომატევადი სამუშაო წამოიწყო: პავლეს ეპისტოლეთა ქართული ტექსტის ლათინურ თარგმანში საგანგებოდ გახაზავს (გამოჰყოფს) ტიპურ სირიულ იკითხვისებს. სამწუხაროდ, მოლითორი იძულებული იყო კრიტიკული გამოცემის არარსებობის გამო თავიდან, პირველი სამი ეპისტოლის ლათინურად თარგმნისას⁸², დაყრდნობდა ახალი აღთქმის 1963 წლის თბილისურ გამოცემას, რომელიც გვიანდელი (XI საუკ.) ვითარებულ რედაქციის ტექსტს წარმოგვიდგენს და მასაც საგრძნობლად შეცვლილად⁸³. ხოლო მომდევნო ეპისტოლეზე მუშაობისას⁸⁴ მას უკვე ზელთ ჰქონდა პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციების 1974 წლის კრიტიკული გამოცემა და მას იყენებდა.

თუ დავაკვირდებით ქართულ და სირიულ ტექსტების მსგავს იკითხვისებს, რომლებსაც ი. მოლითორი გამოჰყოფს, მათი საგრძნობი ნაწილი ზოგადად ასეთი ხასიათისაა: ქართულ ტექსტს, ზერანულს საპირისპიროდ, სირიულთან ახლოებს: ა) მეშველი არს (იყო) ზმნის „ზედმეტად“ ხმარება; ბ) ზოგი კავშირის (განსაკუთრებით „და-ს“) „ზედმეტად“ ხმარება; გ) ბერძნული მიმღეობების (თუ საწყისების) პირიელი ფორმებით გადმოტანა და სხვა. მაგრამ ასეთი საერთო იკითხვისები ენათა ტიპოლოგიური მსგავსების შედეგად უფრო მისაზნევი, ვიდრე სირიული ტექსტის ქართულ თარგმანზე უშუალო გავლენის მაჩვენებლად. ამიტომ არის, რომ ზეიორამოთვლილი ნიშნებით ქართული ტექსტი მხოლოდ სირიულ თარგმანს კი არ უდვას გვერდით, არამედ სომხურ ველვატასაც. რა თქმა უნდა, ერთი ტექსტის მეორეზე გავლენის უტყუარი საბუთი სხვა რიგის მოვლენებში უნდა ვეძიოთ. ეს კარგად ესმის მკვლევარს, როცა ფრთხილად ასკნის: ქართული ტექსტის 1963 წლის თბილისური გამოცემა მეტწილად ამცდენებს შეულობით (mittelbare) სირიულ ტრადიციას, მაგრამ არა პირდაპირ თარგმნას სირიულიდან, ოღონდ ასე არ შეიძლება ვიფიქროთ პავლეს ეპისტოლეთა ძველ ქართულ რედაქციებზეო⁸⁵.

⁸¹ J. Molitor, Die Eigennamen..., 15.

⁸² J. Molitor, Die georgische Version des Römerbriefes untom Hervorhebung typisch syrisher Lesarten ins Lateinische übertragen: Oriens Christianus, B. 57, 1973. მისივე, Die georgische Version des 1. und 2. Korintherbriefes ins Lateinische Übertragen und nach syrizismen untersucht: Or. Chr., B. 58, 1974.

⁸³ კ. დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციები (გიორგისა, ეფრემისა). ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., ტ. 19, 1976, 129—149.

⁸⁴ J. Molitor, Die altgeorgische Version des Galater- und Epheserbriefes und Lateinische übertragen und nach Syrizismen untersucht: Or. Chr., B. 59, 1975.

⁸⁵ J. Molitor. Die georgische Version der Römerbriefes..., 56.

აშკარა სირიული იკითხვისების გამოვლენა ქართულ თარგმანში თითქმის არ ხერხდება, თუმცა ზოგიერთი იკითხვისით ქართული თარგმანი მეტ სიახლოვეს ავლენს სირიულ წყაროსთან, ვიდრე ბერძნულ და სომხურ ტექსტთან.

1) მსგავსი ტექსტობრივი ქართულ-სირიული იკითხვები:

პრომ. 1,2: წიგნთაგან წმიდითა AB (+CD): ზე ყრფაჲც ბრძანა, ყოიქრ სეროქჳ, bak'tābē q'dišē (ქართული „გან“ თანდებული რამდენადმე სცილდება როგორც ბერძნულ ზე-ს, ასევე სირიულ ხ-ს, რომელსაც აქ ინსტრუმენტალისის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს). ასევეა ძვ. სირიულშიც:⁸⁶

პრომ. 1,3: ძისა მისისათჳს, რომელი-იგი იშვა თელისაგან დავითის გორციელად AB (+CD): თან ყეხომესოუ ზა სანქაჲთც დაჲსიზ აატბ სარჲა, ხჳ-ქოქ 'ჩ ჲაჲსჳსჳ ჲათქჳსჳ რთო მარჲანოქ. შდრ. 'al b'reh haw detiled hab'sar. ძვ. სომხ. ხრხხგა.⁸⁷

პრომ. 1,19: რამეთუ მეცნიერებაა იგი ღმრთისაჲ... AB (+CD), ბის: თბ' ყდათბუ... ჲხოთქჳს, d'rdi'ūteh.

პრომ. 4,3: რასა უკუე იტყუჳს წიგნი? AB (+CD): უს ყბრ ჲ ყრფჳ ჲ სბ-ყჳ. შდრ. ჲჳრ, k'tābā.

პრომ. 7,10: და მე მოკვეყელი AB (+CD): ზუბ ბზ ბქბზჲოვ. ს სჳ მბ-რაჲ, (w)'e'nā mišē, ქართულ-სომხურ-სირიული იკითხვისები მსგავსია.

პრომ. 9,5: ...კურთხეულ უკუენითი უკუენისამდე AB (CD: უკუენისამდე): ეღ თანც აზნოვც, ჲათჳსჳსჳ. l'āman 'ā'mān. ასეა პრომ. 11,36-შიც.

პრომ. 10,9: სცხოვნდე AB, სცხოვნდე CD: თაბ'ჳყ, ჲხგგჳ, hāye. ასეა პრომ. 10,13.

პრომ. 12,2: ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამის AB (+CD): უბ აზნო, აჲსარჳსჳ, l'ā'mā. ქართულ-სომხურ-სირიული იკითხვისები მსგავსია. იხ. I კორ. 2,8; 6,3—4...

პრომ. 12,3: არამედ ბრძნობდინ სიწმიდესა AB (+CD): ფროჲეჳ ეღ თბ თაფროჲეჳ. ჲჳსჳსჳსჳ. b'nakpūtā (= „სიწმიდით“).

პრომ. 12,18: ყოველთა კაცთა თანა მშუღობასა ჰყოფდიოთ AB (+CD): ებრჳსბოჲთც. ჲსარჲაღოქ ჲაჲჲჳ. š'lumā 'ēbed(w).

პრომ. 14,11: ცხოველ ვარ მე AB (+CD): ჴბ ჰჳ. ჲხრჲაქჳს ჲჳ. d'ḥay nā (მოლით). ქართულ-სომხურ-სირიული იკითხვისი მსგავსია.

I კორ. 2,8: რომელ-იგი არავინ მთავართავანთან ამის სოფლისამან იცნა იგი AB: ...ბზღჳს უბჳ ბჳჳბჳთჳ თინ აზნოვც თატათ ჰჳოჲჳჳ ჲჲსარჳსჳ აჲსარჳსჳ. men šalīḡānē d'ā'mā.

I კორ. 9,20: და ვიქმენ ჰურიათა თანა, ვითარცა ჰურიაჲ, შჯულსა ქუეშე მყოფთა თანა, ვითარცა შჯულსა ქუეშე მყოფი... AB: ხა: ჰჳესბჳჳ თინჯ 'ლბზა: ჲს ჲსბზა:..., თინჯ ბაბ სბჳთჳ ჲს ბაბ სბჳს, ქართულ თანა თანდებულისან სახელებს სირიულ-სომხურშიც თანდებულთან ფორმები შეესაბამება: w'ām d'e'ḥet namūsa || 'ām ihūdāyē. რზჳ რზჳსჳს || რზჳ სრზჳს; ანალოგიური ვითარებაა I კორ. 9,21-შიც.

⁸⁶ Der Altsyrische Paulustext, von Josef Kerschensteiner. Louvain: 1970, 2I.

⁸⁷ იქვე, 115.



I კორ. 10,2: და ყოველთავე მოსმს მიერ ნათელ-იღეს AB (+ CD): *καὶ πάντες εἰς τὸν Μῆνῆς ἐβαπτίσθησαν. ἡ ἁποκάλυψις ἡ ἐν τῷ ἕνεκα ἐκείνου.* ხეყად მუნს (მოლით).

ტიტ. 3,10: ზოლო ერესიოტსა მის კაცსა ერთითა და ორითა სწავლითა განუშორე AB: *Ὁ δὲ ἕνεκαςა და CD ვერსიებშია: მწვალეებელსა. უცხო წყაროებშია: ἀπεσταθὺν ἀποσταθῶν. კანს ἑκδοκασθῶν.* ქართული „ერესიოტსა“ რომ უშუალოდ ბერძნული წყაროდან იყოს გადმოსული, უნდა ყოფილიყო: „ერეტიკოსა“ ან „ერეტიკა“. ცხადია, ქართული ერესიოტი იგივეა, რაც ბერძნული ἀποσταθῶν⁸⁸. ეს სიტყვა, რომელიც *ta, o-ta* სუფიქსით არის ნაწარმოები, თვითონ ბერძნულ წყაროს დასახელებულ ადგილას (ტიტ. 3,10) ამ სახით არ დასტურდება, მაგრამ სირიულ თარგმანში კია დატული. *heresiwatā*. სირიული იკითხვის ან უცნობ ბერძნულ ნუსხას ემყარება, ანდა თვით მთარგმნელის ლექსიკის კუთვნილებას შეადგენდა: ბერძნულის ძლიერი გავლენა სირიულზე ჩანს არა მარტო ლექსიკაში, არამედ გრამატიკის უბანში⁹⁰. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ქართული იკითხვის სირიულს მიჰყვება.

სიტყვაწარმოებიდან ყურადღებას იქცევს ქართული „კაცად-კაცად“ კომპოზიტის მსგავსება სირიულ *naš naš* ფორმასთან. ხშირი შემთხვევაა, რომ ქართულ თარგმანში ნახმარ კაცად-კაცად სიტყვას ფუძეგოროკეცებული *naš naš* შეესაბამება სირიულ წყაროშიც (I კორ. 4,5; 7,17; 11,21; 12,7; 15,23; 16,2...), თუმცა სხვა ერთეულებიც არის ნახმარი: ცალმაგი *naš* (I კორ. 3,8) და *kul'āš* (პრომ. 12,3; I კორ. 3,10).

2) სირიული ფორმის საკუთარ სახელთა შესახებ: ქართულში საკუთარი სახელების მცირე ნაწილი სირიულ-სომხურ ტექსტუალურ ტრადიციას ამჟღავნებს. პირველ ყოვლისა ეს ეხება ჰაეიან სახელებს, რომლებიც სირიული წყაროდან არის შესული სომხურსა და ქართულ თარგმანებში: ისაჰაკ, აბრაჰამ, რაჰაბ... როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი სირიული იერის სახელები ქართულში სომხური გზითაც შეიძლება მოხვედრილიყო.

აღსანიშნავია, რომ ქართული თარგმანის ზოგი საკ. სახელის ფორმა ზოგჯერ სირიულთან უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს, ვიდრე სომხურთან. მაგალითად:

აპრონ (ებრ. 5,4; 7,11; 9,4): შდრ. *არაპონ (არაპოქნი)* ე. ი. სომხური ფორმის ზუსტი გადმოცემა ქართულში იქნებოდა არა აპრონ, არამედ აპარონ (აპაროენ), ქართული აპრონ სირიულის ზუსტი გადმოცემა: 'ahrōn.

მარა C (I), შდრ. მარია 47, მარია CD (პრომ. 16,6): ნიშანდობლივია, რომ ამ სამი ფორმიდან უძველესი რედაქციის ხელნაწერში დატული მარა (მიც. მარა-ს) და მარია (მარია-ს) სირიულ-სომხურ ფორმასთან ავლენს სიახლოვეს, ზოლო გვიანდელი (CD) რედაქციის მარია კი — ბერძნულთან: *μαρια, μαρια, Μαριαμ*.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრმა ჰაეიანმა სახელმა ქართულში დაკარგა ჰაე ბერძნულ ტექსტთან ასიმილაციით. მაგ., აგარ სახელი (გალ. 4,24) ქართულ თარგმანში თავიდან შესაძლოა ჰაგარ-ის სახით ყოფილიყო, როგორც მის გვაფიქრებინებს სირიულ-სომხურა წყაროები: *hāgār, ოაჰარ*, შდრ. *Ἄγαρ*.

⁸⁸ Pape's Griechisch-Deutsches Handwörterbuch, Band I, 1908, 59.
⁸⁹ K. Brugmann, Griechische Grammatik, München, 1900. 202.
⁹⁰ P. G. Рылова, Грамматика сирийского языка Ивли Тирханского: Палестинский сборник, вып. 14 (77), М., 1965, 5.

IV. ღასკვემბი

პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციების ტექსტი მოღწეული სახით ნარევი ხასიათისაა და სრულიად განსხვავებულ ტიპის უცხო წყაროებთან ავლენს დამოკიდებულება-კავშირს. ქართულ ტექსტში ჭარბადაა წარმოდგენილი გრეციზმები, საგრძნობია არმენიზმები, ხოლო უმნიშვნელოა სირიაციზმები. მიუხედავად ამ სხვადასხვა ენობრივ ელემენტთა რაოდენობრივი განსხვავებულობისა, მათ შორის ქრონოლოგიური მიმართების საბოლოო გადაწყვეტა ძნელდება. ქართულ ტექსტში რომ გრეციზმები ჭარბადაა, მართო ეს არ კმარა იმის საბუთად, რომ გრეციზმებს უფროდ ქრონოლოგიურად უწინარესობა მივაკუთვნოთ, რადგან დღეს ჭირს იმის გამოჩენა, ბერძნულ ელემენტთაგან რომელია თავდაპირველი და რომელი — მომდევნო შეჯერების ნაყოფი. მაგრამ ზოგი ბერძნული ყაიდის გრამატიკული კალკებისა და nonsens-ების სიძველე-ადრეულობის დაშვებისათვის მაინც მეტი საფუძველი არსებობს, ვიდრე საპირისპირო (ე. ი. მათი გვიანდლობის) მტკიცებისათვის. IV—V საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ვითარება, ლიტერატურული ცნობები (XI საუკუნისა) და ტექსტობრივი შედარების მონაცემები უფრო იმას გვაგვარაულებინებს, რომ პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციის წყარო ბერძნული ორიგინალი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რითი ავსნათ სომხურ-სირიული ელემენტების არსებობა ქართულ თარგმანში? უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნულიდან მომდინარე ძველი ქართული თარგმანი V—VI საუკუნეებში შეჯერებულ იქნა სირიულიდან მომდინარე სომხურ თარგმანთან გარკვეული (სომხური წარმოშობის) წრის სურვილების დასაკმაყოფილებლად. არ არის გამორიცხული მეორე ვარაუდიც: შესაძლოა, თავიდანვე ითვალისწინებდნენ ქართული თარგმანის ავტორები სამივე წყაროს ვითარებას და ამდენად, უძველესი ქართული თარგმანი თავიდანვე იყო შეჯერებულ ტიპისა. ე. ი. ძველი ქართული რედაქციების ავტორები ძირითადად ბერძნულ წყაროს ეყრდნობოდნენ. მაგრამ საჭირო (საჭოჭმანო) შენთხევაში, ვთქვათ, პოლისემიური და მეტაფორული ფრაზების თარგმანისას) საკონტროლოდ სომხურსა და სირიულ წყაროებშიც იხედებოდნენ⁹¹ და საკუთარი თვალსაზრისით მისაღებ ფორმას ხან ერთი წყაროდან იღებდნენ, ხან მეორედან და ხანაც მესამედან, ზოგჯერ ზუსტად არც ერთს არ მაჰყვებოდნენ და გვთავაზობდნენ პირველწყაროს თავისებურ, ორიგინალურ ინტერპრეტაციას. ამდენად, შეიძლება ძველი ქართული თარგმანი ჩვეულებრივი, პირდაპირი გადმოღება კი არ იყოს კონკრეტულად რომელიმე ერთი უცხოენოვანი ბიბლიური ტექსტისა, არამედ ბიბლიურ თხზულებათა თავისებურად გაგებულ ი ანალი რედაქციის, ქართული რედაქცია, რომელიც საბოლოო ჯამში, ვიმეორებთ, ზუსტად არც

⁹¹ თარგმანის თუ შეჯერების პროცესში ორიგინალთან ერთად სხვა ენებზე არსებული თარგმანების გამოყენების ბევრი დამტკიცება ცნობილია. მაგალითად, ძველი ალექსანდრე ბერძნული ტექსტის (სეპტუაგინტის) ლექსიკონის (ქ. 312) რეცენზია ბერძნულ ხელნაწერებთან ერთად მკვარცხობა ებრაულ ორიგინალსა და სირიულ თარგმანს (პეშიტას). იერონიმე უზამბოზარ ოქლიან (386—405 წწ.) ნაშრომს — ბიბლია ლათინურ თარგმანს ძველი ალექსანდრეული სიბუჯედ აღადგინებდა ებრაული ორიგინალი და ბერძნული თარგმანი (სეპტუაგინტა). სლავური ბიბლიის პირველ ისტორიკულ (1581) გამოცემაში ბერძნულიდან მომდინარე ძველი ალექსანდრეული თარგმანი სწორდებოდა ბერძნულის გარდა ლათინური ვულგატისა და ამ უკანასკნელადან მომდინარე ჩეხური თარგმანის მიხედვით... И. А. Чистович, История перевода Библии на русский язык, СПб., 1899, 6—7; 13).

ბერძნულ ტექსტს მიჰყვება, არც სირიულს და არც სომხურს (საილუსტრაციოდ, ასე ვთქვათ, ორიგინალური ქართული იკითხვისების რამდენიმე ტიპური ხასიათის შემთხვევას სხვა შრომაში განვიხილავთ). თუ უკანასკნელ ვართად დავუშვებთ, მაშინ უძველეს ქართულ თარგმანში უცხოენოვან ელემენტთა შორის ქრონოლოგიური მიმართების საკითხი მოიხსნება. ყოველ შემთხვევაში კვლევა-ძიების დღევანდელ დონეზე ზემოდაშვებული ორ ვარაუდზე უფრო მისაღები თვალსაზრისი არ ჩანს, რადგან მათი კატეგორიულად უარსაყოფად რაიმე ანგარიშგასაწვევი ობიექტური საბუთები არ არსებობს.

გაფისა შავიშვილი

გამოკრებილი მხუარი იაღზრის (A-596-ის) რელაქცია ღა თარიღი*

ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართული ხელნაწერებიდან ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდის A-596 ხელნაწერი, რომელიც ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

ამ ხელნაწერზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ თ. ქორდანიას, მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე და პ. ინგოროყვა.

A-596 პირველად აღწერა თ. ქორდანიამ. იგი წერს: „Рукопись на пергаменте, 18×14 сантимет., в разб. переплете, на 179 листах, начальных и последних листов недостает, переписана алфавитом хуцური (строчный) X века“ (6).

ამავე ხელნაწერას უფრო ვრცელი აღწერალობა მოცემული აქვს კ. კეკელიძეს. იგი წერს: „Рукопись... на пергаменте, переписана алфавитом хуцური начала XI века. Заключает в себе Мнясю (каноны, стихиры на „Господи возвах“ и на Хвалитех) до-афонской редакции, текст которой снабжен певческими крюковыми знаками... и точками вроде анаграмматизмов. В этой рукописи мы имеем образец богослужебных книг, известных в грузинской литургической терминологии под именем „иаღგარი“ (3,381).

ხელნაწერი ამჟამად შეიცავს 178 ფურცელს. ფურცლები საკმაოდ არეულია, მაგ., იოვანეს თავის კვეთის საგალობელი, რომელიც წესით ხელნაწერის ბოლოში უნდა იყოს, გაყოფილია შუაზე და ნაწილი ტექსტისა თავშია, ნაწილი კი ბოლოში. ფურცლების არევის გამო გადასმულია საგალობლის ნაწილები გრიგოლი ღმრთისმეტყველის საგალობელშიც.

ფურცლების სათვალავი ორნაირადაა მითითებული: ძველით და ახლით. ახალი სათვალავი გაკეთებულია ყოველი ფურცლის რექტოზე მსხვილი არაბული ციფრებით.

ძველი სათვალავი რვეულების მიხედვითაა გაკეთებული. ხელნაწერის ზოგიერთ ფურცელზე შემორჩენილია რვეულთა სათვალავის აღმნიშვნელი ასოები. ასეთი ქარაკმიანი ასოები ყოველთაის რვეულს ბოლო ფურცლის ვერსოზეა მოცემული. ასეთი მითითებები გვაქვს: 41v—ნგ, 57v—ნე, 63v—ნვ, 69v—ნზ, 79v—

* წაკითხულია მოხსენებამდე თავ ძველი ქართული ენის კათედრის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიქაელა იქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს 1977 წლის 13 ნოემბერს.



ნმ, 83v—ნთ. 63v-ზე მითითებული რვეულთა სათვალავიდან შემორჩენილია მხოლოდ ქარაგმა. ვილაცას ქარაგვის ზემოდან წვრილი ასოებით აღუდგენია იგი, ალბათ იმის გამო, რომ ძველი მითითება უკვე ძნელად ჩანდა.

რაოდენობა ფურცლებისა რვეულებში ყოველთვის ერთნაირი არ არის: ზოგი მათგანი, მაგალითად: იე, ივ, იშ და ით 6—6 ფურცლისაგან შედგება, იზ—რვისაგან. რამდენი ფურცლისაგან შედგებოდა იგ რვეული, ძნელი სავარაუდებელია, რადგან, საიდან იწყებოდა იგი, არ ჩანს.

საშუალოდ შეიძლება დაეფუძვით, რომ ხელნაწერის რვეულები 6 ფურცლისაგან შედგებოდა. თუ ეს ასეა, მაშინ ხელნაწერს თავში აკლია სულ ცოტა 37 ფურცელი, დაახლოებით 6 რვეული ($13 \times 6 - 41 = 37$).

ხელნაწერს შუაშიც უნდა აკლდეს. ამას ის გარემოება გვაგარაუდებინებს, რომ, ჯერ ერთი, რვეულთა აღმნიშვნელი ასოებიდან მხოლოდ ქარაგმაღია შემორჩენილი 99v-ზე და 102v-ზე. ამ ორ აღნიშვნას შორის სამი ფურცელია, სამეფურცილიანი რვეულები ხელნაწერისათვის არაა დამახასიათებელი; მეორეც, ნაკლებლადაა ხელნაწერში: დიმიტრის, საბას პირველი, ფერემის საგალობელი და ბოლო საგალობელიც, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო. რამდენი აკლია ხელნაწერს ბოლოში, არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში ტექსტი დამთავრებული არ არის

ხელნაწერის გადაწერაში მოწაწილობდა სამი პირი მანც. ძირითადი ხელით გადაწერალია ტექსტის უმთავრესი ნაწილი—159 ფურცელი. ძალიან მჭიდრო, წვრილად გამოყვანილი ასოებითაა ნაწერი 15—19 და 110—116 ფურცლები. ამ ხელისათვის დამახასიათებელია მ-ს განსხვავებული ხმარება. მაგალითად: შენ მენეო, სძლმ და მოუღე მეუღლე, სპასალარნი და ერნი, 31.5; ლოცვაა მართლმადიდებელთა შვიწირს, ქრისტე, 33,9.

მესამე ხელით ნაწერია ძალიან ცოტა. ესაა მრგვალი, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ასოებით შესრულებული ნაწერი. ამ ხელითაა გადაწერილი: IV, 123r, 124r. სამივე ხელისათვის დამახასიათებელია ასოების გადაბმა. გადაბმულია: 2, 3, 4 და ზოგჯერ მეტი ასოც. როგორც ცნობილია, ასეთი გადაბმა ნუსხურ წერაში წარმოიშვა ჩქარი წერის ნიადაგზე X საუკუნის ბოლოს.

ხელნაწერში თავიდან ბოლომდე გატარებულია მთავრულების ხმარების ერთი წესი: მთავრულებად გამოყენებულია მრგვალიანი ასოები, იშვიათად გვხვდება ნუსხურებიც.

მთავრულები იწერება: 1. საგალობლებსა სათაურისა და თარღის მითითებისას, 2. საგალობლის კანონების და სტიქარონების მითითებისას, 3. ძლისპირისა და ღმრთისმშობლისას მითითებისას, 4. კმათა მითითებისას, 5. ტექსტის ყოველი ახალი სტროფის დასაწყისში. ამ წესმა გამოწაკლისი არ იცის.

ხელნაწერი ნაწერია ორი ფერის მელნით: წითლით და შავით. წითლითაა შესრულებული მთავრულებად გამოყენებული ასოები, შავით — ძირითადი ტექსტი.

სამკაულებად გამოყენებულია ორი, სამი, ოთხი წერტილი და ყვავილის მსგავს ჯვარში ჩასმული ოთხი წერტილი. ისინი აშაზზეა გამოტანილი ნაწერის მარცხენა მხარეს. ზოგიერთ სტროფს, მაგალითად, გინცხადების საგალობლის ორ ლალატყავის დასდებისას, მარცხენა მხარეს აქვს შავი მელნით გამოყვანილი ჯვრისაგვარი ნიშანი. ეგვე ნიშანი ჩვენ ენახეთ A-603-ში, რომელიც ძლისპირების კრებულს წარმოადგენს.

ხელნაწერს ზოგიერთ ფურცელზე აქვს სხვადასხვა შინაარსის მინაწერები. ეს მინაწერები ასეთია:



19 v: გამიმარჯვა წმიდამან ღმრთისმშობელმან, ესე იადგარი, შევმოს მეთრეველ ქუცელურსავე რიგსა ზედა, აკინძე კიდევჭარისა გზითა. ლოცვითა შევღწევიით მამანო წმიდანო, მღვდელნო და დიაკონნო, მკითხველნო და მსმენელნო მე, დია ცოდვილსა ... ვნეს ვაბლიელ(ლ) ნაციხიელსა.

36 r: ირინეს მადლო, შეიწყალე საბა და მითხოვე წინაშე ქრისტესსა ბრალთა შენდობაჲ, რაჲთა არა წაგწყმდე. (ეს მინაწერი გაკეთებულია ირინეს საგალობლის იმ თავისუფლად დარჩენილ ადგილზე, რომელზედაც უნდა ყოფილიყო ორ დალატყავის ტექსტი).

41 v: ვაჲ ჭირი ეტრატისაჲ, თორმეტი ფრთა გარდმოყარე და მონ ჰპოო, რაცა ამ ვალობათა აკლიან ქოემოჲთ.

61 v: მსტქანა არს. (მინაწერი შესრულებულია ტექსტისავე ხელით ნუსხურად).

64 v: ძუელნი. (მითითებაა აშინაზე ტექსტისავე ხელით).

იქვე: მეორეთა ვალობათა ჰპოო. (მინაწერი ეხება პეტრეს და პავლეს პირველი საგალობელის აქბსა-ს და შესრულებულია ტექსტისავე ხელით. სათანადო ტექსტი ამ საგალობელში არ არის, მაგრამ ხელნაწერში გვაქვს პეტრეს და პავლეს მეორე საგალობელიც, რომელშიც მოცემულია აქბსა-ს ტექსტი).

90 r: გერნი არიან. (მინაწერი ეხება ფერისცვალების საგალობლის ორ ღლტყსა-ს. ნაწერია ტექსტისავე ხელით).

149 v: ჩ'ლ'ნ', მარტისა ზ', მელქუნ, მეოღლე მისი შუშა, შვილი არუთინ, მეოღლე მისი მაჲრამ, ძმა საპაკ დმუხუნ, მოსეს ოლიდა შენს ღმერთმან და ყოველნი გრიგოლ ლეითრთევი ქართიქსელი მღვდელი ანუღვდელის არს უ ვოვჰანე ქ გორქ. (მინაწერი შესრულებულია მსხვილი, ძალიან კეთხოვანი, დაღდაბნილი ნუსხურით. დაწერილია ის თავისუფალ ადგილას. ადგილი დახაზულია, ეტყობა, ზედ დაწერილი ტექსტი გადაუშლიათ, ამოუშლიათ).

12 v: დედისა ესრე შეიწირნეს ვნებანი. (ნაწერია ძალიან მკრთალად ნუსხურად).

24 v: მინაწერი შესრულებულია აღრინდელი მხედრულით. ძალიან ძნელად, თითქმის სულ არ იკითხება. თითქოს საუბარია იმის შესახებ, რომ ხელნაწერი შეუწირავთ კინტიშის წმ. გიორგის ეკლესიისათვის.

მინაწერები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ხელნაწერის შესახებ:

ძველ რიგზე გაწყობილი იადგარი, ძველისავე რიგის დაცვით, კიდევჭარის გზით მეორედ შეუშოსავს ვიდაც ვაბლიელს, დაახლოებით მე-12 საუკუნეში. ამ ვაბლიელის მიერ შესრულებული მინაწერისათვის დამახასიათებელია უწ კომპლექსის ხმარება და, საერთოდ, მ-ს არასწორი ხმარება, რაც მე-12 საუკუნემდე ნაკლებად მოსალოდნელია. ამ ვაბლიელს შეუნიშნავს ხელნაწერის ზოგიერთი ნაკლი და შეუყვსია იგი. კერძოდ, მას შეუტანია კრებულში წმ. გიორგის, ონოფრის და დიმიტრის საგალობლები. ამას ადასტურებს ის, რომ ამ საგალობლისათვის ისევეა დამახასიათებელი მ-ს არასწორი ხმარება, როგორც ვაბლიელის მინაწერისათვის.

ეს ვაბლიელი ღმრთისმსახურებაში საკმაოდ განსწავლული პიროვნება ჩანს. წმ. გიორგის ხსენების დღედ ქართულ ღმრთისმსახურებაში დადებული იყო: 3, 4, 10, 18 ნოემბერი, აგრეთვე 23, 24 აპრილი, 25 მაისი. ვაბლიელს გიორგის საგალობელი შეუტანია ნოემბერში თარიღის მითითების გარეშე. რომ დიმიტრის საგალობელიც ვაბლიელის მეორეა შეტანილი ხელნაწერში, დასტურდება შეკდეგით: ამ მოწამის სახელი რამდენჯერმე გვხვდება საგალობელში. ამათგან ერთხელ დემეტრეა დაწერილი,



სხვაგან კი—დიმიტრი. ამ სახელის დიმიტრი ფორმა მე-12 საუკუნეში აღმოჩენილია მისალთდნელია.

გაბლიელის შემდეგ, შესაძლოა ძალიან მალე, ხელნაწერი გადასულა ვილაც საბას ხელში, რომელიც შემწვობას სთხოვს ირინეს მადლს ქრისტეს წინაშე (იხ. მინაწ. 36r).

„შემდეგო“ ვამბობთ იმიტომ, რომ საბას თავისი მინაწერი გაუყეთებია ფურცლის თავისუფალ ადგილას, რომელიც ვერ შეუნიშნავს გაბლიელს. ამ თავისუფალი ადგილის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „Стихирь на „Господи возвах“ нет, в рукописи оставлено для них свободное место, по всей вероятности в оригинале, с которого списана данная рукопись. они отсутствовали или плохо разбирались“ (3, 383), არც ის არის გამორიცხული, რომ თავის დროზე აქ იყო ორ ღღტი-ს ტექსტი, შემდეგ და შემდეგ ეს ადგილი დაზიანდა და ნაწერი თანდათან გადაიშალა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ საოცრად ზუსტად არის გამოთვლილი და თავისუფლად „დატოვებული“ ორ ღღტყის ტექსტისათვის განკუთვნილი ადგილი.

1750 წელს ხელნაწერი გადასულა ახალი მფლობელის თუ მფლობელების ხელში, რომლებიც უთუოდ სომხები უნდა ყოფილიყვნენ. (მინაწ. 149v-ზე). უფრო მოგვიანებით ეს ხელნაწერი შეუწირავთ კინტიშის წმ. გიორგის ეკლესიისათვის.

კინტიშის ეკლესიის შესახებ ცნობები მოცემული აქვს დ. ბაქრაძეს (I, 1878 წ.). აქ აღნიშნულია, რომ 1780 წლიდან მოხდა მდინარე კინტიშის სივრცის მოსახლეობის საბოლოო გათურქება, თუმცა მაშინ, როდესაც დ. ბაქრაძე იმ ეკლესიაში იყო, შეუნიშნავს სრულიად ახალი ნაჩვენები სანთლებისა. ეტყობა, მინც მოდიოდნენ აქ მლოცველები. სანამ არ მოხერხდება იმ თარიღის დადგენა, რომელიც 24v-ს მინაწერშია აღნიშნული, ალბათ ძნელი იქნება გადაკრით იმის თქმა, ვერ სომხები იყვნენ მისი მფლობელები და შემდგომ შესწირეს იგი კინტიშის ეკლესიას თუ პირიქით. უფრო სავარაუდებელია, რომ 1750 წელზე ადრე ვილაცამ ეს ხელნაწერი გამოიტანა კინტიშის წმ. გიორგის ეკლესიიდან და შემდეგ ჩაუვარდათ იგი ხელში 129v-ზე შესრულებულ მინაწერში მოხსენებულ პირთ, მიუხედავად იმისა, რომ 1750 წელს შესრულებული მინაწერი შედრულად არის შესრულებული, ხოლო კინტიშის ეკლესიისათვის მისი შეწირვის ამბავი მხედრული მინაწერით არის მოთხრობილი.

ალბათ, მე-19 საუკუნეში ხელნაწერი გადასულა ვილაცა რუსი მფლობელის ხელში, რომელსაც შესწორებანი შეუტანია ხელნაწერის კალენდარში. ამ მფლობელის შესწორების მიხედვით ირინეს ხსენებაა არა აპრილში, არამედ მაისში (მინაწ. 36r-ზე); მამას ხსენებაა არა ივნისში, არამედ სექტემბერში.

ბოლოს ხელნაწერი მოხვედრილა საეკლესიო მუზეუმის ფონდში.

საინტერესოა ის მინაწერებიც რომლებიც საგულისსმთ ცნობებს შეიცავენ საგალობლების შესახებ. მაგალითად: ძუელია, 16v; მსუქანი არს, 61v; ძუელინი, 64v; ვერნი არიან, 90v. ყველა ისინი გაკეთებულია ძირითადი ხელით. ჩანს, ამ ხელით მწერალმ არის ყველაზე კარგი მკოდნე საგალობლებისა.

ხელნაწერში არის ნასწორები ადგილები. ასწორებს სამი პირი. პირველი გამსწორებელი გამოტოვებულა სიტყვის ჩასამატებელ ადგილს აღნიშნავს სამი ვერტიკალური წერტილით და ჩასამატებელ მასალას სტრიქონსა და სტრიქონს შუა წერს. ასეთი წერტილები სხედს 20v; 28v; 39v; 50v-ზე. მეორე—თვით სტრიქონზე, ასოთა შორის დარჩენილ ადგილას უმატებს რაიმეს. მაგ., 19v-ზე ჩამატებულია ხ ძლიან წვრილად. მესამე—ასწორებს ძალიან უხეშად იყენებს ამოვსაც.

ხელნაწერის კალენდარი ასეთია:

- სექტემბერი: 26 მიცვალეზა იოვანე მახარებლისაჲ;
- ოქტომბერი: 28 დიმიტრისი;
- ნოემბერი: 1 კოზმან-დამიანეთაჲ, 9 წმიდისა გეორგისი, 25 წმ. ეკატერინესი, 27 წმ. იაკობ დაკრილისაჲ;
- დეკემბერი: 4 წმ. ბარბარასი, 5 წმ. მამისა ჩუენისა საბასი, 27 სტეფანესი, 28 პეტრე-პავლესი;
- იანვარი: 1 ბასლოსი, 5 ვანცხადებისა წინა დღით, 6 ვანცხადებაჲ, 17 მამისა ანტონისი, 20 მამისა ეფთემისი, 25 გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ, 27 იოვანე ოქროპირისაჲ, 28 ეფრემისი;
- თებერვალი: 24 იოვანეს თავის პოვნაჲ;
- აპრილი: 16 ირინესი;
- მაისი: 7 გამოჩინებაჲ ჯუარისაჲ, 24 სუმეონისი;
- ივნისი: 1 ქრისტეფორესი, 20 მამასი, 24 იოვანეს შობაჲ, 26 ეფრონისასი, 28 წმ. მოციქულისა პავლესი
- ივლისი: 8 პროკოპისი, 15 კვირკვისი, 17 მარინასი, 20 ქრისტინასი, 24 თეკლასი, 28 პანტელეონისი;
- აგვისტო: 6 ფერისცვალეზაჲ, 10 ფოკასი, 15 მიცვალეზაჲ წმ. ღმრთისმშობლისაჲ, 29 იოვანეს თავის კუეთაჲ, 9 ონოფრისი.

თ. უორდანი თავის აღწერილობაში წერს: „Вследствие утери листов пергамента остались неспопення лишь на следующие дни года: Ноябрь: 10 и 25; Декабря: 4, 5, 27, 28; Января: 1, 5, 6, 17, 20, 25, 27; Февраля: 1; Апреля: 16; Мая: 7; Июня: 1, 20, 26, 28, 30; Июля: 15, 17, 20, 24; Августа: 6, 10, 29 (8).

ამ აღწერილობასა და ჩვენს მიერ შედგენილ კალენდარს შორის განსხვავებაა:

ხელნაწერში არის: არ არის აღწერილი.
 მითითებულიდან

- 26.9: მიცვალეზა იოვანე მახარებლისაჲ
- 28. 10: დიმიტრისი
- 1.11: კოზმან-დამიანეთაჲ
- 7.2: ეფრემისი
- — —
- 24.2: იოვანეს თავის პოვნაჲ
- 24.5: სუმეონისი
- 24.6: იოვანეს შობაჲ
- — —
- 8.7: პროკოპისი
- — —
- 28.7: პანტელეონისი

- 1.2 საგალობელი
- 30.6: საგალობელი
- 24.7: საგალობელი

15.8: ღმრთისმშობლის მიცვალეზაჲ.
 ვარდა ამისა, ხელნაწერში არის დამატებით ონოფრის საგალობელი ხსენების თარიღის მითითების გარეშე.

ონოფრის საგალობელი შეტანილი აქვს კ. კეკელიძეს ამ ხელნაწერისათვის შედგენილ კალენდარში. იგი წერს: „Этот лист начинается каноном, прославляющим св. Онуфрия Египетского, которому теперь празднуется 12 июня,



ТОГО листа, с указанием числа месяца, когда приходилась память его, в рукописи теперь нет“ (8,389).

ამ ხელნაწერის კ. კეკელიძისეული კალენდარი იწყება 24 სექტემბერს შესასრულებელი თეკლა მოწამის საგალობლით, ხოლო 31—33 ფურცლებზე ტექსტის შესახებ იგი წერს, რომ ეს არის „Песнопения святой Пятидесятницы“ (3,392).

19v-ს მინაწერიდან ვგებულობთ, რომ ხელნაწერში წარმოდგენილია იადგარი ი. ვაბლიელი წერს: „გამიმარჯუა წმიდამან ღმრთისმშობელმან, ესე იადგარი შევმოს(ე) მეორედ“. იადგარადვე მიიჩნევენ მას კ. კეკელიძე (3,381).

„იადგარს“, ამ ტერმინის ტექნიკური გაგებით, ახასიათებს გარკვეული ნიშნები, ურომლისოდაც ნაწარმოებს არ შეიძლება ეწოდოს „იადგარი“. ის იწყება, ჩვეულებრივ ქრისტეს შობის ე. წ. „ადვენტით“—წინა დღეებით, 21—24 დეკემბრით, მეორე, 25 დეკემბერს მიჰყვება თავისებური კომბინაცია 26—28 დეკემბრის „ხსენებათა“, იანვარი და თებერვალი. მარტი და აპრილი ან სულ გამოტოვებულია, ან წარმოდგენილია რამდენიმე დღით. ამ ორი თვის ადგილი დაკავებული აქვს დიდმარხვისა და „ბენტიკოსტეს“ პერიოდთა განგებას. შემდეგ მოდის დანარჩენი თვეები: მაისიდან 20—24 დეკემბრამდე“ (5,20).

A—596-ს პ. ინგოროყვა მიაკუთვნებს ე. წ. „გამოკრებილ იადგართა“ ჯგუფს (2,218).

ჩანს, რომ ხელნაწერი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამო, მართლაც იადგარია. მართალია, მას აკლია ქრისტეს შობის საგალობლები, მაგრამ სამაგიეროდ აქვს 26—28 დეკემბრის ხსენებანი, თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელნაწერი საერთოდ ნაკლულია და ნაკლული უნდა იყოს თვით დეკემბრის თვის საგალობლებიც (ა. მ. ნაკლულია ამ თვეში შესასრულებელი საბას საგალობელი), უნდა ვთვქროთ, რომ ქრისტეს შობის საგალობლები თავიდან იყო ხელნაწერში, მაგრამ შემდეგ დაიკარგა.

იადგარი გამოკრებილია (2,218). რა პრინციპის მიხედვით დგებოდა ასეთი იადგარი, არ ჩანს. ამაზე ნათელ წარმოდგენას ვერც ჩვენი ხელნაწერი მოგვცემს, რადგან იგი ნაკლულია. სავარაუდებელია, რომ მასში არ შევიდოდა არც ძლისპირნი და არც ღმრთისმშობლისანი, არც ზოგიერთი რამ დამატებებიდან. ამ სახის იადგარებში უფრო უნდა შესულიყო დიდ საუფლო დღესასწაულებზე შესასრულებელი საგალობლები და თვით მიხედვით შემდგენლის, გადამწერის, უფრო მეტად დამკვეთის სურვილით ამა თუ იმ მოწამის საგალობლები. ყოველ შემთხვევაში, ისინი უნდა წარმოადგენდნენ გამოკრებს საწელიწდო იადგართანა.

იადგარის რედაქცია. თავის ერთ-ერთ ნაშრომში კ. კეკელიძე მიუთითებს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, კერძოდ იმას, რომ მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან ან მისი უკანასკნელი მეოთხედიდან, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში თავი იჩინა გამაერთიანებელმა მოძრაობამ. ამან თავისი ასახვა ჰპოვა ლიტერატურაშიც. ამავე გამაერთიანებელმა ძალამ შეკრიბა და შექმნა 978 წლის ათონური ბიბლია, რომლის შექმნის მიზანიც იყო თავმოყრა ერთ წიგნად მანამდის სხვადასხვა დროს ნათარგმნი ცალკეული ბიბლიური წიგნებისა. ასეთმა ტენდენციამ თავი იჩინა ლიტერატურის სხვა დარგებშიც. არ დარჩა განცალკევებით არც ქართული ჰიმნოგრაფია. „ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები ჩვენში მე-7 საუკუნიდან ითხზევათ თუ ითარგმნება; ისინი იკრიბებოდნენ სხვადასხვა დროსა და მოცულაბას კრებულებში; რომელნიც იადგარის სახელით

აიან ჩვენში ცნობილი. მეათე საუკუნის მიწურულში ცნობილ მიქელ მოდრე-
ელს შეუდგენია ყველაზე უფრო სრულყოფილი ხაღვარი... მაგრამ ეს მაინც
ხაღვარი იყო, რომელსაც ორი თვე—მარტი და აპრილი აკლდა. საჭირო შექმნი-
ლა, ბიზანტიური პრაქტიკის მიხედვითაც, შედგენა საგალობლებისა თვითული თვი-
სათვის ცალკე და გაერთიანება 12 თვისა ერთ წიგნად, რომელსაც „თთუენი“ ან
„სათუენი“ დაერქვა. ამ გარდამავალი საფეხურის „სათუენის“ ტექსტი გამოვლენილი
და გამოცემულია ზოგი მათგანი. ამ რედაქციის ტექსტებს შეიცავენ გიორგი ავალი-
შვილის მიერ 1820 წელს იერუსალიმიდან გამოტანილი ხელნაწერები: H 2337,
შეიცავს იგი ივლისისა და აგვისტოს საგალობლებს; H 2336—აპრილის თვისა,
H 2339—იენისისა და ჯვრის მონასტრიდან გატანილი და ამჟამად „Dumbarton
Oak“-ში დაცული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს დეკემბრის, იანვრის და თებერვ-
ლის საგალობლებს. ეს უკანასკნელი გამოსცა კ. კეკელიძემ ამ სათაურით: „ერთი
უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუენისა“ (5, 5 და შემდგ.).

საინტერესო იყო, შეგვედარებინა A—596 სხვა ხელნაწერებისა და კალენდ-
რებისათვის იმ ნაწილშიც, რომელიც ყველაზე სრულადაა წარმოდგენილი ჩვენთან,
ესა გვ. 36v—83v, და იმ ნაწილშიც, რომელიც გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ.

ტექსტის შედარებამ კ. კეკელიძისეულ დაბეჭდილ კალენდართან ასეთი შე-
დეგი მოგვცა:

A—596

ნ ა ბ ე ჯ დ ი

4.XI—ბარბარაჲსი	წმ. მოწამისა ბარბარაჲსი
5.XII—საბაჲსი	წმ. საბაჲსი
27.XII—სტეფანესი	პირველმოწამე სტეფანესი
28.XII—პეტრესი და პავლესი	— — —
1.I—ბასილისი	ესენებმა წმიდისა ბასილისი
5.1—განცხადებისა წინა დღით	ნათლისღებისანი
6.I—განცხადებაჲ	ნათლისღებისა უფლისა ჩუენისაჲ
17.I—მამისა ანტონისი	წმ. მამისა ანტონისი
20.I—მამისა ეფთჳმისი	წმ. მამისა დიდისა ეფთჳმისი
25.I—გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ	წმ. გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ
27.I—იოვანე ოქროპირისაჲ	წმ. იოვანე ოქროპირისაჲ
24.II—იოვანეს თვის პოვნაჲ	თავის პოვნაჲ წმ. იოვანეს ნათლისმცემე- ლისაჲ

1.II—ეფრემისი

მოწამისა ტრიფონისი

თავი იჩინა სხვაობამ. როგორ აეხსნათ ის?

კ. კეკელიძე ჩვენი ხელნაწერის შესახებ წერს: „Судя по тому, что рас-
сматриваемая Миней, упоминая несколько раз Исмаильтян (10 ноября),
Агарян (16 апреля), содержит даже моление об избавлении их от ига
„святого града“ (л. 173), можно подумать, что песнопения ее палестинско-
го, в частности иерусалимского, происхождения, не ранее VII—VIII в.
...Три месяцеслова, господствовавший в груз. церкви до XI в., иеруса-
лимский“ (3, 381—382).

მაშასადამე, ჩვენი ხელნაწერის კალენდარი უნდა მისდევდეს იერუსალიმურს.
ამის გამო იგი შეუვლარეთ „იერუსალიმის განჩინებისა“ და „იოვანე-ზოსიმეს კი-
ლენდარს“ (4; 5, 5—56). თავი იჩინა სხვაობამ 4 და 5 დეკემბრის, 1 და 24 თე-

ბერგლის დღეებში. გარდა ამისა, იერუსალიმის განჩინება ნაკლები აღმოჩნდა მას აკლია 28 დეკემბრის და 6 იანვრის დღეები.

რადგან ხელნაწერის დეკემბრის, იანვრის და იერუსალიმის საგალობლები ხშირად ნაკლებია, ამიტომ ასეთივე შედარება მიიხედვით ხელნაწერის სრულად წარმოდგენილი ნაწილისა იმავე კალენდრებთან. შედარებისას აღმოჩნდა შემდეგი:

1. სამსავე კალენდარში არის:
 იანვარში: ბასილის, 20—ეფთუმის, 25—გრიგოლი ღმრთისმეტყველის, 27—
 იოვანე ოქროპირის ხსენებები.

მაისში: 7—გამოჩინება ჭყარისაჲ.
 ივნისში: 24—იოვანეს შობის, 28—პეტრესი და პავლეს ხსენებანი.
 ივლისში: 8—პროკოპის, 15—კვირიკეს ხსენებანი.
 აგვისტოში: 6—ფერისკვალება, 15—ღმრთისმშობლის მიცვალება, 29—
 იოვანეს თავის კვთა.

2. არის A—596-სა და იერუსალიმის განჩინებაში და არ
 არის იოანე—ზოსიმეს კალენდარში: 27·XI სტეფანე პირველმოწამის
 ხსენება.

3. არის A—596-სა და იოანე—ზოსიმეს კალენდარში და არ
 არის იერუსალიმის განჩინებაში:

დეკემბერში: 4—ბარბარასა, 5—საბას ხსენებანი.
 თებერვალში: I—ეფრემის, 24—იოვანეს თავის პოვნა.
 მაისში: 24—სუმონის ხსენება.
 ივლისში: 17—მარინას, 20—ქრისტინას, 28—პანტელეონის ხსენებანი.
 აგვისტოში: 10—ფოკას ხსენება.

4. არის ისეთი დღეები, როცა იოანე—ზოსიმეს და იერუსალიმის
 განჩინების კალენდარი მიჰყვება ერთმანეთს, ხოლო A—596
 განსხვავებული ხსენების დღეს გვიჩვენებს: ასეთებია: 20. VI. 26. VI.
 24. VII.

5. 28. XII-ს ხსენება A—596-ში პეტრესი და პავლესი. იერუსალიმის გან-
 ჩინებას აკლია ეს დღე, ხოლო იოანე—ზოსიმესთან სხვა წმინდანების ხსენება და-
 დებული.

როგორ ავხსნათ ყველაფერი ეს?

1. სტეფანე პირველმოწამის საგალობლის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „აქ
 ორ დღესას სტიქარონად მოტანილია სტეფანე სანანოასძის საგალობლები... სხვა
 საგალობლებიც ამ დღისა მას უნდა ეკუთვნოდეს“ (5, 13). A—596-ში საგალობ-
 ლების ბოლო ნაწილად უმეტეს შემთხვევაში გვაქვს სტიქარონი აქბსა, აქ მიით-
 თებული ძლისპირი და ღმრთისმშობლისა უნდა აღებული იყოს სტიქარონების
 ირმოლოგიონიდან. A—596-ში მოცემული სტეფანეს საგალობელი არ არის იმ
 რედაქციისა, რომელიც წარმოდგენილია მიქაელ მოდრეკილის კრებულში. არა ორ
 დღესაში, არამედ აქბსა-ში სტრაჟების თავი ასოები (ძლისპირაანად) ქმნიან
 „სტეფანეს“. რადგან აქბსა-შია ეს კიდურწერილობა და სახელი მიცემითი
 ბრუნვის ფორმითაა მოცემული, შესაძლოა აქ მოწამე იგულისხმებოდეს და არა
 საგალობლის ავტორი.

2. 28 დეკემბერს შესასრულებელი პეტრეს და პავლეს საგალობლის შესახებ
 შესაძლოა ითქვას შემდეგი: ხელნაწერის კალენდრის მიხედვით საგალობელი



ქართული
ენის ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმ. მოციქულისა პავლესი უნდა შესრულდეს 28.VI-ს. ამ საგალობლის აქტის შესწავლა აქვს: მეორეთა გალობათა კპოო (მინაწ. 64v-ზე). მართლაც ამ საგალობლისათვის საჭირო ტექსტი მოცემულია მომდევნო, 30.VI-ს შესასრულებელ პეტრეს და პავლეს საგალობლის აქტსა-ში. ამავ შემდგომი ხსენების დღედ იერუსალიმის განჩინებაში დადებულია 29 ივნისი. მას აქვს შენიშვნა: „ყოველი კპოო დეკენბერსა კს“. სათანადო ნაწილი იერუსალიმის განჩინებისა ნაკლულია. A—596 თითქოს აესებს ამ ნაკლს, რადგან მასში პეტრეს და პავლეს ხსენების ერთ-ერთ დღედ დადებულია სწორედ 28 დეკემბერი.

3. თეკლას საგალობელი ხელნაწერში იწყება 84r-ზე. მისი სათაური ლამაზი მრგოლოვანი ასოებით არის გამოყვანილი. ვილაცას „იელისა“ გადაუშლია და გადაუსწორებია იგი „სეკლენბრად“. ამის გამო ექმნება შთაბეჭდილება, რომ ხელნაწერში თანმიმდევრულად წარმოდგენილი ივლისის თვის საგალობლები არეულია და თეკლას საგალობელი უნდა გადავიდეს სექტემბერში, როგორც ეს გაუკეთებია კიდევ კ. კეკელიძეს A—596-ის კალენდარში. თეკლას ხსენების დღედ იერუსალიმის განჩინებაში დადებულია 26 ივლისი, ხოლო იოანე-ზოსიმეს კალენდარში კი რამდენიმე დღეა: 6, 19, 29 ივნისი, 25 ივლისი, 23, 24 სექტემბერი; 10, 12 თქტომბერი, 24 დეკემბერი. იოანეს კალენდარი, როგორც ცნობილია, რამდენიმე კალენდრის მიხედვით არის შედგენილი. ამიტომაა ასეთი მრავალფეროვნება. ეტყობა A—596-ის შემწორებელს თეკლას ხსენებას დღედ სწორედ აქ მოქმედი რომელიღაც კალენდრის მიხედვით სცოდნია და ამიტომ შეუტანია შესწორება. რადგან A—596 ბევრ რამეში მხარს უჭერს იერუსალიმის განჩინებას, ამიტომ უნდა დარჩეს იგი ივლისის თვეში.

4. ეფრემის საგალობელი ხელნაწერში თითქოს უნდა შესრულდეს თებერვალში, რადგან ის თებერვლის თვის საგალობელშია შესული. მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჯერ 24 თებერვლის საგალობელია ხელნაწერში მოცემული და შემდეგ I თებერვალს შესასრულებელია ეფრემის საგალობელი. აქ ორი რამ არის საგარდაუდებელი: ან ფურცლები არეულია, ან თარიღის ამოკითხვა ჭირს. თარიღის ამოკითხვა მართლაც ჭირს. თვის სახელწოდებიდან დარჩენილია მხოლოდ „...არსა“.

უნდა ვიფიქროთ, რომ A—596-ში ეფრემის ხსენების დღეა 28 იანვარი, რადგან: ა) იანვრის საგალობლები ხელნაწერში სრულადაა წარმოდგენილი. იანვრის კალენდარი თანხდება კ. კეკელიძისეულ „Dumbarton Oaks“-ის ხელნაწერის კალენდარს, რომელშიც ეფრემის ხსენებაა სწორედ 28 იანვარს და მოსდევს იგი 27 იანვრის იოვანე თქროპირის ხსენების დღეს, როგორც ეს ჩვენს ხელნაწერშიცაა.

დასკვნები A—596-ის რედაქციისა და მასში წარმოდგენილი კალენდრის შესახებ ასეთია:

I. A—596 არის გამოკრებილი იადგარი. ის შეუცავს მთელი წლის განმავლობაში შესასრულებელი საუფლო დღესასწაულებისა და მოწამეთა საგალობლებს. ის არის იმ რედაქციისა, რომელიც წარმოდგენილია კ. კეკელიძის მიერ გამოცემულ Dumbarton Oaks-ის ხელნაწერში და რომელიც ქართულ სინამდვილეში მოქმედებდა მანამ, სანამ გიორგი ათონელი თავის „თათუნს“ შესქენდა ქართულ მწერლობას.

2. A—596-ში მოქმედებს ორნაირი კალენდარი: იერუსალიმური და მისგან ოდნავ განსხვავებული, რომ კალენდარი იერუსალიმურია, ამას აღსატყობებს ის,

რომ იერუსალიმის განჩინებაა და A—596-ში 28. XII-ს გვაქვს პეტრეს და პავლეს ხსენების დღე.

3. A—596-ში აქა-იქ შეტანილია შესწობებიანი. ასეა შესწორებული თეკლას ხსენების დღე. რადგან ხელნაწერის მომგებელი გაბლიელი წერს, რომ მან იიდგარა აჰკინაჲ „ძმულგუარასავე რიგსა ზედა“, ამიტომ თეკლას საგალობელი უნდა დარჩეს ივლისში და არ უნდა გადავიდეს სექტემბერში, როგორც ეს გააკეთა კ. კეკელიძე.

4. რადგან A—596 და Dumdarton Oaks-ის ხელნაწერი ერთი და იმავე რედაქციისაა, შესაძლებელია ამოივსოს ის ხარვეზი გარდამავალი ხანის „თუნისა“, რომლის შესახებაც წერდა კ. კეკელიძე: „მიგნებულია უკვე ცხრა თვე ამ ახლად გამოვლენილი რედაქციისა: დეკემბერი, იანვარი, თებერვალი... აპრილი, ივნისი, ივლისი და აგვისტო... რაც შეეხება დანარჩენ სამ თვეს, სექტემბერს, ოქტომბერს და ნოემბერს, ისინიც, ალბათ, მოიქმნებიან“ (5,22). ჩვენს ხელნაწერში არის 26.IX, 28,X, 1. XI, 10(?)XI, 25.XI, 27.XI-ის საგალობლები, რომლებიც ნაწილობრივ ავსებენ ამ ხარვეზს.

ხელნაწერის თარიღისათვის. A—596-ს თ. უორდანი X საუკუნით ათარიღებს, კ. კეკელიძე—XI საუკუნით, ხოლო პ. ინგოროყვა—X—XI საუკუნეებით. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს X საუკუნეში. ამას შემდეგი ვარაუდობა გვაზარაულებინებს:

A—596-ში მოქმედებს „იერუსალიმის განჩინების“ კალენდარი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კ. კეკელიძეს მიაჩნია, რომ ამ ხელნაწერში წარმოდგენილია თვენის ის ტიპი, რომელიც ბატონობდა საქართველოს ეკლესიაში XI საუკუნემდე, ე. ი. იერუსალიმური.

ხელნაწერში ძალიან ხშირად სტიქარონებისათვის გამოყენებულია ძლისპირი „გზნთა ზა“. ეს ძლისპირი არ იცის მიქაელ მოდრეკილის კრებულში. ის მთლიანად შეცვალა გ. მოიწმიდელმა იმავე ზომისა და ჯმის ძლისპირებით. „ეჲა დიდებული საკვრველი“ და „მამისაგან შობილი“. ძლისპირი „ეჲა დიდებული საკვრველი“ არ იცის ჩვენმა ხელნაწერმა, ხოლო „მამისაგან შობილი“ იშვიათად გვხვდება. ძლისპირი „გვიაროდენ და მზიარულ იყავ“ მხოლოდ იმ იადგარებისთვის არის დამახასიათებელი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში იადგარების აღრიცხვად, უძველეს რედაქციადაა მიჩნეული. ესაა მე-10 საუკუნის იადგარები“ (7,74). მაშ, ჩვენი ხელნაწერის იადგარიც ამავე იადგარების რიგში დგება.

ამასვე უნდა ადასტურებდეს ის მწყობრა, ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სისტემა ენობრავე ნორმებისა, რომელიც ხელნაწერისთვისაა დამახასიათებელი. ის ენობრავე ვადახრები, რომელიც აქა-იქ შეინიშნება ხელნაწერში, უნდა აიხსნას იმ სიძნელეებით, რომელსაც აწყდებოდნენ საგალობლების მთარგმნელები თუ შემქმნელნი საგალობლებისათვის აუცილებელა: მარცვალთა თანაბარი რაოდენობის შენარჩუნებისა და მისი კილოზე ანუ ენაზე გაწყობის დროს. დაწყებულია მხოლოდ მ-ს ხმარების მოშლა, მაგრამ აქაც თითქმის თანაბარი რაოდენობითაა მაგალითები მისი ხმარების ან მოშლის საილუსტრაციოდ.

მაშასადამე, A 596-ში წარმოდგენილი გამოკრებილი იადგარი X საუკუნით უნდა დათარიღდეს,

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ბ. ბაკრაძე, Археологическое путешествие по Гурии и Адгаре, 1878.
2. პ. ინგოროვი, თხზულებათა კრებულა, ტომი III, თბილისი, 1955.
3. კ. კეკელიძე, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, 1908.
4. კ. კეკელიძე, Иерусалимский канонарь VII века, 1912.
5. კ. კეკელიძე, ეტიუდები. VIII, 1962.
6. თ. გორდამია, Описание рукописей Тифлисского Церковного Музея Карталинно-Кахетинского духовенства, кн. II, Тифлис, 1902.
7. ც. ჯღამბია, XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი)



ივანე ტურაშვილი

ბერტის ოთხთავის თავისებურებანი

I. ზოგადი ცნობები

ქართული კულტურის ისტორიისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სახარების სამ ხელნაწერს, რომლებიც გადაწერილია შატბერდში: პირველი — 897 წელს (ადიშის ოთხთავი), მეორე — 936 წელს (ჯრუჭის ოთხთავი), მესამე — 973 წელს (პარხლის ოთხთავი).

ქართული ენის ისტორიისა და ქართული ხელოვნების ისტორიისათვის არანაკლები ღირებულებისაა ბერტის ოთხთავი, რომლის ბედიც მეტად თავისებურია. იგი შეუძენიათ ამერიკელ მისიონერებს სმიტსა და დუაითს 1830 წლის 18 ივნისს ყარსში ყოფნისას. ეს მოგზაურები ყარსის სომხურ ეკლესიაში წასწყდომიან ვინმე გურიელის მიერ გურიიდან მიტანილ ქართულ სახარებას და ამერიკაში წაუღიათ. 1833 წელს მათ ორ ტომად გამოუციათ წიგნი თავიანთი მოგზაურობის შესახებ მცირე აზიასა, საქართველოსა და სპარსეთში, მაგრამ ჩვენი ოთხთავი ექსპედიციის ანგარიშში არც კი უხსენებიათ ([1], 227).

ბერტის ხელნაწერი საუკუნეზე მეტ ხანს იყო გაუჩინარებული. 1939 წელს ნიუტონის თეოლოგიური სკოლის მუზეუმის კურატორმა ამერიკელმა რ. პიტსმა ამ მუზეუმში პირველად მიაქცია ყურადღება ბერტის ოთხთავს. მისივე მიწვევით 1940 წელს ნიუტონში ჩასულა ცნობილი ამერიკელი ქართველოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი, რომელიც ძალიან გაოცებულია, როდესაც მისთვის მრგოლოვანი ასომთავრულით შესრულებული დიდებული ქართული ხელნაწერი უჩვენებიათ.

ამის შემდგომ ჰარვარდის კოლეჯის ბიბლიოთეკაში გადაიტანეს იგი და გადაიღეს ფოტობირები. ქართული ენის მცოდნე რ. ბლეიკმა შეისწავლა იგი და ს. ტერ-ნერსესიანთან ერთად ვრცელი წერილი გამოაქვეყნა მის შესახებ ჟურნალ „Byzantion“-ში ([1]. ამავე დროს ამერიკელმა ორიენტალისტმა ა. შანიძემ შეატყობინა, რომ ქ. ნიუტონში (ბოსტონის ახლოს, მასაჩუსეტისის შტატში) აღმოჩნდა ძველი ქართული ხელნაწერი ([2]).

1959 წელს საქართველოს მეცნ. აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან საერთაშორისო გაცვლის წესით მიიღო ამ ხელნაწერის მიკროფილმი.

ხელნაწერის გადაწერის ადგილი. ჩვენი ძველი ბერტის დიდებულ ლავრაშია გადაწერილი. ამ ხელნაწერს სახელი სწორედ გადაწერის ადგილის მიხედვით აქვს შერქმეული. გიორგი მერჩულის ცნობით, ბერთა კლარჯეთის სხვა ქართულ სავანეთა ახლოს მდებარეობდა: „ოპიზა და ფრთენი მისნი ბერთა და მახლობელნი მისნი მიძნაძორო და წყარო დასთავი“ (ოვ).

ბერთაში მონასტრის დაარსება და ბერმონაზვნური ცხოვრების გაჩაღება გრ. ხანძთელის (759—861) მოღვაწეობის ხანას ემთხვევა. როგორც მისი „ცნოვ-



რებიდან“ ჩანს, შატბერდის მონასტრის წინამძღვარს ახლო ურთიერთობა ჰქონია ბეროელ მოღვაწეებთან, იქ „იყვნეს ვინმე... შამისა გრიგოლის მსახურთა-გახსი, ნათესავნი შატოხისნი, კეთილნი მონაზონნი და მეგობარნი მისნი“ (მგ.). 836 წლის ახლოს გრ. ხანძელს ბერთაში ჰაკრატი კურაპალატი და მისი ძმებიც მიუყვანია (ლა). საფიქრებელია, ბერთის მონასტერი IX საუკუნის პირველ ნახევარში დაარსდა ([3], 428).

ბერთის სავენე მომდევნო ხანაში გაძლიერდა და ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა. ჩვენამდე მოღწეული მცირე მასალაც კი ნათლად წარმოგვიდგენს, რომ ბერთაში მძლავრად ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება. ამას გვიდასტურებს ოლიმპზე გადაწერილი სამოციქულოს გალექსილი ანდერძი, რომლის მომგებელი ნიქელი თავს იმით იწონებს, რომ ბერთის სკოლის აღზრდილია:

„მე, მიქელ ნღდეღმან,
ზეყეებ ბერმან,
ქეახისა შვილმან,
ბერთას აღზრდილმან,
ესე წმიდაჲ პავლე მოციქუ“ ([4] 021).

ბერთაშია გადაწერილი აგრეთვე Q № 906 ხელნაწერი, რომელსაც ბევრი მნიშვნელოვანი მინაწერი შემოუნახავს ([5], 319). ბერთის სავენის აღორძინებას მოწმობს თვით ბერთის ოთხთავის დამწერთა — გაბრიელისა და მისი მეუღლის სიტყვებიც: „მე, გლახაკი გაბრიელ, და მეუღლე ჩემი ღირს ვიქმენით დაწერად წმიდისა ამის სახარებისა ლავრასა შინა დიდსა ბერთას“.

ხელნაწერის გამამწერები, მომგებელი და დაწერის დრო. ბერთის სახარება მთლიანი სახითაა მოღწეული. ხელნაწერს აკლია მხოლოდ უკანასკნელი ფურცელი, რომელზედაც ანდერძის ნაწილი და ქრონიკონი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. მიუხედავად ამ დანაკლისისა, ანდერძის მოღწეული ნაწილი, აგრეთვე სხვადასხვა მინაწერი და მინიატურა შესანიშნავად ხდის ძეგლის დათარიღებას.

თავისთავად ცხადია, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ანდერძის მოღწეული ნაწილი. იგი ნაწერია ნუსხურით და ასე იკითხება: „მე, გლახაკი გაბრიელ, და მეუღლე ჩემი ღირს ვიქმენით დაწერად წისა ამის სახარებისა ლავრასა შინა დიდსა ბერთას, საყოფელსა წისა ღთისა მშობელისასა, სალოცველად შეფეთა ჩუენთა სუ მბატ ერისთავთ— ერისთავისათვის და შვილთა მათათვის; დავითისთვის და მავრატისთვის, და სალოცველად თავისა ჩუენისათვის და შვილთა ჩუენთათვის; მიქაელისთვის და მარია მისთვის, თავუნაძისთვის და შუშანისთვის, და სალოცველად სულსა მშობელთა ჩუენთასა და შვილთა ჩუენთასა; როსტომისთვის და გეორგისთვის, მირდატისთვის და ყოველთა მიკეა...“ (258 v₂).

როგორც ანდერძიდან ჩანს, ამ ხელნაწერის გამამწერები არიან ვინმე გაბრიელი და მისი მეუღლე, რომლებიც ცოცხალ შვილთაგან ახსენებენ მიქაელს, მარია მის, თავუნას და შუშანს, ხოლო მიცვალებულ შვილთაგან — როსტომს, გეორგის და მირდატს. ვინ არის ეს გაბრიელი, ან რა კავშირი ჰქონდა მას ბერთის მონასტერთან, არ ჩანს არც ანდერძ-მინაწერიდან, არც სხვა წყაროებიდან. ერთი კი ცხადია, რომ სახელები

მირდატ და თავუნა გავრცელებული ყოფილა X საუკუნეში, როგორც ეს დასტურდება ჯრუჭის ოთხთავის (936 წ.) ანდერძიდან. ამ წიგნის მომგებელი გრიგოლი ახსენებს მიცვალებულ მშობლებს — მირდატს და თავუნას: „ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდად ესე სახარებაჲ... სალოცველად... მშობელთა ჩემთა მირდატისთვის, თავუნაისთვის...“ ([6], 021)].

ლუკას სახარების ბოლოს მოთავსებულ ოთხსტრიქონიან მინაწერში ვკითხვლობთ:

„ქრისტე, შეწყალს მომგებელი
 ამის წმიდისა სახარებისა გაბრიელ
 და ყოველი კრებულნი მათნი. ამენ!“
 (203 ფ.).

მინაწერიდან ვგებულობთ, რომ ბერთის ოთხთავის მომგებელი გადამწერის თანამოსახელუა, მასაც გაბრიელი ჰქმევია. მომგებელი გაბრიელი სასულიერო პირი ჩანს, რომელიც ქრისტეს სთხოვს თავისი „კრებულის“ შეწყალებას. სახარების დამწერი გაბრიელი კი ერისკაცია, რომელიც მეფესა და მის შვილებთან ერთად ახსენებს თავის მეუღლეს (გადამწერად) და ცოცხალსა და მიცვალებულ შვილებსაც.

ბერთის ოთხთავის ანდერძში ხელნაწერის დაწერის ზუსტი თარიღი არაა შემონახული. ამ ძეგლის პირველი მკვლევრებია რ. ბლეიკი და ს. ტერ-ნერსესიანი მას ათარიღებენ ანდერძში მოხსენებულ ისტორიულ პირთა მიხედვით. გაბრიელ გადამწერი ახსენებს სუმბატ ერისთავთერისთავსა და მის შვილებს დაეითსა და ბაგრატს: „...სალოცველად მეფეთა ჩუენთა სუმბატ ერისთავთერისთავისათვის და შვილთა მათთათვის: დავითისთვის და ბაგრატისთვის...“

აქ მოხსენებული სუმბატი რ. ბლეიკს სუმბატ III-დ მიაჩნია, რომელიც 988 წელს გარდაიცვალა ([1] 256). ამ აზრს იზიარებს ა. შანიძე ([2], [7]). სუმბატ არტანუჯელს ერისთავთერისთავობის ტიტული მისი შორეული ბიძაშვილის — გურგენ ერისთავთერისთავის გარდაცვალების შემდეგ (941 წ.) მიუღია. ისტორიული წყაროებიდან დასტურდება, რომ სუმბატს მართლაც ორი ძე ჰყავდა: უფროსი დავითი (+ 992 წ.) და უმცროსი — ბაგრატი (+ 988 წელს, სუმბატის მიცვალების მეორმოცე დღეს): „გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთერისთავი, კაცი მართალი, ძე დავით მამულისა, არტანუჯელი, ქრონიკონსა ს^მ და დაუტევნა ძენი ორნი: დავით და ბაგრატი“ ([8] 64; [9] 381).

გაშასადამე, რ. ბლეიკისა და ა. შანიძის თვალსაზრისით, ბერთის სახარება გადამწერილია სუმბატ I-ის შვილიშვილის — სუმბატ III ერისთავთერისთავისა და მისი შვილების — დავითისა და ბაგრატის სიცოცხლეში, ე. ი. 988 წლამდე.

პროფ. შ. ამირანაშვილის აზრით, ბერთის ოთხთავში მოხსენებული უნდა იყოს არა სუმბატ III, არამედ სუმბატ (I (+ 889 წ.), აშოტ კურაპალატის უფროსი შვილის ადარნერსეს ძე. მკვლევარი, ეყრდნობა რა საისტორიო წყაროებში მიღებულ წესს (მეტადრე სუმბატ დავითის ძის ქრონიკას, სადაც ყოველთვის პირველ რიგში მოხსენებულია ჯერ უფროსი ვაჟი და შემდეგ უმცროსი), დაასკვნის: „ბერთის ოთხთავის მინაწერში მოხსენებულია ბაგრატიონთა კლარჯეთის საგვარეულოს წარმომადგენელი სუმბატ I (+ 889), რომელსაც

ჰყავდა უფროსი შვილი დავით (+ 943) და უმცროსი ზაგრატ (+ 901)... ბერთის ოთხთავი გადაწერილია მე-9 საუკუნის მიწურულში... სუმბატ I სიცოცხლეში, 889 წლამდე, რვა წლით ადრე, ვიდრე ჰადისის ოთხთავი“ ([10], 89).

უნდა შევნიშნათ, რომ „ქრონიკებში“ სუმბატ I-ის ვაჟთაგან პირველად ახსენება ზაგრატი, შემდეგ — დავითი. (და არა ჭრ და ვითი და შემდეგ ზაგრატი, როგორც ამის პროფ. შ. ამირანაშვილი აღნიშნავს): „გარდაიცვალა მამფალის სუმბატ არტანუჯელი... და დაუტენა ძენი ორნი: ზაგრატ მამფალი არტანუჯელი და დავით მამფალი“ ([8] 59; [9], 379). მამასადამე, სუმბატ I-ის უფროს ძედ უნდა მივიჩნიოთ ზაგრატი, უმცროსად კი — დავითი.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ანდერძში სუმბატი ერისთავთერისთავად იწოდება, ხოლო სუმბატ I ისტორიულ წყაროებში „მამფლად“ არის მოხსენებული. ამ ორი ტიტულის გაიგივება კი არ შეიძლება, რადგანაც „მამფალი“ თავისი სამფლობელოს უმაღლეს მესვეურად გვევლინება, ვახსხვავეებით ერისთავთერისთავისა და ერისთავისაგან, რომელიც მხოლოდ საგამგეოს მმართველი, ქვეყნის უმაღლესი სუვერენისადმი დაქვემდებარებული პარია ([11], 21; [12], 149). ამ მიზეზითაც ბერთის სახარების ანდერძში მოხსენებული სუმბატის მიჩნევა სუმბატ I-ად შეუძლებელია.

ბერთის ოთხთავი მსატერობის თავისებური ატილით სიახლოვეს ამჟღავნებს, ერთი მხრივ, IX საუკუნის ძეგლებთან, როგორცაა, მაგალითად, ადიშის ოთხთავი (897 წ. ([10], 88), მეორე მხრივ კი, მას საერთო აქვს X საუკუნის ძეგლთა მსატერობასთან (მაგ., თევდორეს მიერ მოხატულ ოთხთავთან) ([1], 260—262, 277; [6], 031).

ასეთი მოხაზულობით, ორთოგრაფიულ-ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებებით, ბერთის სახარება X საუკუნის ხელნაწერთა მსგავსია. ამასთანავე, ბერთის ხელნაწერის ანდერძის მოღწეული ნაწილი და მომგებლს მინაწერი, რომლებიც ძეგლის გადაწერის თანადროულია, X საუკუნის დასაბრუნების ხელნაწერთა მსგავსი ნუსხურითაა შესრულებული. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბერთის ოთხთავი გადაწერილი უნდა იყოს სუმბატ III ერისთავთერისთავისად მისი ძეგლის — დავითისა და ზაგრატის სიცოცხლეში, — 988 წლამდე.

II. პალეოგრაფიული ანალიზი

1. ხელნაწერის აღწერილობა. ბერთის ოთხთავი ნაწერია მრგვლოვანი ხელით ეტრატზე. იგი ჩასმულია ყავისფერი ტყავის ახალ ყდაში. ყდის წინა და უკანა მხარეზე მოთავსებულია ნაწვეტები თეოლოგიური წიგნიდან, რომლებშიც ადგილადგილ ებრაული სიტყვები და ძველი აღთქმის მიმართებია ჩართული ([1], 226).

ხელნაწერი შეიცავს 257 ფურცელს. თავში მოთავსებულია ოთხივე მახარებლის სურათი (1v—2r) და კანონები (3v—5v). მეორე ფურცლის ვერსოზე ძალზე დაზიანებული ნუსხური მინაწერია.

საკუთრე სახარების ტექსტს უკავია 252 ფურცელი: იწყება მეექვსე ფურცლის რექტოზე და მიდის 257-ე ფურცლამდე. 257-ე ვერსოზე დამწერის ანდერძია. ტექსტი შედგება 32 რვეულისგან. რვეულთა რაოდენობა აღნუსხულია

ორ-ორ ადგილას: პირველი ფურცლის თავში და უკანასკნელის ბოლოში. ვიკრი
ვილადად გამოყვებულა ქართული ასოები. პირველი და 32-ე რვეულები
ფურცელნაკლებია: პირველს ერთი ფურცელი აკლია, უკანასკნელს — სამი.

ტექსტი ნაწერია ორ სვეტად. თვითეთლ სვეტში ოც-ოცი სტრაქონია.

2. ბერთის სახარებისა და IX—XI საუკუნეების ხელნაწერთა ხელი. ბერ-
თის ხელნაწერს რამდენიმე გადამწერი ჰყავს. კარვად გაირჩევა ოთხი ხელი,
რომელთაც A, B, C, D ლიტერებით აღვნიშნავთ. სახარების დიდი ნაწილი
(220 ფ.) დაწერილი უნდა იყოს გაბრიელისა და მისი მეუღლის მიერ (A და C
ხელი), 29 ფურცელი B-სა და 4-ც D გადამწერისგან.

ჩვენი ძეგლი, ხელისა და ამის საფუძველზე გადაწერის დროის დასადგე-
ხად, IX—XI საუკუნეთა ხელნაწერებს შევეუდარეთ. ასოთა მოხაზულობით იგი
დიდად განსხვავდება ს ი ნ უ რ ი მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი ს ა გ ა ნ (864 წ.). სხვა რომ
არა იყოს რა, ამ უკანასკნელს ახასიათებს ბ, შ და ვ ასოთა თავშეკრულობა.
ბერთის ხელნაწერში კი ყველგან გახსნილია ეს ასოები. გარდა ამისა, სინური
მრავალთავის ზოგიერთ ასოს (დ, თ, კ, ლ, მ, დ; ძ) მუცელი ან რკალევი ყოველ-
თვის შეკრული აქვს, ბერთისას — ღია.

ასევე განსხვავდება ა დ ი შ ი ს ა (897 წ.) და ბ ე რ თ ი ს ხელნაწერთა ასოე-
ბი. ადიშის ოთხთავისა უფრო ლამაზია და მრგვალი, ვიდრე ბერთისა. ამასთანა-
ვე, ჩვენი ხელნაწერის ზოგ ასოს (ბ, დ, ვ, ტ, ფ, ჰ, უ, წ, კ) კიდურები შესამჩნე-
ვად აქვს გადახრილი და რამდენიმეს კი (დ, რ, ტ, უ, შ) კუთხოვანი მოხაზულობა
ატყვია. დიდი განსხვავებაა აგრეთვე დ-ს დაწერილობაშიც. ადიშის დონი მრგვა-
ლია, რომელსაც ყელიც აქვს და მუცელიც, ბერთისა კი ყელის მქონე ასო კი
ალარ არის, არამედ თითქმის ბუნია ასოდაა ქცეული.

ბერთის ოთხთავი განსხვავდება ჭ რ უ ჭ ი ს სახარებისაგან (936 წ.) ხელის
მიხედვით. ჭრუჭის ხელნაწერისთვის დამახასიათებელია სინურ-ადიშთაებრი
დ, ქ ასოები. გარდა ამისა გ, ე, მ, ლ, ნ, ც, ჯ, შ ასოთა ზემო წარტყენა კიდურებს
პატარა პორიზონტალური ხაზი აქვთ; ბანი თავშეკრულია.

ბ ე რ თ ი ს ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ს ხ ე ლ ი X საუკუნის მეორე ნა-
ხევრის ხელნაწერთა ხელის მსგავსია. ასოთა მოხაზულობით
იგი ახლოს დგას პაჩლის ოთხთავის (973 წ.) წაბებრდის მრავალთავისა (973—
976 წწ.) და ავანური მრავალთავის (X ს.-ის დასასრული) ხელნაწერებთან. ამ
ძეგლებთან ჩვენს ხელნაწერს ახლოებს დ, მ, კ, ვ ასოთა მოყვანილობა. დ უკვე
ბუნია ასოდაა ქცეული. ამნაირი დ დამახასიათებელია X საუკუნის მეორე ნა-
ხევრისა და XI საუკუნის დასაწყისის თითქმის ყველა ხელნაწერისთვის.

ბერთის ოთხთავის შედარებამ IX—XI სს-ის ხელნაწერებთან ასოთა
მოხაზულობის მხრივ გვიჩვენა, რომ ჩვენი ძეგლი განსხვავებულია IX საუკუ-
ნის ხელნაწერთა ხელისგან (სინური მრავალთავი, ადიშის ოთხთავი), განსხვა-
ვებაა აგრეთვე ჭრუჭისა (936 წ.) და ბერთის ხელნაწერებს შორის. ამის საფუ-
ძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბ ე რ თ ი ს ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი X ს.-ის მე-
ორე ნ ა ხ ე ვ ა რ შ ი უ ნ და ი ყ ო ს გ ა დ ა წ ე რ ი ლ ი. მომგებლია მინაწე-
რიცა და გადამწერის ანდერძიც ნუსხურიითა შესრულებული. ასოთა მოხაზუ-
ლობით ისინიც X საუკუნის დასასრულის ხელნაწერთა მსგავსია. ორივე იმავე
სამკაულებითაა შემკული, რითაც სახარების თითოეული თავის დასაწყის-და-
სასრული; ვანკეთილობისა და სასვენ ნიშნებად აქაც ძირითადად ორწერტი-
ლია ნახმარი, როგორც თვით ხელნაწერში.

ამას უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ჩვენს ძეგლში დასტურდება შემთხვე-

გები, როდესაც გადაწერს თავისდაუნებურად დაკლებია ასოები (იშვიათად მთელი სიტყვა), რომლებიც შემდეგ თვითონვე ჩაუმატებია. გამორჩენილ ასოები სტრიქონის ზემოთ, შუაში ან ქვემოთაა მიწერილი. დაკლებული ასოები პომგებლის მინაწერისა და ანდერძის მსგავსი ნუსხურითაა ჩამატებული. რაც ცხადად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ბერთის სახარების დაწერის დროს (X ს.-ის მეორე ნახევარში) ნუსხური უკვე საკმაოდ ყოფილა გავრცელებული. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ მწერალი უნებლად შეცდომებს აწორედ „შიწნაური“ ნუსხურით ასწორებდა და არა მრგლოვანი ასომთავრულთ.

III. ორთოგრაფიული თავისებურებანი

ბერთის ოთხთავის ორთოგრაფიულ თავისებურებათაგან პირველ რიგში უნდა შევეხეთ **მოტა**ს ხმარების შემთხვევებს. ჩვენს ხელნაწერში **ა**-ს შემცველი დამავალი დიფთონგები ნაწილობრივ მოშლილია. გადამწერს აღარ ესმის მისი ფუნქცია. იგი არ არის იქ, სადაც საჭირო იყო, და დაწერილია იქ, სადაც დამავალი დიფთონგი მოსალოდნელი არაა.

ა არ გვხვდება, სადაც ორთოგრაფიულ ნორმათა მიხედვით აუცილებელია: **ა** **ა**: **ს ა ხ ბ რ**: იყო **გ ა ხ წ ვ ე ლ ე ბ ა** მისთვის ერსა შორის **ი. 7, 43 (233 r)**; ყო ს ნება მამისა ჩემისა **ზ ე ც ა თ ა მ ს ა მ. 7, 21 (21 v)**; ეგრე იყოს აღა-სრული ამის **ს ო ფ ლ ი ს ა მ. 13, 40 (41 v)**.

ძველში იშვიათად დასტურდება „მოტამეტობის“ შემთხვევებიც. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ **ა**-ს შემცველი დიფთონგი ენაში მოშლილი იყო და იგი მწერლისთვის ტრადიციით შემორჩენილ ნიშანსდა წარმოადგენდა. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ გადამწერა მას წერს ხმოვნის შემდეგ; სადაც ძველი ნორმების მიხედვით არაა საჭირო. **ს ი ტ ყ ვ ი ს შ ი გ ნ ი თ**: **ს ი ტ ყ უ ა მ - ყ ო მ ა თ თ ა ნ ა მ. 25, 19 (73 r)**; **ა რ ა მ ს ა დ ა უ ე ა რ - გ ყ ო შ ე ნ მ რ. 14, 31 (124 v)**; **ა რ ა მ თ უ გ ლ ა ხ ა კ თ ა ი რ ა მ ე ზ რ უ ნ ე ა მ ე ლ ე ა მ ა ს ი. 12, 6 (235 r)**. **ს ი ტ ყ ვ ი ს ბ ო ლ ო ს**: **ი ე ს უ ა რ ა მ მიუგო მ ა ს ს ი ტ ყ უ ა მ. 15, 23 (47 r)**; **ა რ ა მ უ წ ყ ო დ ე ს, ვ ი ნ ა მ ი ყ ო ი. 2, 9 (207 r)**.

ჩვენს ხელნაწერში **შ** ძალზე არაკანონობიერად იხმარება. როგორც ჩანს, მწერლისთვის მას პირვანდელი ეა დიფთონგის გამოხატვის ფუნქცია უკვე აღარ აკისრია. ხელნაწერია გადაწერის დროს ცოცხალ პეტყველებაში **შ**-ს დაკარგული აქვს თავისი ადრინდელი გაგება. იგი ხშირად მოსალოდნელი **ე**-ს ნაცვლად გვევლინება, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ გადამწერისთვის **შ** და **ე** იდენტურია (გამოთქმის თვალსაზრისით).

შ გვაქვს **ს ა ზ ო გ ა დ ო დ** სახელთა წრფელობითში, მოთხრობათსა და მიცემითში. **წ რ ფ. ბ რ**: **ს ა მ ო ს ე ლ ი მ ი ა ი ე მ ნ ა ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ მ მ რ. 9, 3 (108 v)**; ტურთი ჩემი **მ ც ი რ შ** არს **მ. 11, 30 (34 r)**; **მ ო თ ხ რ. ბ რ**: **მ ო ა ე ლ ი ნ ე ნ ს ძ მ - მ ა ნ კ ა ც ი ს ა მ ა ნ ა ნ გ ე ლ ო ზ ნ ი თ ვ ს ნ ი მ. 13, 41 (41 v)**. ეს სახელი **შ**-თაა წარმოდგენილი აგრეთვე **ვ ი თ ა რ ე ბ ი თ** და **წ ო დ ე ბ ი თ** ბრუნვებში: **ს ა გ ო ნ ე ბ ე ლ ი ყ ო ძ მ დ ო ს ე ბ ი ს ა ლ. 3, 23 (139 v)**; **ი ო ს ე ბ, ძ მ ო დ ა ვ ი თ ი ს ა ო მ. 1, 20 (7 r)**; **მ ი ც. ბ რ**: **ი ყ ო ს ს ა ს წ ა უ ლ ი მ მ მ ს ა ლ. 21, 25 (191 v)**; **ქ დ**: **ს ა ზ უ ე რ მ ს ა მ. 9, 9 (26 r)** და სხვ.

შ გვხვდება აგრეთვე **ს ა კ უ თ ა რ** სახელთა სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში. **ს ა ხ. ბ რ**: **მ ა თ მ ე ვ ს ე უ ლ ა დ ა უ ტ ე ვ ე ს ზ ე ბ ე დ მ მ რ. 1, 20 (88 r)**; **ე ზ ე კ ი ა შ ვ ა მ ა ნ ა ს მ მ. 1, 10 (6 r)**; **რ ა ფ ა მ ს ა ლ ე ს რ უ ლ ა ჰ ე რ ო დ მ მ. 2, 19**

(9 რ); მოთხრ. ბრ.: იეს^მ შვა დავით მეფემ მ. 1,6 (6 რ); ბრძანა შტ^მ საწამებლად მათა მ. 8,4 (22 ვ); ჰიოთხა მას პილატემ მრ. 15,2 (127 რ) და სხვ.

სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში გვერდიგვერდ დასტურდება ე-ნიანი და შ-რიანი ფორმები: წარიყვანა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანს ლ. 9,28 (158 ვ); სიმონს, რომელსა პრეტუ პეტრემ და ანდრეა... იაკობ და იოვანე, ფილიპმ და ბართლომე ლ. 6,14 (146 ვ). ხელნაწერში შ ნიშნისანი შემთხვევები სჭარბობს ე-ნიანს.

შ არაწესიერად იხმარება ზმნის პირიანი ფორმებშიც. იგი დასტურდება ზმნათა I ბრძანებითში, წყვეტილსა და მასზე დაყრდნობილ II ბრძანებითსა და II კავშირებითში. აღნიშნულ შემთხვევებში შ მწკრივის ნიშან ე-ს ბადალია: აღიღე ცხელი შენი და ვიდოღმ ი. 5, 11 (214 რ); საქმემ აღვასრულე ი. 17,4 (246 რ); მაშინ წარავლინნ მს ანგელოზნი თუსნი მრ. 13,27 (121 ვ); ქრისტე, შეიწყალე მომგებელი (მინაწერი, 203 რ); შენ მუცლად-იღო და კშვემ ძმ ლ. 1, 31 (132 ვ) და სხვა მრავალი.

ამგვარ შემთხვევებშიც ერთმანეთის გვერდით გვხვდება შრიანი და ენ-იანი ფორმები: მოიღე და აღუღე პირი მისი მ. 17,27 (52 ვ); არა ჯერ-იყრა შენდაცა, რაათამცა შეიწყალე იგი შენ, ვითარცა მე შეიწყალე შენ? მ. 18, 33 (55 რ).

სასოგადო სახელთა სახელობითში, საკუთარ სახელთა ნათესაობითსა და უფროობითი ხარისხის ფორმებში ყოველთვის ე გვხვდება მოსალოდნელი შ-ს ნაცვლად.

IV ფონეტიკური მოვლენები

ფონეტიკური მოვლენებიდან ბერთის ოთხთავისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ასიმილაცია და ბგერათა დაკარგვა.

1. ასიმილაცია. ჩვენს ძეგლში ხშირია რეგრესული (კონტაქტური, ნაწილობრივ კონტაქტური) ასიმილაციის შემთხვევები. ასიმილაციური ნარისახეობანი მხოლოდ თანხმოვნებში იჩენს თავს.

ა) რეგრესული ნაწილობრივ კონტაქტური ასიმილაცია. სჯ—შჯ: არცაღა მამაჲ ვის შჯის ი. 5, 22 (215 რ); შჯული ჩუენი და შჯის კაცსა ი. 7, 51 (223 ვ) და სხვა. აღნიშნული დამსგავსება არ ხდება მაშინ, როცა ხ და შ გათიშულია: ნუ დაშჯით, რაათა არა დაისაჯნეთ ლ. 6, 37 (148 რ).

ასიმილაციას განიცდის აგრეთვე მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი სანი: ნუ და-შ-ჯ დები პირველსა საინაქესა ლ. 14,8 (173 ვ).

სკ—შკ: არა ვიხილოთ კელთა მისთა სახმ იგი სამშკუალთა ი. 20, 25 (254 ვ). ასიმილაციით მე-2 სუბიექტური პირის ნიშანი სანიც შინად იქცევა: ცოდვილთა თანა შ-კამთ მრ. 2, 16 (91 რ); შე-შ-კამთ სახლებსა ქურივთასა მ. 23, 13 (66 ვ) და სხვაგან. ჭ-სთან უშუალო მეზობლობაში შინით იცვლება ასევე მესამე ობიექტური პირის ნიშანი სანი: არარაჲ შ-ჭირნ ცხოვართათს ი. 10, 13 (230 რ); მოწაფენი მისნი მო-შ-ჭრიდეს თავსა კოილისასა ლ. 6, 1 (146 რ).

ბ) რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია: დყ—ტყ: დალატყოკმითა დიდითა ლ. 4, 33 (142 რ); დალატყვის ლ. 9,39

(159 რ) და სხვაგან. იშვიათად დასტურდება არაასიმეტირებული ფორმებიც: და და დ-ყვეს მ. 14,26 (45 რ).

ტოთ—თთ: მათთან—მათთან: ეწვო ოდენ ყოფად... მათთანისა ლ. 3,24 (139 ვ₂; შდრ.: მათთანისა, იქვე, EC).

2. თანხმობანთა დაკარგვა. ხელნაწერში ყველაზე ხშირია ვ-ს დაკარგვის შემთხვევები. ვინი ეკარგვის ზაგისმიერი ბგერის ო-ს მუზობლობაში. ო ხან ფუძიანულია, ხან საერთობის ზმოვანი (ოდ), ხან II კავშირებითს მწკრივის ნიშანი. მავალითები: მას დღესა შინა... ითხოოთ ი. 16, 26 (245 რ); სულმან წინდამან გასწათს თქვენ ლ. 12,12 (168რ₁); განუტეოს ცოლი თუა მ. 5, 31, 32 (15 ვ₁); ვაჟ მიდგომილთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა მ. 24, 19 (70 რ₂); კუართი იგი იყო უკერველ ზეთ მოქსოილ ყოფილთ ი. 19, 23 (252 ვ₂) და სხვ.

თანხმოვანთა თავმოყრის გამოიკარგება ერთ-ერთი მათგანი. ჩვენს ძეგლში დასტურდება რამდენიმე თანხმოვნის შეხვედრისას ერთ-ერთის დაკარგვის შემთხვევები.

ზ: სარდელდ მისა იყო მკალი მ. 3,4 (10 რ₁).

ლ: კუარცხბერკი არს ფერკთა მისთაჲ მ. 5,35 (15 ვ₂).

მ: შეჰმოსეს მას სამოსელი ბრწყინვალჲ ლ. 23, 11 (197 რ₂); პატრუკი ბდინვარჲ არა დაშრიტოს მ. 12, 20 (35 ვ₁); დასხით კაცები ნგ პურისტე დ-პურისტე დერგასისეული ლ. 9,14 (157 ვ₁).

რ: მოვიდა და დაადგა ზედა მ. 2,9 (8რ₁).

ქ: რომელი დაადგინოს უფალმან... მიცემად ეამსა იფლისასა საწყაულო? ლ. 12,42 (=იქქლისასა; 169 ვ₂).

მორფოლოგია

1. საკუთარ სახელთა ბრუნების გათანაბრება საზოგადო სახელებთან. ადამიანთა საკუთარ სახელებს ძველ ქართულში რამდენიმე თავისებურება აქვთ: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავენ; მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში არ მოუღდოთ ემფატური ა ხმოვანი; მრავლობითი რიცხვი არ მოეპოვებათ ([13], 29; [14], 41; [15], 369; [16], 41; [17], 265).

ძველ ქართულშივე გვხვდება შემთხვევები, როცა საკუთარი სახელები იხენენ საზოგადო სახელებთან გათანაბრების ტენდენციას: მათ სახელობითში ი/ა ნიშანი დაერთვის ([18], 80—82; [15], 371—373; [19], 124—125).

ჩვენს ხელნაწერში ხშირია ი/ა ნიშნიან საკუთარ სახელთა ხმარების შემთხვევები: იხილა აბრაჰამი შორით ლ. 16, 23 (179 რ₂); აბია შვა ასათვი მ. 1,7 (6 რ₂); მათ ჰრქუეს: ბარაბაჲ მ. 27, 21 (81 ვ₂); მოვიდეს მწრადლ და პოეს მარიაჲ და იოსებო ლ. 2, 16 (136 რ₁) და მრავალი სხვა.

2. ემფატური ხმოვნის კლება. ძველ ქართულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ საზღვრულის შემდეგაა წარმოდგენილი. სხვა სახელის მსაზღვრელად გამოყენებული ნათესაობითში დასმული სახელი იბრუნვის. ორმაგი სახის მსაზღვრელი იმართვის საზღვრულისაგან და იმავე საზღვრულს ეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში (საყდარ-მან ღმრთ-ისა-მან...), ასეთ მსაზღვრულს მართულ-შეთანხმებულსაც უწოდებენ, რომლის ბოლოკაიდური არ იკვეცება ([15] 586). ძველსავე ქართულში „იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ისეთი შემთხვევები,

როცა საზოგადო სახელებთან ემფატიკური ხმოვანია მოსალოდნელი, მაგრამ წარმოდგენილი არაა“ ([19], 131; [20], 346—350).

ჩვენი ხელნაწერი ამ მხრივ ერთგვარ გამოჩაგვის წარმოდგენს. იგი მდიდარია ემფატიკურ ხმოვან-დაკლებული ფორმებით. აი მაგალითები: ჟამსა განსაცდელი სსა განდვიან ლ. 8, 13 (153 v₁); ზე ზის... ნაშობსა კარაულ-ლისსა მ. 21,5 (61 r₂); კელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისსა მ. 9, 6 (25 v₂); ევედრენით უფალსა სამკალისსა მ. 9,38 (28 r₂); შეკრებასა მას ღუარძლისსა აღმოჰხვრეთ მის თანა იფქლიცა მ. 13, 29 (40 v₁); თანა-მდებ არს იგი გეჰენიასა ცეცხლისსა მ. 5,22 (14 v₂) და მრავალი სხვა. როგორც ვხედავთ, ემფატიკური—ს დაკლების შემთხვევები მოდის მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელის მიცემით ბრუნვებზე.

3. მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირის ნიშანთა ხმარება. მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ჩვენს ძეგლში იშვიათად დასტურდება გარდამავალი ხანის ფორმა ჰაემეტობიდან სან-ნარეობამდე (მხ): მიუგო იესუ და არქუა მათ: ნუ ჰს-ცთებოთ, რამეთუ არა იცით წიგნი მ. 22,29 (65 r₂). ერთგან მე-2 სუბიექტური პირის პრეფიქსად ჰხ არის წარმოდგენილი ([21], 358—359; [22], 198—199): ოდეს იყავ კაბუკ, შეირტყი თავით თვისით და ჰხ-ვდოდე ი. 21, 18 (256 v₂).

ზოგჯერ იკარგება S₂ თანხმონების წინ: რასა ზამთ შაბათსა შინა ლ. 6,2 (146 r₁); რაჲსა ზრახავთ გულთა თქუენთა მ. 16,8 (49 r₁); რაჲთა არა ყოთ წინაშე კაცთა მ. 6,1 (16 v₂); შჰამდეთ და სუმიდეთ ტაბლასა ზედა ლ. 22,30 (149 r₁).

მესამე ობიექტური პირის ნიშნად ერთგან მოიპოვება ასინილირებული ფორმა ჰს: შებორკილიან იგი ჯაჰკეთა... და ჰს-ცვედ ლ. 8,29 (154 v₂).

ძეგლში ზოგჯერ არ არის წარმოდგენილი მესამე ირიბ-ობიექტური პირის პრეფიქსი ჰაე: აღდგა და მსახურებდა მას მ. 8,15 (23 v₁); შეერთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა მ. 13,33 (41 r₁); ნეტარ იყვნეს რომელთა შიოდის მ. 5,6 (12 r₂).

4. -ოდ სავრცობიანი ზმნები ძველ ქართულში ოდ სავრცობიან ზმნათა უღლება განსხვავებულია დ სავრცობიან ზმნათა უღლებსაგან: ოდ სავრცობიანებს უწყვეტელსა და I ბრძანებითში ე მოუდის მწკრივის ნიშნად, დონიანები კი უნიშნოა; ოდ-იანები უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითში ი-ს დაირთავენ; ხოლო დ სავრცობიანებს უწყვეტლის ხოლმეობითში ი აქვთ მწკრივის ნიშნად, I კავშირებითში კი — ე ([23] 835).

X საუკუნიდან სალიტერატურო ენაში თავს იჩენს ოდ სავრცობიან ზმნათა I სერიის მწკრივთა ახლებური წარმოება: ოდიანები, დ სავრცობიანების მსგავსად, ი-ს გამოავლენენ უწყვეტელსა და I ბრძანებითში, ხოლო I კავშირებითში ე-ს. ეს მოვლენა დ სავრცობიან ზმნათა ზეგავლენის შედეგია ([23], 835).

ჩვენს ხელნაწერში დადასტურებულია რამდენიმე შემთხვევა ოდ სავრცობიან ზმნათა გათანაბრებისა დ სავრცობიან ზმნებთან უღლების მხრივ.

უწყვ. ოდ-ი გისტუნევდით თქუენ, და არა ჰროკევდით; გიგოდებდით, და არასტიროდით მ. 11,17 (33 r₁).

I ბრძ. ოდ-ი: რაჲმს რტონი დაჩჩვან, და ფურცელი გამოვალნ, უწყვდით, რამეთუ ახლოს არს ზაფხული მ. 24,32 (71 r₁); აჰა ესერა, სიძე მოვალს,



აღდგებით და მიეგეგმებოდი მას მ. 25,6 (72 v₁); რაჟ-იგი მოგვეს თქუნს მას ეამსა შინა, მას იტყოდი მრ. 13,11 (121 r₁).

5. **I თურმეობითის ხოლმეობითის 5 სუფიქსიანი ფორმა.** თურმეობით პირველში გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის ფორმანტად მრავლობა რიცხვში -ან სუფიქსის პარალელურად ძველ ქართულში დასტურდება იშვიათ ხმარებას -ედ და ზოგჯერ კიდევ უფრო იშვიათი — ენ-იც ([24], 145). ამ ნიშნებით გადმოცემული უნდა იყოს ძველ ქართულში ადრე არსებული ხოლმეობითი. ეს მწკრივი, რომელიც I თურმეობითის ფუძეს იყენებს, I თურმეობითის ხოლმეობითადაა მიჩნეული ([24], 145; [25], 192).

პერთის ოთხთავში მოიპოვება -6 მრავლობითის სუფიქსით გამოხატულ I თურმეობითის ხოლმეობითის მწკრივის ხმარებას ერთი შემთხვევა:

მოვიძვი, სადა არა დავათესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიენ მ. 25,26 (73 v₂). მოყვანილ წინადადებაში ოთხი ხმანა, სადაც სამი II ხოლმეობითის მხ. რიცხვის მესამე პირის ფორმაა, ხოლო უკანასკნელი კი — I თურმეობითთან არსებული ხოლმეობითი.

VI. ს ი ნ ბ ა ქ ს ი

1. **მსაზღვრელ-საზღვრულის სრული შეთანხმება.** ცნობილია, რომ „თუ საკუთარ სახელს მსაზღვრელად მოსდევდა რაიმე სიტყვა, თანამდებობის, ხარისხის ან ხელობის გამომხატველი, თავდაპირველად იბრუნვოდა ორივე, მაგრამ შემდეგში მხოლოდ მსაზღვრელი, საკუთარი სახელი კი უცვლელი რჩებოდა“ ([26], 290; [15], 576—577).

ჩვენს ძეგლში ძველი ვითარებაა დაცული ერთგან: ვითარცა ესმა ესე ჰეროდეს მეფესამ. 2,3 (7 v₂).

2. **ზმნის სახელთან რიცხვში შეთანხმების წესის დარღვევები.** ხელნაწერში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ობიექტი მხოლოდობითაა, ზმნაში კი ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი ნიშანი არის წარმოდგენილი: აიხუნეს ცოდვა სოფლისანი ი. 1,29 (205 v₁); მამათა თქუნთა მოწყუდნეს იგილ. 11, 47 (166 v₂); ბოვნა ტაძარსა მას შინა მოფარდული ზროხათა და ცხოვართა ი. 2,14 (207 v₁); მგელმან წარიტაცნის იგი ი. 10,12 (229 v₂).

3. **ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების წესის დარღვევები.** ჩვენს ხელნაწერში ზოგჯერ დარღვეულია ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების წესი. ა) ქვემდებარე მხოლოდობითია, შემასმენელი მრავლობითში: მაშინ რომელი ჰურიასტანს იყოს, ივლტოდედ მთად მ. 24,16 (70 r₁); მომკალმან სასყიდელი მიიღოს და შეკრიბონ ნაყოფი ი. 4,36 (212 v₁; შდრ.: შეკრიბოს DEC); ესმა ჰეროდეს მეფესა... და იტყოდეს მრ. 6, 14 (100 v₂).

ბ) ქვემდებარე მრავლობითია, შემასმენელი მხოლოდობითში: ჰრქუამათ იესუ: ნუ აყენებლ. 9, 50 (160 r₁; შდრ.: ნუ აყენებთ DEC).

4. **კრებითი სახელი ქვემდებარედ და მისი შემასმენელი.** როცა ქვემდებარედ კრებითი სახელია და წინადადებაში ორი ან ორზე მეტი შემასმენელია,

მომდევნო შემასმენელი მრავლობითში დგას: ლატ-ყო ყოველმან... სიმ-
რავლემან და იტყოდეს ლ. 23,18 (197 v₁); დგა ერთი და ელოდეს
ზაქარიას ლ. 1,21 (132 r₂); ყოველმან ერმან იხილა ...და მორბიოდეს
მისა და მოიკითხეს იგი მრ. 9,15 (109 v₂).

5. ბრუნვა წინადადებით განსაზღვრული სახელისა. საენათმეცნიერო ლი-
ტერატურაში ცნობილია, რომ „თუ სახელს ასლავს განსაზღვრებითი დამოკი-
დებული წინადადება და შემდეგ მოდის მთავარი წინადადება, ეს სახელი ეთანხ-
მება დამოკიდებული წინადადების ზმნას და არა მთავრისას ([14], 167; [27],
20—29; [28], 75—92). ამ მხრივ ჩვენს ხელნაწერში მერყეობაა: მთავარი წინა-
დადების ქვემდებარე ხან უშუალოდ მომდევნო შემასმენელს ეთანხმება (და-
მოკიდებული წინადადებისას), ხან თავის შემასმენელს.

ა) მთავარი წინადადების ქვემდებარე ეთანხმდება დამოკიდებულის ზმნას:
მამაა შენი რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად მ. 6,6
(17 v₁); კაცთა მათ რომელთა შეიპყრეს იესუ, ეკიცხვედეს მას ლ. 22,63
(196 r₁).

ბ) მთავარი წინადადების ქვემდებარე ეთანხმება თავის შემასმენელს: მამ-
ამამან შენმამან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად
მ. 6,4 (17 r₂); სასყიდლით დადგინებულმან რომელი არა არს
მწყემს... იხილის რა მგელი მომავალი ი. 10, 12 (229 v₂).

VII. ბერთის ოთხთავი რელაქციულად

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ უძველეს ქართულ ოთხთავ-
თა ხელნაწერების სახით, რომლებიც გიორგი მთაწმიდლის წინა ხანას ეკუთვ-
ნიან, სამი რედაქცია მოგვეპოვება, რომლებიც C, 4, 7 ლიტერებით აღინიშ-
ნება. C რედაქცია 6 ხელნაწერშია დაცული; ესენია: ოპიზისა (913 წ.), ჯრუჭი-
სა (936 წ.), პარხლისა (973 წ.), თეგდორესი (X ს.), გაბრიელ პატარაისა (X ს.),
და „ანბანდიდი“ (X ს.); 4 რედაქცია, რომელიც C რედაქციის მსუბუქ გადამე-
თებას წარმოადგენს, სამ ნუსხაშია დაცული: ურბნულში (X ს.), ტბეთისა
(995 წ.) და პალესტინურში (1048 წ.); 7 რედაქცია წარმოდგენილია ადიშის
ოთხთავის ძირითად ნაწილში ([29], 119). ამ რედაქციებს შემდეგი სახელები
აქვს შერქმეული: პირველს (C) — ოპიზური, მეორეს (4) — ურბნული, მესა-
მეს (7) — ადიშური.

ლათინური ასოებით აღინიშნება ცალკეული ხელნაწერები: A — ოპიზური,
B — ტბეთისა, C — ადიშისა, D — ჯრუჭისა, E — პარხლისა, F — თეგდორესი,
G — გაბრიელ პატარაისა, H — „ანბანდიდი“, I — პალესტინური, K — ურბნუ-
ლი, L — ქსნისა, M — მესტიისა, N — ალავერდის ოთხთავი.

ბერთის ოთხთავის ლიტერად პროფ. ი. იმნაიშვილის კონსულტაცი-
ით შეიძლება შემოვიღოთ ნიშანი 0.

ა. შანიძის თვალსაზრისით, „ჯრუჭ-პარხლის ტექსტი — ეს არის, ასე
ვთქვათ, ქართული პროტოვულგატა, ე. ი. ტექსტი, რომელიც, მცირე-მცირე
ცვლილებებით, საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა მე-10 საუკუნეში.
მას მხარს უჭერს საერთოდ სხვა ოთხთავები მე-10 საუ-
კუნისა: ოპიზისა (913 წ.), ბერთისა (988 წ. ლამდე) და ტბე-
თისა (995 წ.) ([6], 68).

ჩვენი ხელნაწერი რედაქციული წარმომავლობის დასადგენად სამივე რე-

დაქციის ყველა ხელნაწერს შევუდარეთ. ბერთის ოთხთავის სხვა სახარებებთან რედაქციული მიმართების გარკვევის საკითხი დღემდე სპეციალური კვლევის საგნად არ გამხდარა. წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბერთის სახარებების ტექსტი თითქმის არ სცილდება ოპიზის ოთხთავისას. ამაში ხათლად დავრწმუნდებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლექსიკური მასალა ამ ხელნაწერებს თითქმის ერთნაირი აქვთ: ყველა შესაბამისი სახელი, ზმნა, უდღეტერი ერთნაირია. ერთნაირია აგრეთვე წინადადების კონსტრუქცია: სახელისა და ზმნის შეწყობა, სახელის ერთნაირი გაფორმება (ბრუნვა, რიცხვი), ზმნათა ერთი და იგივე კატეგორიები, სიტყვათა რიგი წინადადებაში და სხვა.

ერთი სიტყვით, ბერთისა და ოპიზის ოთხთავთა ტექსტები თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ მათ შორის არის მცირეოდენი განსხვავება. პირველ რიგში ეს სხვაობა ლექსიკური ხასიათისაა.

1. ლექსიკური განსხვავებანი

A(DEB)	O
აღეხილნეს მ. 3,30	აღეხუნეს 27 V ₂
აღინთნეს მ. 25,1	აღიხუნეს 79 V ₂
განეყარა მრ. 1,42	განეყენა 89 V ₁
გულ-პყრობილ მრ. 6,50	გულ-დებულ 103 რ ₁
გიცნობიეს მ. 16,11	გულისხმა-ჰყავთ 49 რ ₁
დაჰქსნიდ მ. 27,40	დაარღუევდ 82 V ₂
ეტყებდით მ. 11,17	სტიროდეთ 33 რ ₁
თქუეს მ. 27,25	პრქუეს 82 რ ₁
მაღალთა მ. 21,9	ცათა 60 V ₁
მეთეფურ მ. 4,18	მესათხევლმ 12 V ₂
მიუტევეს მრ. 15,11	მოითხოონ 127 V ₂
მოუცდა მ. 9,18	მოვიდა 26 V ₂
საქსენებელად მრ. 14,9	საცხორებელად 124 რ ₁
სუკრიდი მრ. 8,20	გოდორი 102 რ ₂

ამით ამოიწურება ლექსიკური ხასიათის განსხვავებანი ოპიზისა და ბერთის ხელნაწერებს შორის¹. ამის მიხედვით რედაქციულ სხვაობაზე მსჯელობა შეუძლებელია, რადგან მასალა ძალიან მცირეა და თითქმის ერთმანეთისგან განუსხვავებელი.

ბერთისა და ოპიზის ოთხთავებში დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მხოლოდ ამ ხელნაწერებისთვისაა დამახასიათებელი, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მათს სიახლოვეს ერთმანეთთან:

¹ რამდენადაც ორი გამოცემული თავის (მათესა და მარკოსის) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. იხ. ([30]).

DEC

AO(B)

გამობღუდიის მ. 9,16
 ვნებულ მრ. 5,26
 ეშმაკო მ. 16,23

აღილის სასეხბაჲ 26 V₂
 განკადულ 98 V₁
 სატანა 50 r₁

ნეტარ ხარ, შენ, სიმონ,
 ძეო იონაჲსო მ. 16,17

ნეტარ ხარ შენ, სიმონ,
 ბარ იონა 49 V₁ (=B)

წყაროთა სისხლისაჲთა მრ. 5,25
 ხარკის მომღვდელი მ. 18,17

დედათა შჭულსა 98 r₂
 ხარკის მკრებელი 52 V₂.

2. **სიტყვათა რიგის შეცვლა.** ოპიზისა და ბერთის ხელნაწერებში ერთნაირია სიტყვათა რიგი. იშვიათად დასტურდება განსხვავებანი ამ მხრივ მათ შორის:

A (DEB)

O

არცა განპქორწინებდენ, არცა
 იქორწინებოდინან მ. 22,30
 მან მაცთურმან თქუა მ. 27,63
 მოაგორვა ლოდი დიდი მ. 27,60
 მკუდრეთით აღდგომილ არს მრ. 6,14
 მსუმელი ღვნისაჲ მ. 11,19
 ქვათა ამათგან აღდგინებად მ. 3,9

არცა იქორწინებოდინან, არცა
 განპქორწინებდენ 65 r₂
 მაცთურმან მან თქუა 84 V₁
 ლოდი დიდი მოაგორვა 84 r₂
 აღდგომილ არს მკუდრეთით 100 V₁
 ღვნისა მსუმელი 33 r₂
 აღდგინებად ქვათა ამათგან 10 r₂.

3. **ცალკეულ სიტყვათა მეტნაკლებობა.** არის შემთხვევები, როდესაც ბერთის ოთხთავში არსებული სიტყვა ოპიზის (აგრეთვე ჭრუჭ-პარხლის, ტბეთისა და ადიშის) ტექსტში არ მოიპოვება:

ა) O+, A (DEBC)—

დანგის] + იგი მ. 5,26 (15 r₁); ვარდამოვიდოდა] + რაჲ მ. 8,1 (12 V₁);
 იწყუ] + სიტყვისა განგებად მ. 18,24 (54 V₁); ლაღღებდეს] + და იტყო-
 დეს მ. 20,31 (59 V₂); უწყით] + ვინაჲ იყო მ. 21,27 (62 r₁); კოვილისასა] +
 + და ქამ დეს მრ. 2,23 (91 V₁); წყალი] + გრილი მრ. 9,41 (111 r₂); აღდგომაჲ] +
 + მკუდართაჲ მ. 22,23 (64 V₂).

ბ) A (DEB)+, O—

ზოგჯერ ოპიზის ხელნაწერში არსებული სიტყვა ბერთის ოთხთავში არ დასტურდება: ღმერთსა] — შენსა მ. 4,10 (11 V₂); კაფარნაუმს] — ზღვს კიდესა მ. 4,13 (12 r₁); შეიმოსა] — ვითარცა მ. 6,29 (19 V₁); უკუანასკნელ] — ყოველთასა მ. 22,27 (65 r₁); თაყუანის-სცემდა] — მას და ეტყოდა მ. 18,26 (54 V₁); მიეცეს] — და მიემატოს მ. 13,12 (39 r₁); იყოს] — მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ მ. 24,39 (71 V₁); მას] — და ტანჯონ იგი მრ. 10,34 (114 r₁); იგი] — და ჰნერწყუვიდენ მას მრ. 10,34 (114 r₂).

4. **ზმნის განსხვავებული ფორმები.** იშვიათად ოპიზისა და ბერთის ხელნაწერები განსხვავდებიან ზმნური ფორმებით. ეს ეხება პირველ რიგში მწკრივში სხვაობას.



A (DEB)

O

გამოვიდეს მრ. 9,30
 განიგებდეს მრ. 15,24
 ზრახვენ მრ. 2,8
 იყო მრ. 11,32
 ჰკითხა მ. 22,41
 მისცა მრ. 14,23
 მოსცის მრ. 4,29

გამოვიდოდა 110 v₁
 განიგდეს 128 r₁
 ზრახვიდეს 90 r₂
 არს 117 r₁
 ჰკითხვიდა 65 v₂
 მისცემდა 124 r₁
 მოსცეს 96 r₂.

5. განსხვავებანი ზმნასწინებში. ოპიზისა და ბერთის ხელნაწერებში ზმნისწინთა ერთგვარობაა. ზოგჯერ გვხვდება განსხვავებულზმნისწინიანი (ან უზმნისწინო) ფორმებიც:

A(DEB)

O

გამო-ასხა მ. 9,25
 და-ვბრკოლდე მ. 26,33
 და-უკვრდებოდა მრ. 6,31
 მი-იყვანა მრ. 5,40
 წარმო-ვიდეს მრ. 9,30
 წარ-ასრულნა მ. 25,1

გარდამო-ასხა 27 v₁
 ვბრკოლდე 76 r₂
 გან-უკვრდებოდა 103 r₂
 შე-იყვანა 99 r₂
 წარ-ვიდეს 110 v₁
 და-ასრულნა 75 r₂

6. რედაქციული ხასიათის მსგავსება-განსხვავებანი ბერთის ოთხთავისა სხვა ოთხთავებთან მიმართებით. ოპიზისა და ბერთის ოთხთავთა რედაქციულ სიახლოვეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ხდის მათი ერთნაირი იკითხვისები ჯრუჟ-პარხლის (აგრეთვე ტბეთის) ხელნაწერებისგან განსხვავებით:

ხოლო თავადმან პრქუა მათ... და ვსცეთ მაგათ ჰამადი AO მრ. 6,37 (102 r₂); შდრ.: ხოლო თავადმან მიუგო და პრქუა მათ... და ვსცეთ ამათ ჰამადი B; DE-ს აკლია ეს მუხლი.

და რომელსა უნდეს თქვენ შორის პირველ ყოვამ, იყოს იგი თქუენ და მონა მრ. 10,44 AO (114 v₂); შდრ.: და რომელსა უნდეს თქვენ შორის პირველ ყოვამ; იყოს ყოველთა მონა B (DE—); (და რომელსა უნდეს თქუენ განსა, რაეთამ ცა იყო წინა, იყავნ ყოველთა მონა C);

და წიად იორდანისა მ. 4,25 AO (13 r₁); შდრ.: და ჰურიას-ტანისა B; და წიად იორდანით DE;

რედაქციული განსხვავებანი AO-სი DE-სთან უფრო თვალშისაცემია შემდეგ მაგალითებში:

ნუ გარე-მოიქცევ პირსა შენსა მისგან მ. 5,42 DE; ნუ გარე-მოიქცევი AO (16 r₂);

სასყიდელი არა გაქუნდეს მამისა თქუენისაგან რომელ არს ცათა შინა მ. 6,1 DEC; შდრ.: სასყიდელი არა გაქუს მამისა თქუენისაგან ზეცათა მსა AO (B) (16 v₂);

არამედ რომელსა უნდეს თქვენ შორის დიდ-ყოვამ, იყოს იგი თქუენდა მსახურ მ. 20,26 AO (59 r₂). ეს მუხლი არ მოეპოვება DE-ს;

მამამან შენმან რომელი ჰხდავს დაჟარულთა, მოგავოს შენ ცხა-



დაღ AO(B) (17 T2); შდრ.: მამაა შენი რომელი პხედავს დაფარულთა, მოვაგოს შენ ცხადად DEC.

წეიძლება დავასკვნათ:

1. ოპიზისა და ბერთის ხელნაწერები ერთი რედაქციის ტექსტს შეიცავენ.

2. ამ ხელნაწერთა წაკითხვებში არსებული მცირეოდენი სხვაობანი რედაქციულ განსხვავებას ვერ ქმნიან.

3. ბერთის ოთხთავი C (ოპიზური) რედაქციის მსუბუქ გადაკეთებას წარმოადგენს.

4. ხეენმა ხელნაწერმა ოპიზურ რედაქციაში შემავალი ოთხთავების — ოპიზის, ვრუკის, პარხლს და სხვათა გვერდით უნდა დაიმკვიდროს საბოლოო ადგილი.

ლიტერატურა

- R. Blake and S. Der Nersessian, *The Gospels of Bert'ay; and Old-Georgian M. S. Of the Tenth Century: Byzantion, vol. 16, Fasciul 1 (Amer. series, 2), 1942—1943, Boston, 1944.*
- ა. შანიძე, ამერიკაში აღმოჩენილია ძველი ქართული ხელნაწერი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 24.XI. 1944, № 39 (49).
- ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნ. II, თბ., 1962.
- საქმე მოიციქულთა, ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით გამოცემა ილია აბუღლაძეშ ა. შანიძის რედაქციით; ძვ. ქართ. ენის ძეგლები, 7, თბ., 1950.
- ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, თბ., 1958.
- ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორა ძველი რედაქცია სამი შიბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.); ძვ. ქართ. ენის ძეგლები, 2, თბ., 1945.
- ა. შანიძე, შეათე საუკუნის ქართული ხელნაწერი: „კომუნისტი“, 17.V.1959, № 112 (11418).
- ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1890.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. კაუხნიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
- მ. ამირანაშვილი, ბერთის ოთხთავის მინიატურებისა და მხატვრული შიბერდების დათარიღებისათვის: „ორიონი“, თბ., 1967.
- ივ. სურგულაძე, ოპიზის სიგელი: ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და საქართლის ისტორიიდან, თბ., 1963.
- შ. ბადრიძე, სენთორალური ხელისუფლების ზოგიერთი პოლიტიკური ნიშნისათვის აღრფეოდალურ ქართულში: საქართველოს ჯეოდალური ხანის ისტორია საკითხები, ტ. I, თბ., 1970.
- Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, М.—Л., 1925.
- ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
- ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
- Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте: М., 1962.
- პ. ფოტეი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში: „მიმოხილველი“, № 4—5, 1968.
- სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1966.
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
- ქ. ბოჭენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში: თსუ შრომები, ტ. XXX B, თბ., 1947.
- ა. შანიძე, პანენტი ტექსტები და მათი წმინტელობა ქართული ენის ისტორიისათვის: თსუ შრომები, III, 1923.

22. ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზნეობში: თბ., 1, თბ., 1957.
23. ა. შ ა ნ ი ძ ე; ხანი მწკრივთა წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში: საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ. V, № 10, 1945.
24. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული ზმნის იწვითი ფორმები VIII—X სს.-ის ძეგლებს მხედვით: ასუ შრომები, 53, თბ., 1954.
25. ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: „ორიონი“, თბ., 1967.
26. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა, თბ., 1939.
27. კ. დ ო ნ დ ე ა, შიპარათებით ნაცვლსაძელსა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: რჩ. ნაწ., 1, თბ., 1967.
28. კ. დ ო ნ დ ე ა, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში: რჩ. ნაწ., 1, თბ., 1967.
29. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, აღიწის ოთხთავი რედაქციულად: ასუ შრომები, XXVIII, 1946.
30. ვლ. ბ ე ნ ე შ ვ ე ი ჩ ი, სხარებად ოთხთავი ორთა კელნწურთავან შTL და 947, ნაკვ. C, სხარებად მათა თვისად, ბეტ. 1909; ნაკვ. 4, სხარებად მარკონის თვისად, ბეტ. 1911.

ლილი ბასილაია

პირის სახელთა ბრუნება XI—XIII საუკუნეთა მხედრული ისტორიული საბუთების მიხედვით

პირის სახელთა ბრუნების თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან ძველი და ახალი ქართული. ეს განახვევება შემდეგში მდგომარეობს: ა) ძველ ქართულში ისინი სამ ბრუნვაში არაერთაზრ ნიშანს არ მიიღებენ. ეს ბრუნებია: სახელობითი, მოთხრობითი და წოდებითი, რომლებშიც სახელები ფუძის სახით არას წარმოდგენილი, ბ) სავსეობი ა არ დაერთვის მიცემთაში, ნათესაობითში და მოქმედებითში, გ) მრავლობითი რიცხვი არ მოეპოვება ([1], 41). საკუთარ სახელს იშვიათად, მაგრამ მაინც ჰქონდა წრფელობითი ბრუნვა ([5], 269, 289).

ახალ ქართულში წრფელობითი ბრუნვა არ არსებობს, სხვა ბრუნვებში კი საკუთარი და საზოგადო სახელები ერთნაირად ფორმდებიან, გამოთავისაა წოდებითი, სადაც საკუთარი სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი ([2], 52—53).

ეს განსხვავება, ძველის მოშლა და ახლისაგან გადასვლა XI საუკუნიდან დაიწყო. საინტერესოა ამ თვალსაზრისით XI—XIII საუკუნეების მხედრული დაწერილი ისტორიული საბუთების ენის განხილვა. ეს საბუთები თავისი შინაარსით საერო ხასიათისაა, სიგლეების დამწერები და ხელმოწერები უმეტეს შემთხვევაში ერისკაცები არიან, ამიტომ მოსალოდნელია ცოცხალი მეტყველების ნიმუშთა სიკარბე.

სახელებში თავისი ხასიათის თავისებურების გამო ხშირია საკუთარი სახელები. ამდენად, ჩვენ მათზე დაკვირვების კარგი საშუალება გვაქვს.

წრფელობით ბრუნვაში საკუთარი სახელი თვით ძველსავე ქართულში იმდენად იშვიათი იყო, რომ ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანიც კი გახდა ([5], 269—289). გარდა ამისა, ცნობილია, რომ ძველ ქართულში წრფელობითი სინტაქსური ფუნქცია ძირითადად ემთხვევა სახელობითისას ([4], 506). სწორედ ამის გამო ეს ბრუნვა დროთა ვითარებაში საბოლოოდ დაემთხვა სახელობითს. ჩვენს განახილველ ძეგლებში პირის სახელი წრფელობით ბრუნვაში არ გვხვდება.

სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი ადამიანის სახელი უმეტეს შემთხვევაში ბრუნვის ნიშანს დაირთავს:

ხმოვანფუძიანი სახელი ბრუნვის ნიშნით:

პატრონი ბეგაა მუხრანს დგა, Ad—7; მოწამენი არიან: ბეჭაა მინაა*, ...ნაი, ბოჭოას ძე ვეფხაა, ექვე; ღმრთისა სწორთა ბრძანების მო-

* ამირაძე ([7] 148—149).

წამე ვარ მიწამ მებაჯრეთუხუცესი კილაა* აბაზს ძე, Hd—1330; ამისნი მოწამენი არიან: კარაას ძე ებაა და წამალა[ს ძე] იაა, Ad—4; მე, შოთაა, ჩენს ენონის ქონებასაც შიგა ამას ვამტიკებ, იქვე; აქა პატრონისა ბრძანებულისა დამამტიკებელი ვარ მე, ხათუთაა Ad—5.

არსენი ჰყონდიდელსა მგელაა და შეილნი მისნი შეუწყალებიან, ცსსა ფ. 1448, № 5003; არსენი ჰყონდიდელ მთავარეპისკოპოსსა... შეუწყალებიან მგელაა, იქვე; კვადრე და მოგავსენე შენ... მახარაა, ბრაქი და იოანე, Ad—2.

მოყვანილი მაგალითები თითქმის ყველა ა-ფუძიანია. ო-ზე ფუძე-გათავებული საკუთარი სახელი ერთხელ შეგვხვდა ბრუნვის ნიშნით:

კვადრე და მოგავსენე შენ... თქროა, Ad—2.

ხმოვანფუძიანი სახელი ბრუნვის ნიშნის გარეშე:

ა) ა-ზე ფუძეგათავებული სახელები:

ამისი მოწამენი არიან: ბასილის ძე ნაცვალა, დედანაშვილი ნადირა, Hd—1358; აღიდენ... ღმერთმან... გიორგი ლაშა, Ad—81.

ბ) ე-ზე ფუძე-გათავებული სახელები:

პატრონისა... ბრძანებულისა მეც, ანდრონიკე დამამტიკებელი ვარ, Hd—1330; ძმამ შენი ზოსიმე მიიცვალა, Ad—4; მეცა მოწამე ვარ. კუიროკა*, იქვე.

გ) ო-ზე ფუძე-გათავებული სახელი:

...ღმრთისმშობელი და წმიდაა მამამ შიორისხვად აღიძრვიან მისთვის. Ad—5.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ხმოვანფუძიანი ადამიანთა სახელების მეტი წილი ბრუნვის ნიშანს დაირთავს. ფუძეთა დაბოლოების მიხედვით სახელები ასეა განაწილებული: ა-ზე ფუძე-გათავებული სახელი ბრუნვის ნიშანს თოთხმეტ შემთხვევაში დაირთავს, ოთხ შემთხვევაში — არა; ო-ზე ფუძე-გათავებული სახელი ერთ შემთხვევაში დაირთავს ბრუნვის ნიშანს, მეორე შემთხვევაში — არა. ე-ფუძიანი სახელები ყველგან ბრუნვის ნიშნის გარეშეა.

ხმოვანფუძიან პირს სახელებთან ბრუნვის ნიშნის უქონლობა ფონეტიკური მიზეზით აიხსნება და არა — მორფოლოგიურით. სახელობითში საკუთარი და საზოგადო არსებითი სახელები ამ დროისათვის ძირითადად ერთნაირად იბრუნვიან, მაგრამ ხმოვანფუძიანმა პირთა სახელებმა ახლადმიღებული ბრუნვის ნიშანი უკვე დაკარგეს ფონეტიკური მიზეზების გამო. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოება: XI—XIII საუკუნეებისათვის აა, ეა, ოა, უა დიფთონგის მოშლა თითქმის ბოლომდეა მისული. ეს საკითხი ჩვენ სპეციალურად განვიხილეთ საზოგადო არსებითი სახელებისათვის (ა XI—XIII საუკუნეების მხედრულ წერილობით ძეგლებში, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ. 1975, გვ. 65) და ასეთი სურათი მივიღეთ: XI—XIII საუკუნეების მხედრულ წერილობით ძეგლებში ეა დიფთონგის მოშლა თითქმის ბოლომდეა მისული, ეა მხოლოდ სამ შემთხვევაში გვხვდება, ხოლო ეა-ს პოზიციაში ე ასზე მეტია: ა-ს მომდევნო პოზიციაში ა შედარებით დაცულია, მაგალითების 60 პროცენტში გვხვდება აა, ხოლო ორმოცში — ა; ო და უ ხმოვნების მომდევნო პოზიციაში ა მაგალითების ნახევარში დაცულია, ნახევარში — არა.

* ჰალა (141—142).

** კარიბე ([12], 169).

ხმოვანფუძიან პირთა სახელების ბრუნებაც ამას ამტკიცებს: ე-ზე ფუძეგა-
თავებული სახელი სახელობითი ბრუნვის ნიშნით არსად ჩანს. შესაძლებელია,
ასეთმა სახელებმა ვერც მოასწრეს ბრუნვის ნიშნის მიღება, რადგანაც XI საუ-
კუნისათვის ეს დიფთონგი უკვე მოშლილი იყო ([13]). და მისი გამომსახველი
შ ასო მხედრულს არ გადმოჰყოლია. გარდა ამისა, სხვა ხმოვნებზე (ა-ზე და
ო-ზე) ფუძე-გათავებული სახელები ბრუნვის ნიშნითაც გვაქვს და ბრუნვის ნიშ-
ნის გარეშეც, ე-ზე ფუძეგათავებული სახელი კი ყველგან ბრუნვის ნიშნის გა-
რეშეა წარმოდგენილი.

განსხვავებული ვითარება გვაქვს თანხმოვანფუძიან სახელებთან. თუ ხმო-
ვანფუძიანებთან ბრუნვისნიშნის ფორმები სკარბობდა, აქ — პირიქით, ცხრა
შემთხვევაში თანხმოვანფუძიანი სახელი წარმოდგენილია ფუძის სახით; ხოლო
ხუთ შემთხვევაში — ბრუნვის ნიშნით.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი პ ი რ ი ს სა ხ ე ლ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ი თ :

დაწერილისა ამისა მეცა დამამტკიცებელი ვარ უღირსი ბასილი კყონ-
დიდელი მწიგნობართუხუცესი, ცსსა ფ. 1448, № 5003; ვამტკიცებ მე, ძ ა ვ ა ნ ი
აბულეთის ძეა, Ad—5; დამამტკიცებელი ვარ ქრისტეს მიერ მიქელი* სუ-
რამელიცა, Ad—9; და ვინც, რამანცა გუარმან კაცმან კელყოს ამისად შლად,
...ნესტორიმცა არს ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისათვის, Ad—2.

მიბოძნეს მეფობისა მათისა სალოცავად აფხაზთანი იგი: გიორგი და იაბე-
რი**, Ad—81.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი პ ი რ ი ს სა ხ ე ლ ი ბ რ უ ნ ვ ი ს
ნ ი შ ნ ი ს გ ა რ ე შ ე :

ჯ ა ფ ა რ ამირად ჯდომილა, ცსსა ფ. 1448, N 6501; დიდისა მონასტრისა
წინამძღვარი ნიკოლოზ მოწამე ვარ, ცსსა ფ. 1448, N 5003; მეცა, მწირი
ღულუნაყოფილი ნიკოლოზ მოწამე ვარ, Ad—3; მოვიდა ჩუენ წინაშე ჭარ-
მაული ჭაჭნააწვილი გრიგოლ, Hd—1330; ჩუენც გლახაკი ქრისტეს მიერ
ქართლისა კათალიკოზი აბრაჰამ დავამტკიცებთ, Hd—1330; ჩუენ, გაბ-
რიელ, ქრისტეს მიერ კათალიკოსი, მოწამენი ვართ, ცსსა ფ. 1449, N 1475.

ადიდენ... ღმერთმან... მეფენი ჩუენნი და ვით და თამარ და ძე მათი
გიორგი ლაშა, Ad—81; ჰქონდეს იგი წყალი და გლეხნი ქოსადსძენი: სუ ი-
მ ო ნ და გიორგი და იაბერი... წმიდასა მამასა წიოს, იქვე.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, პირის სახელთა ნახევარს ბრუნ-
ვის ნიშანი დაერთვის, ნახევარს — არა. უპირატესობა მაინც ბრუნვისნიშნის
ფორმებს აქვთ, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხმოვანფუძიანებს ამ
ღრთისათვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი ა ფონეტიკური მიზეზის გამო უკვე
დაკარგული აქვთ.

საკუთარი და საზოგადო სახელების ბრუნების გათანაბრება, განსაკუთრებ-
ით ა-ზე ფუძე გათავებულ სახელებში, აღრინდელ ტექსტებშიც არის აღნიშ-
ნული. ([6], 372—373) ამ რიგის ფაქტები პირველად იაკობის პროტოვანგე-
ლის ტექსტში (VII ს.) ყოფილა გამოვლინებული. ([14], 124).

* ქმნ ([7], 170) ([11], 78).

** ია ბერი ([7], 79).



საქართველოს
ქართულში

საინტერესო სახელი გრიგოლის დაწერილობა: ძველ ქართულში ეს სახელი სმოვანფუძიანი იყო, წრფელობით ბრუნვაში ი ბოლოკიდურით იყო გადმოცემული. ([15], 153) გრიგოლი და სხვა მისი მსგავსი სახელი (ანტონი, არსენი) თანდათანობით თანხმოვანფუძიანებს მიეკედლნენ, რადგან ბოლოკიდური ი სახელობითი ბრუნვის ნიშნად იქნა გაგებული, ეს პროცესი XIII საუკუნისათვის უკვე დაწყებული ყოფილა, ასე მაგალითად, 1298 წელს დაწერილ ერთ სიგელში გრიგოლ ფორმას ვკითხულობთ:

მოვიდა ჩუენ წინაშე ჭარმაული ჭაქნიასშვილი გრიგოლ, Hd—1330.

ამავე საბუთის ერთ ხელმოწერაში კი ასეთი ფორმა სწერია:

მეფეთ-მეფესა დავითს შეუწყალებია ჭარმაული გრიგოლი, Hd—1330.

მეორე მაგალითში ი სახელობითი ბრუნვის ნიშნად ესმის ხელმომწერს და არა — ფუძისეულად.

ამ ტიპის სხვა სახელები: ანტონი, არსენი ჩვენს ტექსტებში ჯერ კიდევ სმოვანფუძიანია:

არსენი ქართლისა კათალიკოზსა კანონითა მათითა დაუმტკიცებია Ad—1; მე... არსენი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესსა... დამიმტკიცებია, ცსსა ფ. 1448, № 5003.

მოწამე ვარ იშხნელ ყოფილი... ანტონი, ცსსა ფ. 1448, N 5003; მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონი* ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, Ad—81.

მოთხრობითი აქტიური ბრუნვა, იგი მხოლოდ სუბიექტის კუთვნილებას წარმოადგენს. ცნობილია, რომ ძველ ქართულში მოთხრობითში საკუთარ სახელს ბრუნვის ნიშანი არ დაერთვოდა. თუ შემასმენელი სახელობითსაც მოითხოვდა და მოთხრობითსაც, მაშინ სუბიექტისა და ობიექტის გარჩევა რიგის მიხედვით ხდებოდა: პირველი ჩვეულებრივ სუბიექტი იყო, მეორე — პირდაპირი ობიექტი. მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევაში სუბიექტისა და ობიექტის გარჩევა მაინც ჭირდა, ხშირად პირველ ადგილას სწორედ პირდაპირი ობიექტი იდგა და არა — სუბიექტი. ენამ ამ შემთხვევაში სხვა ხერხს მიმართა — ზმნასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ სახელს ბრუნვის ნიშანი დაურთო. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბრუნვის ნიშანი პირველად სახელობითმა მიიღო, რადგანაც ბრუნვისნიშნიანი სახელობითი უფრო ხშირია ძველ ქართულში, ვიდრე — მოთხრობითში ([16], 42).

სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი იგი განსაზღვრული ნაწევრისგანაა მიღებული ([3], 218, 219). სახელობით ბრუნვასთან ის მალე გაცედა და მივიღეთ სმოვანფუძიანებთან ა და თანხმოვანფუძიანებთან — ი. მოთხრობით ბრუნვასთან კი ბრუნვის ნიშნად დიდხანს დარჩა მთლიანი ნაცვალსახელი მან. საზოგადო არსებითი სახელის ბრუნვის ნიშნის ი-ს, როგორც იგი ნაცვალსახელისაგან მომდინარის გაგება როცა საგნებით ვაქრა, სახელობითში დასმულ ადამიანის სახელს გაუადვილდა ამ ბრუნვის ნიშნის მიღება. სწორედ ამ მიზეზით ხსნიან იმ ფაქტს, რომ სახელობითში უფრო ადრე დაიწყო საკუთარი და საზოგადო სახელების ბრუნების გათანაბრება, ვიდრე — მოთხრობით-

* ანტონ: ([7], 79); ([11], 30).



ში. ([17], 80). ([6], 370). XI—XIII საუკუნეების ისტორიული საბუთების ენსათვის მოთხრობითის ორივეგვარი ფორმა დამახასიათებელი მოვიყვანთ მაგალითებს:

ხ მო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი პ ი რ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი ფ უ ძ ი ს ს ა ხ ი თ :

მე, ანდრეა, ვიყიდე ნავენაჯობი, Hd—1358; ესე დაწერილი დაგიწერე მე, დეკახოზმა ახდრეა, იქვე; მან წმიდამა (Sic) ში ი ვ... (დაამტყიცოს), Ad—5; მტკიცე ყოს ღმერთმან და თუით მან წმიდამან ში ი ვ, Ad—81; ქანდაე მონადირეთა სადგომად მოიცვალა მამა[მა]ნ ჩუენმან დემეტრე, Hd—1351; მე, ი ვ ა ნ ე, მოგეც დაწერილი ესე, Ad—7.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი პ ი რ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი ფ უ ძ ი ს ს ა ხ ი თ :

...ესე პატრონმა მიქელცა იპრიანა, Ad—9, მეფეთ-მეფემა რუსუ დან ბათონსა გამგზავნეს, ცსსა ფ. 1448, № 5003.

ხ მო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი პ ი რ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი მ ა ნ ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ი თ :

დაგიწერე დაწერილი ესე...[მ]ე, ბეგამან სურამელმან, Ad—8; ესე დაწერილი დაგიწერე... მე, სურამელისა ბეგაჲს შვილისა მიქელის ცოლმან ქ ა ნ ა მ ა ნ, Ad—9.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი პ ი რ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი მ ა ნ ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ი თ :

ეს დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, კარაჲს ძეთა: კუირიეც და ბასილმან, Ad—4; დაწერილი ესე დაგიწერე და მოგავსენე მე, ...ამირსპასალარმან ჭ ი ა ბ ე რ მ ა ნ, Ad—2; მოგავსენე დაწერილი ესე... აბულეთის ძემან ძ ა ვ ა ნ მ ა ნ, Ad—5.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან თვით ბრუნვის ნიშანშიც მომხდარა ცვლილება — იგი გამარტივებულია: მან—მა//მ. ამ პერიოდში დაწერილი ორი საბუთის ენა (Ad—4 და Ad—7) მ ა და მ ფორმას გამოავლენს ბრუნვის ნიშნად:

ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, ბურჯაულთა*: კ ა ვ თ უ ლ ა მ ა და თ ე ვ დ ო რ ა მ ა Ad—4; ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ... და ჩუენთა შვილთა: ბ ა ს ი ლ ა მ ა და მ შ უ ი დ ა მ ა, Ad—4; დაგიწერეთ დაწერილი ესე ჩუენ... და ჩუენმა ძმისწულმა დემნამა, Ad—7.

რადცა ლალაჲ ჰმართებდა, მ ო მ ლ ა ნ მოიღო, Ad—7.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, XI—XIII საუკუნეების ისტორიულ საბუთებში პირის სახელთა ბრუნვის ნიშნის ფორმები სჭარბობს. გასაანალიზებელი ცხ რ ა მ ე ტ ი მაგალითიდან თ ე რ თ მ ე ტ ი ისე იბრუნვის. როგორც — საზოგადო არსებითი სახელი, რ ვ ა კ ი — ძველ ნორმას იცავს.

როდესაც სახელობით ბრუნვაზე გვექონდა საუბარი, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მაგალითების ნახევარს ბრუნვის ნიშანი დაერთვის, ნახევარი კი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სახელობითში დასმულ საკუთარი

* ბურჯულთა ([12], 169).

არსებითი სახელის დიდი ნაწილი ხმოვანფუძიანია. ისინი ფუძის სახით წარმოდგენილია დამავალი დიფთონგის მოწლის გამო და უძველეს ვითარებას კი არ ასახავენ, არამედ — უახლესს. თუ ამას გავითვალისწინებთ, თანათარღობა ასეთი იქნება: ოცდაათოთხმეტი განსახილველი მაგალითიდან ოცდახუთ შემთხვევაში პირის სახელი სახელობით ბრუნვაში საზოგადოს მსგავსად იბრუნვის, ხოლო ცხრა შემთხვევაში კი — ძველებურად იწარმოება.

როგორც ამ შედარებიდან ჩანს, პირისა და საზოგადო სახელთა ბრუნების გათანაბრება სახელობითში უფრო ადრე დამთავრებულია, ვიდრე მოთხრობითში.

პირის სახელთა მოთხრობითი ბრუნვის ფორმა აქა-იქ აღრინდელ ტექსტებშიც გვხვდება. ([1], 42). იგი პირველად „სინურ მრავალთავში“ ყოფილა გამოვლენილი ([14], 126).

ისტორიულ საბუთებში პირთა სახელები ბრუნებაზე დაწვრილებით მსჯელობს ზ. სარჯველაძე. ის აღნიშნავს ორივეგვარი ფორმების არსებობას და სამართლიანად ასკვნის: „საფიქრებელია, რომ ისტორიულ დოკუმენტების საკუთარ სახელთა უნიშნო ფორმები მოთხრობითში განპირობებულია ძველი მწიგნობრული ტრადიციის ზეგავლენით. ცოცხალ მეტყველებაში ამ დროს უპირატესად უნიშნო ფორმები უნდა ყოფილიყო გავრცელებული“. ავტორი შენიშვნაში აღნიშნავს, რომ უნიშნო ფორმები ზოგ დიალექტში დღესაც დასტურდება. ([14], 127).

„გუფხის ტყაოსნის“ ენა გამოავლენს როგორც უნიშნო, ისე ნიშნის ფორმებს. საკუთარ სახელებთან უპირატესობა უნიშნო მოთხრობითს აქვს ([18], 632).

მოთხრობითი ბრუნვის საზოგადოსთან გათანაბრება წერილობით ძეგლებში გვიან დამთავრდა. გვიანდელი ძეგლებიც გამოავლენენ ისეთ ფორმებს, სადაც მოთხრობითი კვლავ ფუძის სახითაა წარმოდგენილი: მაგ.: სულხან-საბა ორბელიანი აღამიანის სახელებს მოთხრობითში უბრუნვისნიშნოდ ხმარობს*. ვფიქრობთ, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში კვლავ წერილობით ტრადიციასთან გვაქვს საქმე.

როგორც ვხედავთ, მოთხრობით ბრუნვაში საკუთარი და საზოგადო სახელების ბრუნების გათანაბრება მძიმედ იკავავს გზას. სახელობითს კი ამ გზის გავლა არ გასჭიანურებია. ამისი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ სახელობითი უფრო ხშირად ისმოდა, ვიდრე მოთხრობითი. როგორც ცნობილია, მოთხრობით ბრუნვაში სახელი ერთადერთ შემთხვევაში დგას — როცა გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფორმას ის სუბიექტად შეეწყობა. სახელობითში კი გვხვდება გარდაუვალი ზმნის სუბიექტი სამსავე სერიაში, აგრეთვე გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი II და III სერიაში.

მიცემით ბრუნვაში აღამიანის სახელთა ბრუნვებს თავისებურება სავრცობი ხმოვნის დართვაში გამოიხატება. ეს ხმოვანი ნაცვალსახელური წარმოშობისაა. საკუთარ სახელს განსაზღვრა არ სჭარბებოდა, ამდენად, მას არც ნაწევარი და არც მისგან მომდინარე ხმოვანი არ დაერთვოდა.

სამუდალ ქართულში, როცა სახელობითში და მოთხრობითში დასმული პირთა სახელების ბრუნების გათანაბრება დაიწყო, ამ უკანასკნელებმა მიცემითშიც იწყეს სავრცობი ხმოვნის მიღება. აქა-იქ ასეთი შემთხვევები ძველ ქარ-

* ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ი. იმნაიშვილს ([6], 370—371).



თულშიც იჩენს თავს. ამისი დამადასტურებელი მაგალითები წარმოდგენილია ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ის გამოკვლევაში ([6], 374). ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე კ ი ა ლ-ნიშნავს, რომ საკუთარ სახელთა გავრცობილი მიცემითი პირველად „აინურ მრავალთავში“ დადასტურებული. ([14], 128).

XI—XIII საუკუნეების ისტორიულ საბუთებში ადამიანის სახელთა გავრცობილი მიცემითის ფორმები არ არის იშვიათი. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითებს:

გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ ი მ ი ც ე მ ი თ ი

ა) ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

მთხა მიწასა და ძესა ბ ე ვ ა ს ა. ქართლისა ერისთავსა, განდამცა დამიმტკიცებია, Ad—1; მე, ბეგასა, [ჩემ] ითა კელითა დამიმტკიცებია, Ad—8; მე, ბ ე ვ ა ს ა, ჩემითა კელითაცა დამიმტკიცებია, Hd—1358-ა.

არგოს დმერთმან სულსა კანთა მეფისა კ უ ი რ ი კ ე ს ა, Ad—3; დაგიწერე... შენ, აბულხატარის * ძესა მ გ ე ლ ა ს ა, ცსსა ფ. 1448, № 5003; დაგიწერე შენ... და შენთა შვილთა: ვარლოსა და ვ ა რ ო ზ ა ს ა, Hd—1358; შენ მოვიყდე წითლის ძესა დ ე მ ტ ი ა ს ა, Hd—1358.

ბ) თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

ესე დაწერილი მე, ჭ ი ა ბ ე რ ს ა, ...დამიმტკიცებია, Ad—2; ესე ვითა ბ ა ს ი ლ ს ა... დაგიწერია, მეცა მოწამე ვარ, Ad—4; ესე დაწერილი მე, ბ ა ს ი ლ ს ა, თუთ ჩემითა კელითა დამიმტკიცებია, Ad—4;

დაგიწერე დაწერილი ესე... თქუენ, ...გრიგოლსა ** და ...Ad—7; ჰქონდეს სიგელი ესე ხარადხანისუხუცესსა ჩუენსა თულაჲსძესა ვ ა ხ ტ ა ნ ვ ს ა, Hd—1331.

გ ა უ ვ რ ც ო ბ ე ლ ი მ ი ც ე მ ი თ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი ს ჭ ა რ ბ ო ბ ს. მოვიყვანოთ მაგალითებს:

ა) ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

ესე დაწერილი ჩუენ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა (თ ე ვ დ ო რ ე ს დაგუიმტკიცებია Ad—2, Ad—3; მეცა მიწასა მეფობისა მათისასა, ... ი ო ა ნ ე ს დამიმტკიცებია, Ad—14; გიორგის შვილსა ი ვ ა ნ ე ს (sic) გაეყიდა, Ad—5; მე, ი ო ვ ა ნ ე ს დამიწერია, Hd—1358, მე, მთავარმმა შემღუფინესა ი ო ვ ა ნ ე ს ც ა *** დამიმტკიცებია, Ad—3.

ძესა ჩემსა ბ ე ვ ა ს დავანლობ, Ad—1; ჰქონდეს იგი წყალი... წმიდასა მამასა შ ი ო ს, Ad—82; ქანდასა ნაცვალი ჩუენ მოვაკსენოთ წმიდასა შიოს, Hd—1351, შეგს[წირე წმიდასა] მამასა შიოს... ბორცუისჯუარი, Ad—14; შეგს-წირე წმიდასა მამასა შ ი ო ს... სოფელი, Ad—5; აწ ვინცა ესე ჩემგან ნასყიდი სოფელი ანგრონი თქუენ, წმიდასა მამასა შ ი ო ს... შეგიცვალოს, ...პრისხავს-

მეცა დმერთი დაუსაბამოა, Ad—5.

* აბულხატარის: ([10], 74).
 ** გრიგოლასა: ([7], 145).
 *** იუვანესცა ([12], 131); ([8], 24).

3) თ ა ნ ხ მ ო გ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი:

ქართლისა ერისთავისა გრიგოლს და ძმისა მისსა ივანეს (sic)... დაუწერა, Ad—1; ესე... გ რ ი გ ო ლ ს ქართლისა ერისთავსა დაუწერია იქვე; მეფეთმეფესა და ვითის შეუწყალება ქარმაული გრიგოლი, Hd—1330.

დაგიწერე... შენ... ფეროზს*, Ad—3; მოგავსენე ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფეთა თამარს**, Ad—2; ვკადრე და მოგავსენე ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს, Ad მ1; ჰქონდეს... ჰაჭნაისშვილსა გ რ ი გ ო ლ ს, Hd—1330; მოგავსენე ჩემსა ქმარსა... მიქელს, Ad—9.

ძოყახილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ისტორიულ საბუთებში ვაცილებით სწარბოზს გაუფრტოვებელი მიცემითის ფორმება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ჩვენ სპეციალურად დავაკვირდით, თუ სად უფრო ხშირი იყო გავრცობილი მიცემითის ფორმები — სივლების ტექსტებში თუ ხელმოწერებში და ასეთი შედეგი მივიღეთ: გავრცობილი მიცემითის მეტი წილი ხელმოწერებზე მოდის, ნაკლები — ტექსტებზე. გასაანალიზებელი თხუთმეტი მაგალითიდან ექვსი ამოღებულია ტექსტებიდან, ხოლო ცხრა — ხელმოწერებიდან. ეს მაშინ, როცა თვით ტექსტები ვაცილებით მეტი მოცულობისაა ხელმოწერებზე. ამ ფაქტში კარგად ჩანს, რომ სივლების წერის დროს ასე თუ ისე ძველ მწიგნობრულ ტრადიციას მისდევდნენ, ხოლო ერისკაცთა ხელმოწერები ფართოდ უღებს კარს ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებულ ფორმებს, ამიტომ აქ უფრო მეტად გამოვლინდა სიახლე. ამ პერიოდის მეტყველებისათვის, როგორც ჩანს, პირთა სისხლებზე სავრცობი ხმოვნის დართვა უკვე ჩვეულებრივი იყო.

ნათესაობით ბრუნვაში გავრცობილი საკუთარი სახელების მაგალითები ვაცილებით ნაკლებია, ვიდრე — მიცემითში. გასაანალიზებელი ოცდაცხრა მაგალითიდან ოცი — გაუფრტოვებელია, ცხრა — გავრცობილი (ამაში შედის როგორც თანდებულებანი, ისე უთანდებულო ფორმები).

როდესაც საკუთარი სახელი განსაზღვრებას როლში გამოდის, მაშინ გავრცობილი ფორმები იშვიათია:

შენ მოგვიდე წითლისა ძესა დემტიასა, Hd—1358; მოგვეც მისდა სანაცლოდ შენისა განაყოფისა ოქუროასა მამული, Hd—1358-ა; ...გაქუნდეს ოქუროასა კერძო მამული, Hd—1358-ა.

გაუფრტოვებელი ფორმები კი ძალიან ხშირია:

კადრე და მოგავსენე შენ, წმიდასა მამასა შიოს... მიხითარს ძენი, Ad—2; კადრე და მოგავსენე შენ... დავითის შვილნი, Ad—2; აწ ვინ გრიგოლის სახლისამან ან ვარემან შეცვალოს ესე აღთქუმა, ...წყეულმცა არს, Ad—1; არ შეგეცვალოს დაწერილი ესე თქუენ, ტოტეზაას შვილთა, Ad—8; გიორგის შვილსა ივანეს (sic) გაეციდა, Ad—5; ესე დაწერილი დაგიწერე... შე, სურამელისა ბეგაას შვილისა მიქელის ცოლმან ჰაქანამან, Ad—9; სიმტკიცისათვის სეფისა მწიგნობრისა იოანეს მახხოტის ძის კელითა მომიჯანებია, Ad—5; დაწერა ბრძანებად და სიგელი ესე... კელითა მწიგნობრისა ჩუენისა მიქაელ კატარაწის ძისათა, ცსსა ფ. 1448, № 1723;

როცა პირის სახელი წინადადებაში უბრალოდ ამატების ფუნქციას ასრულებს, ის მეტ შემთხვევაში გავრცობილია.

* დეროზი: ([10], 74).

** მეფეთა მეფისა თამარს: ([11] 28).



ჩიქუხურხი, რ უ ს ი ს ა* ნასყიდნი, ...ივან-წმიდაჲ, ძველადვე გოდეო-
ძისა შემოწირული, ...ხორგაჲ, გოგრაქისაგან შემოწირული... (მეუ-
ვალ გუქმნიან), Hd—1351; ავიღეთ... დემეტრესაგან ტოხუას ძისაგან
სამოცი თეთრი, Ad—4; მოგუქსენებთან წმიდისა მამისა შიოძისა და წმიდის-
ლავრისა მღუიძმასადა (სოფელნი), Ad—8; მგელაძისა და მისთა შვილ-
თათუის სიმტკიცისა მოწამე ვარ. ცსაფ. 1446, № 5003.

გაუვრცობელი ნათესაობითი უბრალო დამატების ფუნქციით:

მამათა და ძმათა მღუიძისა უღაბნოსათა იოვანე ტოხუას ძისადა
...უბოძებია, Ad—3; ესე ვითა ზემოთ მამათა წმიდათა დაუწერია თქუენ ტო-
ხუას ძეთადა**, ...მეცა, ...მოწამე და დამამტკიცებელი ვარ, Ad—3; ალაქინი,
ხახუილავისგან*** შემოწირული, თრიალეთს ბჭითი — ად[ა]რნესესგან
შემოწირული (მეუვალ გუქმნიან), Hd—1351.

ნათესაობითი დასმული ადამიანის სახელი, რომელიც განსაზღვრება,
დღესაც ძირითადად საერცობი ხმოვნის გარეშე გვხვდება. ამიტომაც ზემოთ მო-
ყვანილი მაგალითების მიხედვით დანამდვილებით ვერ ვიტყვი, ძველ ტრადი-
ციას იცავს XI—XIII საუკუნეების ისტორიული საბუთების ენა თუ არა.

უბრალო დამატებასთან ემფატიკური ხმოვნის რაოდენობა თანდებულნიანმა
სახელებმა განარდა. ა ამ შემთხვევაში მხოლოდ თანხმოვანთგამყარია და, რაკი
ასეთი თანხმოვანთგამყარის დართვა არ ეუცხოება XI—XIII საუკუნეების ენას,
ეს გვაპარაუდებინებს, რომ ამ საუკუნეებიდან ნათესაობითი პირის სახელი
ისე იბრუნებოდა, როგორც საზოგადო. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ძვე-
ლი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით საკუთარი სახელის საზოგადო
სახელებთან გათანაბრების შემთხვევები ნათესაობითს ბრუნვაში ყველაზე ნაკ-
ლებადაა დადასტურებული ([6], 375).

წოდებით ბრუნვაში დასმული საკუთარი სახელი მიმართვის ფორმაა.
როგორც ცნობილია, მას არც ძველ ქართულში ჰქონდა ბრუნვის ნიშანი და არც
ახალ ქართულში აქვს.

XI—XIII საუკუნეების ისტორიულ საბუთებში წოდებითს სამიოდე მაგა-
ლითი შეგვხვდა:

მიითუალე, (ეს ანდერძი) მზრუნველო ორთავე ცხოვრებათა ჩემთაო, არ-
სენს! Ad—1; და შენ, ჩემო ძმაო ივანე (sic) და ძეო ჩემო ბეგაო, —თქვენ
მიგიტუალავ ამ ანდერძსა! (იქვე).

ასე ცოტა მაგალითებით დასკვნის გამოტანა ძნელია, მაინც ვფიქრობთ,
რომ წოდებითში პირის სახელს ბრუნვის ნიშანი არ დაერთვოდა. ბრუნვისნიშ-
ნიანი ერთი მაგალითი (ბეგაო) კი შემთხვევით ხასიათს ატარებს.

როგორც ვნახეთ, XI—XIII საუკუნეების ისტორიული საბუთების ენის
მიხედვით პირთა სახელები ძირითადად ახალი ნორმის მიხედვით იბრუნვის-
აქა-იქ გაპარულია ძველი ფორმებიც, განსაკუთრებით ეს ეხება მოთხრობით
ბრუნვის წარმოებას.

ძველი ქართულისეული ფორმები, რომლებიც ჩვენს ტექსტში ვნახეთ, წე-
რილობითი ტრადიციის შედეგი ჩანს.

* რ უ ს ი ს ა ამ შემთხვევაში საკუთარი სახელია.
** ტოხუასძეთადა: ([12], 131); ტოხუას ძეთა და ([6], 25).
*** ხახუილავისგან ([19], № 6—7).

ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
3. ა. შანიძე, უმლაუტი სენაურში, არილი, თბ. 1925.
4. ე. თოფურია, წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXVIII, № 2, 1965.
5. ი. იშნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში, პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1943.
6. ი. იშნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ. 1957.
7. თ. ყორღანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი II, ტფ., 1901.
8. თ. ყორღანია, შიომღვიმის მონასტრის ისტორიული სახეუბები, ტფ. 1896.
9. ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე I, თბ., 1925.
10. ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული II, თბ. 1928.
11. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ. 1965.
12. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970.
13. ზ. სარჯველაძე, ა-ს შემცველი დამავალი დიფთონგის მოშლის გზები ძველ ქართულში, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XII, 1968.
14. ზ. სარჯველაძე, ქართული სლიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ. 1975.
15. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, კრებული: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ. 1956.
16. Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.
17. სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნვა ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში, კრებული: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956.
18. ზ. გუმბერაძე, მოთხრობითი ბრუნვა „ვეფხისტყაოსანში“, სსსრ შამ, ტ. XVIII, № 4, 1957.
19. პ. კარბელაშვილი, მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიკვლე გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი. გაზ. იფრია, 1901 წ. № 6—7.

შ ი მ ო კ ა ლ ე ბ ა ნ ი

ცხსა. ფ. ცენტრალური სახელწიფო საისტორიო არქივი, ფონდი. Ad, Hd, Sd. ფონდები ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

მაგალი მარგველაშვილი

მყოფადის წარმოებისათვის მებრულო

კოლხურში მყოფადი ერთნაირად არ იწარმოება. მებრულო კილო სხვა წესით აწარმოებს მას, ჭანური კი—სხვა წესით.

ჭანურს მყოფადის გამოსახატავად სამი საშუალება მოეპოვება. ამათგან ერთია კავშირებითი კილოს გამოყენება თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობით, რაც იშვიათია დღევანდელის, მაგრამ პარალელს პოულობს ძველ ქართულში მოქმედ წესთან. დროთა განმავლობაში კავშირებითსა და მყოფადის თხრობითი კილო მკვეთრად გაემიჯნენ ერთმანეთს, კავშირებითი კილოს მწკრივებს შერჩა კავშირებითობის გამოხატვის ოდინდელი ფუნქცია, მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოსახატავად კი ენამ ახალ საშუალებას მიმართა: აწმყოფ ფუძეზე ზმნისწინების დართვას.

ჭანურში მომავალი დროის ვადმოცემის მეორე საშუალებაა თხრობითი კილოს აწმყოფ ფუძეზე ზმნისწინების დართვა, მაგრამ ასეთი წარმოება ჭანურისათვის დღეს აქტიური არ არის, თუმცა ზოგიერთ ზმნასთან საკმაოდ ხშირია. მესამე, ყველაზე გავრცელებულ საშუალებაა კავშირებითი მეორის ფუძეზე დამხმარე მინონ მეშველი ზმნის მიმატება (ხოფურში), ან ერე-ს მიმატება (ათინურსა და ვეწურ არქაბულში), პირველი და მეორე საშუალება მყოფადის წარმოებისა საერთოა ქართველური ენებისათვის, მესამე კი მხოლოდ ჭანურისათვის არის დამახასიათებელი და ახალი ბერძნულის გავლენით ჩანს დამკვიდრებული ([1, 115—117]).

მებრულო არსებითად მყოფადს ქართულისებურად აწარმოებს. იგი, ისევე როგორც ქართული, მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოსახატავად, ზმნისწინებს იყენებს. უზმნისწინო ფორმა ახლანდელ დროს აღნიშნავს, ზმნისწინიანი—მამავალს.

ი. ყიფშიძე თხრობითი კილოს ზმნისწინიან ფორმებს ცალკე გამოყოფს, მაგრამ მათ შორის იმდენად დროულ განსხვავებას კი არ ხედავს, რამდენადაც ასპექტურს; В словарь рядом с настоящим временем (Н) указывается иногда настоящее-будущее (н. б). Равница между ними скорее синтаксического, чем морфологического характера. Разве указать на то, что настоящее—будущее обыкновенно сопровождается известными, придающими глаголу значение совершенного вида, предложениями ([2], 059).

ჭანურ-მებრულში, მსგავსად ქართულისა, მყოფადი აღმოცენებული ჩანს ასპექტის სისტემის შეცვლის საფუძველზე, თუმცა ამ მხრივ თითოეული ენა თავისი გზით განვითარებულა და ზოგ შემთხვევაში შედეგიც განსხვავებული მთუცია. ([3], 5).

ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მყოფადუსრულის წარმოება მეგრულში.

ა) მყოფადუსრული.

მოქმედება, რომელიც უნდა მოხდეს მომავალში, შეიძლება იყოს სრულიცა და უსრულიც, ქართულს ეს ორი ფორმა მყოფადის საწარმოებლად არ მოეპოვება. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ისეთ ზმნებს, როგორიცაა (იზრომებს, იზრომლებს). მაგრამ ამ ტიპის ზმნებს, რადგანაც მათ საპირისპირო სრული ფორმები არა აქვთ, ა.ე. შანიძე მიიჩნევს სრული ასპექტის მქონე ზმნებად ([4]).

რუსულს ამ ორი სახის მყოფადის გამოსახატავად ორი ფორმა მოეპოვება: Глаголы имеют две формы будущего времени: будущее простое и будущее сложное.

Простую форму будущего времени имеют только глаголы совершенного вида, а будущее сложное глаголы несовершенного вида ([5], 475).

რთული მომავალი დრო რუსულში ორი კომპონენტისაგან შედგება: Из форм будущего времени глагола быть и неопределенной формы спрягаемого глагола ([6], 197).

მეგრულში, ისევე როგორც რუსულში, გვაქვს ორი სახის მყოფადი, მყოფადსრული და მყოფადუსრული.

მყოფადსრული აწმყოს ფუძისაგან იწარმოება ზმნისწინის დართვით.

მყოფადუსრული კი—ისევე როგორც რუსულში—რთული მომავალი დროა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება.

მყოფადუსრულის ფორმები სვანურში უწინშული ჰქონდა ვ. თოფურაის. იგი წერდა: „მყოფადუსრული იწარმოება აწმყოსა (-ე, -ი მოკვეცილ) ფუძისაგან უნ-ი, ლაშხ. ნ-ი ბოლოსართით. ძირითადი პრეფერბები (ან-, აღ-) ი, ეს-/ან-და ლა-) მონაწილეობას არ იღებენ, ამიტომ ექმანით მყოფადუსრულს. მნიშვნელობით მათ ქართული „იტირებს“, „ილაპარაკებს“...უღდება, რთული „შედგენილი“ მყოფადი კი ყოველთვის ფარავსო“ ([7], 112).

სვანურში მყოფადუსრული აწმყოს ფუძეს იყენებს ([7], 114).

მეგრულში მყოფადუსრული აღწერილი იწარმოება. თუ სვანური მყოფადუსრულის საწარმოებლად აწმყოს იყენებს, მეგრული—აწმყოს კავშირებითისა, ზოგჯერ მყოფადის კავშირებითისა, და პირობითი I-ის მწკრივებს იყენებს, რომელსაც ურთავს მეშველ ზმნას იციო | იყუაფუ, ქართ. „იქნება“ (ეტიმოლ. „იყოლება“ და არა სუფიქსებს, როგორც ეს სვანურშია.

ა) აწმყოს კავშირებითი+იყუაფუ || იციო:

ჩიის შუნდანი იყუაფუ უ, ხ. 215,7; „ჩიის სემდნენ იქნება“.

ჯოდორედს ქიმუქსვია ნიჩვის დო აკა ვა ლალგნდას იყუაფუ უნ ია, ხ. 293, 16; „ძალღებს წაუსვით ცხვირზე და არცერთი არ ყფავადღს იქნება“.

ართ დიხას ონტუდას იცო, ხ. 216, 18; „ერთ ადგილას ეკიდებოდღს იქნება“.

ართი კუჩხის უქაცუანდე იცინია, ხ. 61, 11; „ერთ ფეხს აქნედე იქნება“.

ართი დუდი მეკვათი დო მა ხოლო დუს პკვათუნდათ იცინია, ხ. 234,13; „ერთი თავი მოსჭერი და მეც კიდევ თავს მჭრიდეთ იქნება“.

ზოგჯერ მყოფადუსრულის საწარმოებლად მყოფადის კავშირებითი გამოყენებული:

ბრელ საჩუქარს მერჩანდას იცუაფუნია, ხ. 242, 32; „ბევრ საჩუქარს მოგვემდეს იქნება“.

ბ) პირობითი I+ იცუაფუნდუ || იცილუ:

ღუმე ჩემი ოსურს ელუჯანუდუკონი იცუაფუნდუა, ხ. 289, 35; „წუხელ ჩემი ცოლის გვერდით იქნებოდა დაწოლილიო“.

ჩქემი ჯიმავეა ღუმეა სი ელაიჯანუდუკონ იცუაფუნდუა, ხ. 300, 2; „წუხლო ჩემი ძმაო შენ გეყოლებოდა გვერდით მოწოლილიო“.

მოყვანილ მაგალითებში, სადაც მყოფადუსრულის საწარმოებლად პირობითი I-ია გამოყენებული, „იცუაფუნ (იქნება) ხოლმეობითის მწკრივს იყენებს, მასთან სხვა მწკრივის გამოყენება შეუძლებელია.

ამრიგად, საილუსტრაციო მაგალითებში მყოფადუსრულის საწარმოებლად გამოყენებული იყო მეშველი ზმნის როგორც მყოფადის, ასევე ხოლმეობითის მწკრივი. რაც შეეხება მყოფადის კავშირებითს, იგი არ შეგვჩვედრია და არც შეიძლება შეგვჩვედეს, რადგანაც საუღლებელი ზმნის აწმყოს კავშირებითი და ზოგჯერ მყოფადის კავშირებითი მეშველი ზმნის მყოფადის კავშირებითთან არ იხმარება.

რუსულში იუღელის მეშველი ზმნა, მეგრულში—პირიქით, იუღელის ზმნა, ხოლო მეშველი ზმნა მე-3 პირის ფორმით ერთეის ზმნის უღლებად ნაწილს ყველა პირში. ადრე ამ მეშველ ზმნას მეგრულში 1-ლი და მე-2 პირის ფორმებიც უნდა ჰქონოდა, ამას გვაფარაუდებინებს ზოფტრში სრული მყოფადის საწარმოებლად გამოყენებული მინონ მეშველი ზმნა, რომელიც იცელის პირსა და რიცხვს საუღლებელი ზმნის ცვალებასთან ერთად. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ჩხალურში მყოფადის საწარმოებლად გამოყენებულია უნონ მეშველი ზმნა, რომელიც მეგრულის მსგავსად, მე-3 პირის ფორმით ერთეის ზმნის უღლებად ნაწილს ყველა პირში.

ბ) მყოფადის წარმოების სხვა საშუალებანი:

1). მყოფადი იწარმოება აწმყოსაგან ზმნისწინის დართვით, რის შედეგადაც ზმნისწინისეული ხმოვანი თითქმის ყოველთვის ემსგავსება ზმნის ფუძისეულ ხმოვანს, როცა ისინი ერთმანეთს მოსდევნ და მაშინაც, როცა მათ თანხმოვანი ყოფს. ზმნისწინისეულ ხმოვანთა ასიმილაცია იმდენად ცელის ზმნის გარეგნობას, რომ ერთი შეხედვით ზმნის ამოცნობა ჭირს:

კინი გარას დოვოტყყანქ, ყ. 130, 8; „ხელახლა ტირილს დავიწყებ“.

სარკეს გოტახგნსია, ყ. 39, 28; „სარკეს გატეხსო“.

ათეს იოშანს არაბი, ხ. 35, 32; „ამას აავებს არაბი“.

ერთი და იგივე ფორმა ზმნისა შეიძლება გამოხატავდეს როგორც ასლანდელ დროს, ისე მომავალსაც:

გურათ მიჯინექენი, მა მუ რლოლი სი ეფერი, ხ. 227, 26; „გულმოსული რომ მიყურებ, მე რა გიქენი შენ იმისთანა“.

სუმი წანას გიჯინექ, ყ. 113, 19; „სამ წელს გიყურებ“ (დაგელოდები).

ზოგჯერ ზმნისწინის დართვის მიუხედავად, ზმნა მინც უსრული ასპექტისაა, რაც სპეციალური ნაწილაკების თი, მა, ანდა შეერთებულად თიმა ნაწილაკები-



თაა გამოწვეული¹, მაგ.: შურს ზვარაკო შეთგმევწირენქ, ყ. 125,12; „სულს ზვარაკად ესწირაგ“. სი ლონე ირიათო მუთეგგაძინუე, ხ. 41,2; „შენ ლნე სულ გემატება“.

აწმყოში ერთი ფუძე გვაქვს, მყოფადში კი სხვადასხვანაირი, რაც სხვადასხვა ზმნისწინის დართვითაა გამოწვეული, განსხვავებულ ზმნისწინთა დართვა სიერცეში ზუსტ დეტერმინაციასაც იძლევა:

მა გეშაიციონა ე გაჭირებაშევა, ხ. 17,24; „მე ამოგიყვან ამ გაპირებებიდანო“.

სი ლო სქანი ქონებას ართო შიდაიციონა ეუღღშევა, ხ. 133,18; „შენ და შენს ქონებას ერთად წაგიყვანთ სახლშიო“.

ზოგჯერ ზმნისწინთან ერთად ზმნას დართული აქვს აგრეთვე მტკიცებითი ნაწილაკი ქო (ქე, ქგ), რომელიც ყოველთვის წინ კი არ უსწრებს ზმნისწინს, არამედ შეიძლება მოსდევდეს მას ან ზმნისწინთა შორის იყოს მოქცეული და იწვევდეს მათში გარკვეული ხასიათის ფონეტიკურ ცვლილებებს ([18]). მაგ. იგუ ურუანს „სწავლობს“,—ქი დი—ი გუ ურუანს „ისწავლის“, „დაისწავლის“, იგენს „იგებს“—ქგ გე გენს „გაიგებს“; ირჩანს „შლის“, ქი და—არჩანს „გაშლის“ და ა. შ.

2. ზოგჯერ აწმყოსაგან მტკიცებითი -ქო | „ქე“, „კი“ | ნაწილაკით სრული მყოფადი იწარმოება:

ართი დიდი ლოდი ტყვიას ქააყოთანს, ყ. 218,28; „ერთ დიდ ლოდ (მძიმე) ტყვიას ესერის“.

ქააჩუქენსჯ ლო ქააიქქვანსჯ, ყ. 7,27; „აჩუქებს და შეაქებს“.

3. ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლებიან აწმყოს წრის უნიშნო და მყოფადის წრის ქცევის ნიშნიანი ფორმები:

აწმყო მყოფადი

შველენს „შველის“ ართი ღღის მათი გიშველენქია, ყ. 37,28; „ერთ დღეს მეც გიშველიო“.

ნატრენს „ნატრობს“ აწი ნატრის ვინატრენქ, ყ. 129,23; „აწი ნატვრას ვინატრებ“.

გურაფულენს „სწავლობს“ მითი ჯგერო იგუ ურუანს, ყ. 116,17; „ვეინც კარგად ისწავლის“.

4. მსგავსად ქართულისა, მეგრულშიაც გამოიყოფა თავისებურ ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელთაც მყოფადი და წყვეტილი ერთი და იმავე ფუძისაგან აქვთ წარმოები, ხოლო აწმყო—სხვა ფუძისაგან. მაგ. ორწყე „ხედავს“, მყოფადი—ძირუნს „ნახავს“, წყვეტილი—ძირუ „ნახა“. ეს კი მიგვითითებს იმაზე, რომ მეგრულსაც ალბათ ისეთივე წარმოება და გზა უნდა გაეგლო მყოფადის წარმოებაში, რაგორიც ქართულს.

აწმყო ორწყე დიდა, ყ. 61,1; „ხედავს დედა“.

¹ ი. ყივ შიძე გაცვრით ეხება თიშა ნაწილაკს თავის გრამატიკაში. ის წერს: Предлоги же, или лучшие частицы та и ба, иногда вместе та и ба, указывают на несовершенный вид глагола, вставляясь между основой глагола и другими предлогами и вызывая при этом разные фонетические изменения ([2]. 0107).

ამ შენიშვნას თიშა ნაწილაკების შესახებ იზიარებს პ. ხუბუა, მხილად შესწორება შეაქვს ამ ნაწილაკთა ხმოვნებში, პირველ შემთხვევაში, მისი აზრით, უნდა გეგონდეს ხმოვანი ე (თე); მეორეში კი—ო, ან ე (შე, შე) ([9]. 747—50).

სი ტყურას რაგადან ქი, ყ. 3,25; „შენ ტყუილს ლაპარაკობ“.

მყოფადი

ქორძირუნ ქე ნი, გური მატუ, ყ. 110,9; „რომ დაგინახავ, გული მტკივა“.
ლექსიშენი ლექსის ვთქუან ქე, ყ. 114,3; „ლექსითვის ლექსს ვიტყვი“.

მეგრულში, ისევე როგორც ქართულში, გვაქვს ზმნები: ძირუნს, იტყუ და ზოგი სხვაც, რომელთაც ადრე აწმყოს გაგება ჰქონდათ, მაგრამ დღეს მომავლის გაგება შეიძინეს. „მოზეზი ასეთი დროის გადაწევისა დროში იმით აისხნება, რომ სათანადო ფორმებმა II სერიამი სრული ასპექტის გაგება უპრევერობაც შეინახეს და I სერიის ფორმები იძულებული გახდნენ მათთვის აებათ ფეხი, გაპერფექტივდნენ და მივიღეთ სრული გათანაბრება: ნახა-ნახავს, იყიდა-იყიდის და სხვა (14), 283).

საშუალო გვარის ზმნებსა და სტატიკურ ვნებითებს მეგრულშიც, ისევე როგორც ქართულში, მყოფადი ნაწარმოები აქვთ ფორმათა მონაცვლეობის გზით. შენაცვლებსას მეტწილად გამოყენებულია იმავე ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები.

ფორმათა მონაცვლეობის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა სხვადასხვა ქცევის ფორმათა შენაცვლება, რაც ქართულიდან კარგად არის ჩვენთვის ცნობილი. საკმაოდ გავრცელებულია იგი მეგრულშიც, ოღონდ მეტწილად ქართულიდან ნასესხებ ფუძეებში. ყველაზე ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან საარვისო და სათავისო ქცევის ფორმები:

ჩქი ვიცხოვრუნთ ბედნიეროვა, ხ. 155,16; „ჩვენ ვიცხოვრებთ ბედნიერადო“.

ჟირი ჯიმა იმუ შენსკ ცყანას, ხ. 63,4; „ორი ძმა იმუშავენს ყანაში“.
ზოგი მედიოაქტივი ზმნა მოქმედებითი გვარის მსგავსად აწარმოებს მყოფადს: გობხეალუნქია, მინი ქიდვოფურტინანქ, ხ. 20,7; „დავახველებო, ზოგჯერ გადმოვაფურთხებ“.

ვეღვეგვიანენქ, ყ. 2,6; „არ დავიგვიანებ“.
შეიძლება ერთმა და იმავე ფუძემ გადმოსცეს როგორც აწმყო, ასევე მყოფადი, მოქმედებითი გვარის მსგავსად:

მა შხვა იშენი ვა მინგარს, ყ. 130,13; „მე სხვა მაინც არ მიტირებს“.

ეიბირქ დბრგ-დბრგსი, ყ. 137,2; „ფლერი ნანინას“.

შეიძლება ზოგჯერ ქო ნაწილაკმაც გასწიოს ზმნისწინის მაგივრობა; მაოხესე ქოფსხაპუნქია, ყ. 77,4; „მე ეხოში ვიცეკვებო“.

აწმყოსა და მყოფადში ერთმანეთს ენაცვლებიან აგრეთვე საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმებიც; მაგ.: შეველენს „შველის“—უშველენს—უშველის“, დალატენს „ლალატობს“—ულალატენს—ულალატებს“ და სხვა.

მედიოპასივი ზმნები მყოფადის წრის მწკრივების საწარმოებლად იყენებენ ი—ა ტიპის ვნებითის ფორმებს:

—ი; იხვენუაფუ || იხვენუუ „იჯდომება“, „იჯვენუაფუ || იჯვენუუ „იწოლება“.

—ა; აღირუაფუ ართი მანათი, ყ. 1,10; „ელირება ერთი მანათი“.

თინა ქემაყნაფეთ დო ირფელი აღვენუაფუნია, ხ. 133,9; „ის მოაყვანი-ნეთ და ყველაფერი ექნებაო“.

ზოგჯერ სხვადასხვა ქცევის ფორმათა მონაცვლეობას თან ახლავს ფუძეში სხვა ცვლილებებიც, კერძოდ, უთემისნიშნო ან თემისნიშნიან ფორმათა შენაცვ-ლება:

ოშქურე „მინია“ || მაშქური ნანაშა, ეკ. ქალ. ვაჟ. 383, 22; „მეშინდება დედასა“.

სტატეური ზმნები მყოფადის წრის მწკრივების საწარმოებლად იყენებენ ა—უ ტიპის ორბირიანი ვნებითის ფორმებს:

აწმყო	მყოფადი
მიკობუ „ჰკილია“	მიკააბგენუუ აფუ „ეილება“
მიკააქუნს „ატვია“	მიკააქვენუუ აფუ „ეცმევა“
მააძუ „აცვია“	მააძვენუუ აფუ „ეცმევა“.

ამგვარად, მყოფადი მეგრულში არსებითად ისევეა ნაწარმოები, როგორც ქართულში, თუ ცალკეულ შემთხვევებს არ მივიღებთ მხედველობაში.

ა) ქართულისაგან განსხვავებით მეგრულში გვაქვს უსრული მყოფადი, რომელიც ნაწარმოებია ძირითადად აწმყოს კავშირებითისა, ზოგჯერ კი—მყოფადის კავშირებითისა, და პირობითი I-ის მწკრივის ფორმებზე იცუაფუ („იქნება“) მეშველი ზმნის დართვით.

ბ) ასევე მეგრულს, ქართულთან შედარებით, მეტი საშუალებანი მოეპოვება აწმყოსა და მყოფადის ფორმათა გასარჩევად (მტკიცებითი „ქო“ ნაწილაკი, მოქმედების უსრულდობის გამომხატველი თი, მა, თიმა ნაწილაკები).

ლიტერატურა

1. არხ. ჩიქობავა, ქართული მყოფადის წარმოებისათვის, სმამ, V, № 1, 1944.
2. ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914.
3. ზ. ტუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლ. მეცნ. დოქტ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1966.
4. ა. შანიძე, ქართული ვრამატიკის სიფუძვლები, I, თბილისი, 1953.
5. Грамматика русского языка, под редак. В. В. Виноградов. т. I, М., 1952.
6. Г. Г. Голетняки, И. И. Церцвадзе, Г. И. Цибахашвили, Грамматика русского языка, часть первая, Тб., 1966.
7. ვ. თოფურია, შრომები, თბილისი, 1967.
8. მ. ხუბუა, მტკიცებითი ქო ნაწილაკის ხნარებისათვის მეგრულში, სმამ, III, № 6, 1942.
9. მ. ხუბუა, თე ნაწილაკის ბუნებისა და მნიშვნელობისათვის მეგრულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 7, 1942.

შემაჯობებნი

- ბ.—მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.
 ე.—ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка, с хрестоматией и словарем. СПб., 1914.
 ეკ. ქალ. ვაჟ.—ა. შანიძე, ეური ქალთაიანი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI, 1958.

მთარ ბასილაშვილი

ილარიონ კალესტინელის ცხოვრების მთარგმნელი და გალაგმვარი

„ცხოვრებაჲ წმიდისა და ნეტარისა ილარიონისი“ აგიოგრაფიული ხასიათის მოთხრობაა ერთ-ერთ ქრისტიან მოღვაწეზე, რომელიც საქრისტიანო ლიტერატურაში ილარიონ პალესტინელის სახელით არის ცნობილი. თხზულების ქართული კიმენური რედაქცია მომდინარეობს ბერძნულიდან. იგი მოთავსებულია sina № 11 კრებულში (ფ. 321v—360v), რომელიც დაცულია სინას მთაზე. თხზულების მთარგმნელზე რაიმე კონკრეტული ცნობა კრებულში დაცული არ არის. sina № 11 კრებულის 240r-ზე მთავრდება რომელიც დაცულია თხზულება. მისგან მხოლოდ ორი სტრიქონი დარჩენილა, რომელთაც მოხდევს მინაწერი: „ითარგმნა იერუსალმს კელითა სეთ თარგმანისაჲთა და დაიწერა პალავრას კელითა პავლესითა. ამენ!“ ეს მინაწერი პირველად შეამჩნია და აღწერა აკად. ივ. ჯავახიშვილმა ([1], 28). მკვლევარმა აღნიშნა, რომ იგი არც წინა თხზულებას ეკუთვნის და არც მომდევნოს. ამ მინაწერმა ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია კრებულში შესულ თხზულებათა თარგმნისა თუ გადაწერის საკითხში.

აკად. გ. გეგელიძე ამ კრებულში შესული 25 აგიოგრაფიული ძეგლის ბერძნულიდან ქართულად თარგმნას მიაწერს სეითს, რომელიც VIII ს. დასასრულსა და IX ს-ის დასაწყისში მოღვაწეობდა. „არავითარი ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ზგენ არ მოგვებოვება, ვიცით მხოლოდ, რომ ის მოღვაწეობდა იერუსალიმში, უეჭველია, საბას ლავრაში, და მუშაობდა აგიოგრაფიულ დარგში. მართლაც, სინას მთაზე შენახულა კრებული მის მიერ გადმოღებული აგიოგრაფიული ტექსტებისა, რომელიც გადაწერილია „პალავრას კელითა პავლესითა“. ამ კრებულის 240r-ზე დარჩენილა ასეთი შენიშვნა: „ითარგმნა იერუსალმს კელითა სეთ თარგმანისაჲთა“. გადმოუღია სეითს სულ აღნიშნული ხელნაწერთ 25 აგიოგრაფიული ტექსტი“ ([2], 133—134). აქ მკვლევარი ჩამოთვლის კრებულში მოთავსებულ იმ 25 თხზულებას, რომლებიც მიაჩნია სეითის მიერ თარგმნილად¹, მათ შორის 25-ე ნომრით ასახელებს „ილარიონ პალესტინელის ცხოვრებას“.

sina № 11 კრებული დაწერილებით აღწერა და დაახასიათა ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ევარარ გარითმა ([4], 29—45). იგი არ იზიარებს იმ აზრს, თითქო კრებულის 25 თხზულების მთარგმნელი იყოს სეითი და გადაამწერი — პავლე. მისი აზრით, სხენებული მინაწერი ეკუთვნის მხოლოდ ერთ ნაწარმოებს — № 21-ს, რომელიც დაკარგულა და მისგან ორი სტრიქონილა დარჩენილა.

¹ შემიძვეს, ცალკეულ თხზულებებზე მსჯელობისას მკვლევარი იმეის ქვეშ აყენებს ამ მოსაზრებას ([3], 101).

პროფ. ი. იმნაიშვილის აზრით, ის მინაწერი შეიძლება წინა თხზულებას ეკუთვნოდეს ან მთელ წინა ნაწილს შეეხებოდეს ([5], 198).

კრებულში წესულ თხზულებათა თარგმნის საკითხს მიეძღვნა ნ. გოგუაძის სპეციალური გამოკვლევა „სეთი — მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი“. ის ფაქტი, რომ კრებულში შემავალი ყველა ძეგლი არ არის ბერძნულიდან თარგმნილი, აფიქრებინებს ავტორს, რომ სეთი არის მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი: „ჩვენ არ ვიცით, რომელია ის თხზულება, რაც ნამდვილად უთარგმნია სეთის (sina № 11-ის დეფინიტიურობის გამო: ფურცლები, რომლებაც ამ ძეგლს შეიცავდა, აკლია ხელნაწერს). ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებული ანდერძი sina № 11-ში მექანიკურად იქნა გადმოტანილი იმ ნუსხიდან, საიდანაც ვადმოწერეს სეთის ნათარგმნი, დღეს ჩვენთვის უცნობი თხზულება“ — ამბობს ავტორი ([6], 62).

კრებულს რომ მინაწერიანი ფურცლის (240r-ს) წინ აკლია ფურცლები, ეს ცხადია, ხელნაწერის ძველ ნუმერაციაზე დაკვირვებით შესაძლო გახდა დაგვეზუსტებინა, რამდენი ფურცელია დაკარგული. sina № 11 კრებული შედგება რვეულებისაგან. რვეულები გადაწერისას დაუნომრავთ ქართული მთავრული ასოებით. თითოეულ რვეულში რვა ფურცელია². რვეულის დაწყების მაუწყებელი ნომერი დაწერილია მისი პირველი ფურცლის პირველი (r) გვერდის ზედა არშიაზე, შუაში. იგივე ნომერი — რვეულის დამთავრებას აღმნიშვნელი — სწე-რია მერვე ფურცლის მეორე (v) გვერდის ქვედა არშიის შუა ადგილას. კრებულის 230r-ზე იწყება 30-ე რვეული, ამას მოწმობს ამ გვერდის ზემო არშიაზე დაწერილი ასო ზ (30). ეს 30-ე რვეული ნაკლულია, არსად გვხვდება რვეულის დამამთავრებელი ასეთივე ნიშანი (ზ), სამაგიეროდ 233-ე r-ზე იწყება ზტ (31-ე) რვეული, ეს კი იმაზე მიგვიჩვენებს, რომ 30-ე რვეულს აკლია ბოლო ზედი ფურცელი. აღარც 31-ე რვეულის ბოლო ფურცელი ჩანს, 240v-ს ბოლო არშიაზე დაწერილი ზჟ (32) კი გვაუწყებს, რომ აქ დამთავრდა 32-ე რვეული; რომ ხ ე ლ ნ ა წ ე რ ს 233—240 ფ უ რ ც ლ ე ბ ს შ ო რ ი ს ა კ ლ ი ა რ ვ ა ფ უ რ ც ე ლ ი — ა მ ა თ გ ა ნ ე რ თ ი — 31-ე რ ვ ე უ ლ ი დ ა ნ, ხ ო ლ ო შ ვ ი დ ი — 32-დ ა ნ, მოღწეულია ამ უკანასკნელის მხოლოდ ბოლო — მერვე ფურცელი — 240-ე. სწორედ ამ ფურცლის პირველი გვერდის დასაწყისშია შემორჩენილი შემოსხენებული ორი სტრიქონი რომელიმე თხზულებისა. იგი, მართალია, თხზულების შინაარსზე არას გვეუბნება, მაგრამ აღნიშნავს ნაწარმოებინ დასრულებას ტრაფარეტული ფორმულით: „იესუ ქრისტესა, რომელსა პაშუნის დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აჲ და მარადის და უკუხითი უკუნისამდე. ამენ.“ ამის შემდეგ, როგორც უკვე ითქვა, მოდის მინაწერი, რომელშიც დასახელებულია მთარგმნელი სეთი და გადამწერი პავლე. ამ მინაწერის შესახებ მეცნიერთა აზრს უკვე ვავეცანით: რომ იგი დაკარგული თხზულებიდან შემორჩენილია. იბადება ეჭვი: რომელია ავთოგრაფიული თხზულება უნდა მითავსებულყო რვა ფურცელზე? ვფიქრობთ, იქ უნდა ყოფილი-

² ამ წესიდან თითქო გამოწაკლისა 48 (24-ე) და 49 (25-ე) რვეული. ამთგან პირველი ცხრადურცილიანდ არის დაწომრილი და მეორე — შევდიანად, რაც აშკარად მექანიკური შეცდომაა: 24-ე რვეულის დამამთავრებელი ნომერი 48 შეცდომით დაუწერიით 191v-ზე (კრებულის ასალი ნუმერაცია არაბული ციფრებითა), ენდა დაწერიათ 190v-ზე. ამას კი გამოუწვევია 25-ე რვეულის მცდარად დაწომრვა. ორბვეში ერთად 16 ფურცელია. მათა წინა და მომდევნო რვეულებიც რვაფურცილიანა.

ყო გაგრძელება „თალაღოსის ცხოვრებისა“. ამგვარი ვარაუდის საფუძველს
გვაძლევს ის ფაქტი, რომ სწორედ ეს თხზულებაა მინაწერიანი ფურცლის წინ და
იგი დაუშვავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს. კრებულში შესული ყველა
დანარჩენი თხზულება მთავრდება ღმერთისადმი მიმართვითა და „ამენით“.
„თალაღოსის ცხოვრებას“ ეს ტრაფარეტული დასასრული არა აქვს. საფაქრე-
ბელია, რომ მინაწერი მთარგმნელი სეთისა და გადამწერი პავლეს შესახებ
„თალაღოსის ცხოვრებას“ ახლდა. ასეა თუ სხვაგვარად, ერთი ცხადია: საერ-
თოდ ანდერძი იწერება ნაწარმოების ან კრებულის ბოლოს და ვრცელდება
მხოლოდ მის წინ მოთავსებულ თხზულებაზე ან თხზულებებზე. ჩვენი საკვლევი
ძეგლი — „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა ილარიონისა“ — ამ მინაწერის შემ-
დეგაა კრებულში მოთავსებული (80 ფურცლით დამორებით), ასეც რომ არ
იყოს, ამ თხზულების თარგმნისა და გადაწერის საკითხზე მსჯელობისას ვერ და-
ვეყრდნობით რაიმე აზრს — მხოლოდ ამ მინაწერზე დამყარებულს. ხსენებულ
მინაწერს ფართოდ გავრცელების ძალა დაუკარგა იმ ფაქტმაც, რომ კრებულის
უმეტესი ნაწილის გადამწერი უკვე ცნობილია, იგი არის დავითი და არა
პავლე. გავეცნოთ მეცნიერთა აზრს ამ საკითხზე.

კრებულის პირველი ნაწილის გადამწერად ყერარ ვართს დავითი მიაჩნია.
ამ აზრს იგი ასაბუთებს კრებულის მინაწერებით, სადაც დავითია ხსენებული:
42r: ლოცვა ყავთ დ'თს'თს, წმიდანო ღმრთისანო, ა'ნ; 214r: შემინდევით სიუც-
ბისათს დ'თს. 337v: ქე გს'ნე დ'თს წ'ე. მკვლევარს გამოჩენია კიდევ ერთი
მინაწერი, სადაც დავითია ხსენებული, ეს შენიშნული აქვს ნ. გოგუაძეს: დ'თ,
182v ([6], 61). კრებულის მეორე ნაწილის (ფ. 361—399) გადამწერად ვართი
იოვანეს ასახელებს. მას საამისო საბუთს აძლევს მინაწერი 399v-ზე „ქე, შე
ი'ვნე, მწერალი ამისი. წ'ო არეთა, თანა მოყუსითურო მეობ-გ'ყვ წ'ე ქა
მსგავსად თხოვისა შენისა დღესა მას ვანკითხვისასა იგ'ნეს მწარედ ცოდვილსა
და მქ'ლს დეკ'ნოზსა. ა'ნ!“

ყერარ ვართის აზრს კრებულის გადამწერლებზე იზიარებს ნარ გიზა
გოგუაძე. ხელნაწერის როტაშირზე პალეოგრაფიული დაკვირვების შედე-
გად იგი ფიქრობს, რომ კრებულის პირველი ნაწილი (ფ. 1—360) გადაწერილი
უნდა იყოს ერთი კაცის ხელით: „დაეუშვათ, რომ ხელნაწერის გადაწერაში
მონაწილეობდნენ სხვებიც: კერძოდ, ის დაკარგული ფურცლები, რომლებიც
239-სა და 240 ფურცლებს შორის უნდა ყოფილიყო, გადაწერილია პავლეს მიერ,
რომელიც გადამწერად მოხსენებულია 240r-ზე, შეიძლება თუ არა ვაგულისხ-
მოთ, რომ მთელი კრებული გადაწერილია პავლეს მიერ? — რა თქმა უნდა,
არა! sina № 11-ის გადამწერი დავითი ჩანს კრებულის თავშიც, შუამიც, ბო-
ლოშიც (ფ. 42, 182, 214, 337)“ (იქვე).

აკად. ი. ჯავახიშვილის მიერ გამოქმული მოსაზრება, — რომ sina
№ 11 კრებული გადამწერის ხელის მიხედვით ორ ნაწილად იყოფა, (ფ. 1—360,
ფ. 361—399), გაიზიარა თითქმის ყველა მკვლევარმა, ვინც კი ამ კრებულს შე-
ხებია. არსებობს სხვა მოსაზრებაც: პროფ. ი. იმნაიშვილი ამ კრებულს
გადამწერის ხელის მიხედვით სამ ნაწილად ყოფს: პირველი — ფ. 1—320, მეო-
რე — ფ. 321—360, მესამე — ფ. 361—399. ([5], 186). როგორც ვხედავთ, პროფ.
ი. იმნაიშვილი კრებულიდან ცალკე (მეორე ნაწილად) გამოყოფს „ილარიონ
პალესტინელის ცხოვრებას“, რომელიც მოთავსებულია 321v—360v ფურც-
ლებზე. კრებულის პირველი ნაწილის (ფ. 1—239) გადამწერად მკვლევარი და-
ვითს ასახელებს, რასაც ასაბუთებს იმ მინაწერებით, სადაც დავითია მოხსენე-

ბული. მკვლევარი წერს: „უფრო რეალურად ჩანს ტექსტის წინა ნაწილის გადამწერი. 42r-ს ქვედა არშიაზე ტექსტის ხელით იკითხება: „ლოცვა ყავთ დავითისთვის, წმიდანთ ღმრთისაო. ამენ!“ ეს დავითი კიდევ არის მოხსენებული 182 v-ზე, 214r-ზე ვკითხულობთ: „შემინდევით სიუცბისათვის დავითს“. აქედან ცხადია, რომ დავითი უნდა იყოს ზელნაწერის პირველი ნაწილის გადამწერი (ყოველ შემთხვევაში, 239r-მდე)“ ([5], 189). მის მიერ კრებულის მეორე ნაწილად მიჩნეულ ტექსტს მკვლევარი ასე ახასიათებს: „მეორე ხელით შესრულებულია ტექსტი 321—360v ფურცლებზე. აქ კიდევ უფრო წვრილი ხელია, მაგრამ არა პირველსავე ლამაზი, აქ ოროთოგრაფიაცა და გრამატიკული ფორმებიც გასხვავებულია. ამ ხელით არის გადაწერილი ერთადერთი ნაწარმოები: „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა ილარიონისი“ (იქვე). ამ ძეგლის გადამწერი პროფ. ი. იმნაიშვილისათვის უცნობია.

როგორც ვხედავთ, მკვლევარმა კრებულის პირველი ნაწილის (ფ. 1—239) გადამწერად დავითი დასახელა, რაც დასაბუთა ტექსტის მინაწერებით. შევხიზხავთ, რომ ტექსტში არის კიდევ ერთი მინაწერი, სადაც დავითია ხსენებული: ქე ვსნე დ'თს წწ (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მინაწერი აღწერილი აქვს ჟერარ გარსთან). მინაწერი მოთავსებულია 337v-ს მესამე სტრიქონის ბოლო შესხედზე, იქ, სადაც მოთავსდება „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ პირველი ნაწილი. მინაწერი ამ ნაწილის ბოლო სტრიქონის გაგრძელებაა. სტრიქონი ნუსხურადაა ნაწერი, მინაწერი — მრგლოვანით. მინაწერის ოთხივე სიტყვა ქარავმითაა. იგი გარკვევით და ლამაზად სწერია. მის მომდევნო სტრიქონზე თხზულების ქვესათაურია — „სწავლაა წმიდისა ილარიონისი“, ისიც მრგლოვანითაა. როგორც ვხედავთ, ეს მინაწერი ამ თხზულების გადამწერის ვინაობის დასადგენად მეტად საიმედო საბუთია თავისი მდებარეობითაც: შეიძლება ითქვას, რომ იგი საგანგებოდ ჩართულია ტექსტში. მინაწერის ხელი მსგავსია ტექსტის გადამწერის ხელისა (მღრ. მრგლოვანით ნაწერი სტრიქონები 324r, 1 ქვ., 329 v, 1 ქვ., 332r, 1 ქვ., 356v, 1 ქვ. და სხვ.). ასევე მსგავსია ამ გვერდის ნუსხური დაწერილობა 42r გვერდისა, სადაც დავითის მინაწერია ნუსხურით, და საერთოდ ამ თხზულების გადამწერის ხელი ისეთივეა, როგორაც კრებულის წინა ნაწილისა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ გადამწერი დავითია.

ზემოთქმულის საფუძველზე კრებულიდან „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ცალკე ნაწილად გამოყოფა გადამწერის ხელის მიხედვით აღარ იქნება საჭირო, უფრო იმიტომაც, რომ ამ თხზულებასაც ახლავს გადამწერის მინაწერი, რაც ისეთივე ძალის მქონე საბუთია, როგორითაც კრებულის წინა ნაწილის გადამწერის ვინაობა დასაბუთებულია.

მაშ, რამ გამოიწვია ამ ძეგლის ცალკე გამოყოფა კრებულიდან? რა ქმნის მოზღვევებით განსხვავებას კრებულის წინა ნაწილსა და ამ თხზულებას შორის? — ის, რომ ეს მოთხრობა ძალიან წვრილი ასოებითაა ნაწერი. იქმნება შთაბეჭდილება, თითქო კრებულის გადამწერი ცდილა, როგორმე მოეთავსებინა ეს თხზულება განსაზღვრული ჩაოდენობის ფურცლებზე. როგორც ჩანს, გადამწერს ამ მოთხრობის გადასაწერად ხელთა პქონია მხოლოდ ხუთი რვეული (ერთი გვერდის — 321r-ს — გამოკლებით, რომელიც წინა თხზულებას უჭირავს). მას თავიდანვე უფიქრია, რომ ეს საკმაოდ დიდი თხზულება ხუთ რვეულში ვერ მოთავსდებოდა, ამიტომ გადამწერი დაუწყია უჩვეულოდ წვრილი ასოებით. ასე გადაუწერია მას შ-ს (43-ე), შ-შ (44-ე), შ-ი (45-ე), შ-უ

(46-ე) რვეულები, მაგრამ ბოლო — შზ (47-ე) რვეულის გადაწერაზე რომ მიღდა ჯარი, გადამწერი მიმხვდარა, რომ ღარჩენილი ტექსტი ერთ რვეულში აღარ მოთავსდებოდა, უფრო წვრილად წერა კი აღარ შეიძლებოდა. იგი იძულებული გამხდარა, დაერღვია კრებულში მტკიცედ დაცული ნორმა გვერდზე სტრიქონთა რაოდენობისა, თუ მანამდე 24 სტრიქონს წარდა გვერდზე³, ახლა, სხვა გზა არ იყო, უნდა დაეწერა მეტი. რამდენი? — ამაზე წინასწარ უფიქროს და განუსაზღვრავს, რომ ღარჩენილი მასალის ერთ რვეულში მოსათავსებლად საჭირო იყო სტრიქონთა რაოდენობის გაზრდა თითოეულ გვერდზე შვიდიოთ. დაუხაზავს 31-სტრიქონიანი გვერდები ისე, რომ არ დაურღვევია წიგნის არშიათა ზომა — ე. ი. საწერი ადგილის მონჭირნეობა მომხდარა სტრიქონთა შორის ინტერვალის შემცირებით. ამიტომაც, რომ ეს ფაქტი ერთი შეხედვით შეუძინეველია და კრებულის საერთო ფონზე თვალში საცემი არ არის. ნართალია, ბოლო — 360v გვერდის 27-ე სტრიქონზე მთავრდება მოთხრობა თავისი მინაწერიანად და თავისუფალი ადგილიც რჩება, მაგრამ გადამწერს ერთით ნაკლები სტრიქონიც რომ დაეწერა წინა გვერდებზე, ამ ბოლო გვერდზე არმოცემდე სტრიქონი მოვიდოდა, რაც აქ აღარ მოთავსდებოდა.

ინალება კითხვა: რად დასჭირდა გადამწერს ასე ნომჭირნეობით წერა, არ ჰყოფნიდა ეტრადი? მაშ, „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ მომდევნო თხზულება — „წამება არეთაჲსი...“ რატომ არის მსხვილი ასოებით, ხალვათად გადაწერილი? — ჩვენ ფიქრობთ, რომ sina № 11 კრებულში პირველად „ილარიონ პალესტინელის ცხოვრებით“ მთავრდებოდა, „წამება არეთაჲსი...“ უფრო გვიან უნდა იყოს დამატებული. ამ აზრს გვიდასტურებენ კიდევ სხვა ფაქტები:

1. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „წამება არეთაჲსი...“ უფრო გვიან არის გადაწერილი, ვიდრე sina № 11-ში შესული სხვა ძეგლები. ეს მოსაზრება ეკუთვნის პროფ. ი. იმანიშვილს. მკვლევარი ფიქრობს, რომ „არეთას წამებას“ ანდერძში მოხსენებული იოვანე შეიძლება იყოს ცნობილი სინელი მწერალი იოვანე-ზოსიმე, რომ ამ თხზულებას ხელი იოვანე ხელს ჰგავს. მკვლევარი წერს: „თუ ეს აზრი სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ წინა ნაწილი (ივლისხმება sina № 11, ფ. 1—360) ამაზე უფრო ადრეა გადაწერილი. ამას მხარს უჭერს ხელნაწერის ცნობრივი მონაცემები — ფონეტიკური და გრამატიკული არქაიზმი“ ([5], 190).

2. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრებულში შედგება რვეულებისაგან. ხელნაწერის პირველ ნაწილში (გავახიშვლისეული დაყოფით — ფ. 1—360) რვეულთა სათვალავი თანამიმდევრულია, ნომრები ერთმანეთს მიჰყვება. პირველიდან 47-ის ჩათვლით. ეს ნაწილი კრებულისა მთავრდება „ილარიონ პალესტინელის ცხოვრებით“. მას მოჰყვება „წამება არეთაჲსი...“, რომელიც თან რვეულშია მოთავსებული. ამ რვეულთა სათვალავი აღარ მიჰყვება კრებულის პირველი ნაწილისას: მოსალოდნელი შქ (48), შც (49), ნ (50), ნც (51)-ის ნაცვლად ნუმერაცია თავიდან იწყება: ც (1), ლ (2), ლ (3), დ (4). ეს ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რომ „წამება არეთაჲსი...“ კრებულზე შემდეგ უნდა იყოს დამატებული.

³ მხოლოდ ერთგან გვხვდება 25-სტრიქონიანი გვერდი (327r). ეს გამოწვეულია იმით, რომ გადამწერს სტრიქონი გამოჩენია, რასაც გვერდის გადაწერის შემდეგ მიხვდარა. მას ამოუშალა ორი სტრიქონი და მას ადგილზე მოეთავსებია სამი (სტრ. ნე-15, მე-16, მე-17). ამ ადგილის ენჩნევა წიშლის გვალი და სტრიქონთა შორის უჩვეულოდ მცირე ინტერვალაც ადასტურებს ამ ფაქტს.

ლიტერატურა

1. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერა, 1947.
2. კ. კვიციანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960.
3. კ. კვიციანი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, 1962.
4. G. Garitte, Catalogue des manuscrits Georgiens litteraires du mont Sinai, 1956, გვ. 29—45.
5. ი. ბასილაშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია II, 1963.
6. ნ. გოგუაძე, სტილი — მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 4.

თ. მებრეველი

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისათვის კვლე ქართულში

1-ლი ობიექტური პირის მრავლობით რიცხვში ორი ერთმანეთისგან განსხვავებული გუ და მ პრეფიქსიანი ფორმების არსებობამ ძველ ქართულში თავიდანვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ვერ კიდევ ადრე მოცემული ფორმები პროფ. ა. შანიძემ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ნაშთად მიიჩნია და გამოთქვა ვარაუდი, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, რომელიც დღესაც მოქმედებს სვანურში, საერთო ქართველური კატეგორია უნდა ყოფილიყო ([1] 335, შწმ. 1; [2] 372—4). გამოთქმული მოსაზრება გაიზიარეს ვ. თოფურია ([3] 25—6), კ. დონდუამ [4], გ. დეეტერსმა ([5] 27). თავისი ვარაუდი გუ და მ პრეფიქსიანი ფორმების შესახებ ა. შანიძემ შემდგომშიც გაიმეორა „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ ორსავე გამოცემაში (1953 წ., გვ. 185; 1973 წ., გვ. 183) და ბოლო ხანს გამოსულ „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ (1976 წ., გვ. 65).

სულ სხვა ვარაუდი წამოაყენა არნ. ჩიქობავამ [6], რომელმაც როგორც მ პრეფიქსი, ისევე გუ პრეფიქსიც მხოლოდითი რიცხვის ნიშნად ჩათვალია ([6] 100) და ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ დიალექტურ ფენებს მიაკუთვნა ([6] 105). რაც შეეხება ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შესახებ წამოყენებულ დებულებას, იგი, მისი აზრით, სვანურის ჩვენებას ემყარება ([6] 100), სადაც ეს კატეგორია მეორეული წარმოშობისა უნდა იყოს და ამიტომ მისი (სვანურის) მონაცემების გათვალისწინება ძველი ქართულისთვის დასაყრდენად ვერ გამოდგება ([6] 115).

1965 წელს „მაცნეში“ (№ 1) დაიბეჭდა ა. თნიანის სპეციალური ნაშრომი [7], რომელშიც საგანგებოდაა განხილული სვანურში არსებული ვითარება და უარყოფილია ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის მეორეულობა სვანურში. ა. თნიანის აზრით, უფრო ბუნებრივი იქნებოდა გვევარაუდა, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ქართულსა და მეგრულ-ჭანურში მოიშალა, ხოლო სვანურმა კი არქაული ვითარება შემოგვინახა ([7] 231). იქვე ა. თნიანი განაგრძობს, რომ, მართალია, ძველ ქართულში გუ და მ პრეფიქსთა ადრინდელი ფუნქცია მოშლილია, მაგრამ ზმნის უღლებების სისტემაში ისინი კვლავ ტრადიციულად იხმარებიან და არქაული ვითარება აქვთ დაცული. ეს კი, ასევე ავტორი, საფუძველს გვაძლევს, ინკლუზივ-ექსკლუზივის ოდინდელი არსებობა ქართულშიც ვივარაუდოთ ([7] 234).

ასეთია ა. თნიანის ძირითადი დასკვნები, რომლებიც ფაქტიურად უარყოფენ გუ||მ პრეფიქსთა არნ. ჩიქობავასეულ გააზრებას და საბოლოოდ ა. შანიძის მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრების სისწორეს ასაბუთებენ. ამ თვალსაზრისით,

საკითხი შეიძლება გადაჭრილია და ჩაგვეთვალა, მითუმეტეს რომ ა. ონიანის მსჯელობა საკმაოდ საფუძვლიანი და ამომწურავია.

მაგრამ ნაშრომში ძირითადი ყურადღება მაინც სევანტის ეთნობა და სოციალურ-ეკონომიკური მასალა ძველი ქართულიდან ნაკლებად მოხმობილი. ამიტომ, მეტი დამატებლობისათვის, მაინც საჭირო ჩანს ძველი ქართული ენის ცალკეული ძეგლების უფრო დეტალური ანალიზი. ამ მიზნისათვის ყველაზე უფრო ახალი ადამიანის წიგნების, უპირველეს ყოვლისა კი „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის“ [8] ანალიზი მიგვაჩნია შესაფერად, რადგან, მართალია, შეტყობილი ხელნაწერები გადაწერილია მე-9-სა და მე-10 საუკუნეებში, მაგრამ მათი ენა ძირითადად მაინც მე-4—5 საუკუნეთა ენის ნორმებს ასახავს ([8] 011).

ტექსტთა ანალიზში ჩვენს წინაშე უნდა იდგას: გუ და მ პრეფიქსთა შორის არსებული სხვაობის დასადგენად ავანურის მონაცემების გათვალისწინებაზე არანაკლები მნიშვნელობა თვით ქართული ზმნის სტრუქტურის გათვალისწინებას ენიჭება. კერძოდ, მის უნარს, გამოხატოს თავისი ფორმით როგორც სუბიექტური პირი, ისევე ობიექტური პირიც (ან პირებიც). პირთა შესაძლებელი კომბინაციები გვიჩვენებს, რომ თუ ზმნის ფორმაში ობიექტური პირი პირველია, მაშინ სუბიექტად შეიძლება გვეჩვენოს მე-2 ან მე-3 პირი. აქედან, თუ სუბიექტი მე-2 პირია, მაშინ ობიექტის მრავლობითობა შეიძლება ველოსხმობდეს მხოლოდ 1-ლ და მე-3 ობიექტურ პირთა ურთიერთობას. ასეთ შემთხვევაში ფორმა, ცხადია, ექსკლუზიური შინაარსისა იქნება, რადგან მე-2 პირი ობიექტის მრავლობითობიდან გამორიცხულად იგულისხმება. მაგრამ თუ სუბიექტი მე-3 პირია, მაშინ ობიექტის მრავლობითობაში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც 1-ლი და მე-2 პირის ურთიერთობა, ისევე 1-ლი და მე-3 პირის ურთიერთობაც, ე. ი., ფორმა შეიძლება იყოს როგორც ინკლუზიური შინაარსისა, ისევე ექსკლუზიურისაც.

თუ ზემოთ აღნიშნულ პირთა შესაძლებელ კომბინაციებს გავითვალისწინებთ, მაშინ გუ და მ პრეფიქსიანი ფორმები შეიძლება აპრიორულად მივიჩნიოთ ძველი ქართულის ადრეულ ეტაპზე მოქმედი ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ნაშთად (მითუმეტეს რომ გუ და მ პრეფიქსიანი ფორმების არს. ჩიქობავასეული ინტერპრეტაცია მიუღებელი ჩანს თუნდაც იმატომ, რომ გუ პრეფიქსიანი ფორმები ძველ ქართულში საერთოდ არ დაატურდებია მხოლოდითი რიცხვის მნიშვნელობით. შდრ. [7] 233).

ზემოთ აღნიშნული შესაძლებელი კომბინაციების გათვალისწინება იმასაც ნათელპყნობს, რომ ძველ ქართულ ტექსტებში უპირველეს ყოვლისა ექსკლუზიური ფორმათა კვალი უნდა ვეძიოთ. ამიტომ ტექსტის ანალიზისას ძირითადი ყურადღება მ პრეფიქსიან ფორმებს ეთმობა.

ანოზრივი მასალის ანალიზი

ქვემოთ ცალ-ცალკეა განხილული ჯ რ უ ჰ ა რ ხ ლ ი ს ა (936 წ., 973 წ.) და ა დ ი შ ი ს (897 წ.) ოთხთავები, რადგან პირველი ორი ერთ DE რედაქციას იძლევა, მესამე კი ვანცალკეებით დგას (C რედაქცია) ქართულ ოთხთავთა შორის ([8] 08—010).

DE რედაქცია

მათეს სახარება. გვაქვს 17 მ პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაგანაც 15 მე-2 სუბიექტურ პირიანი ფორმაა და ამიტომ, ცხადია, „ჩუენ“ გულისხმობს 1-ლი და მე-3 ობიექტურ პირთა ურთიერთობას: 1. პური ესე ჩუენი არსობისაჲ მომიეც ჩუენ დღეს (6, 11), 2. და მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი (6,12), 3. და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსადღელსა (6, 13), 4. არამედ მიჯსხენ ჩუენ ბოროტისაგან (6, 13), 5. უფალო, მიჯსხენ ჩუენ (8,25) 6. მიბრძახე მისლვად კოლტსა იმას ღორთასა (8, 31), 7. შემიწყალენ ჩუენ, უფალო (9,27), 8. მითხარ ჩუენ ივაგი იგი ღუარძლისაჲ (13,36), 9. გამომითარგმანე ჩუენ ივაგი ეგე (15,15), 10. შემიწყალენ ჩუენ, იესუ (20,30), 11. შემიწყალენ ჩუენ, უფალო (20,31), 12. აწ მარქუ ჩუენ (22,17), 13. მითხარ ჩუენ (24,3), 14. მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა (25,8) 15. გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველსა, რამათა მითხრა ჩუენ (26,63).

ყველა 15-სავე შემთხვევაში ფორმები აწკარად ექსკლუზიური მნიშვნელობისაა. ასევე ექსკლუზიური მნიშვნელობისაა დანარჩენი ორი ფორმაც: 16. ხოლო მათ პრქუეს მას: არავინ დამიდგინნა ჩუენ, უფალო (20,7). მე-2 ობიექტური პირი ფორმის შინაარსიდან გამორიცხულია, რადგან, შინაარსობლივი თვალსაზრისით, მე-2 პირი წინადადებაში „უფალო“ სიტყვითაა რეალიზებული, რომელიც ხამდვილად არ იგულისხმება „დამიდგინნა“ ფორმის შინაგან დამატებად. გამორიცხულად იგულისხმება მე-2 ობიექტური პირი მ პრეფიქსიანი ფორმის მნიშვნელობიდან მომდევნო მაგალითშიც: 17. მოწაფენი მისხი ღამე მოვიდეს და წარიბარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა (28, 13).

რაც შეეხება გუ პრეფიქსიან ფორმებს, მათ შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური ვაგება, ისევე ექსკლუზიურიც. ექსკლუზიური ვაგებისაა, მაგალითად, მე-2 სუბიექტურ პირიანი ბრძანებითის ფორმები: 1. უფალო, უფალო, განგვდე ჩუენცა (25,11); 2. გვწინაწარმეტყუელებ ზუენ, ქრისტე (26,68). გამორიცხულია მე-2 ობიექტური პირი სხვა შემთხვევებშიც: 3. უკუეთუ განგუასხამ ჩუენ... (6,31). სუბიექტი აქაც მე-2 პირია და ამიტომ ობიექტის მრავლობითობაში მხოლოდ 1-ლი და მე-3 პირის ურთიერთობა იგულისხმება. 4. მოძღუარ, გუნებაეს შენგან სასწაულისა ხილვაჲ (12,38). „გუნებაეს“ ფორმის ექსკლუზიურ შინაარსს ხაზი ესმება წინადადებაში მოცემული „მოძღუარ“ და „შენგან“ ლექსიკური ერთეულებით. 5. და პრქუეს პეტრეს: მოძღუარმან თქუენმან არა მოგუცესა ხარკი? (17, 24): ობიექტის მრავლობითობაში იგულისხმება პეტრესთან მოუბარი ხარკის ამკრფელები და დანარჩენები, ე. ი. 1-ლი და მე-3 პირი და არა პეტრე, რომელიც აქ მე-2 პირად უხდა ვაფიგოთ, რადგანაც მას მიმართავენ. ანალოგიური თვალსაზრისით დგინდება „ძალ-გვც“ ფორმის ექსკლუზიური შინაარსი მომდევნო მაგალითშიც: 6. ხოლო მათ პრქუეს: ძალ-გვც (20,22).

სამაგიეროდ, მომდევნო მაგალითში გუ პრეფიქსიანი ფორმა უკვე ინკლუზიური შინაარსისაა: 7. ნუტუჲ ვერ გუეყოს ჩუენ და თქუენ (25,9). ინკლუზიურობა კონტექსტუალურადაა საზგასმული — წინადადებაში გვაქვს „თქუენ“ ნაცვალსახელი. იგივე ითქმის „გურქუას“ (21,25), „გუეშინის“ (21,26) და „გვკმან“ (26,65) ფორმების შესახებაც: 8. უკუეთუ ვთქუათ: ზეციით, გურქუას ჩუენ (21,25); 9. უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა ამის



საქართველოს
ხელნაწილების
რეპერტუარი

(21,26); 10. რაფსა-ლა გვკ მ ა ნ მოწამენი? აბა ესერა გესმა გმონაჲ მაგისი (26,65). პირველი ორი ფორმის შემთხვევაში ობიექტის მრავლობითობა თანამოსაუბრეთა (ე. ი., 1-ლი და მე-2 პირის) ურთიერთობას გულსხმობს. მესამე ფორმის შემთხვევაში კი მღდელთ მოძღუარი მიმართავს კრებულს (მწიგნობრებს, ცრუ მოწამეებს...), რომელიც, გრამატიკული თვალსაზრისით, წინადადებაში რეალიზდება როგორც მე-2 ობიექტური პირი მრავლობითი რიცხვისა („ოქუნენ“). ამიტომ სამივე ფორმა („გურგუეს“, „გუნენის“, „გვკმან“) ინკლუზიური გაგებისაა. ისევ ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს მათეს სახარების დანარჩენი გუ პრეფიქსიანი ფორმებიც: 11. მამაჲ გვკ ე ს ჩუენ აბრაჰამი (3,9); 12. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არარაჲ გუ აქ უ ს (14,17); 13. განუტევე ესე, რამეთუ ლაღადებს და შე გკ დ გ ს ჩუენ (15,23); 14. გარდამოკედენ აჲ მაგარ ჭუართი, და გუ რ წ მ ე ნ ე ს ე გე (27,42). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ოთხი ფორმიდან ყველა ერთნაირი სიცხადით არ გამოხატავს ინკლუზიურობას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას: მათეს სახარებას DE რედაქციის შონაცემები გვიჩვენებს, რომ 17-ვე მ პრეფიქსიანი ფორმის მნიშვნელობიდან აშკარად გამოირიცხებოდა მე-2 ობიექტური პირის გაგება და ამიტომ ისინი ყველა შემთხვევაში ექსკლუზიური გაგებისა არიან. რაც შეეხება გუ პრეფიქსიან ფორმებს, მათ შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც. ყოველივე დამოკიდებულია კონტექსტზე. ამ თვალსაზრისით, ისინი ექსკლუზიურობის საპირისპირო გაგებას ვერ აყალიბებენ.

პრეფიქსთა შეფარდება: მ (17); გუ (14).

მარკოზის სახარება. მ პრეფიქსიანი ფორმები აქ შედარებით ნაკლებია. სულ რვაა. აქედან 6 მე-2 სუბიექტური პირიანი ბრძანებითაა ფორმია და ამიტომ მათი მნიშვნელობიდან მე-2 ობიექტური პირი გამოირიცხებოდა და ისინი აშკარად ექსკლუზიური გაგებისა არიან: 1. მი ბ რ ძ ა ნ ე ჩუენ ღორებსა იმას, რაათა მათა შევიდეთ (5,12); 2. შე მ ე წ ი ე ჩუენ, უფალო (9,22); 3. მო მ ე ც ჩუენ, რაათა დაესხდეთ ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით შენსა დღესა მას დიდებისასა (10,37); 4. მი რ ქ ე ჩუენ (12,14); 5. მი თ ზ ა რ ჩუენ, ოდეს ყოფად არს ესე (13,4); 6. მუნ მ ზ ა მ ი ყ ა ე თ ჩუენ (14,15).

ექსკლუზიური გაგებისაა „ღამიწერა“ ფორმაც მომდევნო წინადადებაში: 7. მოძღუარ, მოსე ესრეთ და მ ი წ ე რ ა ჩუენ (12,19). მე-2 პირის ფარდად წინადადებაში ნაგულისხმევია „მოძღუარ“, რომელსაც მიმართავენ და რომელიც, ამ თვალსაზრისით, არ უნდა შედიოდეს მ პრეფიქსით აღნიშნული ობიექტის მრავლობითობაში. ექსკლუზიური გაგებისაა „მიყო“ ფორმაც, რადგან სუბიექტად აქ მე-2 პირი გვევლინება: 8. მოძღუარ, გუ ნ ე ბ ა ე ს, რაათა, რომელი გათხოვოთ, მ ი ყ ო ჩუენ (10, 35) ¹.

ბოლო წინადადებაში მოცემული „გუნებაეს“ ფორმა უკვე ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს, მაგრამ იგი, ისევე როგორც „მიყო“ ფორმა, ექსკლუზიურობის გამომხატველია: მე-2 პირის ფარდად წინადადებაში „მოძღუარ“ იგულისხმება, რომელიც არ შედის „გუნებაეს“ ფორმის გაგებაში. ასევე ექსკლუზიური შინაარსისაა „გვწინაწარმეტყუელებდ“ (14,65) ფორმაც „გვწინა-

¹ ისეთ შემთხვევებს, როცა ერთ წინადადებაში ერთი და იმავე გაგების ფორმებს ხან გუ აქეთ და ხან მ, სავანებოდ იხილავს არნ. ჩიქობავა და მათ გუ და მ პრეფიქსების სხვადასხვა დიალექტური წარმოშობის დამამტკიცებელ არგუმენტად მიიჩნევს ([6] 101—104). ჩვენი აზრით, აქ უბრალოდ ფორმათა გათანაბრებისთან გვაქვს საქმე.

წარმოეტყუებდ ჩუენ, ქრისტე“ წინადადებაში, რადგან იგი I ბრძანებითის ფორმაა და სუბიექტად გვაქვს მე-2 პირი, რომელიც აღარ შეიძლება შედიოდეს ობიექტის მრავლობითობაში. ექსკლუზიური გავებისა უნდა იყოს „ძალ-გვც“ ფორმა: „ხოლო მათ პრქუეს მას: „ძალ-გვც“ (10,39). „ძალ-გვც“ მე და იოვანეს (ან მე და იაკობს) — გვაქვს 1-ლი და მე-3 პირის ურთიერთობა (იგივე ურთიერთობაა ადრე განხილულ „გუნებაეს“ (10,35) ფორმაშიც).

სულ სხვა მნიშვნელობისაა „ძალ-გვც“ ფორმა მომდევნო წინადადებაში: „ვინაჲ ძალ-გვც აქა განძებად პურითა ესოდენი ერა უდაზნოსა ზედა?“ (8,4). „ძალ-გვც“ აქ უკვე ინკლუზიური შინაარსისაა და ობიექტის მრავლობითობაში იგულისხმება „ჩუენ“ და „შენ“. როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე გუ პრეფიქსიან ფორმას სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება ჰქონდეს როგორც ინკლუზიური გავება, ისევე ექსკლუზიურიც.

ინკლუზიური გავებისა უნდა იყოს მარკოზის სახარების დანარჩენი გუ პრეფიქსიანი ფორმები: „და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა გუ აქუს“ (8,16); „რომელი ჩუენ არა შე გვ დ გ ს“ (9,38); „უკუეთუ ვთქუათ: ზეციით იყო, გუ რქუ ას ჩუენ“ (11,31); „და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუ ე შ ი ნ ის ერისა“ (11,32); „რამსა-ლა გვ გ მ ა ნ მოწამენი?“ (14,6,3); „გარდამოკედინ აჲ ჭლართი, რამთა ეიხილოთ და გუ რ წ მ ე ნ ე ს“ (15,32)²; „ჩუენ გუ ე ს მ ა მ ა გ ი ა ს ი ტ ყ უ ა ჲ“ (14,58); „ვინ გარ და გვ გ რ ვ თ ს ჩუენ ლოდა იგი კარისა მისგან საფლავისა?“ (16,3). მარკოზის სახარების გუ პრეფიქსიანი ფორმები, ისევე როგორც მათეს სახარებისა, ყველა შემთხვევაში ერთნაირი სიცხადით არ გამოხატავს ინკლუზიურობას.

მარკოზის სახარების შემთხვევაში გამოტანილი დასკვნა მათეს სახარების შემთხვევაში გამოტანილი დასკვნის ანალოგიური იქნება. ამიტომ აქ მხოლოდ მარკოზის სახარებაში მოცემულ პრეფიქსთა შეფარდებას ვაჩვენებთ: მ (8): გუ (12)³.

ლუკას სახარება. ყველაზე მეტი მ პრეფიქსიანი ფორმა აქ გვაქვს — 25. აქედან 14 შემთხვევაში ფორმა მე-2 სუბიექტური პირისაა და ამიტომ 14-ვე ფორმა ექსკლუზიური შინაარსისაა: 1. შვილო, რამსა ესრჳთ მიცა ე ჩუენ? (2,48); 2. პური ჩუენი თანაარსობისაა მომიც ჩუენ დლითი-დღედ (11,3); 3. და მომიტყვენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი (11,4); 4. და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა (11,4); 5. მოძღუარ, მაგას რაჲ იტყვ, ჩუენცა მაგინებ (11,45); 6. შემძინე ჩუენ სარწმუნოება (17,5); 7. იესუ მოძღუარ, შემიწყალენ ჩუენ (17,13); 8. მითხარ ჩუენ, რომლითა ველმწიფებთა ამას იქმ (20,2); 9. წარვედით და მომიმზადეთ ჩუენ პასქა (22,8); 10. მუნ მზა-მიცა ე თ ჩუენ (22,12); 11. უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ (22,67); 12. აღიღე ვგე და მომიტყევე ჩუენ ბარაბა (23,18); 13. დამეცენით ჩუენ (23,30); 14. დამფარენით ჩუენ (23,30).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, სადაც სუბიექტი მე-3 პირია. მიუხედავად ამისა, ფორმათა ექსკლუზიური შინაარსი 4 შემთხვევაში საკმაოდ ნათლად გამოხატული: 15. იოვანე ნათლის-მცემელმან მომავლინნა ჩუენ შენდა (7,20): წინადადებაში მოცემული „შენდა“ გამოირიცხავს „მომავლინნა“ ფორ-

² ბოლო 6 ფორმა შდრ. მათეს სახარების ანალოგიურ გუ პრეფიქსიან ფორმებს: 14, 17; 15,23; 21,25; 21,26; 26,65; 27,42.

³ D პრეფიქსიანი გუ პრეფიქსიანი ფორმა ერთით ნაკლებია: ძალ-გვც—ძალ-გაც (8,4).

მიდან მე-2 ობიექტურ პირს. 16. მოძღუარ, მოსე ესრე დამიწერა ჩუენ (20,28). იხ. მარკოზის სახარება (12,19). 17. და შესაკრებელი ჩუენი მან აღმე-შენა ჩუენ (7,5): ასისთავმა შესაკრებელი აღუშენა მოუბარს (1-ლი პირი) და დანარჩენ პურიებს (მე-3 პირი) და არა ქრისტეს, რომელსაც, მიმართავენ და რომელიც; ამ თვალსაზრისით, მე-2 პირად უნდა ვიგულისხმობთ წინადადებაში. გამორიცხულია მე-2 ობიექტური პირი მომდევნო შემთხვევაშიც: 18. არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკვრვეს ჩუენ (24,22); მე-2 ობიექტური პირი (ამ შემთხვევაში ქრისტე) არც აქ იგულისხმება მ პრეფიქსიან ფორმაში.

ორ შემთხვევაში მ პრეფიქსიანი ფორმის მნიშვნელობა ბუნდოვანია: 19. ვითარცა-იგი მომცეს ჩუენ, რომელნი დასაბამითგან თვთ-მხილველ... ყოფილ იყვნეს სიტყუსა მის (1,2); 20. რომელთა მომხედა ჩუენ აღმოსავალმან მადლით (1,78).

დანარჩენ 5 შემთხვევაში მ პრეფიქსიანი ფორმა ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს: 21. თქუეს მწყემსთა მათ ურთიერთას: ...ვიხილოთ სიტყუჲ ესე... რომელ-იგი უფალმან მაუწყყა ჩუენ (2,15); 22. უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ზეცით იყო, მრქუას ჩუენ (20,5); 23. და უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: კაცთაგან, ყოველმან ერმან ქვაღ დამკრიბოს ჩუენ (20,6). საინტერესოა, რომ ბოლო ორი ფორმის ნაცვლად მათესა და მარკოზის სახარებაში მართებული გუ პრეფიქსიანი ფორმა გვაქვს (გურქუას: მ. 21,25; მრკზ. 11,31; გუემინის: მ. 21,26; მრკზ. 11,32). 24—25. და იგინი იტყოდეს ურთიერთას: ანუ არა გული ჩუენი განუტრეგებულ იყო ჩუენ შორის, ვითარ-იგი მეტყოდა ჩუენ ზხასა ზედა... და გამომითარგმანებდა ჩუენ წიგნთა? (24,32).

როგორც ვხედავთ, ლუკას სახარებაში ყველგან არაა დაცული მ პრეფიქსიანი ფორმებში ექსკლუზიური გაგება და ეს არცაა გასაკვირი, რადგან მოცემული კატეგორიის კვალი ძველ ქართულში ნაშთის სახითაა შემორჩენილი.

გუ პრეფიქსიანი ფორმა ლუკას სახარებაში 16-ია (E რედაქციაში ერთით მეტია: გუეჩუენა 1,78). აქედან ნაწილი ინკლუზიური გაგებისაა, ნაწილი კი — ექსკლუზიურისა.

ამკარად ინკლუზიური გაგებისაა, მაგალითად, „მოგუეგების“ ფორმა „რამეთუ ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ექმენით, მოგუეგების“ (23,41) წინადადებაში. ინკლუზიურობა კონტექსტის მეშვეობით საკმაოდ ნათლადაა გამოხატული: „მოგუეგების“ იგი ჩუენ (ჩუენ=მე+შენ). ერთმანეთს მიმართავს ორი ძკრის მოქმედი, რომელთაგანაც ერთი 1-ლ პირად იგულისხმება, მეორე კი — მეორედ. ინკლუზიური გაგებისა ჩანს მომდევნო ფორმებიც: „აღგვდგინა ჩუენ რქაჲ ცხორებისაჲ შორის სახლსა მას დავეითს (1,69); „მამაჲ გვვის ჩუენ აბრაჰამი“ (3,8); „და ჩუენ ვაყენებდით მას, რამეთუ არა შეგვდგეს ჩუენ თანა“ (9,49); „რა-და გვკმს წამებაჲ?“ (22,71)⁴; „და იტყოდეს: უფალო, ეშმაკნიცა და გუემორჩილებიან სახელითა შენითა“ (10,17); „რომელი თანა-გუედგვა ყოფად, ვყავთ“ (17,10); „ჩუენ თვთ გუესმის პირისაგან მისისა“ (22,71). სხვა ფორმათა განხილვამდე უნდა ითქვას, რომ აქ ჩამოთვლილი ფორმები ყველა შემთხვევაში ერთნაირი სიცხადით არ გამოხატავენ ინკლუზიურობას.

⁴ შდრ. მათესა (3,5; 15,23; 26,65) და მარკოზის (9,38; 14,63) სახარების ანალოგიურ გუ პრეფიქსიან ფორმებს.

დანარჩენ შემთხვევებში გუ პრეფიქსიანი ფორმები შეიძლება ექსკლუზიური გაგებისა იყვნენ: უბირველეს ყოვლისა, ეს ეხება მე-2 სუბიექტურ პირიან ზმნურ ფორმებს: „უფალო, გუ ასწავე ჩუენ ლოცვად“ (11,1); „უფალო, უფალო, გან გვღე ჩუენ“ (13,25); „და უბანთა ჩუენთა ზედა გუ ასწავებ“ (13,26). ასევე ექსკლუზიური გაგებისა ის დანარჩენი ოთხი ფორმაც, რომელთა შემთხვევაშიც სუბიექტი მე-3 პირია: „რაოდენი გუ ესმა საქმე შენი კაფარნაუმს, ქმენ აქაცა“ (4,23). ობიექტის მრავლობითობიდან მე-2 პირი ნამდვილად გამოირჩეულია, რასაც კონტექსტუალურად ესმება ხაზი „შენი“ ლექსიკური ერთეულისა და „ქმენ აქაცა“ ფრაზის მეშვეობით. „იპა ესერა მტუერი რომელი აღგუეკრა ფერკთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრიოთ თქუენ ზედა“ (10,11); მიმართავენ მე-2 პირს, რომელიც ობიექტის მრავლობითობის გაგებაში არ შედის და იგი აქაც კონტექსტუალურადაა გამოირჩეული. „და პრქუეს მას: არა გუ ნებავს მეუფებამა მაგასი ჩუენ ზედა“ (19,14). მოცემულ შემთხვევაში გუ პრეფიქსიანი ფორმის მნიშვნელობა ერთგვარად ბუნდოვანია: სამაგიეროდ, უკეთესად ჩანს ფორმის ექსკლუზიურობა შემდგომ შემთხვევაში: „...ნუ გაკლდა რაე თქუენ? ხოლო მათ თქუეს: არარაა გუ აკლდა“ (22,35).

ასეთია ვითარება ლუკას სახარებაში. პრეფიქსთა შეფარდება მ (25): გუ (16).

იოვანეს სახარება. გვაქვს 7 მ პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაგანაც ოთხში სუბიექტი მე-2 პირია და ამიტომ ობიექტის მრავლობითობიდან მე-2 პირი გამოირჩეულად ივლისხმება: 1. რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ (2,18); 2. უფალო, მარადის მომეც ჩუენ პური ესე (6,34); 3. მიჩუენე ჩუენ მამა შენი (14,8); 4. მიჩუენე ჩუენ მამა შენი (14,9). ექსკლუზიური გაგებიაა მომდევნო ფორმაც: 5. ნუ შენ უფროას ხარ მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჟურღუმული მომცა ჩუენ? (4,12). იაკობმა ჟურღუმული მისცა იესუსთან მოუბარ დედაკაცს (1-ლი პირი) და დანარჩენ სამართლებს (მე-3 პირი) და არა იესუს, რომელსაც დედაკაცი მიმართავს და რომელიც ამიტომ მე-2 პირად უნდა მივიჩნიოთ.

გვრჩება კიდევ ორი მ პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაგანაც ერთის მნიშვნელობა ბუნდოვანია (პრქუა მას დედაკაცმან მან: ...ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი: 4,25), ხოლო მეორე კი ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს (თქუეს მოწაფეთა მისთა ურთიერთას: რაე არს ესე, რომელსა მეტყვის ჩუენ: 16,17).

ასეა თუ ისე, მ პრეფიქსიანი ფორმები იოვანეს სახარებაშიც ძირითადად ექსკლუზიურობის გაგების გამომხატველია.

გუ პრეფიქსიანი ფორმებს აქ, ისევე როგორც დანარჩენ სახარებებში, შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც. ინკლუზიური გაგებისაა, მაგალითად, „მიგვღონ“ ფორმა „და მოვიდენ პრომნი და მიგვღონ ჩუენ აღგილიცა ჩუენი და ნათესავიცა“ (11,48) წინადადებაში: ერთმანეთს მიმართავენ მოუბარნი და ამიტომ გვაქვს 1-ლი და მე-2 პირის ურთიერთობა. ანალოგიური ვითარებაა მომდევნო შემთხვევაშიც: „იციდე, რაე გვკმდეს დღესასწაულსა ამას“ (13,29).

სამაგიეროდ, აშკარად ექსკლუზიური გაგებისაა, მაგალითად, მე-2 სუბიექტურ პირიანი ფორმები: „გვთხარ ჩუენ, ვინ ხარ შენ“ (1,22); „და შენ



გუასწავება ჩუენ⁵“ (9,34); „გვთხარ ზუენ განცხადებულად“ (10,24); „რამეთუ ჩუენ გამოგვცხადებ თავსა შენსა“ (14,22).

სულ იოვანეს სახარებაში 19 გუ პრეფიქსიანი ფორმაა (აქედან სამ შემთხვევაში გუ პრეფიქსიანი ფორმა მხოლოდ E რედაქციაშია: გუაქუს (4,11), გუაქუს (5,39), გუანდეს (13,29), მაგრამ დანარჩენ ფორმებს აქ აღარ შევხვებით (ისინი არაფრით განსხვავდებიან სხვა სახარებებში განხილული ფორმებისგან), რადგან ძირითადი ჩვენთვის მაინც მ პრეფიქსიანი ფორმებია.

როგორც ვხედავთ, იოვანეს სახარებაში დანარჩენი სახარებებს ანალოგიური ვითარებაა. პრეფიქსთა საერთო შეფარდებაა მ (7): გუ (19).

ზემოთ ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილეთ DE რედაქციის ოთხივე სახარების მონაცემები. ანალიზმა გვიჩვენა:

ა) მათეს სახარების 17 მ პრეფიქსიანი ფორმიდან 17-ვე ექსკლუზიური შინაარსისაა. ასევე ექსკლუზიური შინაარსისაა მარკოზის სახარების 8-ვე მ პრეფიქსიანი ფორმა. ლუკას სახარების 25 მ პრეფიქსიანი ფორმიდან 18 ექსკლუზიური შინაარსისაა (2 ფორმა შინაარსი ბუნდოვანია, 5 ფორმა ინკლუზიური გაგებია უნდა იყოს). იოვანეს სახარების 7 მ პრეფიქსიანი ფორმიდან 5 ექსკლუზიური შინაარსისაა (1 ფორმის შინაარსი ბუნდოვანია და ერთი ინკლუზიური გაგებისა უნდა იყოს). მათეადამე, სულ ოთხივე სახარების 57 ფორმიდან 48 ექსკლუზიური შინაარსისაა.

ამდენად, დაბეჭდილებით შეიძლება ითქვას, რომ ჭრტვისა და პარზლის ოთხთავებში მოცემული მ პრეფიქსიანი ფორმები ამკარად იძლევიან საშუალებას, ნაშთის სახით დაეადგინოთ ადრე მოქმედი ექსკლუზივის კატეგორიის კვალი.

ბ) რაც შეეხება გუ პრეფიქსიან ფორმებს, მათ შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც. ამ თვალსაზრისით, ისინი ვერ აყალიბებენ ექსკლუზიურ ფორმათა საპირისპირო კატეგორიულ მნიშვნელობას (მათი გაგებიდან არაა გამორიცხული ექსკლუზიურობა). სულ DE რედაქციაში 61 გუ პრეფიქსიანი ფორმაა.

გ) მიუხედავად იმისა, რომ მ პრეფიქსიანი ფორმები DE რედაქციაში ძირითადად ექსკლუზიურობის გამომხატველია, ფორმათა გათანაბრების პროცესი ჭრტვისა და პარზლის ოთხთავების ენაში მაინც საკმაოდ შორსა წააული და გუ პრეფიქსიან ფორმებს მათი ხმარების თითქმის ნახევარში ნატვირთი აქვთ ექსკლუზიურობის გაგების გადმოცემა (გათანაბრების მაჩვენებელია მ პრეფიქსიანი ფორმების ხმარების ის გამოწვევის შემთხვევებიც, როცა ისინი არ გამოხატავენ ექსკლუზიურობას).

ოთხსავე სახარებაში მოცემულ პრეფიქსთა საერთო შეფარდებაა მ (57): გუ (61).

ც რ ე დ ა ქ ც ი ა

მათეს სახარება. DE რედაქციის 17 მ პრეფიქსიანი ფორმის ნაცვლად C რედაქციაში 12 გეაქვს. აქედან ორივე რედაქციისათვის საზიარო ფორმებია: 1. პური ჩუენი სამარადისოა მ თ მ ე ე ჩუენ დღეს (6,11); 2. არამედ მიიკსნენ ჩუენ ბოროტისაგან (6,13); 3. უფალო, განმარინენ ჩუენ (8,25)⁶; 4. მი-

⁵ ცალკეულ მუხლებში DE და C რედაქციებში მსგავსი შინაარსის ერთმანეთისგან განსხვავებული ლექსიკური ერთეულები გეაქვს. ასეთ შემთხვევებში ქვემოთ მხოლოდ C რედაქციის ერთეულია მოყვანილი ზანდაზან.

წყალენ ჩუენ, ძეო დავითისო (9,27); 5. მიწყალენ ჩუენ, იესუ, ძეო დავითისო (20, 30); 6. აწმარქუ ჩუენ (22,17); 7. მარქუ ჩუენ: ოდეს ყოფად არს ესე (24,3); გაჟუცებ წენ ღმრთისა ცხოველსა, რაათა მითხრა ჩუენ (26,63); 9. და წარაბარეს იგი, ვადრე ჩუენ მეძინა (28,13). მოცემული ფორმები DE რედაქციის ანალიზისას იყო განხილული და აღინიშნა, რომ ისინი ყველა ექსკლუზიური ვაგებნისა.

ასევე ექსკლუზიური ვაგებნისა ის სამი ფორმაც, რომლებიც DE რედაქციის უპრეფიქსო ფორმების ნაცვლად გვაქვს C რედაქციაში: 10. სულგრძელ მექმენ ჩუენ ზედა (სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა: DE 18,29); 11. და დამასწოროენ ჩუენ იგი (სწორო ჩუენდა ჰყვენ იგინი: DE 20,12). ორივე ფორმა მე-2 სუბიექტურ პირიანი ფორმისა. 12. უფალო, რაათა აღვიბილნეთ თუალნი ჩუენნი: DE 20,33). მიმართება მე-2 პირისადმი, რომელიც, ცხადია, ვეღარ შეეა თბიექტის მრავლობითობაში.

გუ პრეფიქსიანი ფორმა C რედაქციაში 24-ია, ე. ი., 10-ით მეტი ვიდრე DE რედაქციაში. აქედან 13 შემთხვევაში ფორმები ორივე რედაქციისათვის საზიაროა: „გვეის“ (3,9), „გან-თუ-გუასხამ“ (C 8,31) || „განგუასხამ“ (DE), „გუნებაეს“ (12,38), „არა გუაქუს“ (C 14,17) || „არარად გუაქუს“ (DE), „შეკვდგს“ (15,23), „გვძლავს“ (C 20,22) || „ძალ-გვც“ (DE), „გურქუას“ (21,25), „გუეშინის“ (21,26), „ვერ გუეყოს“ (25,9), „განგვლ“ (25,11), „გაკვშა“ (C 26,65) || „გვკვშან“ (DE), „გვწახაწარმეტყუელებდ“ (26,68), „გურწმენეს“ (27,42). ამ ფორმებს უკვე შევეხებთ DE რედაქციის ანალიზისას და ვნახეთ, რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური ვაგება, ისევე ექსკლუზიურიც.

სამ შემთხვევაში DE რედაქციის უპრეფიქსო ფორმებს C-ში გუ პრეფიქსიანი ფორმები უპირისპირდება: „პური არა გუაქუს“ (C 16,7) — „პური არა მოვიღეთ“ (DE); „პური არა გუაქუს“ (C 16,8) — „რამეთუ პური არა გაქუს“ (DE), „რამეთუ სანთელნი ჩუენნი და გვსრტებიან“ (C 25,8) — „რამეთუ სანთელნი ჩუენნი დაწრტებიან“ (DE).

მაგრამ რედაქციათა შედარებისას ყველაზე საინტერესო ისაა, რომ DE რედაქციის 8 მ პრეფიქსიანი ფორმის ნაცვლად C-ში გუ პრეფიქსიანი ფორმა გვაქვს: 1. და მოგვტყვენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი (DE); 2. და ნუ შეგვყვანებ ჩუენ განსაცდელსა (C 6,13) — და ნუ შემოყვანებ ჩუენ განსაცდელსა (DE); 3. გვბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორებისასა (C 8,31) — მიბრძანე მისლვად კოლტსა იმას ღორთასა (DE), 4. გვთხარ ჩუენ იგავი იგი ლუარძლისა (C 13,36) — მითხარ ჩუენ იგავი იგი ლუარძლისა (DE); 5. გამოგვთარგმანე ჩუენ იგავი ეგე (C 15,15) — გამომითარგმანე ჩუენ იგავი ეგე (DE); 6. არავინ დაგვდგინა ჩუენ (C 20,7) — არავინ დამიდგინა ჩუენ (DE); 7. უფალო, გწყალენ ჩუენ (C 20,31) — შემიწყალენ ჩუენ, უფალო (DE); 8. გუეციოთ ჩუენცა ზეთი ზეთისა მაგის თქუენისა (C 25,8) — მეციოთ ჩუენ ზეთისაგან თქუენისა (DE). DE რედაქციის ანალიზისას ვნახეთ, რომ აქ ჩამოთვლილი მ პრეფიქსიანი ფორმები ექსკლუზიური შინაარსისაა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ C რედაქციის შემცვლელ გუ პრეფიქსიანი ფორმებს აქ ყველაზე ექსკლუზიური შინაარსი აქვთ ნატვრითი.

როგორც ვხედავთ, მათეს სახარების შემთხვევაში რედაქციები არსებითად



განსხვავებებიან ერთმანეთისგან გუ და მ პრეფიქსების ხმარების თვალსაზრისით. მართალია, მ პრეფიქსიანი ფორმები C რედაქციაშიც ყველგან ექსკლუზიური გაგებისაა, მაგრამ მათი რაოდენობა 5-ით ნაკლებია DE რედაქციასთან შედარებით: სამაგიეროდ, C რედაქციაში გუ პრეფიქსიანი ფორმები 10-ით მეტია. მაგრამ ძირითადი მაინც ისაა, რომ მ შემთხვევაში DE რედაქციის მართებული მ პრეფიქსიანი ფორმა C რედაქციაში გუ პრეფიქსიანი ფორმითაა შეცვლილი. ამ თვალსაზრისით, C რედაქციაში ფორმათა გათანაბრების პროცესი DE რედაქციასთან შედარებით კიდევ უფრო შორსაა წასული.

შესაბამისად, C რედაქციაში ფორმათა შეფარდებაც განსხვავებულია: გუ (24): მ (12).

მარკოზის სახარება. მ პრეფიქსიანი ფორმები აქ კიდევ უფრო იშვიათია. DE რედაქციის რვა ფორმის ნაცვლად C-ში გვაქვს სამი: 1. რადვა გთხოოთ მიყო ჩუენ (10,35); 2. აწ მარქუ ჩუენ (12,14); 3. შითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე (13,4). სამსავე შემთხვევაში ფორმა ექსკლუზიური ხასიათისაა, რადგან სუბიექტად მე-2 პირია ნაგულისხმევი.

დანარჩენ 5 შემთხვევაში DE რედაქციის მ პრეფიქსიანი ფორმა C რედაქციაში გუ პრეფიქსიანი ფორმითაა შეცვლილი: 1. მიგუავლინენ ჩუენ ღორებსა იმას, რაათა შევიდეთ მათა (C 5,12)—მიბრძანე ჩუენ ღორებსა იმას, რაათა მათა შევიდეთ (DE); 2. შეგუეწიე ჩუენ (C 9, 22)—შემეწიე ჩუენ, უფალო (DE); 3. მოგუეც ჩუენ, რაათა დავსხდეთ... (C 10,37)—მომეც ჩუენ, რაათა დავსხდეთ... (DE); 4. მოძლუარ, მოსე დაგვწერა ჩუენ (C 12,19)—მოძლუარ, მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ (DE); 5. მუნ დაგვმზადეთ ჩუენ (C 14,15)—მუნ მზამიყავთ ჩუენ (DE). ყველა შემთხვევაში ფორმები ექსკლუზიური შინაარსისაა (იხ. DE რედაქციის ანალიზი): ამიტომ გუ პრეფიქსს მოცემულ შემთხვევებში მ პრეფიქსის ფუნქცია აქვს ნატვირთი.

ამ 5 გუ პრეფიქსიან ფორმას ემატება ორივე რედაქციისათვის საზიარო 9 გუ პრეფიქსიანი ფორმა: „არა გაქუს“ (DEC 8,16), „გუნებავს“ (DEC 10,35), „გვსლავს“ (C 10,39) | „ძალ-გვც“ (DE), „გურქუს“ (DEC 11,31), „გუსება“ (DEC 14,58), „გვჴმან“ (DEC 14,63), „გვწინაწარმეტყუელებდ“ (DEC 14,65), „გურწუმენეს“ (DEC 15,32), „გარდაგვგორვოს“ (DEC 16,3). აქვე ემატება ის ორი ფორმა, რომელთა ნაცვლად DE რედაქციაში უპრეფიქსო ფორმებია: „გუაცადე, რამ ძეს ჩუენი და შენი“ (C 1,24)—„ეპა, რამ არს ჩუენი და შენი“ (DE); „რამეთუ პური არა გუაქუს“ (C 8,17)—„რამეთუ პური არა გაქუს“ (DE). გუ პრეფიქსიან ფორმებს C რედაქციაში, ისევე როგორც DE რედაქციაში, შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც.

მარკოზის სახარებაში მათეს სახარების ანალოგიური ვითარებაა. პრეფიქსთა შეფარდება: გუ (16): მ (3).

ლუკას სახარება. გვაქვს 17 მ პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაგან 14 ექსკლუზიური შინაარსისაა: 1. შელოთ, რამ საქმშ მაქმენ ჩუენ? (2,48); 2. და შესაქრებელი ესე მან აღმიშენა ჩუენ (7,5); 3. იოანე ნათლის-მცემელმან მომაგლინნა შენდა (7,20); 4. პური ჩუენი თანაარსობისად მომეც ჩუენ დღითი-დღედ (11,3); 5. დამომიტყვენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი (11,4); 6. დანუ შემიყვანებ ჩუენ გასაცდელსა (11,4); 7. მოძლუარ, მაგას რამ იტყვ, ჩუენცა მაგინებ (11,45); 8. შემძინე ჩუენ სარწმუნოებამ (17,5);



9. მითხარ ჩუენ, რომლითა კელმწიფებთა ამის იქმ (20,2); 10. მოძღუარ, მოსე ესრე და მიწერა ჩუენ (20,28); 11. უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ (22,67); 12. დამეცენით ჩუენ ზედა (23,30); 13. დამფარენით ჩუენ (23,30); 14. არამედ დედათაცა ვითმე ჩუენგანთა დამაკვრვეს ჩუენ (24,22). ჩამოთვლილი ფორმები განხილულია DE რედაქციაში.

სამაგიეროდ, ინკლუზიური გაგებისა „მიმეგების“ ფორმა: 15. ...მართლდორსად საქმეთა ჩუენთაებ მომეგებეს ჩუენ (23,41). ერთი ძვრის მოქმედი მიმართავს მეორეს და ამიტომ გვაქვს 1-ლი და მე-2 პირის ურთიერთობა. უნდა ითქვას, რომ DE რედაქციაში მართებული „მოგუეგების“ ფორმა გვაქვს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თხზულების ტექსტში სულ რამდენიმე ისეთი შემთხვევაა, როცა DE რედაქციის გუ პრეფიქსი C-ში მ პრეფიქსი ენაცვლება ინკლუზიური გაგების ჩანს მ პრეფიქსიანი ფორმები მომდევნო ორ წინადადებაშიც: 16. უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ზეცით არს, მრქუას ჩუენ (20,5); 17. უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, ყოველმან ერმან ქვად დამკრიბოს ჩუენ (20,6).

როგორც ხედავთ, სამი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, მ პრეფიქსიანი ფორმები ლუკას სახარების C რედაქციაში ყველგან ექსკლუზიური გაგებისაა.

ერთ შემთხვევაში DE რედაქციის მ პრეფიქსიანი ფორმას C-ში უპრეფიქსო ფორმა ენაცვლება: განუტევე ჩუენდა ბარაბა (C 23,18) — მომიტევე ჩუენ ბარაბა (DE). ხოლო ორ შემთხვევაში კი DE რედაქციის მ პრეფიქსიანი ფორმების შემცველი მუხლები C-ში ნაკლულია (22,8; 22,12).

მაგრამ მოცემულ რედაქციულ ცვლილებებს არა აქვთ არსებითი ხასიათი. ძირითადი აქ, ისევე როგორც სხვა სახარებებში, ისაა, რომ ნ შემთხვევაში DE რედაქციის მ პრეფიქსიანი ფორმა C-ში შეცვლილია გუ პრეფიქსიანი ფორმით: 1. რომელ უფალმან გუაცნობა ჩუენ (C 2,15) — რომელიღე უფალმან მაუწყყა ჩუენ (DE); 2. ვითარ განგვმარტებდა ჩუენ წაგნებსა (C 24,32) — ვითარ-იგი გამომითარგმანებდა ჩუენ წიგნთა (DE) 3. ვიდრე იგი გუეტყოდა ჩუენ (C 24,32) — ვითარ-იგი მეტყოდა ჩუენ (DE); 4. ვითარცა მოგუასწავეს ჩუენ (C 1,2) — ვითარცა-იგი მომცეს ჩუენ (DE); 5. რომელთა მოგუძინნეს ჩუენ მშენან აღმომავალმან მადლით (C 1,78) — რომელთა მომხედა ჩუენ აღმოსავალმან მადლით (DE); 6. იესუ მოძღუარ, შეგვწყალენ ჩუენ (C 17,13) — იესუ მოძღუარ, შემიწყალენ ჩუენ (DE). აქედან პირველ სან შემთხვევაში შეცვლა სწორია, მე-4 და მე-5 შემთხვევაში ფორმების შინაარსი ბუნდოვანია და მხოლოდ ბოლო შემთხვევაშია აშკარად არამართებული შეცვლა, რადგან ზმნურ ფორმაში სუბიექტი მე-2 პირია (იხ. DE რედაქციის მ პრეფიქსიანი ფორმათა ანალიზი). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ C რედაქციაში, მოცემულ შემთხვევებში, პრეფიქსები უფრო მართებულადაა ნახმარი.

მოცემულ გუ პრეფიქსიანი ფორმებს ემატება ორივე რედაქციისათვის საზიარო გუ პრეფიქსიანი ფორმების ხმარების 11 შემთხვევა: „გუესმა“ (DEC 4,23), „არა შემოგუთქა“ (C 9,49) || „არა შეგვდგა“ (DE), „აღგუეკრა“ (DEC 10,11), „დაგუემორიხილუბიან“ (DEC 10,17), „გუასწივე“ (DEC 11,1), „განგვლე“ (DEC 13,25), „გუასწივებლ“ (DEC 13,26), „თანა-გუედგა“ (DEC 17,10), „არაა გუაკდა“ (C 22,35) || „არაა გუაკლდა“ (DE), „გვკვს“ (DEC 22,71), „გუესმა“ (C 22,71) || „გუესმის“ (DE). ორ შემთხვევაში გუ პრეფიქსი მხოლოდ C რედაქციაშია: „გუელმოდა“ (2,48), „გუნებაეს“ (9,54).

მაშასადამე, სულ 25წონია 19 გუ პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაც აქვთ როგორც ინკლუზიური გავება, ისევე ექსკლუზიურიც.

შევიძლია დავასკვნათ, რომ, მართალია, ლუკას სახარებაშიც იგივე ტენდენცია შეიმჩნევა, მაგრამ იგი მათესა და მარკოზის სახარებისგან (ისევე როგორც იოვანეს სახარებისგან) მაინც საკმაოდ განსხვავდება მ პრეფიქსის ხმაურების სინშირით. პრეფიქსთა შეფარდება: გუ (19); მ (17).

იოვანეს სახარება. მ პრეფიქსიანი ფორმა სამია: 1. უკუე მითხარ ჩუენ, ვინ ხარ შენ (1,22); 2. ვიდრემდის წარმკდი სულთა ჩუენთა? (10,24); 3. მარკუ ჩუენ განცხადებულად (10,24). სამსავე ფორმაში სუბიექტი მე-2 პირია და ამიტომ მ პრეფიქსი აქ სწორად უნდა იყოს ნახმარი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ DE რედაქციის შესაბამის ადგილებში სამივეგან გუ პრეფიქსია. როგორც ითქვა, მსგავსი რედაქციული შენაცვლება ითხთავში ძალზე იშვიათია.

სამაგიეროდ, DE რედაქციის მ პრეფიქსიანი ფორმების ნაცვლად C-ში ყველგან გუ პრეფიქსიანი ფორმები გვაქვს: 1. რაა სასწაულ გვჩუენო ჩუენ (C 2,18)—რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ (DE); 2. რომელმან ესე ჭურღმული მოგუცა ჩუენ? (C 4,12)—რომელმან ესე ჭურღმული მოგცა ჩუენ? (DE); 3. უფალო, გუეც ჩუენ ჰური ივა ყოველსა ქამსა (C 6,34)—უფალო, მარადის მომეც ჩუენ პური ესე (DE); 4. უფალო, გვჩუენე ჩუენ მამა (C 14,8) უფალო, მიჩუენე ჩუენ მამაი შენი (DE); 5. გვჩუენე ჩუენ მამა? (C 14,9) — მიჩუენე ჩუენ მამაი შენი? (DE); 6. მან გვთხრას ჩუენ ყოველი (C 4, 25)—მითხრას ჩუენ ყოველი (DE); 7. რომელსა გუეტყვს ჩუენ (C 16,17)—რომელსა მეტყვს ჩუენ (DE). აქედან პირველ ხუთ შემთხვევაში შეცვლა მართებული არ უნდა იყოს (იხ. DE რედაქციის მ პრეფიქსიანი ფორმების ანალიზი).

ამ შვიდ გუ პრეფიქსიან ფორმას ემატება ორივე რედაქციისათვის საზიარო გუ პრეფიქსიანი ფორმების ხმაურების 10 შემთხვევა: „გურწამს“ (DEC 4,42) „გუესმის“ (C 4,42) || „გუესმა“ (DE), „გურწამს“ (DEC 6,30), „გურწამს“ (DEC 6,69), „გუმოძღური“ (C 9,34) || „გუასწავება“ (DE), „გუნებაეს“ (DEC 12,21), „გუესმა“ (C 12,34) || „გუასმიეს“ (DE), „გვკმდეს“ (DEC 13,29), „გუაქუს“ (DEC 19,7), „არა გვის“ (DEC 19,15). აქვე უნდა დავუმატოთ ის სამი შემთხვევა, როცა გუ პრეფიქსიანი ფორმა მხოლოდ C რედაქციაშია: „გვთხარან“ (11,57), „გვყიდე“ (13,29), „გურწამს“ (16,30). სულ იოვანეს სახარებაში გვაქვს 20 გუ პრეფიქსიანი ფორმა, რომელთაც, სხვა სახარებების გუ პრეფიქსიანი ფორმების მსგავსად, შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გავება, ისევე ექსკლუზიურიც.

იოვანეს სახარების C რედაქციაშიც აშკარად შეიმჩნევა მ პრეფიქსის გუ პრეფიქსით წევლის ტენდენცია, რასაც საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს პრეფიქსთა შეფარდება: გუ (20); მ (3).

შევაჯამოთ C რედაქციის ენობრივი მასალის ანალიზის შედეგები:

ა) მათეს სახარების 12-ვე მ პრეფიქსიანი ფორმა ექსკლუზიური შინაარსისაა. ისევე ექსკლუზიური შინაარსისაა მარკოზის სახარების 3-ვე მ პრეფიქსიანი ფორმა. ლუკას სახარების 17 მ პრეფიქსიანი ფორმიდან 14 ექსკლუზიური შინაარსისაა და მხოლოდ 3 შემთხვევაში აქვთ ფორმებს დაკარგული ექსკლუზიურობის გავება. იოვანეს სახარების 3-ვე მ პრეფიქსიანი ფორმა ექსკლუზიურია

შინაარსისა. როგორც ვხედავთ, ოთხივე სახარების 35 მ პრეფიქსიანი ფორმიდან 32 ექსკლუზიური შინაარსისაა.

ამდენად, აღიშნის ოთხთავის შემთხვევაშიც შეიძლება ითქვას, რომ მ პრეფიქსიანი ფორმები ნამდვილად იძლევიან საშუალებას, ნაშთის სახით დავადგინოთ ადრე მოქმედი ექსკლუზივის კატეგორიის კვალი.

ბ) გუ პრეფიქსიან ფორმებს C რედაქციაში, ისევე როგორც DE რედაქციაში, შეიძლება ჰქონდეთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც და ამიტომ გუ პრეფიქსიანი ფორმები ვერ აყალიბებენ ექსკლუზიურობის საპირისპირო მნიშვნელობას. სულ აღიშნის სახარებაში 79 გუ პრეფიქსიანი ფორმაა.

ოთხივე სახარებისთვის ფორმათა საერთო შეფარდებაა: გუ (79): მ (35).

C რედაქციის შემთხვევაში გამოტანილი დასკვნები საერთოდ ემთხვევა DE რედაქციის შემთხვევაში გამოტანილ დასკვნებს, მაგრამ რედაქციათა შორის გვაქვს არსებითი სახის სხვაობაც, რომელიც ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ DE და C რედაქციები აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისგან გუ და მ პრეფიქსთა ხმარების სიხშირის თვალსაზრისით და საკმაოდ ხშირად (26 შემთხვევაში) DE რედაქციის მ პრეფიქსიანი ფორმა C რედაქციაში გუ პრეფიქსიანი ფორმათაა შეცვლილი. სხვაობა შეიძლება დიალექტური ხასიათისა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: C რედაქციაში ფორმათა გათანაბრების პროცესი DE რედაქციასთან შედარებით გაცილებით შორსაა წასული, რასაც თვალნათლევ გვიჩვენებს პრეფიქსთა საერთო შეფარდებების შედარება: DE — მ (57): გუ (61); C—მ (35): გუ (79).

მიუხედავად აქ აღნიშნული სხვაობისა, DE და C რედაქციების შემთხვევაში გამოტანილი დასკვნები შეიძლება განზოგადდეს და საბოლოოდ ითქვას:

1. ორივე რედაქციის 92 მ პრეფიქსიანი ფორმიდან 80 ექსკლუზიური გაგებისა და ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ოთხთავის ორსავე ძველ რედაქციას საკმაოდ კარგად შემოუწახავს ადრე მოქმედი ექსკლუზივის კატეგორიის კვალი.

2. გუ პრეფიქსიან ფორმებს აქვთ როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც (ამიტომ ისინი ვერ აყალიბებენ ექსკლუზიურობის საპირისპირო გაგებას), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოთხთავის DEC რედაქციები ასახვენ ძველი ქართული ენის განვითარების იმ სტადიას, როცა გათანაბრების პროცესი უკვე საკმაოდ შორსაა წასული და სხვაობა მ და გუ პრეფიქსიან ფორმებს შორის ნაშთის სახითაა შემორჩენილი. გათანაბრება უპირველეს ყოვლისა გუ პრეფიქსიან ფორმებს შეხებია (შდრ. [4] 293).

ქართული ოთხთავის DEC რედაქციების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინკლუზივ-ექსკლუზიურ ფორმათა შორის არსებული სხვაობა უკეთაა შემონახული DE რედაქციაში. ეს სწორედ ის რედაქციაა, რომელიც პროტოვულგატად ყოფილა მიღებული მე-10 საუკუნეში და რომელსაც „მხარს უჭერს საერთოდ სხვა ოთხთავები მე-10 საუკუნისა: ოპიზისა (913 წ.), ბერთისა (988 წლამდე) და ტბეთისა (955 წ.)“ ([8] 68).

მართლაც, ბერთის ოთხთავის⁶ DE რედაქციასთან შედარება გვიჩვენებს, რომ მ და გუ პრეფიქსების ხმარების თვალსაზრისით იგი თითქმის მთლიანად

⁶ ბერთის ოთხთავის ანალიზისას ვასარგებლეთ თსუ ძველი ქართული ენის კათედრის თანამშრომელ ე. ტურაშვილის მიერ ფოტოტიპირებულ და აღმოჩენილ ტექსტით.

ემთხვევა ამ უკანასკნელს. განსხვავება მათ შორის მინიმალურია და მხოლოდ რამდენსამე შემთხვევაში თუ გვაქვს მ და გუ პრეფიქსთა მონაცვლეობა.

ანალოგიური ვითარება უნდა გვექონდეს ოპიზის ოთხთავშიც (იხ. არნ. ჩიქობავასეული ანალიზი ([6] 108—112).

უფრო საინტერესოა ტბეთის ოთხთავის მონაცემები ([9], [10], [11]), რადგან მისი რედაქციული დამუშავება ეფთვიმე მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს ([11] 165). მისი DE რედაქციასთან შედარება გვიჩვენებს, რომ მ და გუ პრეფიქსები აქაც თითქმის უცვლელადაა დატოვებული და განსხვავება აქაც მინიმალურია. ნიშანდობლივია, რომ ეფთვიმე მთაწმიდელი პრეფიქსთა სწორედ DE რედაქციაში მოცემულ განაწილებას უჭერს მხარს. მოსალოდნელია, რომ ეფთვიმე მთაწმიდლისათვის მ და გუ პრეფიქსთა შორის არსებული სხვაობა მხოლოდ დიალექტური ხასიათისა რომ ყოფილიყო (როგორც ამას არნ. ჩიქობავა ვარაუდობს ([6] 105), იგი რამდენადმე მაინც შეეცდებოდა ერთიანი პრინციპის გატარებას.

იგივე შედეგს იძლევა ნაბეჭდი ოთხთავის [12] შედარება DE რედაქციასთან. როგორც მოსალოდნელი იყო ([8] 05, 08), იგიც მ და გუ პრეფიქსთა ხმარების თვალსაზრისით, ცალკეული გამონაკლისების გარდა, თითქმის მთლიანად მისდევს DE რედაქციას.

როგორც ვხედავთ, ოთხთავის ტექსტის შემდეგ დროინდელ ვადამწერებს თუ რედაქტორებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ მ პრეფიქსის უცვლელად დატოვება.

საინტერესოა „საქმე მოციქულთას“ [13] მონაცემები, რადგან, ჯერ ერთი, იგი ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი ძეგლთაგანია და, მეორეც, „საქმე მოციქულთა“ საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შევუღაროთ ძველი და ახალი, გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მცირეს, რედაქციები. შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე თითქმის უცვლელად სტოვებენ ძველი ნუსხების მ პრეფიქსიან ფორმებს. საფიქრებელია, რომ გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე მ პრეფიქსიან ფორმებს გუ პრეფიქსიანი ფორმებისგან განსხვავებული შინაარსის ერთეულებად აღიქვამდნენ.

ისევ თითქმის უცვლელად სტოვებენ მ პრეფიქსიან ფორმებს გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე „კათოლიკე ეპისტოლეთა“ წიგნშიც [14].

შედარებით თავსუფლად ეპყრობიან მ პრეფიქსიან ფორმებს გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე „პავლენში“ [15], სადაც ძველი რედაქციების დაახლოებით 20-მდე მ პრეფიქსიანი ფორმა შეცვლილია გუ პრეფიქსიანი (უნდა აღინიშნოს, რომ აქედან რამდენსამე შემთხვევაში გუ პრეფიქსიანი ფორმა გვაქვს B რედაქციის ნუსხებშიც, რომელსაც უნდა ემყარებოდეს კიდევ გიორგი მთაწმიდელი ([15] 012). თუმცა, ძველი რედაქციების მ პრეფიქსიანი ფორმების დაახლოებით 70% (60-მდე შემთხვევა) „პავლენშიც“ უცვლელადაა დატოვებული.

რაც შეეხება „იოვანეს გამოცხადებას“ [16], იგი რაინეს თქმის საშუალებას არ იძლევა, რადგან მ და გუ პრეფიქსიანი ფორმები აქ მხოლოდ კანტიკუნტად თუ გვხვდება.

სამაგიეროდ ძალზე საყურადღებო შედეგს იძლევა „ფსალმუნის“ [17] ძველი და ახალი, გიორგი მთაწმიდლის, რედაქციების შეპირისპირება. ძველი ნუსხების მ პრეფიქსიანი ფორმები თითქმის ყველა შემთხვევაში (80-ზე მეტ შემთხვევაში) უცვლელადაა დატოვებული გიორგი მთაწმიდლის რედაქციაში.

სიანტერესთა, რომ აქედან 60-ზე მეტ შემთხვევაში მ პრეფიქსიანი ფორმები აშკარად ექსკლუზიური გაგებისაა, რადგან ზმნურ ფორმებში სუბიექტად მე-2 პირი გვაქვს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გიორგი მთაწმიდელი „ჟსალმუნის“ ხელახლა თარგმანისას ბერძნულიდან „გამოწულივით“ შეჩერების გარდა თვით ქართული ენის ბუნებასაც სავანებო ყურადღებას უთმობდა („ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ: ჩნ რომელი ჭერ-იყო, ჩაგვრთავს და რომელი ჭერ-იყო, დაგვკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოპვიდოდა და წესი საქმისაჲ ეძიებდა“ ([17] 027) და მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ შემთხვევათა უმეტეს ნაწილში მ პრეფიქსი მე-2 სუბიექტურ პირიან ფორმებთან ვვაქვს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გიორგი მთაწმიდელი მოცემულ ძეგლში მ პრეფიქსიან ფორმებს გუ პრეფიქსიანი ფორმებისგან განსხვავებული შინაარსის მქონე (შეიძლება ვივარაუდოთ ექსკლუზიური შინაარსის მქონე) ერთეულებად იაზრებდა და სწორედ ამიტომ სტოვებდა მათ უცვლელად.

მაგრამ აქ არც ტრადიციის ძალა არ უნდა დაგვაფიქვდეს: მ პრეფიქსიანი ფორმების უცვლელად დატოვება ახალ რედაქციებში შეიძლება ნაწილობრივ საღმრთო წერილის წიგნათთვის დამახასიათებელი ენობრივი კონსერვატიზმითაც აიხსნას. ნათქვამში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ზემოთ განხილულ ძეგლებს შევედარებთ გიორგი მთაწმიდელის ორიგინალურ ნაწარმოებს — „იოვანეს და ეფთემეს ცხოვრებას“ [18], რომელიც გვიჩვენებს, რომ კლასიკური ძეგლების ენაზე აღზრდილი გიორგი მთაწმიდელი „ცდილობს ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX—X სს.) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ ახერხებს, თავი დაახწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებასში, სინტაქსურ მოვლენებსა და ნიტყვების შერჩევაში“ ([18] 81—2).

სწორედ ცოცხალი სამეტყველო ენის გავლენა უნდა იყოს, რომ ამ საკანონოდ მოზრდილ თხზულებაში, როგორც წესი, 1-ლი ობიექტური პირის მრავლობითობა გამოხატულია გუ პრეფიქსით, რომელსაც კონტექსტის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს როგორც ინკლუზიური გაგება, ისევე ექსკლუზიურიც (50-ზე მეტ გუ პრეფიქსიან ფორმას უპირისპირდება სვინაქსარულ რედაქციაში მოცემული ერთადერთი მ პრეფიქსიანი ფორმა).

გიორგი მთაწმიდელი არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. ეფთვმე მთაწმიდელიც; რომელიც საერთოდ არაა წინააღმდეგი მ პრეფიქსიანი ფორმებისა (იხ. ტბეთის ოთხთავი, სადაც თითქმის უცვლელადაა დატოვებული ძველი რედაქციების მ პრეფიქსიანი ფორმები), ქართული პატერიკის მისეულ თარგმანში [19] არსად არ ხმარობს მანაან ფორმებს, რისი მიზეზიც, ალბათ, ე. წ. პატრისტიკული ნოველების ენობრივი თავისებურება უნდა იყოს, თავისებურება, რომელიც გარკვეულ ენობრივ თავისუფლებას ანიჭებს მთარგმნელს.

აშკარაა, რომ ამ პერიოდის ცოცხალი სამეტყველო ენისათვის უცხო იყო ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია. ისიც ცხადაა, რომ ეს კატეგორია ძველ ქართულში გაცილებით ადრე უნდა მოშლილიყო ამიტომაც, რომ მანაინი ფორმების ხმარება ძველ ქართულში ერთგვარ არჩაულ ელფერს ატარებს და ძველი ქართული ენის ძეგლთა უმეტესობაში, კერძოდ, ისეთ კლასიკურ ძეგლშიც კი, როგორც „სინური მრავალთავია“ [20], ერთობ ჭარს ინკლუზივ-ექსკლუზივის კვალის დადგენა (ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ძეგლი, ოთხთა-

ვის ძველი რედაქციების ენასთან შედარებით, ქართული ენის განვითარების უფრო გვიანდელ სტადიას ასახავს). ამავე მიზეზით შეიძლება აიხსნას მანიანი ფორმების სიმცირე ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში.

მიუხედავად ამისა, საბოლოოდ კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული ენის ცალკეულ ძეგლებში აშკარად ჩანს ნაშთის სახით შემორჩენილი ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის კვალი, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ზემოთ ჩატარებული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის ენობრივი ანალიზი.

P. S. წაკითხულია მოხსენებად 1977 წლის 17 ნოემბერს თსუ ძველი ქართული ენის კათედრის სამეცნიერო სესიაზე. ამიტომ აქ არაა გათვალისწინებული დ. მელიქიშვილის ნაშრომი („ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში“), რომელიც დაიბეჭდა „მაცნეს“ 1977 წლის მე-4 ნომერში და რომლის შესახებაც უნდა ითქვას: ა) ნაშრომი ძირითადად ისევ სვანურში არსებულ ვითარებას იხილავს, ბ) ავტორის მსჯელობა ზოგადი, თეორიული ხასიათისაა და, გ) რაც მთავარია, მიუღებელი ჩანს მხოლოდ ლოგიკურ მსჯელობაზე დამყარებით გამოტანილი დასკვნა, რომ საკუთარი ნიშანი უნდა ჰქონოდა ინკლუზივს, ექსკლუზივს კი — არა (გვ. 162), რადგან ენობრივი მასალის აღწერითი ანალიზი სწორედ რომ საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა. ენობრივი მასალის ანალიზი კი მსგავსი დასკვნის გამოტანისათვის აუცილებელია.

ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ქართული ზმნის სატყევი, ფრანგულ რეზუმე, ტ. უ. შ., VI, 1926.
2. ა. შანიძე, ორგვარი ფორმა მრავლობითი რაცების პირველ პირისა სვანურში, წელიწადეული, 1923—1924.
3. თ. ფ. უ. რ. ი. ა., სვანური ენა, I, ზნა, 1931.
4. კ. დ. ო. ხ. დ. უ. ა., Категория инклюзива-эксклюзива в сванском и её следы в древнегрузинском, რჩეული ნაშრომები, I, 1967.
5. გ. დ. ე. ტ. ე. რ. ს. ი., Das kharthwelische Verbum, 1880.
6. არნ. ჩ. ი. ტ. ო. ბ. ა. ვ. ა., მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპებისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946.
7. ალ. ო. ნ. ი. ა. ნ. ი., ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, № 1, 1965.
8. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდელი ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, 1945.
9. სხარებმად ოთხთავი ოთხ კელნაწერთაგან შიგ და შვე წელათა, პეტერბურგი, 1909 წ. (მათე) და 1911 წ. (ნარკოზ). გამოსცა გ. ბენეშევიჩმა.
10. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, გვ. 66—112, 1970.
11. ტბეთის ოთხთავი, გამოკვლევა და ტექსტი, ი. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, 1977.
12. ახალი აღთქმა, ტფილისი, 1879.
13. საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ი. ახუღაძემ, 1950.
14. კათოლიკე ეპისკოპოსთა ქართული ევრსიები, გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ, 1956.
15. პავლეს ეპისკოპოსთა ქართული ევრსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ბოწენიძემ და კ. დ. ნელიამ ა. შანიძის რედაქციით, 1974.

ოიკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისათვის ძველ ქართულში

16. იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, გამოცემა ი. იმნაიშვილმა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961.
17. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მზ. შანიძემ, 1960.
18. ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გამოსცა ა. შანიძემ, 1946.
19. შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, გამოსცა მ. დვალმა, 1966.
20. სინური მრავალთავი ჯად წლითა, გამოსცა ა. შანიძემ, 1959.

ძველი ქართული ენის კათედრის შრომები

(დაიბეჭდა)

1. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაშვილი, თბ., 1955, XXXII+222 გვ.
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა. I. მორფოლოგია. თბ., 1955, 08+330 გვ., გამოცემა მეორე, შესწორებული. თბ., 1962, 335 გვ.
3. ვედნისტიკოსის სიმფონია. შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბ., 1956, 039+431 გვ.
4. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, 028+784 გვ.
5. სინური მრავალთავი 854 წლისა. გამოსაცემად მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბ., 1959, 020+338 გვ.
6. თ. უტუჩაძე, თუშური კილო. თბ., 1960, 08+236 გვ.
7. კრებული. თბ., 1961.
 - იოანეს გამოცხადება და მისი თარგმანება. ძველი ქართული ვერსია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა (გვ. 1—205).
 - ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში (გვ. 207—228).
 - ლ. კიკნაძე, უწყვეტლის ბოლოებითის მწკრივი ძველ ქართულში (გვ. 229—279).
8. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, I. გამოსცა ი. იმნაიშვილმა. თბ., 1963, VII+64 გვ.
9. კრებული. თბ., 1964.
 - ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში (გვ. 1—94).
 - ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში (გვ. 95—150).
 - ბ. ჭუმბურიძე, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში (გვ. 151—157).
 - კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი (გვ. 159—184).
 - მხეკალა შანიძე, უდაბნოს მრავალთავის ერთი ადგილის იდენტიფიკაციისათვის (გვ. 185—186).
- კროტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 187—209).
- პეტრე იბერიელი (ფეგედო-დიონისე არეობაგელი). შრომები. ეფრემ მცხერიის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაიშვილმა. თბ., 1961 (რეცენზია ა. შანიძისა, გვ. 187—193).
- ძველ ქართულ-რუსულ ლექსიკონი (ოთხთავის ორი ძველი რედაქციის მიხედვით), შეადგინა ს. ბ. სურგუბრაძემ. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოქვეყნდება. თბ., 1962, XIV+285 გვ. რეცენზია მ. შანიძისა, გვ. 195—200).
10. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა. თბ., 1966, 08+239 გვ.
11. საუბილუო. თბ., 1968.
 - ა. შანიძე, ერგასელის წლისთავზე (გვ. VII—VIII).
 - ა. შანიძე, შესავალი სიტყვა, წარმოთქმული დისერტაციის დაცვისას თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1920 წლის 9 მაისს (გვ. 1—6).
 - ა. შანიძე, ავრი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში (გვ. 7—16).



ა. შანიძე და ვ. ციხეკარიშვილი, ბაჩანის ციხის წარწერა (გვ. 17-26) **ქართული ენის ინსტიტუტი**
A. Шанидзе и В. Цискаришвили, Надпись Барянской крепости (Резюме) (стр. 26).

ბ. იმნაიშვილი, ენებით გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში (გვ. 27—54)

ზ. ჭუმბურიძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ძველ ქართულში (გვ. 55—76).

შ. შანიძე, შესავალი ევრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა (ტექსტი და შენიშვნები). (გვ. 77—122).

კ. დანელია, ძველი ქართულის ლექსიკონი (გვ. 123—131).

დ. შელიქიშვილი, ზოგი საკავშირებელი სიტყვება და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის იოანე პეტრიწის ნაწერებში (გვ. 133—142).

А. Шанидзе. Грузинская надпись XI—XII вв. из Армении (стр. 143—144).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 143—165).

მ. შია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ურთიერთობიდან. I. თბ., 1966 (რეცენზია ა. შანიძისა, გვ. 145—158).

რომან შიშინოვი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966 (რეცენზია კ. დანელიასი, გვ. 159—165).

12. ცხორებაი წმიდისა ანტონისი. ტექსტი გვოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა. თბ., 1970, 156 გვ.

13. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ჰერსტოპია, ტ. I, ლექსიკონით, ენის მიმოხილვით და ტაბულებით. ნაწილი 1, ტექსტები და ლექსიკონი, 1970, 384 გვ.

14. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ჰერსტოპია, ტ. I, ლექსიკონით, ენის მიმოხილვით და ტაბულებით. ნაწილი 11, ენის მიმოხილვა და ტაბულები, 1971, 384 გვ.

15. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გამოცემა მეორე, 1973, 020—560 გვ.

16. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და გორნელი დანელიამ ა. შანიძის რედაქციით. 1974, 032+525 გვ.

17. ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი. 1975, 287 გვ.

18. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა. 1976, 188 გვ.

19. კრებული. თბ., 1976. შეიღწა ივანე ჯავახიშვილმა.

ა. შანიძე, თამარ მეფის ხელსაქმრის გამო (გვ. 7—11).

ა. შანიძე, ბგერათა ცვალებანი ენის ისტორიული განვითარების პროცესში და თეორიული (გვ. 13—18).

ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. დანბითი (გვ. 19—23).

ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემის-ნიწინან ზმნათა უღლებიისათვის I თარგმობით-ში (გვ. 25—37).

ლ. ბარამიძე, საწყისი ძველ ქართულში (გვ. 39—78).

ლ. ბარამიძე, ენებითი გვარის ზმნათა აწყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში (გვ. 79—95).

კ. დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციები (გვ. 97—163).

კ. დანელია, ენებითი გვარის წარმოებისათვის კოლფურში (გვ. 165—175).

რ. ენუქაშვილი, ხანკეტობა-ჰემეტობის საკითხისათვის ქართულში (გვ. 177—180).

მ. როგავა, თ. მეტრეველი, ახალი მასალები ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევისურულში (გვ. 181—188).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 189—221).

ა. შანიძე, იოანე ოქროპირის ეპისტოლიის ძველი რედაქცია (გვ. 185—195).

ა. შანიძე, ღვთისმშობლისა ზეცად აძაღლებისათვა (გვ. 197—200).

ბ. იმნაიშვილი, „ცისკრის“ ენა (გვ. 201—221).

20. კრებული. თბ., 1977. შეიღწა აკაკი შანიძეს შიხი დაბადების 90-ე წლისთავზე

ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები (გვ. 7—35).

ლ. ბარამიძე, პირველი თარგმობითი წარწერების ზოგი თავისებურება ქართული ენის მისი კილოებში (გვ. 37—51).

კ. დანელია, ყვთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები (გვ. 53—149).

რ. ენუქაშვილი, „პრედიკატული განსაზღვრების“ საკითხი ძველ ქართულში (გვ. 151—164).

- ი. იმნაიშვილი, ტბეთის ოთხთავი. გამოკვლევა და ტექსტი (გვ. 233—244).
 შ. შანიძე, უნჯაკალ სიტყვის განმარტებისათვის (გვ. 245—247).
 ზ. ჭუმბურიძე, კნინობითი სახელები სვანურში (გვ. 249—255).
21. სვანური ენის კრესტომათია, თბ., 1978, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდაძემ და ზ. ჭუმბურიძემ, ა. შანიძისა და მ. ქალდაძის რედაქციით (გვ. 367).
 22. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოაცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979, (გვ. 643).
 23. კრებული, თბ., 1980.

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჯანელიძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი მ. ჯანეიშვილი

გადაცა წარმოებას 12.7.79. ხელმოწერა დასაბუჯდად 30.06.80.
უე C7428. საბუჯდი ქალაქი № 1. 70X108¹/₁₆. პერიოდი ნაბუჯდი
თაბახე 17,15. სააღრ.-საგამომც. თაბახე 14,92.
ტირაჟი 500. შეკვეთის № 1114

ფასი 1 მან. 50 კაბ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.